ფ. ენგელსი

გლეხთა ომი გერმანიაში

თბილისი • 1956

ქართული გამოცემის რედაქციისაგან

ფრიდრიხ ენგელსის ნაწარმოების «გლეხთა ომი გერმანიაში». ახალი, მეორე ქართული გამოცემა წარმოადგენს შესწორებულ და გადამუშავებულ თარგმანს. წიგნს დართული აქვს დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი, სადაც ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება ფ. ენგელსის მთელი რიგი სტატია: «პრუსიის გლეხთა ისტორიისათვის», მასალები «ფ. ენგელსის ხელნაწერი მემკვიდრეობიდან» («ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშვების შესახებ», «გლეხთა ომისათვის») და ა. შ.

ამ წიგნის ახალი ქართული გამოცემის ძირითად ტექსტს საფუძვლად დაედო 1932 წლის გამოცემა. წიგნი გამოსაცემად მოამზადა და ახალი მასალები თარგმნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა ლ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ მ ა. როგორც ძირითადი ტექსტის მომზადებისას, ასევე ახალი მასალის თარგმანისას ორიგინალთან ერთად გამოყენებულ იქნა რუსული გამოცემაც (მოსკოვი, 1953 წ.).

ქართული გამოცემის რედაქცია შეასრულა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა დ. ლ ა შ ქ ა რ ა ძ ე მ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ც. კ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის
საქართველოს ფილიალი

ფრიდრიხ ენგელსის ნაწარმოები «გლეხთა ომი გერმანიაში» დაიწერა 1850 წლის ზაფხულში 1848 — 1849 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ისევე როგორც მარქსიზმის ფუძემდებელთა ამავე პერიოდის სხვა ღირსშესანიშნავი ნაწარმოებნი, ეს ნაშრომიც შეიცავს უმნიშვნელოვანეს იდეებს, რომლებიც მარქსმა და ენგელსმა 1848 — 1849 წლების რევოლუციის ისტორიული გამოცდილების ღრმა შესწავლისა და განზოგადების შედეგად წამოაყენეს.

ენგელსის ნაშრომი მიძღვნილია გერმანიის გლეხებისა და ქალაქის მდაბიოთა (პლებეების) მძლავრი აჯანყების ისტორიისადმი. მარქსი 1844 წ. ამ აჯანყებას გერმანელთა ისტორიის ყველაზე რადიკალურ ფაქტს უწოდებდა (იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. თხზულებანი, ტ. 1, 1938, გვ. 393). იგი წარმოადგენს გერმანიის ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციის — XVI საუკუნის დასაწყისის რეფორმაციის — კულმინაციურ პუნქტს. რეფორმაცია მიმართული იყო ფეოდალურ-რეაქციული ძალების, მათ შორის, შუასაუკუნებრივი კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, რომლებიც აფერხებდნენ კაპიტალისტური ურთიერთობის მომწიფებას გერმანიაში და ხელს უშლიდნენ გერმანიის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. გლეხებისა და ქალაქის მდაბიოთა 1525 წლის დამარცხებას მოჰყვა ის, რომ ადრინდელმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გერმანიაში მარცხი განიცადა. მხდალი გერმანელი ბიურგერობა მუხანათურად გამოვიდა აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ და ფეოდალებს მიემხრო. ამის შედეგად ლუთერანული რეფორმაციაც მსხვილ საერო ფეოდალთა — მთავართა — ინტერესებისადმი იქნა შეგუებული. გერმანია საუკუნეთა მანძილზე ეკონომიურად და პოლიტიკურად დაქუცმაცებული დარჩა.

ენგელსის მიმართვა გერმანიის ისტორიული წარსულისადმი გამოწვეული იყო მისი მისწრაფებით ეჩვენებინა გერმანელი ხალხის

რევოლუციური ტრადიციები. მარქსიზმის ფუძემდებლებს ეს მიაჩნდათ ერთ-ერთ საშუალებად, რათა ემხილებინათ რევოლუციურ ტრადიციებისადმი მტრულად განწყობილი რეაქციული კლასების პოლიტიკა და აღეზარდათ გერმანელი ხალხი გერმანიის პროგრესული განვითარებისათვის, მისი რევოლუციური, დემოკრატიული გზით გაერთიანებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

XVI ს. მოვლენათა ანალიზისას, ენგელსმა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დასკვნა გამოიტანა აგრეთვე 1848—1849 წლების რევოლუციის გაკვეთილების შესახებ. კერძოდ მან ნათელყო 1848 — 1849 წლებში გერმანელი ბურჟუაზიის მოღალატური მოქმედება, რომელიც მოგვაგონებს მისი ისტორიული წინამორბედის — XVI საუკუნის გერმანელი ბიურგერობის — მოქმედებას. ენგელსმა გამოააშკარავა მერყეობა და პროვინციული შეზღუდულობა, რომელიც დამახასიათებელია როგორც გლეხთა მასებისათვის გლეხთა ომის დროს, ისე XIX საუკუნის გერმანიის წვრილი ბურჟუაზიისათვისაც. «ფრ. ენგელსი, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — განსაკუთრებით ხაზს უსვამდა გამოცდილების გაკვეთილს, რომელიც რამდენადმე აერთიანებს XVI საუკუნის გლეხურ აჯანყებას და 1848 წლის რევოლუციას გერმანიაში, სახელდობრ ხაზს უსვამდა გამოსვლების დაქსაქსულობას, ჩაგრულ მასებში ცენტრალიზაციის უქონლობას, რაც დაკავშირებული იყო მათი ცხოვრების წვრილბურჟუაზიულ მდგომარეობასთან». (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამ. ტ. 25, გვ. 237). ამასთანავე ენგელსმა მკვეთრად მოხაზა ის საზღვარი, რომლის იქით თავდება პარალელი 1525 წლისა და 1848 წლის მოვლენებს შორის. მან გვიჩვენა, რომ 1848 — 1849 წლების რევოლუცია მიმდინარეობდა სრულიად სხვაგვარ ისტორიულ ვითარებაში: მთელ რიგ ქვეყნებში წარმოების კაპიტალისტური წესის გამარჯვების პირობებში, როდესაც პროლეტარიატი უკვე გამოვიდა ისტორიულ სარბიელზე.

გერმანიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის კვლევისას ენგელსმა გამოიყენა მატერიალისტური დიალექტიკისა და ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი და პირველმა ისტორიულ ლიტერატურაში გამოააშკარავა XVI საუკუნის დამდეგს გერმანიაში წარმოებული პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლის სოციალ-პოლიტიკური მიზეზები და კლასობრივი არსი. ენგელსის ნაშრომი იძლევა კლასიკურ ნიმუშს ფეოდალიზმის წინააღმდეგ გლეხთა მოძრაობის შესწავლისათვის არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. იგი გვიჩვენებს იმ უდიდეს როლს, რომელსაც საზოგადოების ის-

ტორიაში ასრულებდა ხალხთა მასების ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ენგელსი ხაზს უსვამდა გლეხობის როლს, როგორც რევოლუციური ძალისას, რომელიც ძირს უთხრის ფეოდალური საზოგადოების საფუძველს, მაგრამ ამასთანავე იგი ამხელდა აგრეთვე გლეხთა მოძრაობის სუსტ მხარეებსაც. გლეხთა მოძრაობის არაორგანიზებულობა, სტიქიური ხასიათი, დაქსაქსულობა, გლეხთა შეგნებულობის დაბალი დონე — ყოველივე ეს ენგელსის მიერ აღნიშნული იყო, როგორც გლეხური აჯანყების დამარცხების მიზეზები.

«გლეხთა ომი გერმანიაში» ადასტურებს მარქსიზმის უმნიშვნელოვანეს დასკვნას იმის შესახებ, რომ ყველა ჩაგრულ კლასს შორის, რომლებიც ოდესმე მოქმედებდნენ ისტორიაში, მხოლოდ პროლეტარიატი — კაპიტალიზმის მესაფლავე და ახალი სოციალისტური საზოგადოების შემომქმედი — წარმოადგენს ბოლომდე რევოლუციურ კლასს, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს ყველა ექსპლოატირებულისა და ჩაგრულის ბელადისა და განმათავისუფლებლის დიადი მისია. ამასთან ერთად გლეხთა აჯანყებებისა და ომების მაგალითით ენგელსი ამ ნაწარმოებში გვიჩვენებს, რომ გლეხობა საუკუნეთა მანძილზე იბრძოდა თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამით ენგელსი ხაზს უსვამს მუშათა კლასისათვის გლეხთა მასების რევოლუციურ შესაძლებლობათა გამოყენების უდიდეს მნიშვნელობას ექსპლოატატორული კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. შინაარსი «გლეხთა ომისა გერმანიაში» მჭიდროდ არის დაკავშირებული პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის მონახაზთან, რომელიც მარქსიზმის ფუძემდებლებმა წამოაყენეს. განავითარა რა სწორედ ეს აზრები გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის, შესახებ, მარქსმა 1856 წ. 16 აპრილს ენგელსისადმი გაგზავნილ წერილში გამოთქვა გენიალური დებულება, რომ საჭირო იქნება პროლეტარულ რევოლუციას ზურგი გაუმაგრდეს «გლეხთა ომის რომელიმე მეორე გამოცემითო».

ამ გამოცემის დამატებებში ქვეყნდება მთელი რიგი ნაშრომები და წერილები, რომლებიც ავსებენ შინაარსს ენგელსის წიგნისა «გლეხთა ომი გერმანიაში».

მარქსისა და ენგელსის წერილები ლასალისადმი (1859 წ. 19 აპრილისა და 18 მაისის) მიმართულია ლასალის დრამის «ფრანც ფონ ზიკინგენის» რეაქციული ტენდენციების წინააღმდეგ. მარქსიზმის ფუძემდებლებმა, რომლებმაც გადაჭრით გაილაშქრეს ლასალის ცდის წინააღმდეგ — განედიდებინა აზნაურთა 1522 — 1523 წლების

აჯანყების ბელადის ზიკინგენის სახით XVI საუკუნის გერმანელი რაინდობა, ჯერ კიდევ მაშინ ამხილეს ლასალელობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მავნე ნიშანი — გლეხთა მოძრაობის რევოლუციური ხასიათის უარყოფა, გლეხობის რეაქციული კლასისადმი მიკუთვნების მისწრაფება.

მომდევნო წლებში ენგელსი არაერთხელ გამოსულა პრესაში გლეხობის მიმართ პროლეტარული პარტიის პოლიტიკის დასაბუთებით. ამ საკითხს, ენგელსმა მიუძღვნა ისეთი ნაწარმოებნი, როგორიცაა «მარკა» (1882 წ.) «პრუსიის გლეხობის ისტორიისათვის», (1885 წ.) «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» (1894 წ.) და სხვა. პირველი ორი ნაშრომი შეტანილია ამ გამოცემის დამატებებში.

დამატებებში ქვეყნდება აგრეთვე ენგელსის მთელი რიგი დაუმთავრებელი ხელნაწერები, რომლებიც მიძღვნილია გერმანიის ისტორიისადმი. 1873 — 1874 წლებში ენგელსი აპირებდა დაეწერა გერმანიის ისტორიის სპეციალური ნარკვევი (იხ. ენგელსის წერილი ვ. ლიბკნეხტისადმი, 1874 წ. 27 იანვარი. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზულებანი, ტ. XXVI, გვ. 361). ამ ნარკვევის მოსამზადებელი მასალებიდან მოყვანილი ფრაგმენტი — «შენიშვნები გერმანიის შესახებ», როგორც იგი თვით ენგელსმა დაასათაურა, — წარმოადგენს განზრახული ნაშრომის დაწვრილებითი გეგმის ნაწილს. მასში კონსპექტის სახით მოხაზულია გერმანიის ისტორიის ძირითადი ეტაპები 1500 წლიდან 1815 წლამდე.

როდესაც ენგელსი 80-იან წლებში — ხოლო შემდეგში აგრეთვე 90-იან წლებშიც — თავის ჩანაფიქრს დაუბრუნდა, მან გადაწყვიტა თავისი ისტორიული კვლევის შედეგები გადმოეცა «გერმანიაში გლეხთა ომის» ახალი, გადამუშავებული გამოცემის სახით. «გლეხთა ომი, — სწერდა იგი 1884 წ. 31 დეკემბერს ფ. ა. ზორგეს, — წარმოდგენილ იქნება როგორც გერმანიის მთელი ისტორიის ქვაკუთხედი» (კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. თხზულებანი, ტ. XXVII, გვ. 444). ენგელსის 1884 და 1885 წლების მიმოწერიდან ჩანს, რომ მას უნდოდა უფრო დაწვრილებით გაეშუქებინა გერმანიის ისტორია XVI საუკუნის დასაწყისამდე ფეოდალიზმის დაშლის, კაპიტალისტური ელემენტების განვითარებისა და ევროპის ნაციონალურ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესის ანალიზის საფუძველზე. ხელნაწერები «გლეხთა ომისათვის» და «ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ», რომლებსაც აქ ვაქვეყნებთ, ალბათ, უნდა წარმოადგენდნენ: პირველი — გეგმის

მონახაზს, ხოლო მეორე — იმ შესავლის მზა ნაწილს, რომელიც ენგელსს სურდა დაემატებინა «გლეხთა ომისათვის გერმანიაში». ენგელსს განზრახული ჰქონდა აგრეთვე გაეფართოებინა თავისი ნაშრომის დასკვნითი ნაწილი და გაეშუქებინა მასში გერმანიის ისტორიის მსვლელობა 1525 წლის შემდეგაც. მაგრამ დაძაბულმა მოლვაწეობამ, რომელიც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობასთან იყო დაკავშირებული, და აგრეთვე მარქსის შრომების დასაბეჭდად მომზადებამ ხელი შეუშალეს ენგელსს განეხორციელებინა თავისი შემოქმედებითი გეგმები.

* * *

ამ გამოცემის მომზადების დროს რუსული თარგმანი «გლეხთა ომისა გერმანიაში» და სხვა აქ გამოქვეყნებული ნაწარმოებები შედარებულია ორიგინალთან და დაზუსტებულია. გასწორებულია აგრეთვე შეცდომები თარიღებსა, გეოგრაფიულ სახელწოდებებსა და საკუთარ სახელებში, რომლებიც გაპარულია «გლეხთა ომის» 1875 წლის (მესამე) გერმანულ გამოცემაში; 1875 წლის გერმანული გამოცემა დაედო საფუძვლად რუსულ თარგმანს. ტექსტს დართული აქვს საცნობარო ხასიათის სტრიქონქვეშა შენიშვნები და სახელთა საძიებელი.

სკკპ ცკ-თან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

ფრიდრიხ ენგელსი

გლეხთა ომი გერმანიაში

წინასიტყვაობა[1]

ეს შრომა ლონდონში დაიწერა 1850 წლის ზაფხულში, ახლად დამთავრებული კონტრრევოლუციის უშუალო შთაბეჭდილებით; იგი გამოქვეყნდა ჟურნალში «ახალი რაინის გაზეთი. პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა», მე-5 და მე-6 რვეული, ჰამბურგი 1850, რომელსაც კარლ მარქსი რედაქტორობდა. ჩემმა პოლიტიკურმა მეგობრებმა გერმანიაში ამ წიგნის ხელახლა გამოცემა მოისურვეს და მეც ვასრულებ მათ სურვილს, რადგან, ჩემდა სამწუხაროდ, მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ამ წიგნს იმის პრეტენზია არა აქვს, რომ დამოუკიდებელი კვლევა-ძიების მასალა გადმოსცეს. პირიქით, მთელი მასალა, რომელიც გლეხთა აჯანყებებსა და თომას მიუნცერს ეხება, ციმერმანიდანაა[2] ამოღებული. თუმცა მისი წიგნი ალაგ-ალაგ ნაკლულოვანია, მაგრამ დღემდე მაინც ფაქტების საუკეთესო დალაგებას წარმოადგენს. ამასთან მოხუცი ციმერმანი ხალისით ეკიდებოდა

---

[1] ამ წინასიტყვაობის პირველი განყოფილება ფ. ენგელსმა დაწერა 1870 წ. თებერვალში «გლეხთა ომის» მეორე გერმანული გამოცემისათვის, რომელიც 1870 წ. ლაიპციგში გამოვიდა. მესამე გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით ენგელსმა 1874 წ. 1 ივლისს დაწერა დამატებითი, მეორე განყოფილება. მესამე გამოცემა გამოვიდა 1875 წელს ლაიპციგში. რ ე დ.

[2] W. Zimmermann. Allgemeine Geschichte des grossen Bauernkrieges, T. 1—3, Stuttgart, 1841 — 1843. (ვ. ც ი მ ე რ მ ა ნ ი. დიდი გლეხთა ომის საყოველთაო ისტორია, ტ. 1 — 3, შტუტგარტი, 1841 — 1843). რუსული თარგმანი შესრულებულია 1856 წ. გერმანული მეორე გადამუშავებული გამოცემიდან (იხ. ვ. ც ი მ ე რ მ ა ნ ი, გერმანიის გლეხთა ომის ისტორია, ტ. I — II, მოსკოვი, 1937 წ.). რ ე დ.

თავის საგანს. იმავე რევოლუციურმა ალღომ, რომელიც მას უკარნახებდა, რომ თავის წიგნში ყველგან ჩაგრული კლასის მხარეზე გამოსულიყო, იგი შემდეგ უკიდურესი მემარცხენეების საუკეთესო წარმომადგენლად გახადა ფრანკფურტში [1]. თუმცა შემდეგ, მისი შეხედულებანი რამდენადმე მოძველდა[2].

თუ ციმერმანის მოთხრობას შინაგანი კავშირი აკლია, თუ იგი ვერ ახერხებს იმ ეპოქის რელიგიურ-პოლიტიკური საკამათო საკითხები იმდროინდელივე კლასობრივი ბრძოლის ასახვად წარმოგვიდგინოს; თუ იგი ამ კლასობრივ ბრძოლებში მხოლოდ მჩაგვრელებსა და ჩაგრულთ, ბოროტებასა და სიკეთეს და ბოროტების საბოლოო გამარჯვებას ხედავს; თუ მისი გაგება იმ საზოგადოებრივი პირობებისა, რომლებმაც თავიდან ბოლომდე ბრძოლის მსვლელობა განსაზღვრეს, მეტად ნაკლულოვანია, ეს იმ დროის ნაკლი იყო, რომელშიც ეს წიგნი წარმოიშვა. პირიქით, თავის დროისათვის იგი მეტად რეალისტურად დაწერილ და სასიქადულო გამონაკლისს წარმოადგენს გერმანულ იდეალისტურ ისტორიულ ნაწარმოებთა შორის.

მე მხოლოდ ბრძოლის ისტორიული მსვლელობის ზოგადი ნარკვევი გადმოვეცი, მე შევეცადე გლეხთა ომის წარმოშობა, მისი მონაწილე სხვადასხვა პარტიების პოზიციები, პოლიტიკური და რელიგიური თეორიები, რომელთა შემწეობითაც ეს პარტიები თავიანთ მდგომარეობის გარკვევას ცდილობდნენ, ბოლოს, თვით ბრძოლის შედეგი იმდროინდელი კლასების საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებით ამეხსნა. მაშასადამე, მე შევეცადე დამენახვებინა, რომ გერმანიის იმდროინდელი პოლიტიკური წესწყობილება, აჯანყებანი მის წინააღმდეგ, იმ დროის პოლიტიკური და რელიგიური თეორიები არა მიზეზებს, არამედ განვითარების იმ საფეხურის შედეგებს წარმოადგენენ, რომელზედაც მაშინ გერმანიაში სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მიმოსვლის საშუალებანი, საქონლის და ფულის ტრიალი იმყოფებოდა. ეს ერთადერთი მატერიალისტური გაგება ისტორიისა აღმოჩენილ იქნა არა ჩემს მიერ, არამედ მარქსის მიერ და საფუძვლად უდევს აგრეთვე იმავე «მიმოხილვაში» დაბეჭდილ მის შრომებს 1848—1849 წლის საფრანგეთის რევოლუციაზე და «თვრამეტ ბრიუმერს ლუი ბონაპარტისა»[3].

---

[1] ე. ი. ფრანკფურტის ნაციონალური კრების მემარცხენე ფრაქციისა; ეს კრება მოწვეული იყო გერმანიის 1848 — 1849 წლების რევოლუციის დროს. რ ე დ.

[2] ეს ბოლო ფრაზა ენგელსმა დაუმატა 1875 წლის გამოცემას. რ ე დ.

[3] იხ. კ. მარქსის შრომები «კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე» და «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი, 1950) რ ე დ.

პარალელი 1525 წლის გერმანიის რევოლუციასა და 1848 — 49 წლების რევოლუციას შორის იმდენად აშკარაა, რომ შეუძლებელი იყო იმ დროს იგი არ გამომეყენებინა, მაგრამ მიუხედავად მოვლენათა საერთო მსვლელობის მსგავსებისა, რომელიც იმით გამოიხატა, რომ იქაც და აქაც მთავრების ჯარებმა სხვადასხვა ადგილობრივი ამბოხებანი ერთი მეორის მიყოლებით დაამარცხეს, იმისდა მიუხედავად, რომ ორივე შემთხვევაში ბიურგერებმა სასაცილო მსგავსება გამოააშკარავეს თავიანთ მოქმედებაში, განსხვავება მაინც ნათლად და აშკარად ჩანდა:

«ვინ ნახა სარგებლობა 1525 წლის რევოლუციაში? მ თ ა ვ რ ე ბ მ ა. — ვინ ნახა სარგებლობა 1848 წლის რევოლუციაში? დ ი დ მ ა ხელმწიფეებმა, ავსტრიამ და პრუსიამ. 1525 წელს წვრილი მთავრების უკან წვრილი ბიურგერები იდგნენ, რომლებიც მათ ბოჭავდნენ გადასახადების შემწეობით, 1850 წელს დიდი ხელმწიფეების, ავსტრიის და პრუსიის უკან კი თანამედროვე მსხვილი ბურჟუაზია დგას, რომელიც მათ ჩქარა იმორჩილებს სახელმწიფოებრივი ვალების შემწეობით. ხოლო მსხვილი ბურჟუაზიის უკან პროლეტარიატი დგას»[1].

სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ამ დებულებით გერმანელ ბურჟუაზიას მეტისმეტი პატივი დავდე. მას მართლაც ჰქონდა შესაძლებლობა «სახელმწიფოებრივი ვალების შემწეობით მონარქია ჩქარა დაემორჩილებია» როგორც ავსტრიაში, ისე პრუსიაში, მაგრამ არსად და არასოდეს არ გამოუყენებია ეს შესაძლებლობა.

ბატონობა ავსტრიაში ბურჟუაზიას საჩუქრად ერგო 1866 წ. ომის[2] წყალობით. მაგრამ მას არ ძალუძს ბატონობა, იგი ყოვლად უილაჯო და უნიჭოა. მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ მუშებს შეუტიოს გააფთრებით, როგორც კი ისინი თავს ასწევენ. ავსტრიაში ბურჟუაზიას მხოლოდ მიტომ უჭირავს მმართველობის საჭე, რომ ეს უ ნ გ რ ე ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს ა ა საჭირო.

რაღა ითქმის პრუსიაზე? მართალია, სახელმწიფოს ვალმა უზომოდ იმატა, დეფიციტი მუდმივ მოვლენადაა გამოცხადებული, სახელმწიფოს ხარჯები წლიდან წლამდე იზრდება, ბურჟუაზიას უმრავლესობა ჰყავს პალატაში, უმისოდ შეუძლებელია როგორც

[1] იხ. უკანასკნელი თავი შრომისა «გლეხთა ომი გერმანიაში», გვ. 129. რ ე დ.

[2] ენგელსს მხედველობაში აქვს 1866 წ. ავსტრია-პრუსიის ომი, რომელიც დამთავრდა ავსტრიის სამხედრო განადგურებით სადოვასთან 1866 წ. 3 ივლისს მომხდარ ბრძოლაში. დამარცხების ზეგავლენით ავსტრიის რეაქციული მმართველი წრეები იძულებული შეიქნენ მთელი რიგი ბურჟუაზიული რეფორმები გაეტარებინათ (1867 წ. ახალი კონსტიტუცია და სხვ.). რ ე დ.

გადასახადების გადიდება, ისე სესხის მიღება, — მაგრამ სადაა მისი ბატონობა სახელმწიფოზე? ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინათ, როცა ახალი დეფიციტი იყო მოსალოდნელი, ბურჟუაზიას საუკეთესო პოზიცია ჰქონდა. მას შეეძლო მნიშვნელოვანი დათმობანი მიეღო თუ ცოტაოდენ გამძლეობას გამოიჩენდა. რა ქნა მან? მან საკმაო დათმობად მიიჩნია ის, რომ მთავრობამ ნება მისცა მის ფეხთ ქვეშ ცხრა მილიონი დაედო არა ერთი წლით, არამედ ყოველწლიურად მთელი მომავალი დროისთვის.

მე არ მსურს იმაზე უფრო მეტად გავიცინო საბრალო «ნაციონალ-ლიბერალები»[1], რომლებიც პალატაში სხედან, ვიდრე ეს მათ დაიმსახურეს. ვიცი, რომ მათ უმუხთლა ბურჟუაზიის მასამ, რომელიც მათ უკან დგას. ამ მასას არ სურს ბატონობა. მას ჯერ კიდევ 1848 წლის ამბები აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი.

თუ რად იჩენს გერმანელი ბურჟუაზია ასეთ გასაოცარ სიმხდალეს, ამის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

სხვა მხრივ ზემოთმოყვანილი დებულება სავსებით დადასტურდა. ჩვენ ვხედავთ, რომ 1850 წლის შემდეგ პატარა სახელმწიფოების როლი თანდათან იჩქმალება, ისინი მხოლოდ ბერკეტს წარმოადგენენ პრუსიის და ავსტრიის ინტრიგებისთვის, ავსტრიასა და პრუსიას შორის თანდათან მწვავდება ბრძოლა ჰეგემონიისთვის, ბოლოს 1866 წ. ხდება ანგარიშის გასწორება ძალმომრეობის შემწეობით, ავსტრია ინარჩუნებს თავის საკუთარ პროვინციებს, პრუსია პირდაპირ ან არაპირდაპირ მთელს ჩრდილოეთს იმორჩილებს, ხოლო სამი სამხრეთ დასავლეთი სახელმწიფო ჯერჯერობით ჰაერში რჩება ჩამოკიდებული[2].

---

[1] ნაციონალ-ლიბერალები — გერმანელი, პირველ რიგში პრუსიის ბურჟუაზიის პარტია; შეიქმნა 1866 წ. დასასრულს იმ გათიშვის წყალობით, რომელიც განიცადა ბურჟუაზიულმა პროგრესისტთა პარტიამ, ეს პარტია ოპოზიციაში ედგა ბისმარკის იუნკრულ მთავრობას. ნაციონალ-ლიბერალთა პოლიტიკა ასახავდა გერმანული ლიბერალური ბურჟუაზიის კაპიტულაციას ბისმარკის წინაშე, მას შემდეგ, რაც მან განახორციელა ამ ბურჟუაზიის პროგრამა გერმანიის ზემოდან გაერთიანებისა. რედ.

[2] ავსტრია-პრუსიის ომში გამარჯვების შედეგად მემამულურ-იუნკრულმა პრუსიამ ყველაზე მეტი წონა მიიღო გერმანიაში და ხელი მიჰყო მის გაერთიანებას ანტირევოლუციური გზით თავისი ჰეგემონიობით. ნაცვლად იმისა, რომ გაუქმებულიყო ეფემერული გერმანიის კავშირი, შეიქმნა ჩრდილოეთ გერმანიის კავშირი 22 სახელმწიფოს შემადგენლობით, რომელსაც პრუსია ჩაუდგა სათავეში. გარდა ავსტრიისა, კავშირის გარეთ აღმოჩნდა კიდევ სამი სამხრეთ გერმანული სახელმწიფო (ბავარია, ბადენი, ვიურტემბერგი), და აგრეთვე ჰესენ-დარმშტადტი (დასავლეთ გერმანია). რედ.

გერმანიის მუშათა კლასისთვის მთელ ამ მთავარ სახელმწიფოებრივ აქტში მხოლოდ შემდეგს აქვს მნიშვნელობა:

ჯერ ერთი, მუშებმა საყოველთაო კენჭის ყრის უფლებით შესაძლებლობა მიიღეს უშუალო წარმომადგენლობა იყოლიონ საკანონმდებლო კრებაში.

მეორე, პრუსიამ კარგი მაგალითი გვიჩვენა, როდესაც სამი სხვა გვირგვინი გადაყლაპა წყალობითა ღვთისათა[1]. თითქოს ამ ოპერაციის შ ე მ დ ე გ ა ც იგივე შეუზღუდავი «წყალობითა ღვთისათა» გვირგვინი ჰქონდეს, რომელსაც წინათ ვითომ ფლობდა. ეს თვით ნაციონალ-ლიბერალებსაც კი აღარ სწამთ.

მესამე, გერმანიის რევოლუციას მხოლოდ ე რ თ ი სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავს — პრუსიის მთავრობა.

მეოთხეც, ავსტრიის გერმანელებმა, ბოლოს, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტონ, რა სურთ მათ, გერმანელობა თუ ავსტრიელობა? რომელ მხარეზე ურჩევნიათ მათ ყოფნა — გერმანიისა თუ გერმანიის გარეშე მყოფი ტრანსლეიტარული მაჩანჩალების მხარეზე? მათ რომ ან ერთი უნდა დასთმონ ან მეორე, ეს დიდი ხანია თავისთავად იგულისხმება, მაგრამ წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ცდილობს მიჩქმალოს ეს.

რაც შეეხება 1866 წელთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან სადავო საკითხებს, რომელთაც დაუსრულებლივ იხილავენ ერთი მხრივ ნაციონალ-ლიბერალები, ხოლო, მეორე მხრივ, სახალხო პარტია[2] უახლოესი წლების ისტორიამ უნდა დაამტკიცოს, რომ

---

[1] იგულისხმება ჰანოვერის სამეფო, ჰესენ-კასელის საკურფიურსტო და ნასაუს დიდი საჰერცოგო, რომლებიც პრუსიამ 1867 წ. თავის ტერიტორიას შეუერთა. რ ე დ.

[2] ს ა ხ ა ლ ხ ო პ ა რ ტ ი ა, ა ნ უ ს ა ქ ს ო ნ ი ის ს ა ხ ა ლ ხ ო პ ა რ ტ ი ა, შედგებოდა უმთავრესად სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოთა ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის ელემენტებისაგან. ნაციონალ-ლიბერალების საწინააღმდეგოდ იგი ებრძოდა პრუსიის ჰეგემონიის დამყარებას და იცავდა გეგმას ეგრეთ წოდებული «დიდი გერმანიისა», რომელშიც შევიდოდა როგორც პრუსია, ისე ავსტრია. სახალხო პარტია შეიცავდა ჯანსაღ ოპოზიციას პრუსიელობის წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე გამოხატავდა რეაქციულ პარტიკულარულ მისწრაფებებსაც. იგი ეწეოდა გერმანიის სახელმწიფოს ფედერაციული წყობილების იდეის პროპაგანდას და ამით ფაქტიურად ხელს უშლიდა გერმანიის გაერთიანებას ერთიანი ცენტრალიზებული დემოკრატიული რესპუბლიკის სახით. რ ე დ.

ეს თვალსაზრისები მიტომ ებრძვიან ერთმანეთს ასე მძაფრად, რომ ისინი ერთი და იმავე შეზღუდულობის ერთი მეორის მოპირდაპირე პოლუსებს წარმოადგენენ.

გერმანიის საზოგადოებრივ ურთიერთობაში 1866 წელს თითქმის არაფერი შეუცვლია. ორიოდე ბურჟუაზიული რეფორმა, — ზომა-წონის ერთიანი სისტემა, მიმოსვლის თავისუფლება, მოსაქმეობის თავისუფლება და სხვ., და ეს — ყოველივე ბიუროკრატიისთვის შესაფერ ჩარჩოებში გატარებული, — ი მ ა ს ა ც კ ი ვერ აღწევს, რაც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ბურჟუაზიას უკვე დიდი ხანია აქვს და ხელუხლებლად ტოვებს მთავარ ბოროტებას — ბიუროკრატიული მეურვეობის სისტემას. პროლეტარიატისთვის ყველა ეს კანონი მიმოსვლის თავისუფლებისა, ქვეშევრდომობისა, პასპორტის მოსპობისა და სხვ. შესახებ სრულიად ილუზორული ხდება დამკვიდრებული პოლიციური პრაქტიკის წყალობით.

ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე 1866 წლის სახელმწიფოებრივ აქტს, გერმანიაში აქვს 1848 წლის შემდეგ მრეწველობისა და ვაჭრობის, რკინიგზებისა, ტელეგრაფისა და ოკეანური ნაოსნობის განვითარებას. თუმცა ეს პროგრესი ჩამორჩება იმავე დროს ინგლისში და თვით საფრანგეთში მიღწეულ პროგრესს, გერმანიაში იგი მაინც უბადლო მოვლენას წარმოადგენს და ოც წელიწადში მან მეტი მოგვცა, ვიდრე სხვა დროს მთელ საუკუნეს მოუცია. გერმანია მხოლოდ ახლა ჩაება გადაჭრით და საბოლოოდ მ ს ო ფ ლ ი ო ვ ა ჭ რ ო ბ ა შ ი. მრეწველთა კაპიტალები სწრაფად იზრდება, ბურჟუაზიის საზოგადოებრივი მდგომარეობაც სათანადოდ ძლიერდება. ინდუსტრიული აყვავების უტყუარი ნიშანი, ს პ ე კ უ ლ ა ც ი ა, ფართოდ გაიშალა და გრაფები და ჰერცოგები თავის სატრიუმფო ეტლში შეაბა. გერმანული კაპიტალი დღეს რუსეთის და რუმინეთის რკინიგზებს აგებს (დაე მას დედამიწა ფიანდაზად გაეგოს!), მაშინ როცა თხუთმეტი წლის წინათ გერმანული რკინიგზები ინგლისელ მწარმოებლებთან მიდიოდნენ მოწყალების სათხოვნელად. როგორაა შესაძლებელი, რომ ბურჟუაზიამ პოლიტიკურადაც არ დაიპყრო ხელისუფლება, რომ იგი ასეთ სიმხდალეს იჩენს მთავრობის მიმართ?

გერმანელი ბურჟუაზიის უბედურება ისაა, რომ ჩვეულებრივი გერმანული წესის მიხედვით მან მეტად დაიგვიანა. მისი აყვავება იმ ხანაში მოხდა, როცა ევროპის სხვა ერების ბურჟუაზია პოლიტიკური თვალსაზრისით უკვე დაქვეითების გზას ადგა. ინგლისში ბურჟუაზიამ მხოლოდ მას შემდეგ შესძლო მთავრობაში თავისი ნამ-

დვილი წარმომადგენლის — ბრაიტის შეყვანა, როცა ხმის უფლება ეაფართოვა, რასაც შედეგად მთელი ბურჟუაზიის ბატონობის დამ-ხობა უნდა მოჰყვეს. საფრანგეთში, სადაც ბურჟუაზიამ როგორც ასეთმა, როგორც მთლიანმა კლასმა რესპუბლიკაში მხოლოდ ორი წელიწადი, 1849 და 1850 წლები იბატონა, თავისი სოციალური არსებობა მხოლოდ იმით გაიხანგრძლივა, რომ თავისი პოლიტიკური ბატონობა ლუი ბონაპარტესა და ჯარს გადასცა. ხოლო ევროპის სამ ყველაზე დაწინაურებულ ქვეყანას შორის დაუსრულებლივ მზარდ ურთიერთზემოქმედების პირობებში, დღეს უკვე შეუძლებელია, რომ გერმანიაში ბურჟუაზიამ შეუშფოთებლად დაამყაროს თავისი პოლიტიკური ბატონობა მაშინ, როცა ინგლისსა და საფრანგეთში ეს ბატონობა უკვე დრომოჭმული მოვლენაა.

ბურჟუაზიის განსაკუთრებული თავისებურება ყველა წინადრო-ინდელ გაბატონებულ კლასთან შედარებით სწორედ ის არის, რომ მის განვითარებაში არსებობს ერთი გარდატეხის პუნქტი, რომლის იქით ყოველი შემდგომი განვითარება მისი ძლიერებისა, მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა მისი კაპიტალებისა მხოლოდ იმას იწვევს, რომ იგი თანდათან ჰკარგავს პოლიტიკური ბატონობის უნარს. «მ ს ხ ვ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს უ კ ა ნ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი დ გ ა ს». რამდენადაც ბურჟუაზია თავის მრეწველობას, თავის ვაჭრობას და თავის მიმოსვლის საშუალებებს ავითარებს, იმდენად იგი პროლეტარიატსაც ჰქმნის. და განსაზღვრულ წერტილ-ზე, არა ყველგან ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე განვი-თარების საფეხურზე, იგი ამჩნევს, რომ ეს მისი პროლეტარული ორეული წინ უსწრებს მას ზრდაში. ამ მომენტიდან იგი ჰკარგავს ძალას, ქვეყანაში მარტოდმარტო იბატონოს პოლიტიკურად; იგი მოკავშირეების ძებნას იწყებს, რომელთაც გარემოების მიხედვით ან თავის ბატონობას გაუნაწილებს ან სრულიად დაუთმობს.

გერმანიაში ამ გარდატეხის პუნქტს ბურჟუაზიამ უკვე 1848 წელს მიაღწია. მაშინ გერმანელ ბურჟუაზიას იმდენად გერმანელი პროლეტარიატისა არ შეშინებია, რამდენიც ფრანგი პროლეტა-რიატის შეეშინდა. პარიზში 1848 წლის ივნისში მომხდარმა ბრძო-ლამ მას დაანახვა, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდა მომავალში; გერ-მანელი პროლეტარიატი საკმაოდ აღელვებული იყო, რათა იმისთვის დაემტკიცებინა, აქაც მიწაზე თესლია გაბნეული იმავე სამკალის მისაღებადო; ამ დღიდან ბურჟუაზიის პოლიტიკურ მოქმედებას სიმ-ძაფრე მოაკლდა. იგი მოკავშირეებს ეძებდა. იგი მათზე თავის თავს ჰყიდდა რა ფასადაც გსურთ და დღემდე ერთი ნაბიჯით ვერ წასულა წინ.

ეს მოკავშირეები ყველანი რეაქციული ბუნებისა არიან. აქაა მეფის ხელისუფლება თავისი ჯარითა და თავისი ბიუროკრატიით, აქაა მსხვილი ფეოდალური დიდკაცობა, აქ არიან წვრილი სოფლის აზნაურები და თვით ხუცები. ყველა მათ ბურჟუაზია უთანხმდებოდა და უკავშირდებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი ძვირფასი ტყავი შეენარჩუნებინა, სანამ მას ბოლოს არაფერი დარჩა გასაყიდი. და რამდენადაც უფრო ვითარდებოდა პროლეტარიატი, რამდენადაც უფრო კლასად გრძნობდა იგი თავს და კლასივით მოქმედებდა, მით უფრო სულმოკლე ხდებოდა ბურჟუაზია. როცა სადოვასთან პრუსიელების გასაოცრად ცუდმა სტრატეგიამ ავსტრიელების კიდევ უფრო ცუდი სტრატეგია დაამარცხა, ძნელი სათქმელი იყო, ვინ ამოისუნთქა უფრო თავისუფლად — პრუსიელმა ბურჟუამ, რომელიც აგრეთვე დამარცხებულ იქნა სადოვასთან, თუ ავსტრიელმა.

ჩვენი მსხვილი ბურჟუები 1870 წელს სწორედ ისე მოქმედებენ, როგორც საშუალო ბიურგერები 1525 წელს მოქმედებდნენ. რაც შეეხება წვრილ ბურჟუებს, ხელოსნებსა და მედუქნეებს, ისინი ყოველთვის უცვლელი დარჩებიან. მათ სხვადასხვა ოინებით მსხვილი ბურჟუაზიის რიგებში შეძვრენის იმედი აქვთ და ეშინიათ პროლეტარიატის რიგებში არ მოხვდნენ. შიშსა და იმედს შორის ამ მერყეობაში ისინი თავიანთ ძვირფას ტყავს იცავენ ბრძოლის დროს, ხოლო გამარჯვების შემდეგ გამარჯვებულს ემხრობიან. ასეთია მათი ბუნება.

მრეწველობის აყვავებას 1848 წლიდან ფეხდაფეხ მისდევდა პროლეტარიატის სოციალური და პოლიტიკური მოქმედება. მარტოის როლი, რომელსაც გერმანელი მუშები დღეს თავიანთ პროფესიულ კავშირებსა, კოოპერატივებსა, პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და კრებებსა, არჩევნებსა და ეგრეთწოდებულ რაიხსტაგში ასრულებენ, ამქლავნებს, რა გადატრიალება განიცადა გერმანიამ შეუმჩნევლად უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. ეს დიდად სასახელოა გერმანელი მუშებისთვის, რომ მ ა რ ტ ო დ მ ა რ ტ ო მათ შეძლეს მუშები და მუშათა წარმომადგენლები გაეგზავნათ პარლამენტში, მაშინ როცა ეს დღემდე ვერც ფრანგებმა მოახერხეს და ვერც ინგლისელებმა.

მაგრამ არც პროლეტარიატი გაზრდილა იმდენად, რომ შეუძლებელი იყოს მისი შედარება 1525 წელთან. კლასი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ხელფასით არსებობს, ჯერ კიდევ სრულიადაც გერმანელი ხალხის უმრავლესობას არ წარმოადგენს. მაშასადამე, იგიც მოკავშირეებისაგანაა დამოკი-

დებული. ამ უკანასკნელთა მოძებნა კი შეიძლება მხოლოდ წვრილ ბურჟუებსა, ქალაქების ლუმპენპროლეტარიატსა, წვრილ გლეხებსა და სოფლის მოჯამაგირეებს შორის.

წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ე ბ ი ს შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ისინი მეტად არასაიმედონი არიან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამარჯვება მოპოვებულია, მაგრამ მაშინ მათგან ყურთა სმენა არაა ლუდხანებში. ამისდა მიუხედავად მათ შორის ძლიერ კარგი ელემენტებიც მოიპოვებიან, რომლებიც თავისთავად ემხრობიან მუშებს.

ლ უ მ პ ე ნ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი, ეს ყველა კლასის ნაძირალების ხროვა, რომელიც თავის უმთავრეს ბანაკს დიდ ქალაქებში შლის, ყველაზე უარესია შესაძლებელ მოკავშირეთა შორის. ეს ხროვა აბსოლუტურად გამყიდველი და აბსოლუტურად აბეზარია. თუ ფრანგი მუშები ყოველი რევოლუციის დროს სახლებზე წერდნენ: **Mort aux voleurs!**— სიკვდილი ქურდებსო! — და ზოგიერთს კიდეც ხვრეტდნენ, ეს ხდებოდა არა საკუთრების სიყვარულის შთაგონებით, არამედ იმ სწორი შეგნების ზეგავლენით, რომ უწინარეს ყოვლისა სწორედ ამ ბანდის თავიდან მოშორებაა საჭირო. ყოველი მუშათა ბელადი, რომელიც ამ გარეწარებს გვარდიად იყენებს ან მათ ეყრდნობა, ამით უკვე ამტკიცებს, რომ იგი მოძრაობის მოღალატეა.

წ ვ რ ი ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი — მსხვილები ხომ ბურჟუაზიას ეკუთვნიან—სხვადასხვაგვარი არიან. ისინი ან ფ ე ო დ ა ლ უ რ ი გ ლ ე ხ ე ბ ი არიან და ბეგარას უხდიან ბატონებს. რაკი ბურჟუაზიას დააგვიანდა ეს ადამიანები ბატონყმური ბეგარისაგან გაენთავისუფლებია, რაც მისი ვალდებულება იყო, ძნელი არაა მათი დაჯერება, რომ მათი ხსნა მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია. ან კიდევ მ ო ი ჯ ა რ ე ე ბ ი არიან. ამ შემთხვევაში უმეტესწილად იგივე ურთიერთობა არსებობს, როგორიც ირლანდიაში. საიჯარო გადასახადი ისეთი მაღალია, რომ გლეხს თავისი ოჯახით საშუალო მოსავლის დროს მხოლოდ გაჭირვებით შეუძლია თავის გატანა, ცუდი მოსავლის დროს თითქმის დამშეულია, იჯარის გადახდა არ შეუძლია და ამიტომ სავსებით მემამულის მოწყალებაზეა დამოკიდებული. ასეთი ადამიანებისთვის ბურჟუაზია მხოლოდ იძულებით თუ აკეთებს რამეს. მაშ ვისგან უნდა ელოდნენ ისინი ხსნას თუ არა მუშებისგან?

გვრჩებიან გლეხები, რომლებიც თავიანთ ს ა კ უ თ ა რ პ ა ტ ა რ ა მ ი წ ი ს ნ ა კ ვ ე თ ებ ს ამუშავებენ. ისინი უმეტეს შემთხვევაში ისე დატვირთული არიან ჰიპოთეკებით, რომ ჩარჩებისაგან არიან დამოკიდებული სწორედ ისე, როგორც მოიჯარეები მემამუ-

ლეებისაგან. მათაც მხოლოდ მცირე, ცუდი ან კარგი მოსავლის მიხედვით მეტად არასაიმედო შემოსავალი რჩებათ. მათ ყველაზე ნაკლებ უნდა ჰქონდეთ ბურჟუაზიის იმედი მიტომ, რომ სწორედ ბურჟუები, ჩარჩი კაპიტალისტები სწოვენ მათ სისხლს. მაგრამ ისინი უმეტეს წილად ძალიან ებღაუჭებიან თავიანთ საკუთრებას, თუმცა სინამდვილეში იგი მათ კი არ ეკუთვნის, არამედ ჩარჩს. ამისდა მიუხედავად მათ ის აზრი უნდა ჩაენერგოს, რომ ისინი მხოლოდ მაშინ განთავისუფლდებიან ჩარჩებისაგან, თუ ხალხისაგან დამოკიდებული მთავრობა ყველა ჰიპოთეკურ ვალს სახელმწიფოსადმი ვალად გადააქცევს და ამით პროცენტებს შეამცირებს. ამის განხორციელება კი მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია.

ყველგან, სადაც საშუალო და მსხვილი მიწათმფლობელობა ბატონობს, სოფლის მეურნეობის მუშები ყველაზე მრავალრიცხოვან კლასს შეადგენენ სოფლად. ასეა მთელ ჩრდილო და აღმოსავლეთ გერმანიაში და აქ ქალაქის ინდუსტრიულ მუშებს ყველაზე მეტი და ყველაზე უნებრივი მოკავშირეები ჰყავთ. როგორც კაპიტალისტი ინდუსტრიული მუშის წინააღმდეგ, ისე მიწათმფლობელი ან მსხვილი მოიჯარე სოფლის მეურნეობის მუშის წინააღმდეგ დგას. იმავე ღონისძიებებმა, რომლებიც პირველთ შველიან, მეორეთაც უნდა უშველონ. ინდუსტრიულ მუშებს შეუძლიათ განთავისუფლდნენ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ბურჟუაზიის კაპიტალს, ე. ი. ნედლ მასალას, მანქანებს, ხელსაწყოებს და საარსებო საშუალებებს, რომლებიც წარმოებისთვის არიან საჭირო, საზოგადოების, ე. ი. თავიანთ, საკუთრებად აქცევენ და კოლექტიურად გამოიყენებენ. აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ თავი დააღწიონ შემაძრწუნებელ სიღატაკეს, თუ უწინარეს ყოვლისა მათი შრომის მთავარი საგანი, თვით მიწა მსხვილი გლეხებისა და კიდევ უფრო მსხვილი ფეოდალი მებატონეების საკუთრებიდან, საზოგადოებრივ საკუთრებად იქცევა და სოფლის მეურნეობის მუშების ამხანაგობათა მიერ დამუშავდება მათს საერთო ანგარიშზე. აქ ჩვენ ვადგებით ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესის[1] ცნობილ გადაწყვეტილებას: საზოგადოების ინტერესი მოითხოვს, რომ მიწა საერთო, ნაციონალურ საკუთრებად იქცეს. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უმთავრესად იმ ქვეყნებისთვის, სადაც მსხვილი მიწათმფლობელობა არსებობს და მასთან დაკავშირებით მსხვილი მამულების დამუშავება ხდება, ხოლო ამ მსხვილ

[1] ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესი შედგა 1869 წლის სექტემბერში. რედ.

მამულებში ერთი პატრონი და მრავალი დაქირავებული მუშაა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა საერთოდ დღემდე გერმანიაშია ჯერ კიდევ გაბატონებული და ამიტომ ეს გადაწყვეტილება ინგლისის შემდეგ სწორედ გერმანიისათვის იყო უაღრესად დროული. მიწათმომქმედი პროლეტარიატი, სოფლელი დღიური მუშები სწორედ ის კლასია, საიდანაც მეფეების დიდი ჯარები იკრიფება. ეს ის კლასია, რომელიც ამჟამად საყოველთაო ხმის უფლების ძალით მრავალ ფეოდალ მებატონეს და იუნკერს ჰგზავნის პარლამენტში; მაგრამ იგი აგრეთვე ის კლასია, რომელიც ყველაზე ახლო დგას ქალაქის ინდუსტრიულ მუშებთან, რომელიც მისი ცხოვრების პირობებს იზიარებს და მასზე კიდევ უფრო ღრმადაა ჩაფლული სიღარიბეში. ეს კლასი უილაჯოა, იმიტომ რომ გაფანტული და დაქსაქსულია, მის ფარულ ძალას მთავრობა და თავადაზნაურობა ისე კარგად იცნობს, რომ სკოლების საქმეს განზრახ აფერხებს, რათა იგი უმეცარი დარჩეს; გერმანიის მუშათა მოძრაობის უახლოესი და უსაჭიროესი ამოცანაა ეს კლასი გამოაცოცხლოს და მოძრაობაში ჩააბას. იმ დღიდან, როცა სოფლის მეურნეობის მუშათა მასა თავისი საკუთარი ინტერესების გაგებას ისწავლის, გერმანიაში შეუძლებელი გახდება ყოველგვარი რეაქციული მთავრობა, იქნება ის ფეოდალური, ბიუროკრატიული თუ ბურჟუაზიული.

* *
*

ოთხ წელზე მეტია რაც ზემომოყვანილი სტრიქონები დაიწერა. მათ დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. რაც სადოვასა და გერმანიის დანაწილების შემდეგ სწორი იყო, დასტურდება სედანისა და პრუსიის ერის საღვთო გერმანული იმპერიის[1] შექმნის შემდეგაც. ასე ნაკლებ შეუძლიათ ეგრეთწოდებული დიდი პოლიტი-

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს 1871 წ. 18 იანვარს ვერსალში გერმანიის იმპერიისა და პრუსიის მეფის ვილჰელმ I გერმანიის იმპერატორად გამოცხადება ნაპოლეონ III არმიის სედანთან განადგურების შემდეგ (1870 წ. 2 სექტემბერს) 1870—1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს. გერმანიის იმპერია, რომლის შექმნამ დააბოლოვა გერმანიის გაერთიანება რეაქციული პრუსიული იუნკრობისა და პრუსიული სამხედრო-ბიუროკრატიული კასტის მეთაურობით იყო მარქსის სიტყვების თანახმად, «ხხვა არაფერი, თუ არ პარლამენტური ფორმებით შელამაზებული, ფეოდალური ნაშთებით შენარევი, უკვე ბურჟუაზიის გავლენას დაქვემდებარებული, ბიუროკრატიულად შედგენილი და პოლიციის საფარველ ქვეშ მყოფი სამხედრო დესპოტიზმი...» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1950 წ. გვ. 28). რედ.

ის «მსოფლიოს შემაზანზარებელ» სახელმწიფოებრივ მოქმედებათ ისტორიული მოძრაობის მიმართულება შესცვალონ.

მათ შეუძლიათ მხოლოდ დააჩქარონ ამ მოძრაობის მსვლელობა. ამ მხრივ ზემოაღნიშნული «მსოფლიოს შემაზანზარებელი მოვლენების» შემქმნელებმა ძალაუნებურად წარმატება მოიპოვეს, რაც თვით მათთვის უეჭველად მეტად არასასურველია, მაგრამ რასაც ისინი ასე თუ ისე უნდა შეურიგდნენ.

ჯერ კიდევ 1866 წლის ომმა შეარყია ძველი პრუსიის საფუძვლები. დიდი ძალღონის დახარჯვა გახდა საჭირო, რომ 1848 წლის შემდეგ ხელახლა დაემორჩილებინათ ძველი დისციპლინისადმი დასავლეთ პროვინციების აჯანყებული ინდუსტრიული ბურჟუაზიული და პროლეტარული ელემენტები; მაგრამ ეს მაინც მოხერხდა და სახელმწიფოში ხელახლა აღმოსავლეთ პროვინციელი მემამულეების და აგრეთვე არმიის ინტერესები გაბატონდა. 1866 წელს თითქმის მთელი ჩრდილო დასავლეთი გერმანია პრუსიული გახდა. გარდა იმ აუნაზღაურებელი ზნეობრივი ზიანისა, რომელიც მიაყენა თავის თავს პრუსიის «წყალობითა ღვთისათა» გვირგვინმა, იმით რომ «წყალობითა ღვთისათა» სამი სხვა გვირგვინი გადაყლაპა, ახლა მონარქიის სიმძიმის ცენტრმა შესამჩნევად გადაინაცვლა დასავლეთისკენ. რაინის ოლქისა და ვესტფალიის ხუთმილიონიან მოსახლეობას ჯერ პირდაპირი ანექსიით ოთხი მილიონი გერმანელი მიემატა, ხოლო შემდეგ ექვსი მილიონი, რომელთა ანექსია არაპირდაპირ მოხდა ჩრდილო გერმანიის კავშირის შემწეობით. 1870 წელს კი ამას ზედ დაემატა რვა მილიონი სამხრეთ დასავლეთელი გერმანელი, ისე რომ «ახალ იმპერიაში» თოთხმეტ მილიონ ნახევარ ძველ პრუსიელს (ექვსი ოსტელბური პროვინციიდან, მათ შორის ორი მილიონი პოლონელიც ურევია) დაუპირისპირდა ოცდახუთი მილიონი სული, რომელიც დიდი ხანია გამოსული იყო ძველი პრუსიული იუნკერთა ფეოდალიზმის არტახებიდან. ამრიგად, სწორედ პრუსიის არმიის გამარჯვებამ სრულიად შეცვალა პრუსიის სახელმწიფოს შენობის საფუძველი; იუნკერთა ბატონობა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა თვით მთავრობისთვის. მაგრამ ამავე დროს სწრაფად მოხეთქილმა ინდუსტრიულმა განვითარებამ იუნკრების და ბურჟუაზიის ბრძოლა შეცვალა ბურჟუაზიისა და მუშების ბრძოლით, ასე რომ შიგნითაც ძველი სახელმწიფოს საზოგადოებრივმა საფუძველმა სრული გარდაქმნა განიცადა. იმ მონარქიის ძირითად პირობას, რომელიც 1840 წლის შემდეგ ნელა იხრწნებოდა, წარმოადგენდა ბრძოლა თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის, ამ ბრძოლაში

მონარქია წონასწორობას იცავდა; მაგრამ იმ წუთიდან, როცა საჭირო გახდა უკვე არა თავადაზნაურობის დაცვა ბურჟუაზიის შეტევისაგან, არამედ ყველა შეძლებული კლასის დაცვა მუშათა კლასის შეტევისაგან, ძველი აბსოლუტური მონარქია საესებით უნდა გადასულიყო საკუთრივ ამ მიზნით შემუშავებულ სახელმწიფოს ფორმაში — ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი ს ტ უ ლ მ ო ნ ა რ ქ ი ა შ ი. პრუსიის ეს გადასვლა ბონაპარტიზმში მე უკვე განვიხილე სხვა ადგილას («ბინის საკითხისათვის» 2 განყოფილება. გვ. 26 და შემდ.)[1]. მაგრამ მე იქ ხაზგასმით არ აღმინიშნავს ერთი ფაქტი, აქ კი მას არსებითი მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ ის, რომ ეს გადასვლა იყო უ დ ი დ ე ს ი ნ ა ბ ი ჯ ი, რომელიც პრუსიამ წინ გადადგა 1848 წლის შემდეგ, იმდენად ჩამორჩენილი იყო ეს სახელმწიფო თანამედროვე განვითარებას. იგი მანამდე ნახევრადფეოდალური სახელმწიფო იყო, ბონა-

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს შემდეგი ადგილი თავის შრომიდან «ბინის საკითხისათვის» (გამოცემულია სამ განაკვეთად ლაიპციგში 1872 — 1873 წ. წ.); «პრუსიაში — ხოლო პრუსიას ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — ჯერ კიდევ მძლავრ მსხვილ მემამულურ თავადაზნაურობასთან ერთად არსებობს შედარებით ახალგაზრდა და უაღრესად მხდალი ბურჟუაზია, რომელმაც აქამდე ვერ მოიპოვა ვერც პირდაპირი პოლიტიკური ხელისუფლება, როგორც საფრანგეთში, ვერც ცოტად თუ ბევრად არაპირდაპირი, როგორც ინგლისში. მაგრამ ამ ორი კლასის გვერდით არსებობს პროლეტარიატი, რომელიც სწრაფად იზრდება, ინტელექტუალურად მეტად განვითარებულია და ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ორგანიზებული ხდება. მაშასადამე, ძველი აბსოლუტური მონარქიის ძირითად პირობასთან ერთად — მემამულე თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის არსებულ წონასწორობასთან ერთად — ჩვენ აქ ეხედავთ თანამედროვე ბონაპარტიზმის ძირითად პირობას: წონასწორობას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. მაგრამ როგორც ძველი აბსოლუტური მონარქიის დროს, ასევე თანამედროვე ბონაპარტისტული მონარქიის დროსაც ნამდვილი სახელმწიფო ხელისუფლება იმყოფება ოფიცერთა და მოხელეთა საგანგებო კასტის ხელში, რომლის შევსებაც პრუსიაში ხდება ნაწილობრივ საკუთარი წრიდან, ნაწილობრივ წვრილი სამაიორატო თავადაზნაურობიდან, უფრო იშვიათად — უმაღლესი თავადაზნაურობიდან და ფრიად უმნიშვნელო ოდენობით — ბურჟუაზიიდან. დამოუკიდებლობა ამ კასტისა, რომელიც საზოგადოების გარეშე და ასე ვთქვათ, საზოგადოებაზე მაღლა მდგომად გვეჩვენება, სახელმწიფოს ანიჭებს მოჩვენებითს დამოუკიდებლობას საზოგადოების მიმართ.

სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც პრუსიაში (ხოლო მისი მაგალითის მიხედვით გერმანიის ახალ საიმპერიო წყობილებაში) ამ უაღრესად წინააღმდეგობრივი საზოგადოებრივი პირობებიდან აუცილებელი თანამიმდევრობით განვითარდა, მოჩვენებითი კონსტიტუციონალიზმია; ეს სახელმწიფოებრივი ფორმა წარმოადგენს როგორც ძველი აბსოლუტური მონარქიის დაშლის თანამედროვე ფორმას ისე ბონაპარტისტული მონარქიის არსებობის ფორმასაც...» (კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი 1950 წ. გვ. 701 — 702). რ ე დ.

პარტიზმი კი ყოველ შემთხვევაში თანამედროვე სახელმწიფოებრივი ფორმაა, რომლის წინასწარ პირობას ფეოდალიზმის მოსპობა წარმოადგენს. მაშასადამე პრუსია იძულებულია გაანადგუროს მრავალი ფეოდალური ნაშთი, მოსპოს იუნკრობა როგორც ასეთი. რასაკვირველია, ეს ურბილესი ფორმით ხდება, საყვარელი მელოდიის მიხედვით: «წინ, ნელი ნაბიჯით!» ეს ითქმის, მაგალითად, ცნობილ საოლქო განრიგებაზე. იგი სპობს ცალკე იუნკრების პრივილეგიებს მათს მამულში, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ხელახლა აღადგინოს მსხვილი მიწათმფლობელების პრეროგატივები მთელს ოლქში. საქმე არსებითად უცვლელი რჩება, მხოლოდ იგი ფეოდალური დიალექტიდან ბურჟუაზიულად ითარგმნება. ძველი პრუსიელი იუნკერი ძალდატანებით რაღაც ინგლისელი სკვაირის მსგავს არსებად იქცევა, და მას არაფერი უნდა ჰქონოდა ამის საწინააღმდეგო, იმიტომ რომ ერთიც ისევე სულელია როგორც მეორე.

ამრიგად, პრუსიას უცნაური ბედი ეწვია, თავისი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელიც მან 1808 — 1813 წელს დაიწყო და 1848 წელს რამდენადმე წინ წასწია, ამ საუკუნის დამლევს ბონაპარტიზმის სასიამოვნო ფორმით დაესრულებია. და თუ საქმე კარგად წავიდა, ქვეყნიერებაზე მშვიდობა იქნა და ჩვენ ყველანი უდროოდ არ დავიხოცენით, შეიძლება 1900 წელს მოვესწროთ, რომ მთავრობამ პრუსიაში მართლაც ყველა ფეოდალური დაწესებულება მოსპოს, რომ პრუსიამ, ბოლოს, იმ პუნქტს მიაღწიოს, სადაც საფრანგეთი 1792 წელს იდგა.

ფეოდალიზმის მოსპობა, პოზიტიურად რომ ვთქვათ, ბურჟუაზიული წყობილების დამყარებას ნიშნავს. იმდენად, რამდენადაც თავადაზნაურობის პრივილეგიები ისპობა, კანონმდებლობა ბურჟუაზიული ხდება. და აქ ჩვენ ვეჯახებით მთავრობისადმი გერმანელი ბურჟუაზიის დამოკიდებულების ძირითად პუნქტს. ჩვენ დავინახეთ, რომ მთავრობა ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა ეს ნელი და უბადრუკი რეფორმები შემოიღოს. მაგრამ ბურჟუაზიას იგი თვითეულ დათმობას ისე აჩვენებს, თითქო იგი ბურჟუებისადმი შეწირული მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი იყოს, მეფის ხელიდან ტანჯვა-წვალებით გამოგლეჯილი დათმობა, რისთვისაც ბურჟუებმაც მთავრობას რაიმე უნდა დაუთმონ. და თუმცა ბურჟუები საკმაოდ იცნობენ საქმის ვითარებას, მაინც იტყუებენ თავს. აქედან წარმოდგა ის მდუმარე შეთანხმება, რომელიც რაიხსტაგისა და პრუსიის ლანდტაგის კამათის ფარულ საფუძველს წარმოადგენს ბერლინში. ერთი მხრივ, მთავრობა ბურჟუაზიის ინტერესებისათვის კანონების რეფორმას ახდენს კუს ნაბიჯით,

სპობს ინდუსტრიის განვითარების ფეოდალურ და სახელმწიფოს დაქუცმაცებიდან წარმომდგარ დაბრკოლებებს, ქმნის ფულის, ზომის და წონის ერთიანობას, მოსაქმეობის თავისუფლებას და სხვ. მიმოსვლის თავისუფლებას აწესებს და კაპიტალის შეუზღუდველ განკარგულებაში აძლევს გერმანიის მუშაძალას, ხელს უწყობს ვაჭრობას და სპეკულაციას; მეორე მხრივ, ბურჟუაზია მთავრობას უთმობს მთელ ნამდვილ პოლიტიკურ ძალაუფლებას, ხმას აძლევს გადასახადების გაღებას, სესხის აღებას და ჯარისკაცების გაწვევას და ხელს უწყობს ახალი სარეფორმო კანონების ისე შედგენას, რომ ძველმა პოლიციურმა ხელისუფლებამ მთელი ძალაუფლება შეინარჩუნოს მისთვის არასასურველი პირების მიმართ. თავის თანდათანობითს საზოგადოებრივ განთავისუფლებას ბურჟუაზია ყიდულობს იმით, რომ ახლავე უარს ამბობს საკუთარ პოლიტიკურ ხელისუფლებაზე. რასაკვირველია, მთავარი მამოძრავებელი მოტივი, რომლის გამო, ბურჟუაზიისათვის ასეთი შეთანხმება მისაღები ხდება, არის არა შიში მთავრობის წინაშე, არამედ შიში პროლეტარიატის წინაშე.

მაგრამ რა რიგ უბადრუკადაც უნდა გამოდიოდეს ჩვენი ბურჟუაზია პოლიტიკურ ასპარეზზე, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ იგი მრეწველობასა და ვაჭრობაში, ბოლოს, თავის ვალდებულებას ასრულებს. მრეწველობის და ვაჭრობის აყვავებამ, რომელზეც მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში მივუთითე, შემდეგ კიდევ მეტი სიძლიერით იჩინა თავი. რაც ამ მხრივ 1869 წლის შემდეგ რაინ-ვესტფალიის სამრეწველო ოლქში ხდება, გერმანიისათვის პირდაპირ უბადლო მოვლენას წარმოადგენს და იმ აყვავებას მოგვაგონებს, რომელიც ამ საუკუნის დამდეგს ინგლისის საფაბრიკო ოლქებში მოხდა. იგივე მოხდება საქსონიასა და ზემო სილეზიაში, ბერლინსა, ჰანოვერსა და ზღვისპირა ქალაქებში. ჩვენ, ბოლოს, მსოფლიო ვაჭრობა, ნამდვილი მსხვილი მრეწველობა გვაქვს და ნამდვილი თანამედროვე ბურჟუაზია გვყავს; მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი კრიზისიც გვქონდა და აგრეთვე ნამდვილი, ძლიერი პროლეტარიატიც გაგვიჩნდა.

მომავალი ისტორიკოსისათვის გერმანიის მატიანეში 1869—1874 წ. წ. შპიხერნის, მარს ლა ტურის და სედანის ზარბაზნების გრგვინვას და ყოველივე იმას, რაც ამასთანაა დაკავშირებული ბევრად ნაკლები მნიშვნელობა ექნება, ვიდრე გერმანელი პროლეტარიატის უპრეტენზიო, წყნარი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით წინ მიმავალ განვითარებას. უკვე 1870 წელს გერმანელმა მუშებმა მძიმე გამოცდა ჩაბარეს. ეს იყო ბონაპარტისტული ომის პროვოკაცია

და მისი ბუნებრივი შედეგი — საყოველთაო ნაციონალური აღფრთოვანება გერმანიაში. გერმანელი სოციალისტი მუშები ერთი წუთითაც არ მოტყუებულან. მათ ნაციონალური შოვინიზმის ნატამალიც არ გამოუჩენიათ. გამარჯვებით გამოწვეულ შმაგ ღრიანცელში მათ გულგრილობა შეინარჩუნეს, მოითხოვდნენ «სამართლიან ზავს საფრანგეთის რესპუბლიკასთან და ანექსიების უარყოფას»[1] და თვით საალყო წესების შემოღებას არ შეეძლოთ მათი დაჩუმება. ისინი არ გაუტაცნია არც სამხედრო სახელს, არც ფრაზებს გერმანიის იმპერიის დიდებაზე; მათი ერთადერთი მიზანი მთელი ევროპის პროლეტარიატის განთავისუფლება იყო. თამამად შეიძლება ვთქვათ: ესოდენ მძიმე გამოცდის ასე ბრწყინვალედ ჩაბარება დღემდე არც ერთი სხვა ქვეყნის მუშებს არ რგებია წილად.

ომის დროის საალყო მდგომარეობას მოჰყვა მშვიდობიანობის დროის პროცესები სახელმწიფოს ღალატსა, მეფის და მოხელეების შეურაცხყოფაზე, მშვიდობიანობის დროის პოლიციის გაბოროტებული აბეზარობა, რომელიც თანდათან მატულობდა. «Volksstaat»-ის რედაქციიდან ჩვეულებრივ სამი-ოთხი კაცი იჯდა სატუსაღოში; ასეთსავე მდგომარეობაში იყო სხვა გაზეთებიც. ყოველი მეტად თუ ნაკლებად ცნობილი პარტიული ორატორი იძულებული იყო ერთხელ მაინც წელიწადში სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო, სადაც მას თითქმის ყოველთვის სასჯელს გადაუწყვეტდნენ ხოლმე. სეტყვასავით გახშირდა გაძევება, კონფისკაცია, კრებების დაშლა. მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა. თვითეული გაძევებულის ან დატუსაღებულის ადგილს მაშინვე მეორე იჭერდა; თვითეული დაშლილი კრების მაგივრად ორ ახალს იწვევდნენ და პოლიციის თვითნებობას ხან აქ, ხან იქ გამძლეობითა და კანონების ზედმიწევნითი დაცვით ღლიდნენ. ყოველი დევნა განზრახული მიზნის საწინააღმდეგო შედეგს იწვევდა; იმის მაგივრად, რომ მას მუშათა პარტია გაეტეხა ან თუნდ მოედრიკა, იგი მას მხოლოდ ახალ მიმდევრებს უძენდა და ორგანიზაციას უმაგრებდა. თავიანთ ბრძოლაში ხელისუფალთა და ცალკე ბურჟუების წინააღმდეგ მუშებმა ყველგან გონებრივი და ზნეობრივი უპირატესობა გამოიჩინეს და განსაკუთრებით თავიანთ კონფლიქტში ეგრეთწოდებულ «სამუშაოს მიმწოდებლებთან» დაამტკიცეს, რომ დღეს მუშები განათლებული ადამიანები არიან, ხოლო,

---

[1] ენგელსს მოჰყავს აქ ის მოწოდებანი, რომლებიც იბეჭდებოდა 1870 წ. 21 სექტემბრიდან გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (აიზენახელთა) მთავარი ორგანოს «Volksstaat»-ის («სახალხო სახელმწიფო») მთელ რიგ ნომრებში. რ ე დ.

კაპიტალისტები უმეცრები. ამასთანავე ისინი ბრძოლას უმეტეს შემთხვევაში იუმორით აწარმოებენ, რაც იმის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს, რომ მათ სწამთ თავიანთი საქმე და შეგნებული აქვთ თავიანთი უპირატესობა. ასე წარმოებულმა ბრძოლამ ისტორიულად მომზადებულ ნიადაგზე კარგი ნაყოფი უნდა მოგვცეს. იანვრის არჩევნების[1] შედეგები ჯერ-ჯერობით უბადლო მოვლენას წარმოადგენს თანამედროვე მუშათა მოძრაობის ისტორიაში, და განცვიფრება, რომელიც მან მთელს ევროპაში გამოიწვია, სავსებით გამართლებულია.

გერმანელ მუშებს დანარჩენი ევროპის მუშების წინაშე ორი არსებითი უპირატესობა აქვთ. პირველი—ის, რომ ისინი ევროპის ყველაზე უფრო თეორეტიკოს ერს ეკუთვნიან და შენარჩუნებული აქვთ ის თეორიული გულისყური, რომელიც ეგრეთწოდებულ «განათლებულ» კლასებს სრულიად დახშული აქვთ გერმანიაში. გერმანული მეცნიერული სოციალიზმი, — ერთადერთი მეცნიერული სოციალიზმი, — რომელიც კი ოდესმე არსებულა, ვერასოდეს ვერ შეიქმნებოდა, წინამორბედად გერმანული ფილოსოფია, განსაკუთრებით ჰ ე გ ე ლ ი ს ფილოსოფია, რომ არ ჰქონებოდა. მუშებს რომ თეორიული გულისყური არ ჰქონოდათ, ეს მეცნიერული სოციალიზმი ვერასოდეს ვერ შეესისხლხორცებოდა მათ იმ ზომამდე, როგორც ამას ახლა ვხედავთ. ხოლო თუ რა განუზომლად დიდია ეს უპირატესობა, ამას გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ის გულგრილობა ყოველგვარი თეორიისადმი, რომელიც ერთი მთავარი მიზეზთაგანია იმისა, თუ ინგლისური მუშათა მოძრაობა რატომ მიდის წინ ასე ნელა, მიუხედავად ცალკე პროფესიათა საუცხოო ორგანიზაციისა, — ხოლო, მეორე მხრივ, ამას გვიჩვენებს ის არევ-დარევა და მერყეობა, რომელიც პრუდონიზმმა დათესა თავისი პირვანდელი ფორმით ფრანგებსა და ბელგიელებში, ხოლო ბაკუნინის მიერ გაკარიკატურებული ფორმით — ესპანელებსა და იტალიელებში.

მეორე უპირატესობა ის არის, რომ გერმანელები მუშათა მოძრაობაში თითქმის ყველაზე გვიან ჩაებნენ. როგორც გერმანული თეორიული სოციალიზმი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს, რომ იგი სენ-

---

[1] გერმანიის რაიხსტაგის არჩევნებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1874 წ. იანვარში, მიუხედავად მუშათა ორგანიზაციების პოლიციური დევნისა, არჩეულ იქნა მუშათა ცხრა წარმომადგენელი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ (აიზენახელები) მიიღო 171 351 ხმა და რაიხსტაგში მთელი რიგი თავისი კანდიდატი გაიყვანა. რ ე დ.

სიმონის, ფურიესა და ოუენის მხრებზე დგას — იმ სამი მოაზროვნის მხრებზე, რომლებიც მათი მოძღვრების მთელი ფანტასტიურობისა და უტოპიზმის მიუხედავად, ყველა დროის უდიდეს მოაზროვნეებს ეკუთვნიან და რომლებმაც გენიალურად წინასწარ განჭვრიტეს უამრავი ისეთი ჭეშმარიტება, რომელთა სისწორეს ჩვენ ახლა მეცნიერულად ვამტკიცებთ; — ისევე გერმანიის მუშათა პრაქტიკულმა მოძრაობამ არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი განვითარდა ინგლისისა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის მხრებზე, რომ მას შესაძლებლობა მიეცა მხოლოდ გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ ის გამოცდილება, რომელიც ასე ძვირად დაუჯდათ ფრანგებსა და ინგლისელებს, თავიდან აეცილებინა ახლა ის შეცდომები, რომელთა აცილება უმეტეს შემთხვევაში მაშინ არ შეიძლებოდა. სად ვიქნებოდით ჩვენ ახლა, რომ ინგლისის ტრედუნიონთა და საფრანგეთის მუშათა პოლიტიკური ბრძოლის მაგალითებით არ გვესარგებლნა, და ის კოლოსალური ბიძგი არ მიგვეღო, რომელიც განსაკუთრებით პარიზის კომუნამ მოგვცა?

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გერმანელმა მუშებმა იშვიათი ოსტატობით გამოიყენეს თავიანთი მდგომარეობის უპირატესობანი. პირველად მას შემდეგ, რაც მუშათა მოძრაობა არსებობს ბრძოლა გეგმაშეწონილად წარმოებს სამივე მიმართულებით, ერთმანეთთან შეთანხმებულად და შეკავშირებულად: თეორიული, პოლიტიკური და პრაქტიკულ-ეკონომიური (წინააღმდეგობა კაპიტალისტებისადმი) მიმართულებით. სწორედ ეს, ასე ვთქვათ, კონცენტრიული თავდასხმა არის გერმანიის მუშათა მოძრაობის სიძლიერე და უძლეველობა.

ერთი მხრივ, მათი ამ ხელსაყრელი მდგომარეობის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, ინგლისის მუშათა მოძრაობის კუნძულებრივ თავისებურებათა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ძალადობით დათრგუნვის გამო, გერმანელი მუშები ამჟამად მებრძოლი პროლეტარიატის ავანგარდს წარმოადგენენ. შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, რამდენ ხანს დატოვებს მათ მოვლენათა განვითარება ამ საპატიო პოსტზე. მაგრამ სანამ მათ იგი უჭირავთ, იმედი უნდა ვიქონიოთ ღირსეულად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ამისთვის საჭიროა ძალღონის გაორკეცებული დაძაბვა ბრძოლისა და აგიტაციის ყველა სფეროში. განსაკუთრებით ბელადების მოვალეობა იქნება უფრო და უფრო გათვითცნობიერდნენ ყველა თეორიულ საკითხში, უფრო და უფრო განთავისუფლდნენ ძველი მსოფლმხედველობის ტრადიციული ფრაზების გავლენისაგან და მუდამ მხედველობა-

ში იქონიონ, რომ სოციალიზმი მას შემდეგ, რაც ის მეცნიერებად იქცა მოითხოვს, რომ მას სწორედ ისე მოეკიდონ, როგორც მეცნიერებას, ე. ი. შეისწავლონ ეგი. საჭიროა, რომ ამრიგად შეძენილი და სულ უფრო გარკვეული შეგნება სულ უფრო მეტი გულმოდგინებით გავავრცელოთ მუშათა მასებში და როგორც პარტიის, ისე პროფკავშირების ორგანიზაცია უფრო და უფრო მტკიცედ დავრაზმოთ. თუ იანვრის არჩევნებში სოციალისტების სასარგებლოდ მიცემული ხმები უკვე მოზრდილ არმიას წარმოადგენენ, ისინი მაინც გერმანიის მუშათა კლასის უმრავლესობას არ გამოხატავენ; და რა რიგ გამამხნევებელიც არ უნდა იყოს იმ პროპაგანდის შედეგები, რომელიც სოფლის მოსახლეობაში სწარმოებს, აქ მაინც ძლიერ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი. მაშასადამე, უნდა შეეცადოთ, რომ ბრძოლაში არ დავიქანცოთ, მტერს ერთი ქალაქი, ერთი საარჩევნო ოლქი წავართვათ მეორის მიყოლებით; მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ შევინარჩუნოთ ნამდვილი ინტერნაციონალური შეგნება, რომელიც ხელს უშლის ყოველივე შოვინისტური პატრიოტიზმის განვითარებას და სიხარულით მიესალმება ხოლმე ყოველივე ახალ ნაბიჯს პროლეტარულ მოძრაობაში, სულ ერთია რომელი ერიც უნდა სდგამდეს მას. თუ გერმანელი მუშები განაგრძობენ ასე წინსვლას, ისინი, მართალია, მოძრაობის სათავეში მარშით არ ივლიან, — მოძრაობის ინტერესი სრულიად არ მოითხოვს, რომ ერთი რომელიმე ერის მუშები მის სათავეში მარშით მიდიოდნენ — მაგრამ საპატიო ადგილი კი ეკავებათ მებრძოლთა რაზმში; და ისინიც თავით ფეხებამდე შეიარაღებული იქნებიან, თუ მოულოდნელად მძიმე განსაცდელმა ან დიდმა ამბებმა მათგან უფრო დიდი ვაჟკაცობა, უფრო დიდი გამბედაობა, და ენერგია მოითხოვა.

ფრიდრიხ ენგელსი

ლონდონი, 1 ივლისი 1874 წ.

გერმანელ ხალხსაც აქვს თავისი რევოლუციური ტრადიცია. იყო დრო, როცა გერმანია ისეთ პიროვნებებს წამოაყენებდა ხოლმე, რომლებიც შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ სხვა ქვეყნების საუკეთესო რევოლუციონერებს, როცა გერმანელმა ხალხმა ისეთი გამძლეობა და ენერგია განავითარა, რომ მათი შემწეობით ცენტრალიზებული ერი დიდებულ შედეგებს მიაღწევდა, როცა გერმანელი გლეხებისა და პლებეების შეგნებაში ისახებოდა იდეები, რომლებიც მათს შთამომავალთ ხშირად შიშის ჟრუანტელს ჰგვრიან.

წინააღმდეგ დროებითი აპათიისა, რომელიც თითქმის ყველგან მოჰყვა ორი წლის ბრძოლას, დროულად მიგვაჩნია კვლავ ვუჩვენოთ გერმანელ ხალხს დიდი გლეხთა ომის ტლანქი, მაგრამ ღონიერი და უჯიათი ფიგურები. მას შემდეგ სამმა საუკუნემ განვლო და ბევრი რამ შეიცვალა; ამისდა მიუხედავად, გლეხთა ომი არც ისე დაშორებულია ჩვენს დღევანდელ ბრძოლებს, და მოწინააღმდეგენიც, რომლებთანაც ბრძოლა გვიხდება, უმეტესწილად იგივენი არიან. ის კლასები და კლასთა ჯგუფები, რომლებიც 1848 და 1849 წლებში ყველგან გვღალატობდნენ, სწორედ ისინი გვევლინებიან მოღალატეებად ჯერ კიდევ 1525 წელს, ოღონდ განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე. და თუ უკანასკნელი წლების მოძრაობაში გლეხთა ომის ჯანსაღმა ვანდალიზმმა მხოლოდ ალაგ-ალაგ იჩინა თავი. ოდენვალდსა, შვარცვალდსა და სილეზიაში, ეს სრულიადაც არ ჩაითვლება თანამედროვე ამბოხების უპირატესობად.

1

თავდაპირველად მოკლედ განვიხილოთ გერმანიის მდგომარეობა XVI საუკუნის დასაწყისისათვის.

XIV და XV საუკუნეებში გერმანიის მრეწველობა მნიშვნელოვან აღმავლობას განიცდიდა. ფეოდალური, სოფლური ლოკალური

მრეწველობის ადგილი ქალაქების ამქრულმა ხელოსნობამ დაიჭირა, რომელიც თავის პროდუქციას უფრო ფართო წრეებისათვისა და უფრო შორეული ბაზრებისთვისაც კი აწარმოებდა. ტლანქი შალეულობის და ტილოს მომზადება მუდმივ, ფართოდ გავრცელებულ სამრეწველო დარგად გადაიქცა; აუგსბურგში უფრო ფაქიზი შალისა და სელის ქსოვილებსა და აბრეშუმეულობასაც ამზადებდნენ. ფეოქრობასთან ერთად განსაკუთრებით განვითარდა ის ხელოვნებასთან დაახლოებული მრეწველობა, რომელიც გვიან შუასაუკუნეების სასულიერო და საერო წოდებათა წარმომადგენლების ფუფუნებით საზრდოობდა: ოქრომჭედლობა, ქანდაკება, ხისა და სპილენძის ამოჭრა, მესაჭურველობა, ბეჭდების ჩამოსხმა, ხარატობა და სხვ. ხელოსნობის აყვავებას დიდად შეუწყო ხელი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანმა აღმოჩენებმა, რომელთა უბრწყინვალეს ისტორიულ პუნქტს თოფის წამლის* და წიგნის ბეჭდვის გამოგონება წარმოადგენდა. მრეწველობის განვითარებას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ვაჭრობა. ჰანზის[1] კავშირმა თავისი ასი წლის საზღვაო მონოპოლიის შემწეობით, საბოლოოდ გაათავისუფლა მთელი ჩრდილო გერმანია საშუალო საუკუნებრივი ბარბაროსობისაგან; და თუმცა მან უკვე XV საუკუნის დასასრულიდან სწრაფად იწყო ჩამოქვეითება ინგლისელებისა და ჰოლანდიელების კონკურენციის გამო, მაგრამ ვასკო დე გამას აღმოჩენების მიუხედავად, ინდოეთიდან ჩრდილოეთისკენ მიმავალი დიდი სავაჭრო გზა, მაინც გერმანიაზე გადიოდა და აუგსბურგი კვლავ დიდი საწყობი იყო იტალიური აბრეშუმეულობისა, ინდური სანელებლისა და ლევანტის ყველა ნაწარმოებისთვის. ზემო გერმანიის ქალაქები, განსაკუთრებით აუგსბურგი და ნიურნბერგი, იმ დროისთვის მნიშვნელოვანი სიმდიდრისა და ფუფუნების ცენტრებს წარმოადგენდნენ. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ნედლი მასალის მოპოვება. გერმანელი მემაღაროები XV საუკუნეში ყველაზე დახელოვნებულნი იყვნენ მთელ ევროპაში. ქალაქების აყვავებამ სოფლის მეურნეობაც გამოიყვანა საშუალო საუკუნეების პრიმიტიულ მდგომარეო-

---

* თოფის წამალი, როგორც ეს ამჟამად უთუოდაა დამტკიცებული, არაბებმა ინდოეთის მეშვეობით ჩინეთიდან შემოიტანეს, ხოლო არაბებისაგან იგი ცეცხლმსროლელ იარაღთან ერთად ესპანეთის მეშვეობით ევროპაშიც გავრცელდა. ენგელსის შენიშვნა 1875 წლის გამოცემისათვის.

[1] ჰანზა — ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვის სანაპიროებზე და მათი შემდინარე წყლების გასწვრივ მდებარე შუასაუკუნებრივი გერმანული ქალაქების კავშირი; საბოლოოდ იგი ჩამოყალიბდა XIV საუკუნის მეორე ნახევარში. მთავარ როლს ჰანზაში ასრულებდნენ ჰამბურგი, ლუბეკი და ბრემენი. რ ე დ.

ბიდან. არა მარტო ფართო ტერიტორიები იქნა დამუშავებული, არამედ შემოღებულ იქნა საღებავი და სხვა უცხო მხარიდან შემოტანილი მცენარეების გაშენება, რომელთა კულტურამ საერთოდ ხელსაყრელი გავლენა იქონია მიწათმოქმედებაზე.

მაგრამ გერმანიის ეროვნული წარმოების აყვავება მაინც ვერ შეედრებოდა სხვა ქვეყნების მრეწველობის ზრდას. მიწათმოქმედება ბევრად ჩამორჩებოდა ინგლისისა და ნიდერლანდიის მიწათმოქმედებას. გერმანიის მრეწველობა ჩამორჩებოდა იტალიის, ფლამანდიისა და ინგლისის მრეწველობას, ხოლო საზღვაო ვაჭრობაში გერმანელებს უკვე ინგლისელები და განსაკუთრებით ჰოლანდიელები ამარცხებდნენ. მოსახლეობა ჯერ კიდევ მეტად თხელი იყო. ცივილიზაცია გერმანიაში მხოლოდ სპორადულად არსებობდა, განცალკევებული სამრეწველო და სააღებმიცემო ცენტრების გარშემო; თვით ამ განცალკევებული ცენტრების ინტერესები გათიშული იყო და მხოლოდ აქა-იქ თუ ხვდებოდა ერთმანეთს. სამხრეთს სულ სხვა სააღებმიცემო კავშირები და ბაზრები ჰქონდა, ვიდრე ჩრდილოეთს; აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის თითქმის არავითარი სააღებმიცემო ურთიერთობა არ არსებობდა. ვერც ერთმა ქალაქმა ვერ შესძლო მთელი ქვეყნის სამრეწველო და სავაჭრო ცენტრი გამხდარიყო, როგორიც მაგალითად ინგლისისთვის უკვე ლონდონი იყო. მთელი შინაური მიმოსვლა განისაზღვრებოდა სანაპირო და სამდინარო ნაოსნობითა და ორიოდე დიდი სავაჭრო გზით, რომელიც აუგსბურგიდან და ნიურნბერგიდან კელნზე ნიდერლანდიისკენ მიდიოდა, ხოლო ერფურტზე ჩრდილოეთისკენ. ამ მდინარეებისა და სავაჭრო გზების მოშორებით მრავალი პატარა ქალაქი იყო, რომლებიც დიდი აღებმიცემობიდან გამოთიშულნი განაგრძობდნენ შეუშფოთებელ ცხოვრებას გვიან შუა საუკუნეების პირობებში; ისინი ნაკლებად ხმარობდნენ უცხო საქონელს, ნაკლებად აწარმოებდნენ გასატან პროდუქტებს. სოფლის მოსახლეობიდან მხოლოდ თავადაზნაურობას ჰქონდა ურთიერთობა უფრო ფართო წრეებთან და მხოლოდ იგი ავითარებდა ახალ მოთხოვნილებათ; გლეხთა მასა ვერ სცილდებოდა ადგილობრივ ურთიერთობას და მასთან დაკავშირებულ ვიწრო ადგილობრივ ჰორიზონტს.

მაშინ როცა ინგლისსა და საფრანგეთში ვაჭრობისა და მრეწველობის აღმავლობამ მთელი ქვეყნის ინტერესთა გადახლართვა და ამით პოლიტიკური ცენტრალიზაცია გამოიწვია, გერმანიაში ამ პროცესის შედეგად მოხდა მხოლოდ ინტერესთა დაჯგუფება პროვინციების მიხედვით, წმინდა ადგილობრივი ცენტრების გარშემო

და, მაშასადამე, ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცება, რაც შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა მსოფლიო ვაჭრობიდან გერმანიის გამოდევნით. იმდენად რამდენადაც წ მ ი ნ დ ა ფ ე ო დ ა ლ უ რ ი სახელმწიფო იშლებოდა, წყდებოდა საზოგადოდ კავშირი საიმპერიო სამფლობელოებს შორის, დიდ საიმპერიო სამკვიდროთა მფლობელნი თითქმის დამოუკიდებელ მთავრებად იქცეოდნენ, ხოლო საიმპერიო ქალაქები, ერთი მხრივ, და საიმპერიო რაინდები, მეორე მხრივ, კავშირს ჰკრავდნენ ხან ერთმანეთისა, ხან კი მთავრებისა ან იმპერატორის წინააღმდეგ. საიმპერიო ხელისუფლება, რომელიც თვითონაც ვერ გარკვეულიყო საკუთარ მდგომარეობაში, უმწეოდ მერყეობდა იმპერიის შემადგენელ სხვადასხვა ელემენტებს შორის და ამასთანავე თანდათან ჰკარგავდა ავტორიტეტს; მისი ცდა, სახელმწიფოს ცენტრალიზაცია მოეხდინა ლუი XI წესისამებრ ვერ გასცილდა ავსტრიის სამკვიდრო მამულებთან კავშირის განმტკიცებას, მიუხედავად ინტრიგებისა და ძალმომრეობისა. თუ ამ არევ-დარევაში, ამ ურიცხვ ერთმანეთში გადახლართულ კონფლიქტებში ბოლოს ვინმემ მოიგო, და უნდა მოეგოთ კიდეც, ეს იყვნენ ცენტრალიზაციის წარმომადგენლები თვით ამ დაქუცმაცების შიგნით, ადგილობრივი და პროვინციული ცენტრალიზაციის წარმომადგენლები, მ თ ა ვ რ ე ბ ი, რომელთა გვერდით თვით იმპერატორი თანდათან სხვების თანასწორ მთავრად ხდებოდა.

ამ პირობებში შუა საუკუნეებიდან შემორჩენილ კლასთა მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და ძველი კლასების გვერდით ახალი კლასები წარმოიშვა.

უმაღლესი თავადაზნაურობიდან მ თ ა ვ რ ე ბ ი წარმოიშვნენ. ისინი თითქმის სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ იმპერატორისაგან და უზენაეს სუვერენულ უფლებათა დიდ ნაწილს ჰფლობდნენ. ისინი ომს აცხადებდნენ და ზავს ჰკრავდნენ დამოუკიდებლად, მუდმივ ჯარს ინახავდნენ, ლანდტაგებს იწვევდნენ და გადასახადებს აწესებდნენ. მათ უკვე დამორჩილებული ჰყავდათ დაბალი თავადაზნაურობის და ქალაქების დიდი ნაწილი და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რათა თავიანთი საფლობელოებისათვის შეეერთებინათ დანარჩენი უშუალო საიმპერიო ქალაქები და საბარონოები. ამ უკანასკნელთა მიმართ ისინი ცენტრალიზმის მომხრენი იყვნენ, მაშინ როცა საიმპერიო ხელისუფლების მიმართ დეცენტრალიზების მომხრეებად გამოდიოდნენ. შინაურ საქმეებში მათი მმართველობა უკვე დიდი თვითნებობით ხასიათდებოდა. ისინი წოდებათა კრებებს უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მაშინ იწვევდნენ, როცა სხვა გამო-

სავალი არ ჰქონდათ. ისინი გადასახადებს აწესებდნენ და ფულს ჰკრეფდნენ, როცა მოეხალისებოდათ; ისინი იშვიათად სცნობდნენ წოდებათა უფლებას დაემტკიცებინათ გადასახადები და კიდევ უფრო იშვიათად ახორციელებდნენ მას. ასეთ შემთხვევაში მთავარს ჩვეულებრივ მაინც ჰყავდა უმრავლესობა ორი წოდების საშუალებით, რომელნიც თავისუფალი იყვნენ გადასახადებისაგან, მაგრამ ამ გადასახადებით სარგებლობდნენ, სახელდობრ, რაინდებისა და სამღვდელოების მეშვეობით. რაც უფრო მატულობდა ფუფუნება და ფართოვდებოდა მთავრის კარის მოთხოვნილებები, იქმნებოდა მუდმივი ჯარი და იზრდებოდა მმართველობის ხარჯები, მით მეტი ფული სჭირდებოდა მთავრებს. გადასახადები თანდათან უფრო მძიმე ხდებოდა. ქალაქები გადასახადებისაგან უმეტეს შემთხვევაში პრივილეგიებით იყვნენ დაცულნი; გადასახადთა მთელი სიმძიმე გლეხობას აწვებოდა, როგორც თვით მთავართა საბატონო გლეხებს, ისე რაინდთა ხელდებულ ყმებს, დამოკიდებულებსა და მებეგრეებს. სადაც პირდაპირი დაბეგვრა არ კმაროდა, მიმართავდნენ ხოლმე არაპირდაპირ დაბეგვრას; იყენებდნენ საფინანსო ხელოვნების ურთულეს ოინებს, რათა აევსოთ ფსკერგაკარდნილი ხაზინა. როცა ყოველივე ეს არ შველოდა, როცა დასაგირავებელი არაფერი იყო, ხოლო თავისუფალი საიმპერიო ქალაქები სესხს აღარ იძლეოდნენ, მაშინ მიმართავდნენ ფულის მოჭრის ყველაზე საეჭვო ოპერაციებს: სჭრიდნენ არასრულფასიან ფულს, აწესებდნენ მაღალ ან დაბალ იძულებითს კურსს, იმისდა მიხედვით, თუ რა უფრო სასარგებლო იყო ხაზინისთვის. ვაჭრობა სამოქალაქო და სხვა პრივილეგიებით, რასაც მთავრები შემდეგ ძალით იბრუნებდნენ, რათა შემდეგ ხელახლა უფრო ძვირად გაეყიდათ, ყოველი ოპოზიციური ცდის საბაბად გამოყენება ხარკის დასადებად და დასარბევად და სხვ. და სხვ. — ყოველივე ეს შემოსავლის ჩვეულებრივ და ამასთანავე ფრიად მომგებიან წყაროს წარმოადგენდა იმდროინდელი მთავრებისთვის. მართლმსაჯულებაც მუდმივი და საკმაოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო საგანი იყო მთავრობისთვის. ერთი სიტყვით, იმდროინდელი ქვეშევრდომნი, რომლებსაც, გარდა ამისა, მთავართა მოურავებისა და მოხელეების პირადი გაუმაძღრობაც უნდა დაეკმაყოფილებინათ, უნდა დამტკბარიყვნენ «მამობრივი» მმართველობის სისტემის ყველა მშვენიერებით.

შუა საუკუნეების ფეოდალური იერარქიიდან საშუალო თავადაზნაურობა თითქმის სრულიად გაქრა; მისი ერთი ნაწილი დამოუკიდებელ წვრილ მთავრებად იქცა, ხოლო მეორე — ჩამოქვეითდა და-

დაბალი თავადაზნაურობის რიგებში მოექცა. დ ა ბ ა ლ ი თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა, რ ა ი ნ დ ო ბ ა სწრაფად მიექანებოდა დაღუპვისაკენ. მათი დიდი ნაწილი სრულიად გაღატაკებული იყო და მხოლოდ მთავრის სამსახურში სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობის შესრულებით ცხოვრობდა; მეორე ნაწილი ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა და მთავრებს ემორჩილებოდა; მხოლოდ უმცირესი ნაწილი ექვემდებარებოდა უშუალოდ იმპერიას. სამხედრო საქმის განვითარებამ, ქვეითი ჯარის მნიშვნელობის ზრდამ, ცეცხლმსროლელი იარაღის გაუმჯობესებამ შეამცირა რაინდთა სამხედრო მნიშვნელობა, როგორც მძიმე ცხენოსანი ჯარისა და ამასთანავე მათი ციხეებიც ადვილადასაღები გახადა. მრეწველობის პროგრესმა რაინდებიც ისევე ზედმეტად აქცია, როგორც ნიურნბერგელი ხელოსნები. რაინდობის გაპარტახებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ მას მუდამ ფული სჭირდებოდა. ცივილიზაციის წინსვლასთან ერთად მატულობდა ფუფუნება ციხე-კოშკებში, რაინდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მორთულობის მხრივ ასპარეზობაზე და დღესასწაულებში, თოფ-იარაღი და ცხენი ძვირდებოდა, რაინდების და ბარონების შემოსავლის წყაროები კი ნაკლებ ან სრულიად არ იზრდებოდა. რაც დრო გადიოდა მით უფრო სახიფათო ხდებოდა ფეოდალური აყალ-მაყალი მისთვის აუცილებელი დარბევითა და კონტრიბუციებით, თარეში და სხვა ამგვარი კეთილშობილური საქმეები. ქვეშევრდომთა გადასახადები და ბეგარა მეტს როდი იძლეოდა, ვიდრე წინათ. თავიანთი გაძლიერებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კეთილშობილ რაინდებს იმავე საშუალებისათვის უნდა მიემართათ, რომელსაც მთავრები მიმართავდნენ. წლიდან წლამდე იზრდებოდა გლეხთა ექსპლოატაცია თავადაზნაურობის მიერ. ყმებს უკანასკნელ სისხლის წვეთს სწოვდნენ, მებეგრეებს ახალ გადასახადებსა და ბეგარას აკისრებდნენ და ამისთვის სხვადასხვა საბაბსა და სახელწოდებას იყენებდნენ. საბატონო ბეგარას, საჯარო ქირას, ღალას, ხარკს მემამულის გამოცვლისას, სამკვდროს, სასარჩელოს [1] და სხვ. თვითნებურად უმატებდნენ

[1] ს ა მ კ ვ დ რ ო გ ა მ ო ს ა ღ ე ბ ი (Sterbefall, Todfall) — სამემკვიდროს გამოსაღები, რომელსაც ახდევინებდნენ გლეხს სენიორის იმ ფეოდალური უფლების ძალით, რომ გარდაცვლილი გლეხის მიწის ნაკვეთიც და ყველა ქონება ბატონის ქონებად ითვლებოდა (საფრანგეთში — «მკვდარი ხელის უფლება»); გერმანიაში ფეოდალები, როგორც წესი, შემკვიდრეებს საუკეთესო პირუტყვს ართმევდნენ. — ს ა ს ა რ ჩ ე ლ ო ფ უ ლ ი (Schutzgelder)—გამოსაღები, რომელსაც ჰკრებდა ფეოდალი იმ სასამართლო «გამოსარჩლებისა» და «მფარველობისათვის», რომელსაც იგი ვიოომდა უწევდა თავის ქვეშევრდომთ. რ ე დ.

ძველი ხელშეკრულებების მიუხედავად. მართლმსაჯულება ან სრულიად არ ერეოდა საქმეებში, ან მოსყიდული იყო; და როცა რაინდს სხვა გზით არ შეეძლო გლეხებისაგან ფული მიეღო, იგი მათ ციხეში ამწყვდევდა და აიძულებდა თავი გამოესყიდათ.

არც სხვა წოდებებთან ჰქონდა დაბალ თავადაზნაურობას მეგობრული დამოკიდებულება. მთავრების მიმართ ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი თავადაზნაურობა ცდილობდა უშუალოდ იმპერიის ქვეშევრდომი გამხდარიყო; საიმპერიო რაინდები კი ცდილობდნენ თავიანთი დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ; ამით აიხსნება რაინდობის განუწყვეტელი შუღლი მთავრებთან. იმდროინდელი გულზვიადი სამღვდელოება რაინდს სრულიად ზედმეტ წოდებად მიაჩნდა, იგი შურით უყურებდა მის ვეებერთელა სამფლობელოებს და უცოლობისა და საეკლესიო წესწყობილების წყალობით შეძენილ სიმდიდრეს. ქალაქებთან რაინდს მუდმივი ბრძოლა ჰქონდა; იგი ქალაქების მუდმივი მევალე იყო, იგი მათი ტერიტორიის რბევით, მათი ვაჭრების ძარცვით, ბრძოლებში დატყვევებული მოქალაქეების გამოსასყიდი ფულით ცხოვრობდა. და რაინდობის ბრძოლა ყველა ამ წოდებათა წინააღმდეგ მით უფრო გააფთრებული ხდებოდა, რაც უფრო საარსებო საკითხად იქცეოდა მისთვის ფულის საკითხი.

არა ნაკლებ განიცდიდა ისტორიული გარდატეხის გავლენას სამღვდელოება — შუა საუკუნეებრივი ფეოდალიზმის იდეოლოგიის წარმომადგენელი. წიგნის ბეჭდვისა და გაფართოებული ვაჭრობის მოთხოვნილებათა წყალობით მას წაერთვა არა მარტო წერაკითხვის, არამედ უმაღლესი განათლების მონოპოლიაც. შრომის დანაწილება ინტელექტუალურ დარგშიც მოხდა. იურისტების ახლადაღმოცენებულმა წოდებამ წაართვა მას მთელი რიგი გავლენიანი თანამდებობა. სამღვდელოება უმეტესწილად ზედმეტი ხდებოდა და ამას თვით ადასტურებდა თავისი მუდამ მზარდი სიზარმაცითა და უმეცრებით. მაგრამ რაც უფრო ზედმეტი ხდებოდა იგი, მით უფრო მატულობდა მისი რიცხვი უზარმაზარი სიმდიდრის შემწეობით, რომელსაც იგი განუწყვეტლივ ზრდიდა ყოველგვარი საშუალებებით.

სამღვდელოებაში ორი სრულიად განსხვავებული კლასი არსებობდა. სასულიერო ფეოდალური იერარქია არისტოკრატიულ კლასს წარმოადგენდა; იგი შედგებოდა ეპისკოპოსებისა, არქიეპისკოპოსებისა, აბატებისა, პრიორებისა და სხვა პრელატებისაგან. ეს უმაღლესი საეკლესიო წარჩინებული პირნი ან თვით იყვნენ საიმპერიო მთავრები, ან როგორც სხვა მთავრებს უზენაესი ხელის-

უფლებისადმი დაქვემდებარებული ფეოდალები დიდ ტერიტორიებს ფლობდნენ მრავალრიცხოვანი ყმებითა და მებეგრეებით. ისინიც თავიანთ ქვეშევრდომთ არა თუ შეუბრალებლად ყველფდნენ თავადაზნაურობისა და მთავრების მსგავსად, არამედ კიდევ უფრო ურცხვად იქცეოდნენ. ტლანქ ძალმომრეობასთან ერთად ისინი იყენებდნენ სარწმუნოების ყველა მზაკვრობას, ტანჯვა-წამების მუქარასთან ერთად შეჩვენებისა და ცოდვათა განტევებაზე უარის თქმის მუქარას, სააღსარებოს ყველა ინტრიგას, რათა ქვეშევრდომთათვის უკანასკნელი გროში წაეგლიჯათ ან ეკლესიის სამკვიდრო გაედიდებინათ. ამ პატივსაცემი ადამიანების ხელში საბუთების გაყალბება გამორჩენის ჩვეულებრივ და საყვარელ საშუალებად იქცა. მაგრამ თუმცა ისინი ჩვეულებრივი ფეოდალური შემოსავლის გარდა სამეათედოსაც ღებულობდნენ, მათ ეს შემოსავალიც არ ჰყოფნიდათ. რათა ხალხისთვის მეტი სახსრები წაერთმიათ, კარგა ხანს დიდი წარმატებით მიმართავდნენ სასწაულმოქმედი ხატებისა და ნაწილების ფაბრიკაციას, სულის საცხონებელ სალოცავებში მოგზაურობის ორგანიზაციას, ინდულგენციების[1] გაყიდვას.

პრელატებისა და ბერებისაგან შემდგარი ეს ურიცხვი ჟანდარმერია, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი დევნის გაძლიერებასთან ერთად, აღვივებდა სიძულვილს სამღვდელოებისადმი არა მარტო ხალხში, არამედ თავადაზნაურობაშიც. რამდენადაც ისინი უშუალოდ საიმპერიო ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ, იმდენად გზაზე ეღობებოდნენ მთავრებს. ჩასუქებული მღვდელმთავრების და აბატების და მათი ბერების ლაშქრის მხიარული ცხოვრება შურს იწვევდა თავადაზნაურობაში და აღაშფოთებდა ხალხს, მით უმეტეს რომ ამ ცხოვრების ყოველი ხარჯი მას ჰქონდა დაკისრებული, სამღვდელოების სიტყვასა და საქმეს შორის კი მძაფრი წინააღმდეგობა არსებობდა.

სამღვდელოების პ ლ ე ბ ე უ რ ი ფრაქცია სოფლისა და ქალაქის ხუცებისგან შედგებოდა. ისინი ეკლესიის ფეოდალური იერარქიის გარეშე იდგნენ და არავითარი წილი არ ჰქონდათ მის სიმდიდრეში. მათ მუშაობას ნაკლებ უწევდნენ კონტროლს და რა რიგ მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო ეს მუშაობა ეკლესიისთვის,

---

[1] ი ნ დ უ ლ გ ე ნ ც ი ე ბ ი — მოწმობა ეგრეთწოდებულ ცოდვათაგან განტევების, რასაც კათოლიკური ეკლესია ჰყიდდა. ინდულგენციებით ვაჭრობა, ისევე როგორც რელიგიურ ცრურწმენათა ექსპლოატაციის სხვა ფორმებიც, ატარებდა კათოლიკური სამღვდელოების მიერ ხალხის აშკარა ძარცვის ხასიათს. რ ე დ.

იმ დროს იგი ნაკლებ აუცილებელი იყო, ვიდრე ყაზარმებში მყოფი ბერების პოლიციური სამსახური. ამიტომ მათ ბევრად უფრო ცუდად აჯილდოებდნენ და მათი ბენეფიციებიც უმეტესწილად ღარიბი იყო. ისინი ან ბიურგერული ან პლებეური წრეებიდან წარმოდგებოდნენ და ამიტომ საკმაოდ ახლო იდგნენ მასის მდგომარეობასთან, რათა თავიანთი ხუცობის მიუხედავად ბიურგერული და პლებეური სიმპათიები შეენარჩუნებინათ. იმდროინდელ მოძრაობებში მონაწილეობის მიღება ბერებისთვის გამონაკლისი იყო, მღვდლებისთვის კი ჩვეულებრივი მოვლენა. მათი რიგებიდან გამოდიოდნენ მოძრაობის თეორეტიკოსები და იდეოლოგები და მრავალი მათგანი, პლებეების და გლეხების წარმომადგენლები, ეშაფოტზე დაიხოცა. ხალხის სიძულვილი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ იყო მიმართული მათ წინააღმდეგ.

როგორც მთავრებისა და თავადაზნაურობის ზემოთ იმპერატორი იდგა, ასევე მაღალი და დაბალი სამღვდელოების ზემოთ პაპი იდგა. როგორც იმპერატორს «საყოველთაო პფენიგი»[1], სახელმწიფო გადასახადი ეძლეოდა, ასევე პაპს საყოველთაო საეკლესიო გადასახადი ეძლეოდა, აქედან ჰფარავდა იგი თავისი ბრწყინვალე სასახლის ხარჯებს რომში. ყველაზე კეთილსინდისიერად და მკაცრად ეს საეკლესიო გადასახადები გერმანიაში იკრიბებოდა მისი სამღვდელოების სიძლიერისა და სიმრავლის წყალობით. განსაკუთრებით ეს ითქმის ე. წ. ანატებზე სამღვდელმთავროთა გაუქმების[2] დროს. მოთხოვნილებათა ზრდასთან ერთად აღმოჩენილ იქნა ახალი საშუალებანი ფულის მისაღებად: წმინდა ნაწილების, ინდულგენციების ვაჭრობა, იუბილეებზე ფულის აკრეფა და სხვ. ამრიგად, გერმანიიდან რომში ყოველწლიურად დიდძალი თანხები მიდიოდა, და ამ გზით გამოწვეული ჩაგვრა აძლიერებდა არა მარტო სიძულვილს სამღვდელოებისადმი, იგი აღვივებდა ეროვნულ გრძნო-

---

[1] «საყოველთაო პფენიგი» (gemeiner Pfennig) — გადასახადი, შემოღებული იმპერატორ მაქსიმილიანე I მიერ; იგი წარმოადგენდა სულობრივი გადასახადისა და ქონების გამოსაღების კომბინაციას. გადასახადის მთავარი ტვირთი გლეხობას ეკისრებოდა. რ ე დ.

[2] ანატები ეწოდებოდა რომის კურიის სასარგებლოდ აკრეფილ ერთდროულ გადასახადს, რომელიც უნდა გაეღოთ იმ პირთ, ვისაც პაპი საეკლესიო თანამდებობებზე ნიშნავდა. უმრავლეს შემთხვევაში ეს გადასახადი უდრიდა წლიურ შემოსავალს ნაწყალობევი სამრევლოებისას, რომელთა მფლობელნი შემდეგ ერთი ასად ინაზღაურებდნენ თანამდებობის დაკავებისას გაღებულ თანხას მოსახლეობაზე შეწერილი გამოსაღებითა და გადასახადით. რ ე დ.

ბასაც, განსაკუთრებით თავადაზნაურობაში, რომელიც ყველაზე ნაციონალისტური წოდება იყო იმ დროს.

შუასაუკუნებრივი ქალაქების პირვანდელი მდგომარეობა მოქალაქეებისაგან ვაჭრობისა და ხელოსნობის აყვავებასთან ერთად სამი სრულიად განსხვავებული ფენა განვითარდა.

მოქალაქეთა საზოგადოების სათავეში პატრიციული გვარები იდგნენ, ეგრეთწოდებული «წარჩინებულნი». ესენი უმდიდრესი ოჯახები იყვნენ. მხოლოდ ისინი ისხდნენ საბჭოსა და ყველა სამოქალაქო დაწესებულებაში. ამიტომაც ისინი არა მარტო ვანაგებდნენ ქალაქის შემოსავალს, არამედ კიდეც სარგებლობდნენ ამ შემოსავლით. ძლიერნი თავიანთი სიმდიდრით, თავიანთი ტრადიციული არისტოკრატიული მდგომარეობით, რომელიც ალიარებული იყო როგორც იმპერატორისა, ისე იმპერიის მიერ, ისინი ყოველნაირად ექსპლოატაციას უწევდნენ როგორც ქალაქის თემს, ისე ქალაქის ქვეშევრდომ გლეხკაცობას. ისინი მევახშეობას ეწეოდნენ ხორბლითა და ფულით, ყოველგვარ მონოპოლიებს ითვისებდნენ, თემს თანდათან ართმევდნენ ქალაქის ტყეებითა და მინდვრებით საერთო სარგებლობაში მონაწილეობის უფლებას და თავიანთ კერძო ინტერესებისთვის იყენებდნენ ამ უკანასკნელთ, თვითნებურად აწესებდნენ გზებისა, ხიდებისა და კარიბჭეების ბაჟს და სხვა ბეგარას, ვაჭრობდნენ საამქრო პრივილეგიებით, საოსტატო და სამოქალაქო უფლებებით და მართლმსაჯულებით. ქალაქისადმი დამორჩილებულ გლეხკაცობას ისინი არა ნაკლებ მკაცრად ეპყრობოდნენ, ვიდრე თავადაზნაურობა ან ხუცობა; უფრო მეტიც, ის ქალაქელი ფოგტები და მოხელეები, რომლებიც სოფლად იგზავნებოდნენ, მხოლოდ პატრიციები იყვნენ და თავიანთ არისტოკრატულ გულცივობასა და გაუმაძღრობასთან ერთად გარკვეულ ბიუროკრატიულ სიმკაცრეს იჩენდნენ გადასახადების აკრეფაში. ამ გზით შეგროვილი საქალაქო შემოსავალი უდიდესი თვითნებობით იხარჯებოდა: საქალაქო დავთრებში ანგარიშების ჩაწერა ისედაც წმინდა ფორმალობა იყო და მეტისმეტად აგდებულად და არეულ-დარეულად წარმოებდა; გაფლანგვა და სალაროს მოუწესრიგებლობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. შეიძლება წარმოვიდგინოთ რა ადვილი იყო იმ დროს ყოველმხრივ პრივილეგიებით აღჭურვილი, მცირერიცხოვანი და ნათესაობითა და საერთო ინტერესებით მჭიდროდ შეკავშირებული კასტისთვის ქალაქის შემოსავლით გამდიდრებულიყო, თუ გავიხსენებთ ურიცხვ თაღლითობასა და გაფლანგვას, რომელიც 1848 წლის რევოლუციამ მრავალი ქალაქის თვითმმართველობაში გამოამჟღავნა.

პატრიციებმა ყოველივე იღონეს, რათა ქალაქის თემს დავიწყებოდა თავისი უფლებები განსაკუთრებით ფინანსების დარგში. მხოლოდ შემდეგში, როცა ამ ვაუბატონების თაღლითობამ ყოველ ზომას გადააჭარბა, თემები ხელახლა ამოძრავდნენ, რათა ქალაქის მართვა-გამგეობის კონტროლი მაინც ჩაეგდოთ ხელთ. მეტწილ ქალაქებში მათ მართლაც დაიბრუნეს თავიანთი უფლებები. მაგრამ რადგან საამქროები მუდმივ ერთმანეთს ებრძოდნენ, რადგან პატრიციები დიდს გამძლეობას იჩენდნენ, ხოლო იმპერია და მოკავშირე ქალაქების მთავრობები მათ მფარველობდნენ, საბჭოების პატრიციელმა წევრებმა თვალთმაქცობითა და ძალმომრეობით, ფაქტიურად სწრაფად აღადგინეს თავიანთი ადრინდელი ბატონობა. XVI საუკუნის დასაწყისში თემები ყოველ ქალაქში ხელახლა ოპოზიციაში იდგნენ.

პატრიციატის მოწინააღმდეგე ოპოზიცია ქალაქებში ორ ფრაქციად იყოფოდა, ეს ფრაქციები სრულიად გარკვეულად გამოდიოდნენ გლეხთა ომში.

ბ ი უ რ გ ე რ უ ლ ი ო პ ო ზ ი ც ი ა, ჩვენი დღევანდელი ლიბერალების წინამორბედი, შედგებოდა შეძლებული და საშუალო მოქალაქეებისაგან და აგრეთვე წვრილი ბიურგერების მეტნაკლებად ფართო ნაწილისაგან ადგილობრივი პირობებისდა მიხედვით. მათი მოთხოვნები არ ცილდებოდა წმინდა კონსტიტუციურ ნიადაგს. ისინი მოითხოვდნენ კონტროლს სამოქალაქო მმართველობაზე და მონაწილეობას საკანონმდებლო ხელისუფლებაში თვით თემის კრების სახით იქნებოდა ეს, თუ თემის წარმომადგენლობის სახით (დიდი საბჭო, თემის კომიტეტი); შემდეგ ისინი მოითხოვდნენ რამდენიმე წარჩინებული ოჯახის პატრიციული ნათლიმამობისა და ოლიგარქიის შეზღუდვას; ეს ოჯახები თანდათან უფრო აშკარად ეთიშებოდნენ დანარჩენ პატრიციატს. გარდა ამისა, ბიურგერული ოპოზიცია უკიდურეს შემთხვევაში საბჭოში რამდენიმე ადგილს მოითხოვდა თავისი წრიდან გამოსული მოქალაქეებისთვის. ამ პარტიას, რომელსაც აქა იქ პატრიციატის უკმაყოფილო და გაღატაკებული ნაწილი ემხრობოდა, ყველა ჩვეულებრივ სათემო კრებებსა და საამქროებში დიდი უმრავლესობა ჰყავდა. საბჭოს მომხრეები და უფრო რადიკალური ოპოზიცია ერთად ნამდვილ მ ო ქ ა ლ ა ქ ე ე ბ ს შორის მხოლოდ უმცირესობას წარმოადგენდნენ.

ჩვენ დავინახეთ, რომ XVI საუკუნის მოძრაობაში ეს «ზომიერი», «კანონიერების ნიადაგზე მდგომი», «შეძლებული» და «ინტელიგენტური» ოპოზიცია სწორედ იმავე როლს ასრულებდა და

სწორედ იმავე წარმატებას აღწევდა, როგორც მისი მემკვიდრე, კონსტიტუციური პარტია 1848 და 1849 წლებში[1].

გარდა ამისა, ბიურგერთა ოპოზიცია სერიოზულად ებრძოდა ხუცებს, რომლებიც თავიანთი უქმი, უდარდელი ცხოვრებით და გარყვნილებით დიდად აღაშფოთებდნენ მას. იგი მოითხოვდა ღონისძიებათა მიღებას ამ პატივსადები ადამიანების სკანდალური დროსტარების წინააღმდეგ, იგი მოითხოვდა აგრეთვე სამღვდელოების განსაკუთრებული მართლმსაჯულებისა და გადასახადებისაგან თავისუფლების მოსპობას და ბერების რიცხვის შეზღუდვას საერთოდ.

პ ლ ებ ე უ რ ი ო პ ო ზ ი ც ი ა შედგებოდა გაღატაკებული მოქალაქეებისა და ქალაქის მცხოვრებთა მასისაგან, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ მოქალაქის უფლებებს: ესენი იყვნენ ქარგლები, დღიური მუშები და ახლად წარმოშობილი ლუმპენპროლეტარიატის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, რომლებიც მოიპოვებიან ქალაქთა განვითარების თვით უდაბლეს საფეხურებზე. საზოგადოდ ლუმპენპროლეტარიატი ისეთი მოვლენაა, რომელიც მეტნაკლებად განვითარებული სახით თითქმის ყველა დღემდე არსებულ საზოგადოებრივ ფაზაში გვხვდება. ფეოდალიზმის დაშლის წყალობით სწორედ იმ დროს მეტად გამრავლდა გაურკვეველი პროფესიისა და მუდმივი ბინის უქონელ ადამიანთა რიცხვი იმ საზოგადოებაში, რომელშიც ყოველი პროფესია, ყოველი სფერო ცხოვრებისა აუარებელი პრივილეგიით იყო დაცული. განვითარებულ ქვეყნებში მაწანწალათა რიცხვი არასოდეს ისე დიდი არ ყოფილა როგორც XVI საუკუნის პირველ ნახევარში. ამათგან ერთი ნაწილი ჯარებში შედიოდა ომების დროს, მეორე ნაწილი მათხოვრობდა ,,კარდაკარ, მესამე ცდილობდა ქალაქებში შავი მუშაობითა და ისეთი საქმიანობით, რომელიც საამქრო წესწყობილებით არ იყო შეზღუდული, ნახევრადმშიერი არსებობა შეენარჩუნებინა. სამივე ნაწილი გარკ-

---

[1] ენგელსს მხედველობაში ჰყავს გერმანელი ბურჟუაზიული ლიბერალები, რომლებიც 1848 — 1849 წლების რევოლუციის დროს ფრანკფურტის ნაციონალური კრებისა და ცალკეულ გერმანულ სახელმწიფოთა კრებების უმრავლესობას შეადგენდნენ. რევოლუციის პირველ თვეებში რიგ სახელმწიფოებში (მაგალითად პრუსიაში) ლიბერალები სათავეში ჩაუდგნენ «კონსტიტუციურ მთავრობებს», მაგრამ შემდეგ ისინი შეცვალეს ბიუროკრატიისა და თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა. ლიბერალები მიისწრაფოდნენ შეენარჩუნებინათ მეფის ხელისუფლება, როგორც რევოლუციის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საწინააღმდეგო ბურჯი. ბურჟუაზიულ კონსტიტუციონალისტთა შემთანხმებლური ტაქტიკა და რეაქციულ პარტიებთან მათი გამცემლური მორიგება წარმოადგენდა გერმანიის რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. რ ე დ.

ვეულ როლს თამაშობს გლეხთა ომში: პირველი — მთავართა ჯარებში, რომლებმაც გლეხები დაამარცხეს, მეორე — გლეხთა შეთქმულებებსა და გლეხთა რაზმებში, სადაც ყოველ წუთში თავს იჩენს მათი ზნეობრივად გამხრწნელი გავლენა, მესამე — ქალაქის პარტიების ბრძოლაში. მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ კლასის ერთ დიდ ნაწილს, რომელიც, სახელდობრ, ქალაქებში ცხოვრობდა, იმ დროს ჯერ კიდევ საკმაოდ საღი გლეხური ბუნება ჰქონდა და ჯერ კიდევ დაშორებული იყო თანამედროვე, ცივილიზებული ლუმპენპროლეტარიატის გამყიდველობასა და გარყვნილებას.

აქედან ჩანს, რომ იმდროინდელი ქალაქების პლებეური ოპოზიცია მეტად შერეული ელემენტებისაგან შედგებოდა. იგი აერთებდა ძველი ფეოდალური და ამქრული საზოგადოების გადაგვარებულ ნაწილებს წარმოშობის პროცესში მყოფი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ჯერ კიდევ ჩანასახობრივ პროლეტარულ ელემენტებთან. ერთი მხრივ იდგნენ ამქრების გაღარიბებული წევრები, რომლებიც პრივილეგიების გამო კიდევ დაკავშირებული იყვნენ ქალაქების არსებულ წყობილებასთან; მეორე მხრივ იდგნენ გაპარტახებული გლეხები და დათხოვნილი მოსამსახურეები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შეეძლოთ პროლეტარები გამხდარიყვნენ. მათ შორის მოქცეული იყვნენ ქარგლები, რომლებიც ამჟამად ოფიციალური საზოგადოების გარეშე იმყოფებოდნენ და თავიანთი ცხოვრების პირობებით იმდენად უახლოვდებოდნენ პროლეტარიატს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმდროინდელი მრეწველობისა და საამქრო პრივილეგიების არსებობისას; ამავე დროს ეს ქარგლები მომავალი ბიურგერები და საამქროს ოსტატები იყვნენ სწორედ ამ საამქრო პრივილეგიების წყალობით. ამიტომ ამ სხვადასხვა ელემენტთა ნარევის პარტიული პოზიცია აუცილებლად მეტისმეტად მერყევიც იყო და ცვალებადიც ადგილობრივი პირობების მიხედვით. გლეხთა ომამდე პლებეური ოპოზიცია პოლიტიკურ ბრძოლებში გამოდის არა როგორც პარტია, არამედ როგორც ბურჟუაზიული ოპოზიციის მაჩანჩალა, რომელიც ბევრს ხმაურობს, ძარცვა-გლეჯაზე უჭირავს თვალი და თავს ჰყიდის ორიოდე კასრი ღვინისთვის. მხოლოდ გლეხთა აჯანყებებმა აქცია იგი პარტიად, და ამის შემდეგაც იგი გლეხკაცობაზე იყო დამოკიდებული თავის მოთხოვნებსა და მოქმედებაში; — ესაა შესანიშნავი საბუთი იმისა, თუ რამდენად იყო ჯერ კიდევ იმ დროს დამოკიდებული ქალაქი სოფლისგან. რამდენადაც პლებეური ოპოზიცია დამოუკიდებლად გამოდის, იგი მო-

ითხოვს ქალაქთა სახელოსნო მონოპოლიების აღდგენას სოფლად, ეწინააღმდეგება ქალაქთა შემოსავლის შეკვეცას ფეოდალური ბეგარისა და გადასახადის შემცირებით გარეუბნებში და სხვ.; ერთი სიტყვით, რამდენადაც იგი რეაქციულია, იგი თავის საკუთარ წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს ემორჩილება და ამრიგად გვაძლევს იმ ტრაგიკომედიის დამახასიათებელ შესავალს, რომელსაც უკვე სამი წელიწადია თანამედროვე წვრილი ბურჟუაზია ასრულებს დემოკრატიის აბრით.

მხოლოდ ტიურინგიაში მიუნცერის უშუალო გავლენით, ხოლო ზოგიერთ სხვა ადგილას მისი მოწაფეების გავლენით, ქალაქების პლებეური ფრაქცია იმდენად გაიტაცა საერთო ქარიშხალმა, რომ ჩანასახობრივმა პროლეტარულმა ელემენტებმა დროებით უპირატესობა მოიპოვეს მოძრაობის სხვა ფრაქციების წინაშე. ეს ეპიზოდი, რომელიც მთელი გლეხთა ომის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს და მისი უდიდესი ფიგურის თ ო მ ა ს მ ი უ ნ ც ე რ ი ს გარშემო ტრიალებს, ამავე დროს ყველაზე მოკლეცაა. თავისთავად ცხადია, რომ პლებეური ფრაქცია ყველაზე ჩქარა უნდა დამარცხებულიყო, რომ მას იმავე დროს ფანტასტიური ელფერი უნდა ჰქონოდა, რომ მისი მოთხოვნები მეტისმეტად გაურკვეველი უნდა ყოფილიყო; სწორედ მას ყველაზე ნაკლებ მტკიცე ნიადაგი ჰქონდა იმდროინდელ პირობებში.

ყველა ამ კლასის დაბლა, ქალაქთა პლებეური ელემენტების გამოკლებით, იდგა ერის დიდი ექსპლოატირებული მასა — გ ლ ე ხ კ ა ც ო ბ ა. გლეხს მხრებზე აწვა მთელი საზოგადოებრივი შენობა: მთავრები, მოხელეები, თავადაზნაურობა, ხუცები, პატრიციები და მოქალაქეები. მთავარს ეკუთვნოდა იგი, აზნაურს, ეპისკოპოსს, მონასტერს თუ ქალაქს. მას ყველგან ისე ეპყრობოდნენ როგორც ნივთს, როგორც მუშა საქონელს და უარესადაც. თუ ყმა იყო იგი, სავსებით ბატონის წყალობასა და რისხვაზე იყო დამოკიდებული. თუ იგი მებეგრე იყო, უკვე კანონიერი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო საკმაო იყო მის მოსადრეკად; ეს სამუშაო კი დღითიდღე მატულობდა. თავისი დროის უდიდესი ნაწილი მას ბატონის მამულზე მუშაობაში უნდა გაეტარებია; ხოლო იქიდან, რასაც იგი თავისთვის ორიოდე თავისუფალი საათის მუშაობით მოიწევდა, მას უნდა გადაეხადა სამეათედო, ღალა, ბეგარა, თავადის სასარგებლო გადასახადები (Bede), გზის გადასახადი (სამხედრო გადასახადი), ადგილობრივი და სახელმწიფო გადასახადები. მას არც დაქორწინება შეეძლო და არც სიკვდილი, ისე რომ სანაზღაურო არ

მიეცა თავისი ბატონისთვის. გარდა ჩვეულებრივი ბეგარის მოხდისა მას ჩალა, მარწყვი, მოცვი, ლოკოკინა უნდა შეეგროვებინა თავისი ბატონისათვის, მარეკობა ეკისრა ნადირობის დროს, შეშა მოეჭრა და სხვ. თევზაობის და ნადირობის უფლება ბატონს ეკუთვნოდა; გლეხს დამშვიდებით უნდა ეცქირა, როგორ ანადგურებდა ნადირი მის მოსავალს. გლეხთა სათემო საძოვრები და ტყეები თითქმის ყველგან მებატონეებმა მიისაკუთრეს ძალით. ბატონი თვითნებურად განაგებდა არა მარტო გლეხის საკუთრებას, არამედ მის პიროვნებას, მისი ცოლისა და ქალიშვილების პიროვნებასა და ბედსაც. მას ეკუთვნოდა პირველი ღამის უფლება. იგი გლეხს ციხეში აგდებდა, როცა ეს მას მოეპრიანებოდა, იქ კი გლეხს წამება ელოდა ისევე, როგორც დღეს დატუსაღებულს სასამართლოს გამოძიება ელის. იგი მას სიკვდილის პირს მიიყვანდა ცემით და თუ მოისურვებდა თავსაც მოჰკვეთდა. ეგრეთწოდებული «კაროლინას» — კარლოს V სისხლის სამართლის კოდექსის საგულისხმო მუხლებიდან, სადაც ჩამოთვლილია «ყურების მოჭრა», «ცხვირის მოჭრა», «თვალების დათხრა», «თითების და ხელების მოჭრა», «თავის მოკვეთა», «ბორბალზე დაკვრა», «დაწვა», «გახურებული მარწუხებით დამშვენთვა», «ოთხად განკვეთა», არც ერთი არაა ისეთი, რომელიც მოწყალე ბატონსა და მფარველს თავისი შეხედულებისამებრ არ გამოეყენებინოს გლეხების წინააღმდეგ. მერედა ვინ დაიცავდა გლეხებს? სასამართლოებში ბარონები, ხუცები, პატრიციები ან იურისტები ისხდნენ, მათ ხომ შესანიშნავად ესმოდათ, თუ რისთვის ეძლეოდათ ჯამაგირი! სახელმწიფოს ყველა ოფიციალური წოდება გლეხკაცობის სისხლს სწოვდა.

თუმცა გლეხები გაბოროტებული იყვნენ ამ საშინელი ჩაგვრის გამო, მაინც ძნელი იყო მათი აჯანყება. მასების დაქსაქსულობა მეტისმეტად აძნელებდა რაიმე შეთანხმებულ გამოსვლას. საუკუნეების განმავლობაში, თაობიდან თაობამდე იგი შეეჩვია მორჩილებას და გადაეჩვია იარაღის ხმარებას, მისი ექსპლოატაციის სიმკაცრე ხან მატულობდა და ხან კლებულობდა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მებატონე, — ყოველივე ეს ხელს უწყობდა იმას, რომ გლეხები მორჩილებაში ჰყოლოდათ. ამიტომ შუა საუკუნეებში ხშირად ვხვდებით გლეხთა ადგილობრივ ამბოხებას, მაგრამ — ყოველ შემთხვევაში გერმანიაში—გლეხთა ომამდე არც ერთხელ არ ჰქონია ადგილი საერთო ეროვნულ გლეხთა აჯანყებას. ამასთან გლეხებს საკუთარი ძალღონით არ შეეძლოთ რევოლუცია მოეხდინათ, სანამ მათ უპირისპირდებოდა მთავრების, თავადაზნაურებისა და ქალა-

ქების ორგანიზებული, შეკავშირებული და შემჭიდროებული ძალა. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მათ გამარჯვების შანსი ჰქონოდათ, თუ კავშირს დაამყარებდნენ სხვა წოდებებთან; მაგრამ როგორ შეეძლოთ გლეხებს სხვა წოდებებს დაკავშირებოდნენ, როცა ყველა მათ ექსპლოატაციას ეწეოდა?

ჩვენ ვხედავთ, რომ XVI საუკუნის დასაწყისში იმპერიის სხვადასხვა წოდებანი—მთავრები, თავადაზნაურობა, პრელატები, პატრიციები, ბიურგერები, პლებეები და გლეხები მეტისმეტად არეულ-დარეულ მასას წარმოადგენდნენ, რომლებსაც სხვადასხვაგვარი და ერთი მეორეში გადახლართული მოთხოვნილებები გააჩნდა. ერთი წოდება გზას უღობავდა მეორეს და დაუსრულებელ, ხან აშკარა, ხან ფარულ ბრძოლას აწარმოებდა ყველას წინააღმდეგ. ასეთ პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო ის გათიშვა მთელი ერისა ორ დიდ ბანაკად, რომელიც იყო საფრანგეთში პირველი რევოლუციის აფეთქების წინ და დღესაც არსებობს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფ დაწინაურებულ ქვეყნებში. ეს გათიშვა დაახლოებით მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა წარმოშობილიყო, თუ ერის უდაბლესი, ყველა დანარჩენი წოდების მიერ ექსპლოატირებული ფენა—გლეხები და პლებეები აღსდგებოდნენ. იმ დროის ინტერესთა, შეხედულებათა და მისწრაფებათა არევ-დარევის წარმოდგენას ის გაგვიადვილებს, თუ გავიხსენებთ, რა არევ-დარევა გამოიწვია უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გერმანელი ერის დღევანდელმა ბევრად ნაკლებ რთულმა შემადგენლობამ, რომელიც ფეოდალურ თავადაზნაურობად, მსხვილ და წვრილ ბურჟუაზიად, გლეხებად და პროლეტარიატად იყოფოდა.

II

დეცენტრალიზაციის, ცალკეული ოლქებისა და პროვინციების დამოუკიდებლობის, პროვინციათა ინდუსტრიული და კომერციული მხრივ ერთი მეორესაგან მოწყვეტის, გზების უქონლობის გამო თითქმის შეუძლებელი იყო იმდროინდელ მრავალგვარ წოდებათა დიდ ერთეულებად დაჯგუფება. ეს დაჯგუფება იწყება მხოლოდ რევოლუციური რელიგიურ-პოლიტიკური იდეების საყოველთაო გავრცელებასთან ერთად რეფორმაციის ეპოქაში. სხვადასხვა წოდებებმა, რომლებიც ამ იდეებს მიემხრნენ ან დაუპირისპირდნენ, მოახდინეს ერის კონცენტრირება — რასაკვირველია დიდი გაჭირვებით და მხოლოდ დაახლოვებით — სამი დიდი ბანაკის: კათოლი-

კური ანუ რეაქციული, ლუთერის ანუ ბიურგერულ-რეფორმისტული და რევოლუციური ბანაკების გარშემო. თუ ჩვენ ერის ამ დიდ გათიშვაში ნაკლებად ვხედავთ თანმიმდევრობას, თუ ჩვენ პირველ ორ ბანაკში ნაწილობრივ ერთსა და იმავე ელემენტებს ვხვდებით, ეს აიხსნება დაშლის იმ მდგომარეობით, რომელშიც შუა საუკუნეებიდან შემორჩენილ ოფიციალურ წოდებათა უმრავლესობა იმყოფებოდა, და იმ დეცენტრალიზაციით, რომლის შედეგად ერთი და იგივე წოდებები სხვადასხვა ადგილას დროებით ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმდინარეობებს უერთდებოდნენ. უკანასკნელ წლებში ისე ხშირად გვქონია შესაძლებლობა დაგვენახა ამგვარივე ფაქტები გერმანიაში, რომ აღარ უნდა გაგვაკვირვოს წოდებათა და კლასთა ასეთმა მოჩვენებითმა აღრევამ XVI საუკუნის ბევრად უფრო რთულ პირობებში.

უკანასკნელი დროის გამოცდილების მიუხედავად, გერმანული იდეოლოგია იმ ბრძოლაში, რომელმაც ბოლო მოუღო შუასაუკუნებრიობას, მბოლოდ გააფთრებულ თეოლოგიურ კონკლამობას ხედავს. თანახმად ჩვენი ისტორიის მცოდნე და სახელმწიფოებრივად გამობრძმედილი მამულიშვილებისა, იმ დროინდელი ადამიანები რომ ზეციური საგნების შესახებ შეთანხმებულიყვნენ, მათ არავითარი საფუძველი არ ექნებოდათ სააქაო საგნების გამო ეჩხუბნათ. ეს იდეოლოგები საკმაოდ მიამიტნი არიან და სარწმუნოდ მიაჩნიათ ყველა ის ილუზია, რომელსაც ესა თუ ის ეპოქა თვითონ ქმნის თავის შესახებ, ანდა რომელსაც იმდროინდელი იდეოლოგები თავიანთი ეპოქის შესახებ ქმნიან. იმავე ყაიდის ადამიანები, მაგალითად, 1789 წლის რევოლუციაში ხედავენ ცოტაოდენ ცხარე კამათს კონსტიტუციური და აბსოლუტური მონარქიის უპირატესობათა შესახებ, ივლისის რევოლუციაში — პრაქტიკულ პაექრობას «ღვთით ნაწყალობევი» უფლების უსაფუძვლობის შესახებ, თებერვლის რევოლუციაში — რესპუბლიკისა თუ მონარქიის საკითხის გადაჭრის ცდას და სხვ. კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა ზ ე, რომელსაც ადგილი აქვს ამ შერყევათა დროს და რომლის გამოხატულებას დროშაზე აღბეჭდილი პოლიტიკური ლოზუნგები წარმოადგენენ, ამ კლასობრივ ბრძოლაზე ჩვენს იდეოლოგებს დღესაც თითქმის არავითარი წარმოდგენა არა აქვთ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამას გვაუწყებენ არა მარტო უცხოეთის ამბები, არამედ მრავალი ათასი გერმანელი პროლეტარის დრტვინვა და გულისწყრომა.

XVI საუკუნის ეგრეთწოდებულ რელიგიურ ომებშიც საკითხი უწინარეს ყოვლისა მეტისმეტად გარკვეულ მატერიალურ კლასობ-

რივ ინტერესებს ეხებოდა და ეს ომები კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება იყო, ისევე როგორც შემდეგი დროის შინაგანი შეჯახებანი ინგლისსა და საფრანგეთში. თუ ეს კლასობრივი ბრძოლა მაშინ რელიგიური ნიშნით ხდებოდა, თუ ცალკე კლასების ინტერესები, მოთხოვნილებები და მოთხოვნები რელიგიური საბურვით იყო დაფარული, ეს სრულებით არ სცვლის საქმის ვითარებას და ადვილად აიხსნება იმ დროის პირობებით.

შუასაუკუნებრიობა სრულიად პრიმიტიულ საფუძველზე განვითარდა. მან სავსებით აღგავა პირისაგან მიწისა ძველი ცივილიზაცია, ძველი ფილოსოფია, პოლიტიკა და იურისპრუდენცია, რათა ყოველივე თავიდან დაეწყო. ერთადერთი, რაც მან დაღუპულ ძველ სამყაროდან ისესხა, იყო ქრისტიანობა და რამდენიმე ნახევრად-დანგრეული, ცივილიზაციისაგან გაძარცული ქალაქი. ამის შედეგად, როგორც ყოველთვისაა განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, გონებრივი განათლების მონოპოლია ხუცებმა ჩაიგდეს ხელთ და ამიტომ თვით განათლებამ უაღრესად თეოლოგიური ხასიათი მიიღო. ხუცების ხელში პოლიტიკა და იურისპრუდენცია, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მეცნიერება, ღვთისმეტყველების უბრალო დარგებად იქცა და იმავე პრინციპებს დაექვემდებარა, რომელიც ამ უკანასკნელში ბატონობდა. ეკლესიის დოგმები ამავე დროს პოლიტიკურ აქსიომებადაც იქცა და ბიბლიის ტექსტებმა ყოველ სასამართლოში კანონის ძალა მიიღო. თვით იმის შემდეგაც კი, როცა იურისტების სპეციალური წოდება წარმოიშვა, იურისპრუდენცია დიდ ხანს ღვთისმეტყველების ზედამხედველობას განიცდიდა. და ღვთისმეტყველების ეს უზენაესი მბრძანებლობა გონებრივი მოქმედების ყველა დარგში აუცილებელი შედეგი იყო ეკლესიის მდგომარეობისა, როგორც არსებული ფეოდალური წესწყობილების საერთო განზოგადოებისა და სანქციისა.

ცხადია, რომ ამ პირობებში ყველა ზოგადი ხასიათის თავდასხმა ფეოდალიზმზე, უწინარეს ყოვლისა თავდასხმა ეკლესიაზე, ყველა რევოლუციური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური დოქტრინა ამასთანავე უმთავრესად თეოლოგიური ერესი უნდა ყოფილიყო. რათა შესაძლებელი გამხდარიყო თავდასხმა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, მას უნდა წართმეოდა სიწმინდის შარავანდედი.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არსებობს რევოლუციური ოპოზიცია ფეოდალობის წინააღმდეგ. პირობების მიხედვით იგი გამოდის ხან როგორც მისტიკა, ხან როგორც აშკარა ერესი, ხან

როგორც შეიარაღებული ამბოხება. რაც შეეხება მისტიკას, ცნობილია როგორ დამოკიდებული იყვნენ მისგან მე-XVI საუკუნის რეფორმატორები; მიუნცერმაც ბევრი რამ ისესხა მისტიკისაგან. ერესი ნაწილობრივ გამოხატავდა პატრიარქალური ალპიელი მწყემსების რეაქციას მათ ქვეყანაში ფეოდალიზმის შეჭრის წინააღმდეგ (ვალდელები)[1]; ნაწილობრივ მომწიფებული ქალაქების ოპოზიციას ფეოდალიზმის წინააღმდეგ (ალბიგოელები[2], ა რ ნ ო ლ დ ბ რ ე ს ჩ ი ე ლ ი და სხვ.); ნაწილობრივ გლეხთა აშკარა ამბოხებას (ჯ ო ნ ბ ო ლ ი, უ ნ გ რ ე ლ ი მოძღვარი[3] პიკარდიაში და სხვ.). ჩვენ აქ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ვალდელების პატრიარქალური ერესი, ისევე როგორც შვეიცარიელების აჯანყებაც, რომელიც ფორმითაც და შინაარსითაც წარმოადგენდა რეაქციულ ცდას გამიჯვნოდა ისტორიულ მოძრაობას და რომელსაც ამასთანავე მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. შუასაუკუნებრივი ერესის ორი დანარჩენი ფორმით ჩვენ უკვე XII საუკუნეში ვპოულობთ წინამორბედს იმ დიდი წინააღმდეგობისა ბურჟუაზიულ და გლეხურ-პლებეურ ოპოზიციას შორის, რომელმაც გლეხთა ომი დაღუპვამდე მიიყვანა. ეს წინააღმდეგობა ზოლივით გასდევს მთელ გვიან შუა საუკუნეებს.

ქალაქთა ერესი — სწორედ ის არის შუა საუკუნეების ოფიციალური ერესი — უმთავრესად მიმართული იყო ხუცების წინააღ-

---

[1] ვ ა ლ დ ე ლ ე ბ ი — XII ს. დამლევს სამხრეთ საფრანგეთის ქალაქების დაბალ ფენებს შორის აღმოცენებული რელიგიური სექტა. გადმოცემის თანახმად მისი დამაარსებელი იყო ნიონელი ვაჭარი პეტრე ვალდი. ვალდელები ქადაგებდნენ ქონებაზე უარის თქმას, ჰკიცხავდნენ კათოლიკური ეკლესიის მიერ სიმდიდრის დაგროვებას და მოუწოდებდნენ ადრინდელი ქრისტიანობის წესებისადმი დაბრუნებას. ვალდელების ერესი გავრცელდა აგრეთვე ალპიელ მწყემსებს შორის, რომლებთანაც მან მიიღო პირველყოფილი-თემური წყობილების გადმონაშთთა და პატრიარქალურ ურთიერთობათა დაცვის ხასიათი. რ ე დ.

[2] ა ლ ბ ი გ ო ე ლ ე ბ ი — XI — XIII სს. სამხრეთ საფრანგეთისა და ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებში ფართოდ გავრცელებული რელიგიური სექტა. მისი მთავარი კერა იყო სამხრეთ საფრანგეთის ქალაქი ალბი. ალბიგოელები, რომლებიც ილაშქრებდნენ ბრწყინვალე კათოლიკური მღვდელმსახურებისა და საეკლესიო იერარქიის წინააღმდეგ, რელიგიური ფორმით გამოხატავდნენ სამხრეთის ქალაქების ვაჭარ-ხელოსანთა მოსახლეობისა და მასთან ეკონომიურად დაკავშირებული თავადაზნაურობის ნაწილის ადრინდელ პროტესტს ფეოდალიზმის წინააღმდეგ. პაპმა ინოკენტი III მოაწყო 1209 წ. ჯვაროსანთა ლაშქრობა ალბიგოელების წინააღმდეგ. ოცი წლის ომისა და გააფთრებული რეპრესიების შედეგად მათი მოძრაობა ჩახშობილ იქნა. რ ე დ.

[3] — ამ სახელით ცნობილი იყო ერთ-ერთი ბელადი 1251 წ. გლეხთა აჯანყებისა (ეგრეთწოდებული «მწყემსი ბიჭებისა») საფრანგეთში. რ ე დ.

მდეგ, რომელთა სიმდიდრესა და პოლიტიკურ მდგომარეობას იგი თავს ესხმოდა. როგორც დღეს ბურჟუაზია იაფფასიან მთავრობას gouvernement á bon marché მოითხოვს, ისე შუა საუკუნეების ბიურგერები უწინარეს ყოვლისა église á bon marché (იაფფასიან ეკლესიას) მოითხოვდნენ. ბიურგერთა ერესი რეაქციული იყო ფორმით, როგორც ყოველი ერესი, რომელიც ეკლესიისა და დოგმების შემდგომ განვითარებაში მხოლოდ გადაგვარებას ხედავს. იგი მოითხოვდა ადრინდელი ქრისტიანული ეკლესიის მარტივი წყობილების აღდგენას და განსაკუთრებული სასულიერო წოდების მოსპობას. ეს იაფფასიანი წესწყობილება სპობდა ბერებს, პრელატებს, რომის სასახლეს, ერთი სიტყვით ყოველივეს, რაც ეკლესიაში დიდ ხარჯს მოითხოვდა. ქალაქებმა, რომლებიც თვითონ რესპუბლიკებს წარმოადგენდნენ მიუხედავად იმისა, რომ მონარქების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, პაპობაზე თავიანთი თავდასხმებით პირველად გამოთქვეს ზოგადი სახით ის დებულება, რომ ბურჟუაზიის ბატონობის ნორმალურ ფორმას შეადგენს რესპუბლიკა. მათი მტრული დამოკიდებულება მთელი რიგი საეკლესიო დოგმებისა და კანონებისადმი ნაწილობრივ ზემოთქმულით აიხსნება, ხოლო ნაწილობრივ მათი ცხოვრების სხვა პირობებით. თუ რად გამოდიოდნენ, მაგალითად, ისინი ასე ცხარედ სამღვდელოების უცოლობის წინააღმდეგ, ამას ყველაზე უკეთ ბოკაჩიო არკვევს. ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენლები იყვნენ არნოლდ ბრესჩიელი იტალიასა და გერმანიაში, ალბიგოელები სამხრეთ საფრანგეთში, ჯონ ვიკლიფი ინგლისში, ჰუსი და კალიქსტინელები[1] ჩეხეთში. ის გარემოება, რომ ფეოდალიზმის საწინააღმდეგო ოპოზიცია აქ გამოდის

---

[1] კ ა ლ ი ქ ს ტ ი ნ ე ლ ე ბ ი დ ა თ ა ბ ო რ ე ლ ე ბ ი — ორი მიმდინარეობა ჩეხეთის ჰუსიტთა ნაციონალურ-განმთავისუფლებელ და რეფორმაციულ მოძრაობაში, (XV ს. პირველი ნახევარი), რომელიც მიმართული იყო გერმანელი თავადაზნაურობის, გერმანული იმპერიისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. კალიქსტინელები (ანუ მეთასეები, ვინაიდან ისინი მოითხოვდნენ წმინდა ზიარებას არა მარტო პურით, არამედ ღვინითაც თასებში), რომლებიც ჩეხელ თავადაზნაურობას და ბიურგერობას ეყრდნობოდნენ, მიისწრაფოდნენ ღაკმაყოფილებულიყვნენ ზომიერი საეკლესიო რეფორმით და საეკლესიო მამულების სეკულარიზაციით. თაბორელები (ქალაქ თაბორიდან — მოძრაობის ცენტრიდან) შეადგენდნენ ჰუსიტების რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრთას და თავიანთი მოთხოვნებით გამოხატავდნენ გლეხთა მასებისა და ქალაქის დაბალი ფენების მისწრაფებას ყოველგვარი ფეოდალური ჩაგვრის ლიკვიდაციისაკენ. კალიქსტინელთა მოღალატური გამოსვლა თაბორელების წინააღმდეგ, გამოყენებულ იქნა ფეოდალური რეაქციის ბანაკის მიერ ჰუსიტთა მოძრაობის ჩასახშობად. რ ე დ.

როგორც სასულიერო ფეოდალიზმის საწინააღმდეგო ოპოზიცია, აიხსნება უბრალოდ იმით, რომ მოქალაქეები ,ყველგან უკვე აღიარებულ წოდებას წარმოადგენდნენ და მათ უკვე საკმაო ძალა შესწევდათ, რათა საერო ფეოდალიზმისა და მისი პრივილეგიების წინააღმდეგ ებრძოლათ იარაღით თუ წოდებათა კრებებზე.

აქ ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ როგორც სამხრეთ საფრანგეთში, ისე ინგლისსა და ჩეხეთში დაბალი თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი ქალაქებს ემხრობა ხუცების საწინააღმდეგო ბრძოლასა და ერესში; ეს მოვლენა აიხსნება დაბალი თავადაზნაურობის დამოკიდებულებით ქალაქებზე ,და ორივე მათ ინტერესთა წინააღმდეგობით მთავრების და პრელატების მიმართ; ამ მოვლენას ჩვენ ხელახლა შევხვდებით გლეხთა ,ომში.

სულ სხვა ხასიათი ჰქონდა ერესს, რომელიც გლეხური და პლებეური მოთხოვნილებების პირდაპირ გამოხატულებას წარმოადგენდა და თითქმის ყოველთვის აჯანყებასთან იყო დაკავშირებული. მართალია, იგი იზიარებდა ბიურგერული ერესის ყველა მოთხოვნას ხუცებისა, პაპობისა და ადრინდელი ქრისტიანული საეკლესიო წყობილების აღდგენის შესახებ, მაგრამ ,ამასთან ბევრად უფრო შორს მიდიოდა. იგი მოითხოვდა, რომ რელიგიური თემის წევრებს შორის აღდგენილიყო ადრინდელი ქრისტიანული თანასწორობა, და რომ ეს თანასწორობა ნორმად გადაქცეულიყო საერო ქვეყნიერებისთვისაც. «ღვთის შვილთა თანასწორობიდან» მას გამოჰყავდა სამოქალაქო და უკვე მაშინ ნაწილობრივ თვით ქონებრივი თანასწორობაც. თავადაზნაურობის გათანასწორება გლეხებთან, პატრიციებისა და პრივილეგირებულ მოქალაქეთა — პლებეებთან, ბეგარის, ღალის, გადასახადების, პრივილეგიების გაუქმება და ყოველ შემთხვევაში უმძაფრესი ქონებრივი განსხვავების მოსპობა — აი ის მოთხოვნები, რომლებსაც მეტი თუ ნაკლები გარკვეულობით აყენებდნენ და რომლებსაც ადრინდელი ქრისტიანული მოძღვრების აუცილებელ შედეგად თვლიდნენ. ეს გლეხურ-პლებეური ერესი, რომელიც ფეოდალიზმის აყვავების ხანაში, მაგალითად ალბიგოელებს შორის ჯერ კიდევ ძნელი გამოსაყოფია ბიურგერული ერესისაგან, შემდეგ XIV და XV საუკუნეებში მკაცრად ჩამოყალიბებულ პარტიულ შეხედულებად იქცევა და სრულიად დამოუკიდებლად გამოდის ბიურგერული ერესის გვერდით. ასეთია მაგალითად ჯონ ბოლი, უოტ-ტაი-

ლერის[1] აჯანყების მქადაგებელი, რომელიც ვიკლიფის მოძრაობის გვერდით გამოდის ინგლისში, ასეთი არიან თაბორელები[2], რომელნიც კალიქსტინელების გვერდით გამოდიან ჩეხეთში. თაბორელებს ჯერ კიდევ მაშინ თეოკრატულ საბურველ ქვეშ რესპუბლიკური ტენდენციაც კი ეტყობათ, ეს ტენდენცია შემდეგ მე-XV საუკუნის დასასრულსა და მე-XVI საუკუნის დამდეგს გერმანიაში განავითარეს პლებეების წარმომადგენლებმა.

ერესის ამ ფორმას მიეკუთვნება მისტიკური სექტების ფლაგელანტთა, ლოლარდთა[3] და სხვ. ბოდვა, ეს სექტები რევოლუციურ ტრადიციას განაგრძობდნენ რეაქციის ხანაში.

პლებეები იმ დროს ერთადერთ კლასს წარმოადგენდნენ, რომლებიც სავსებით ოფიციალური საზოგადოების გარეშე იდგნენ. ისინი არ ეკუთვნოდნენ არც ფეოდალთა და არც ბიურგერთა წრეს. მათ არც პრივილეგიები ჰქონდათ, არც საკუთრება; მათ ისიც არ ჰქონდათ, რაც გლეხებს და წვრილ ბიურგერებს გააჩნდათ, სახელდობრ, გადასახადებით გადატვირთული საკუთრება. ისინი სრულიად უქონელნი და უუფლებონი იყვნენ; მათი ცხოვრების პირობები ისეთი იყო, რომ მათ უშუალოდ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ არსებულ დაწესებულებებთან, რომელნიც თავიანთი მხრივ

---

[1] საუბარია ერთ-ერთ ყველაზე დიდ გლეხთა აჯანყებაზე ინგლისში 1381 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში. აჯანყებულმა გლეხებმა ქარგალთა და ქალაქის დაბალი ფენების დახმარებით, აიღეს ლონდონი, მაგრამ თავიანთი ბელადის უოტ ტაილერის მოკვლით დემორალიზებულებმა, დაუჯერეს მეფე რიჩარდ II დაპირებებს, დატოვეს ლონდონი და შინ დაბრუნდნენ. ფეოდალებმა ისარგებლეს ამით და ულმობლად გაუსწორდნენ აჯანყების მონაწილეებს. ახალი აფეთქებით შეშინებული თავადაზნაურობა იძულებული გახდა პრაქტიკულად განეხორციელებინა გლეხთა ზოგიერთი მოთხოვნა. აჯანყებამ კერძოდ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბატონყმობის გაუქმებას ინგლისში. რ ე დ.

[2] იხ. ამ გამოცემის 41 გვერდის შენიშვნა. რ ე დ.

[3] ფ ლ ა გ ე ლ ა ნ ტ ე ბ ი (ანუ მგეემელნი)—რელიგიურ-ასკეტური სექტა, რომელიც გავრცელდა ევროპაში XIII — XV ს. ს. ფლაგელანტები ეადაგებდნენ, რომ საკუთარი სხეულის გვემით შეიძლებოდა ცოდვათა გამოსყიდვა.

ლ ო ლ ა რ დ ე ბ ი (სიტყვასიტყვით «მგოდებელნი») — რელიგიური სექტა ინგლისში (წარმოიშვა XIV ს.), რომელსაც მტრული დამოკიდებულება ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიასთან. ამ სექტამ მიიღო ინგლისელი რეფორმატორის ვიკლიფის მოძღვრება, ოღონდ უფრო რადიკალური დასკვნები გამოიტანა მისგან და რელიგიურ-მისტიკური ფორმით გამოვიდა ყოველგვარი ფეოდალური პრივილეგიების წინააღმდეგ. ბრავლეა ლოლარდა, რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენდნენ ხალხთა მასებიდან გამოსული პირნი და დაბალი სამღვდელოების წარმომადგენლები, მონაწილეობა მიიღო უოტ ტაილერის 1381 წლის აჯანყებაში. XIV ს. დასასრულიდან ლოლარდები სასტიკ დევნას განიცდიდნენ. რ ე დ.

სრულიად უგულებელჰყოფდნენ პლებეებს, ისინი წარმოადგენდნენ ფეოდალური და ამქრულ-ბიურგერული საზოგადოების დაშლის ცოცხალ სიმპტომს და ამასთანავე თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების პირველ წინამორბედს.

ამ მდგომარეობით აიხსნება, რატომ არ შეეძლო პლებეურ ფრაქციას ჯერ კიდევ მაშინ მარტო ფეოდალიზმისა და პრივილეგირებული მოქალაქეების წინააღმდეგ ბრძოლით დაკმაყოფილებულიყო; რატომ უნდა გასცილებოდა იგი, თუნდაც თავის ფანტაზიაში, მაშინ ჯერ ოდნავ ფეხადგმულ თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რატომ უნდა გაეხადა მას, სრულიად უქონელთა ფრაქციას, საეჭვოდ ის დაწესებულებანი, შეხედულებანი და წარმოდგენები, რომლებიც საერთონი არიან კლასობრივ წინააღმდეგობებზე დამყარებული საზოგადოებრივი ფორმებისთვის. ადრინდელი ქრისტიანობის ქილიასტური ოცნებანი[1] საამისოდ მოხერხებულ გამოსავალ პუნქტს იძლეოდნენ. მაგრამ ამასთანავე ეს გადალახვა არა მარტო აწმყოსი, არამედ თვით მომავლისაც შეიძლებოდა მხოლოდ ფანტასტიური, ძალდატანებითი ყოფილიყო და პრაქტიკული გამოყენების პირველ ცდასთანვე იმ ვიწრო ჩარჩოებს უნდა დაბრუნებოდა, რომელიც იმდროინდელ პირობებს შეეფერებოდა. თავდასხმა კერძო საკუთრებაზე, ქონების განზოგადოების მოთხოვნა ქველმოქმედების პრიმიტიულ ორგანიზაციად უნდა გადაგვარებულიყო; ქრისტიანული თანასწორობის გაურკვეველი იდეა საუკეთესო შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილებულიყო ბურჟუაზიული «თანასწორობით კანონის წინაშე»; ყოველი ხელისუფლების მოსპობა ბოლოს ხალხის მიერ რესპუბლიკური მთავრობების არჩევად გადაიქცა. კომუნიზმის განჭვრეტა ფანტაზიის მიერ სინამდვილეში თანამედროვე ბურჟუაზიული ურთიერთობის წინასწარგანჭვრეტად იქცა.

ეს სინამდვილესთან დაპირისპირებული, მაგრამ პლებეური ფრაქციის ცხოვრების პირობებით ადვილად ასახსნელი განჭვრეტა შემდგომი ისტორიისა პირველად გერმანიაში გვხვდება ტომას მიუნცერისა და მისი პარტიის აზროვნებაში. მართა-

[1] ქილიაზმი (ბერძნული სიტყვიდან, «ქილიას» — ათასი) — რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება ქრისტეს მეორედ მოსვლისა და სამართლის, საყოველთაო თანასწორობისა და სვიანობის «ათასწლიანი სუფევის» დამყარების შესახებ. ქილიასტური რწმენანი წარმოიშვნენ მონათმფლობელური წყობილების დაშლის პერიოდში, მშრომელთა აუტანელი ჩაგვრისა და ტანჯვის საფუძველზე, რომელნიც ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ფანტასტიკურ ოცნებებში ეძებდნენ. ეს შეხედულებანი ფართოდ გავრცელდა ადრინდელი ქრისტიანობის დროს და შემდგომ შუადამ ხდებოდა მაოი აღდგენა სხვა შუასაუკუნებრივი სექტების მოძღვრებებში. რედ.

ლია თაბორელებსაც უკვე ჰქონდათ ქონების ერთგვარი ქილიასტური განზოგადოება, მაგრამ მხოლოდ როგორც წმინდა სამხედრო ღონისძიება. მხოლოდ მ ი უ ნ ც ე რ ი ს აზროვნებაში გამოხატავენ ეს კომუნისტური იდეები უკვე ნამდვილი საზოგადოებრივი ფრაქციის მისწრაფებებს, მხოლოდ აქ ყალიბდებიან ისინი გარკვეული ფორმულის სახით და მის შემდეგ ჩვენ ამ იდეებს ყოველ დიდ სახალხო მოძრაობაში ვხვდებით, სანამ ისინი ბოლოს ნელნელა შეუერთდნენ თანამედროვე პროლეტარულ მოძრაობას; სწორედ ისე, როგორც შუა საუკუნეებში თავისუფალი გლეხობის ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, რომელიც მას თანდათან ჰბოჭავდა, შეუერთდა ყმებისა და მებეგრეების ბრძოლას ფეოდალიზმის სრული მოსპობისათვის.

იმ დროს, როდესაც ამ სამ დიდ ბანაკს შორის პირველში, ე. ი. კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ი უ ლ-კ ა თ ო ლ ი კ უ რ ბანაკში, თავი მოიყარა ყველა ელემენტმა, რომელიც დაინტერესებული იყო არსებული წესწყობილების შენარჩუნებით, ე. ი. საიმპერიო ხელისუფლებამ, სასულიერო და ნაწილობრივ საერო მთავრებმა, შეძლებულმა თავადაზნაურობამ, პრელატებმა და ქალაქის პატრიციატმა, — ბ ი უ რ გ ე რ უ ლ-ზ ო მ ი ე რ ი, ლ უ თ ე რ ა ნ უ ლ ი რეფორმის გარშემო კი ოპოზიციის ძესაკუთრული ელემენტები შეიკრიბნენ — დაბალი თავადაზნაურობის მასა, და ასე გასინჯეთ საერო მთავრების ერთი ნაწილიც კი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ საეკლესიო ქონების კონფისკაციით გამდიდრდებოდა და ცდილობდა გამოეყენებინა ხელსაყრელი მომენტი იმპერიისაგან მეტი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ბოლოს გლეხები და პლებეები რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ პარტიაში შემეიდროვდნენ, ამ პარტიის მოთხოვნანი და მოძღვრებანი ყველაზე მკვეთრად მიუნცერმა გამოსთქვა.

ლუთერი და მიუნცერი როგორც თავიანთი მოძღვრებით, ისე თავიანთი ხასიათით და გამოსვლებით საესებით განასახიერებენ თავიანთ პარტიებს.

ლ უ თ ე რ მ ა 1517 წლიდან 1525 წლამდე განიცადა იგივე ევოლუცია, რომელიც თანამედროვე გერმანელმა კონსტიტუციონალისტებმა განიცადეს 1846 წლიდან 1849 წლამდე და რომელსაც განიცდის ყოველი ბურჟუაზიული პარტია, როცა იგი დროებით მოძრაობის სათავეში მოექცევა და როცა მას ამ მოძრაობაში წინ გაუსწრებს მის უკან მდგომი პლებეური ან პროლეტარული პარტია.

როცა ლუთერი 1517 წელს პირველად კათოლიკური ეკლესიის დოგმებისა და წესწყობილების წინააღმდეგ გამოვიდა, მის ოპოზი-

ციას ჯერ კიდევ სრულიადაც არ ჰქონდა გარკვეული ხასიათი. თუმცა იგი არ სცილდებოდა წინანდელი ბიურგერული ერესის მოთხოვნათა ფარგლებს, მაგრამ იგი არ გამორიცხავდა არც ერთ უფრო რადიკალურ მიმართულებას და არც შეეძლო ეს გაეკეთებინა. პირველ მომენტში საჭირო იყო ყველა ოპოზიციური ელემენტის გაერთიანება, გადამწყვეტი რევოლუციური ენერგიის განვითარება და კათოლიკური მართლმორწმუნეობისათვის დაპირისპირება მანამდე არსებული ერესების მთელი მასისა. სწორედ ასევე ჩვენი ლიბერალი ბურჟუები ჯერ კიდევ 1847 წელს რევოლუციონერები იყვნენ, თავიანთ თავს სოციალისტებსა და კომუნისტებს უწოდებდნენ და თავი მოჰქონდათ მუშათა კლასის განთავისუფლების იდეებით. თავისი გამოსვლის ამ პირველ პერიოდში ლუთერის ღონიერმა გლეხურმა ბუნებამ შმაგად იჩინა თავი. «თუ მათი (ე. ი. რომაელი ხუცების) გააფთრებული ბორგვა კიდევ გაგრძელდა, ჩემი აზრით საუკეთესო დარიგება და წამალი ამის გასაკურნავად ის იქნებოდა, რომ მეფეები და მთავრები ძალას მიმართავდნენ, აღიჭურვებოდნენ და ამ მავნე ადამიანებს, რომელნიც მთელ ქვეყანას სწამლავენ, თავს დაესხმოდნენ და ბოლოს მოუღებდნენ ი ა რ ა ღ ი თ დ ა ა რ ა ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ. თუ ჩვენ ქურდებს მახვილით ვსჯით, კაცის მკვლელებს საღხრჩობელათი, ხოლო ერეთიკოსებს ცეცხლით, რატომ ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ ი ი ა რ ა ღ ი თ თავს არ ვესხმით ამ გარყვნილების მავნებელ მასწავლებელთ, პაპებსა, კარდინალებსა, ეპისკოპოსებს და რომის სოდომის მთელ ხროვას და რ ა ტ ო მ მ ა თ ი ს ი ს ხ ლ ი თ ა რ ვ ი ბ ა ნ თ ხ ე ლ ე ბ ს?».

მაგრამ ეს პირველი რევოლუციური აღგზნება დიდ ხანს როდი გაგრძელებულა. ლუთერის მიერ გამოწვეული მეხი გავარდა. მთელი გერმანელი ერი ამოძრავდა. ერთი მხრივ, გლეხებმა და პლებეებმა აჯანყების ნიშანი დაინახეს მის მოწოდებაში ხუცების წინააღმდეგ, მის ქადაგებაში ქრისტიანული თავისუფლების შესახებ; მეორე მხრივ, მას უფრო ზომიერი ბიურგერები და დაბალი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი მიემხრნენ; თვით მთავრებიც კი გაიტაცა საერთო ნიაღვარმა. ზოგიერთს ეგონა — დადგა დღე, როცა შეგვიძლია ანგარიში გავუსწოროთ ყველა მჩაგვრელსო, ზოგიერთს კი მხოლოდ ის უნდოდა, ბოლო მოეღოთ ხუცების ბატონობისა და რომისაგან დამოკიდებულებისათვის, მოესპოთ კათოლიკური იერარქია და საეკლესიო ქონების კონფისკაციით გამდიდრებულიყვნენ. პარტიები გაითიშნენ და თავიანთი წარმომადგენლები იპოვეს. ლუთერს არჩევანი უნდა მოეხდინა მათ შორის. ეს ადამიანი, რომელ-

საც საქსონიის კურფიურსტი მფარველობდა, რომელიც ვიტენბერგის პატივცემულ პროფესორად ითვლებოდა, და რომელმაც ერთ ღამეში ძალა და სახელი მოიხვეჭა, ეს დიდი ადამიანი, რომელიც მისგან დამოკიდებული კაცუნებით და მლიქვნელებით იყო გარშემორტყმული, ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა. მან ზურგი შეაქცია მოძრაობის ხალხურ ელემენტებს და ბიურგერების, თავადაზნაურობისა და მთავრების მხარეს გადავიდა. მოწოდებანი, რომ რომის წინააღმდეგ გამანადგურებელი ომი ვაწარმოვოთო, დადუმდნენ; ლუთერმა ახლა უკვე მშვიდობიანი განვითარებისადა პასიურ წინააღმდეგობის ქადაგება დაიწყო (შეად., მაგალითად, «გერმანელი ერის თავადაზნაურობისადმი» 1520 წ.) ჰუტენის მიწვევაზე: ჩემთან და ზიკინგენთან მოდი ებერნბურგშიო (ეს იყო ცენტრი თავადაზნაურობის შეთქმულებისა ხუცების და მთავრების წინააღმდეგ), ლუთერმა უპასუხა: «მე არ მინდა, რომ სახარება ძალმომრეობითა დასისხლის ღვრით დავიცვათ. ქვეყანა სიტყვამ დასძლია, ეკლესია სიტყვამ შეინახა, იგი ხელახლა სიტყვით აღსდგება და რაკი ანტიქრისტე თავისას მიიღებს ძალმომრეობის გარეშე, უძალმომრეოდ დაემხობაო».

ამ შემობრუნებით ან, უკეთ რომ ვთქვათ, ლუთერის მიმართულების ამ უფრო მკვეთრად ჩამოყალიბებით დაიწყო ის ვაჭრობა და აწონ-დაწონვა შესანარჩუნებელ თუ გარდასაქმნელ დაწესებულებების და დოგმების შესახებ, ის საზიზღარი დიპლომატური ფანდები, შემთანხმებლობა, ინტრიგანობა და გარიგებანი, რომლის შედეგი სწორედ აუგსბურგის მრწამსი იყო — ეს საბოლოო ანგარიშში ვაჭრობით მიღებული კონსტიტუცია რეფორმაქმნილი ბიურგერული ეკლესიისა[1]. ეს საკვლევით იგივე ოინბაზობაა, რომელიც უკანასკნელ დროს გულის არევას იწვევს, ისე ხშირად მეორდება პოლიტიკური ფორმით გერმანულ ეროვნულ კრებებსა, შემათანხმებელ ყრილობებსა, კონსტიტუციის სარეკიზიო კამერებ-

---

[1] აუგსბურგის მრწამსი—ლუთერანობის საფუძველთა გადმოცემა, რომელიც 1520 წ. წარუდგინეს იმპერატორ კარლოს V საიმპერიო სეიმზე აუგსბურგში, წარმოადგენს იაფფასიანი ეკლესიის შესახებ (საზეიმო წესების გაუქმება, საეკლესიო იერარქიის გამარტივება) ბიურგერთა იდეალების შეგუებას მთავრების ინტერესებისადმი. პაპის ნაცვლად ეკლესიის მეთაურად გამოცხადებულ იქნა მთავარი. აუგსბურგის მრწამსი უკუაგდო იმპერატორმა. მის წინააღმდეგ იმ მთავრების ომი, რომლებმაც მიიღეს ლუთერანული რეფორმაცია და შეკრეს ამ რეფორმაციის დასაცავად შმალკალენის კავშირი, დამთავრდა 1555 წ. აუგსბურგის რელიგიური ზავით; ამ ზავმა დაამტკიცა ყოველი მთავრის უფლება თავისი შეხედულებისდა მიხედვით განესაზღვრა თავის ქვეშევრდომთა რელიგია. რ ე დ.

სა და ერფურტის პარლამენტში [1]. ოფიციალური რეფორმაციის ფილისტერულმა ხასიათმა სავსებით აშკარად იჩინა თავი ამ მოლაპარაკებებში.

სერიოზული საფუძველი ჰქონდა იმას, რომ ლუთერი, ამიერიდან ბიურგერული რეფორმის ოფიციალური წარმომადგენელი, ქადაგებდა პროგრესს კანონის ფარგლებში. ქალაქების უმრავლესობა ზომიერ რეფორმას მიემხრო; დაბალი თავად-აზნაურობა თანდათან მას ემხრობოდა, იგივე ითქმის მთავრების ერთ ნაწილზე, ხოლო მეორე ყოყმანობდა. მისი წარმატება უზრუნველყოფილი იყო, ყოველ შემთხვევაში გერმანიის ერთ დიდ ნაწილში. თუ მშვიდობიანი განვითარება გაგრძელდებოდა, დიდი ხნით ვერც დანარჩენი კუთხეები. გაუძლებდნენ ზომიერი ოპოზიციის შეტევას. ყოველ ძალდატანებულ შერყევას კი ზომიერი პარტია უნდა დაეჯახებია უკიდურეს პლებეურ-გლეხურ პარტიასთან, მოძრაობისთვის ჩამოეცილებინა მთავრები, თავადაზნაურობა და მრავალი ქალაქი; ამით მხოლოდ ორი გამოსავალი რჩებოდა: ან ბიურგერულ პარტიას გლეხები და პლებეები დასძლევდნენ, ან მთელ მოძრაობას კათოლიკური რესტავრაცია დათრგუნავდა. ხოლო როგორ ცდილობენ ბურჟუაზიული პარტიები, როდესაც კი მცირეოდენ გამარჯვებას მოიპოვებენ, კანონის ფარგლებით შეზღუდული პროგრესის შემწეობით მიუხვ-მოუხვიონ რევოლუციის სცილასა და რესტავრაციის ხარიბდას შორის, ამის მაგალითი საკმაოდ ბევრი გვქონდა უკანასკნელი დროის განმავლობაში.

როგორც იმ დროის საერთო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობებში ყოველი ცვლილების შედეგები აუცილებლად მთავრებისთვის უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი და მათი ძალა უნდა გაედიდებია, ისე ბიურგერული რეფორმაც მით უფრო უნდა დაქვემდებარებოდა რეფორმაციის მომხრე მთავრების კონტროლს, რაც უფრო მკაფიოდ ეთიშებოდა იგი პლებეურ და გლეხურ ელემენტებს. თვით ლუთერი თანდათან მთავრების შინაყმად იქცეოდა, და ხალხსაც კარგად ესმოდა თუ, რას სჩადიოდა, როცა ამბობდა — ლუთერი სხვებივით მთავრების მსახური შეიქნაო და როცა მას ორლამიუნდეში ქვები დაუშინა.

---

[1] იგულისხმება 1850 წ. ერფურტში 20 მარტიდან 29 აპრილამდე მოწვეული პარლამენტი, რომელშიც მონაწილეობდნენ გერმანული სახელმწიფოები, გაერთიანებულნი პრუსიის მიერ შექმნილ «გერმანიის უნიაში». პარლამენტის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა კონტრრევოლუციური პრუსიის მეთაურობით გერმანიის გაერთიანებისათვის გეგმების შედგენა, რამაც იმ პერიოდში მარცხი განიცადა. «გერმანიის უნიის» დაშლამ ბოლო მოუღო ერფურტის პარლამენტის არსებობას. რ ე დ.

როდესაც გლეხთა ომი ატყდა და ისიც ისეთ კუთხეებში, სადაც მთავრები და თავადაზნაურობა უმეტესწილად კათოლიკენი იყვნენ, ლუთერი შეეცადა შუამავლის როლში გამოსულიყო. იგი მედგრად დაესხა თავს ხელისუფალთ. ამბოხება მათ გამოიწვიეს თავიანთი ჩაგვრითო; მათ წინააღმდეგ გლეხები კი არა, თვით ღმერთი ჯანყდაო. მაგრამ მეორე მხრივ ამბოხებაც, რა თქმა უნდა, ღვთისა და სახარების საწინააღმდეგო საქმეაო. ბოლოს მან ორივე პარტიას მოუწოდა ერთმანეთისათვის დაეთმოთ და მშვიდობით მორიგებულიყვნენ.

მაგრამ ამ კეთილგანზრახული შუამავლობის მიუხედავად აჯანყება ჩქარა გავრცელდა, მოედო თვით პროტესტანტულ კუთხეებს, რომელთაც ლუთერანი მთავრები, ბატონები ან ქალაქები განაგებდნენ, და სწრაფად გადალახა ბიურგერული, «კეთილგონივრული» რეფორმა. მეამბოხეთა ყველაზე გაბედულმა ფრაქციამ მიუნცერის მეთაურობით ლუთერის მახლობლად, ტიურინგიაში, გაშალა თავისი მთავარი ბანაკი. კიდევ რამდენიმე გამარჯვება და შეიძლება მთელი გერმანია ცეცხლის ალში გახვეულიყო, ლუთერისთვის ალყა შემოერტყათ და როგორც მოღალატე რაზმებს შუა გაეტარებიათ გასაწკეპლად, ხოლო მთელი ბიურგერული რეფორმა გლეხურ-პლებეური რევოლუციის წარღვნას წაელეკა. მოფიქრებისათვის აღარ იყო დრო. რევოლუციის წინაშე დავიწყებას მიეცა ყველა ძველი მტრობა; გლეხთა ბრბოებთან შედარებით რომის სოდომის მსახურნი უცოდველ კრავებად იქცნენ, ღმერთის უწყინარ ყრმებად; ბიურგერები და მთავრები, თავადაზნაურობა და ხუცები, ლუთერი და პაპი გაერთიანდნენ «სისხლისმსმელ და მძარცველ გლეხთა ბრბოების წინააღმდეგ»[1]. «ვისაც კი ძალგვიძს, უნდა მ ო ვ ს რ ნ ა თ ისინი, დ ა ვ ა ხ რ ჩ ო თ და გ ა ვ გ მ ი რ ო თ, ფ ა რ უ ლ ა დ იქნება ეს თუ ა შ კ ა რ ა დ, როგორც ც ო ფ ი ა ნ ძ ა ღ ლ ს ვკლავთ ხოლმე!» — გაიძახოდა ლუთერი... «ამიტომ, ბატონებო, სააქაოს ახსენით და საიქიოს იხსენით, განგმირეთ, დაჰკარით, დაასრჩვეთ ვისაც შეგიძლიათ. დიდება მათ, ვინც ამ ბრძოლაში მოკვდება, რადგან უნეტარეს სიკვდილს ვერ ისურვებდით». საჭირო არაა ყალბი ლმობიერების გამოჩენა გლეხებისადმი. თვითონ უერთდება აჯანყებულთ ის, ვინც იცოდებს იმათ, რომელნიც ღმერთმა კი არ შეიცოდა, არამედ დასაჯა და წაწყმიდა. შემდეგ თვით გლეხები ღმერთს მადლობას შესწირავენ: ერთი ძროხა რომ გაიღეს, მეორეს

[1] ამ სახელწოდებით ლუთერმა 1525 წ. მაისში, გაცხარებული გლეხთა ომის დროს, გამოუშვა მძინვარე პამფლეტი გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ. რ ე დ.

ბშვიდობიანად გამოიყენებენ; ხოლო მთავრები კი ამბოხების წყალობით გაიგებენ, თუ რას წარმოადგენს ბრბო. რომლის მართვა მხოლოდ ძალით შეიძლება. «ბრძენი ადამიანი ამბობს: **cibum, onus et virgam asino** [1]. გლეხებს ქერის ბზე მოუხდებათ, მათ სიტყვა არ ესმით და უგუნურნი არიან, ამიტომ მათრასსა და თოფს უნდა დაემორჩილონ, და ეს კიდეც არგებთ. ჩვენ უნდა ვილოცოთ მათთვის, რომ ისინი მორჩილნი იყვნენ; თუ არ იქნებიან, ბევრი სიბრალული როდია საჭირო. დაე თოფებმა დაიგრიალონ, თორემ ათასჯერ უარესი იქნება».

სწორედ ასევე ლაპარაკობდნენ ჩვენი განსვენებული სოციალისტი და ფილანტროპი ბურჟუები, როცა მარტის დღეების შემდეგ პროლეტარიატმა თავისი წილი მოითხოვა გამარჯვების ნაყოფში.

ბიბლიის გადმოთარგმნით ლუთერმა პლებეურ მოძრაობას ძლიერი იარაღი მისცა ხელში. ბიბლიის საშუალებით მან თავის დროის ფეოდალიზებულ ქრისტიანობას პირველი საუკუნეების თავმდაბალი ქრისტიანობა დაუპირისპირა, დაშლის გზაზე შემდგარ ფეოდალურ საზოგადოებას ისეთი საზოგადოების სურათი უჩვენა, რომელმაც არაფერი იცოდა მრავალფენიან, ხელოვნურად აგებულ ფეოდალურ იერარქიაზე. გლეხებმა ეს იარაღი ყოველმხრივ გამოიყენეს მთავრებისა, თავადაზნაურობისა და ხუცების წინააღმდეგ. ახლა ლუთერმა იგი გლეხების წინააღმდეგ მოაბრუნა და ბიბლიის ამონაწერებიდან შეადგინა ნამდვილი შესხმა ღვთის მიერ დამყარებული მთავრობისა, — შესხმა, რომლის მსგავსი არასოდეს არაფერი შეუქმნია აბსოლუტური მონარქიის არც ერთს მენამცეცეს. მთავრის ხელისუფლებამ «წყალობითა ღვთისაითა», პასიურმა მორჩილებამ, თვით ბატონყმობამ ბიბლიის სანქცია მიიღო. ამრიგად უარყოფილ იქნა არა მარტო გლეხთა აჯანყება, არამედ თვით ლუთერის ამბოხება სასულიერო და საერო ხელისუფლების წინააღმდეგ; ლუთერმა მთავრებს მიჰყიდა არა მარტო ხალხის, არამედ ბიურგერთა მოძრაობაც.

საჭიროა თუ არა იმ ბურჟუების დასახელება, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინად თავიანთი წარსულის უარყოფის მაგალითები მოგვცეს?

დავუპირისპიროთ ახლა ბიურგერთა რეფორმატორს ლუთერს პლებეური რევოლუციონერი მიუნცერი.

თომას მიუნცერი ჰარცის მთის ძირას დაიბადა, შტოლ-

---

[1] — ლათ. — «საკვები, საპალნე და შოლტი — ვირს». რედ.

ბ ე რ გ შ ი 1498 წელს[1]. როგორც ჩანს მისი მამა შტოლბერგელ გრაფთა თვითნებობის მსხვერპლი გამხდარა და სახრჩობელაზე დაღუპულა. მიუნცერი ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისა იყო, რომ ჰალეს სკოლაში ფარული კავშირი დააარსა მაგდებურგის მთავარეპისკოპოსისა და საერთოდ რომის ეკლესიის წინააღმდეგ. მისმა ღრმა ცოდნამ იმდროინდელი ღვთისმეტყველების დარგში მას ადრე მოუპოვა დოქტორის ხარისხი და კაპელანის ადგილი ჰალეს ერთერთ დედათა მონასტერში. აქ იგი უკვე უდიდესი ათვალწუნებით ეპყრობოდა ეკლესიის დოგმებსა და წესებს, წირვის დროს სრულიად სტოვებდა სიტყვებს გარდაქმნაზე და, როგორც ლუთერი მოგვითხრობს, ღვთის ხორცს უკურთხებლად სჭამდა. იგი უმთავრესად სწავლობდა საშუალო საუკუნეების მისტიკოსებს, განსაკუთრებით ი ო ა ქ ი მ კ ა ლ ა ბ რ ი ე ლ ი ს ქილიასტურ ნაწერებს. მიუნცერს ეგონა, რომ რეფორმაციასა და მისი დროის საერთო მღელვარებასთან ერთად მოახლოებული იყო ათასწლოვანი სუფევა, საშინელი სამსჯავრო გადაგვარებული ეკლესიისა და გარყვნილი ქვეყნიერების მიმართ, რასაც იოაქიმ კალაბრიელი წინასწარმეტყველებდა და ხატავდა. მიუნცერი დიდი წარმატებით ქადაგებდა ჰალეს მიდამოებში. 1520 წელს იგი ცვიკაუში გაემგზავრა როგორც პირველი ევანგელისტი მქადაგებელი. აქ იგი გაეცნო ერთ-ერთ იმ ეგზალტირებულ ქილიასტურ სექტას, რომლებიც მრავალ კუთხეში ფარულად არსებობდნენ და დროებითი თავმდაბლობისა და მოკრძალების საფარველით ნიღბავდნენ უდაბლესი საზოგადოებრივი კლასების მზარდ ოპოზიციას არსებული წესწყობილების წინააღმდეგ; ახლა ეს სექტა აგიტაციის ზრდასთან ერთად უფრო აშკარად და მედგრად გამოვიდა მზის სინათლეზე. ეს იყო ანაბაპტისტთა სექტა, რომლის სათავეში ნიკლას შ ტ ო რ ხ ი იდგა. ეს ადამიანები საშინელი სამსჯავროს და ათასწლოვანი სუფევის მოახლოებას ქადაგებდნენ; მათ ჰქონდათ «ხილვანი, ექსტაზი და წინასწარმეტყველების სული». სულ მალე ისინი ცვიკაუს საბჭოს შეეჯახნენ; მიუნცერი იცავდა მათ, თუმცა სავსებით კი არ ემხრობოდა, არამედ, პირიქით, უფრო თავის გავლენას უქვემდებარებდა. საბჭომ ენერგიულად გაილაშქრა ანაბაპტისთა წინააღმდეგ; ისინი იძულებული გახდნენ ქალაქი დაეტოვებიათ და მიუნცერიც მათ გაჰყვა. ეს მოხდა 1521 წლის ბოლოს.

---

[1] ეს თარიღი მოყვანილი ჰქონდა ციმერმანს თავისი ნაშრომის პირველ გამოცემაში. შემდგომი დაზუსტებული მონაცემების თანახმად თომას მიუნცერი დაიბადა დაახლოებით 1490 წ.

იგი წავიდა პ რ ა ღ ა შ ი, სადაც შეეცადა ჰუსიტური მოძრაობის ნაშთებთან კავშირი გაება და აქ დამკვიდრებულიყო; მაგრამ მის პროკლამაციებს მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ იგი იძულებული გახდა ჩეხეთიდანაც გაქცეულიყო. 1522 წელს იგი მქადაგებელი ხდება ალტშტედტში, ტიურინგიაში. აქ იგი თავის მოღვაწეობას მღვდელმსახურების რეფორმით იწყებს. მან სავსებით გააუქმა ლათინური ენა, სანამ ლუთერი ასეთი ნაბიჯის გადადგმას გაბედავდა, და დააწესა, რომ ეკლესიაში ხმამაღლა ეკითხათ არა მარტო საკვირაოდ დაწესებული სახარება და ეპისტოლეები, არამედ მთელი ბიბლია. ამავე დროს მან პროპაგანდა გაშალა ახლომახლო ადგილებში. ხალხი ყოველ მხრიდან მოაწყდა, და ჩქარა ალტშტედტი ხუცების საწინააღმდეგო ხალხური მოძრაობის ცენტრად გადაიქცა მთელს ტიურინგიაში.

მიუნცერი მაინც, უწინარეს ყოვლისა, თეოლოგი იყო; იგი ჯერ კიდევ თითქმის მხოლოდ ხუცებს უტევდა. მაგრამ მიუნცერი შეუშფოთებელ დისკუსიასა და მშვიდობიან პროგრესს როდი ქადაგებდა, როგორც იმჟამად უკვე იქცეოდა ლუთერი, იგი ლუთერის წინანდელ მქუხარე ქადაგებებს განაგრძობდა და საქსონელ მთავრებს და ხალხს მოუწოდებდა შეიარაღებული გამოსვლისაკენ, რომელი ხუცების წინააღმდეგ. ქრისტე ხომ ამბობს, მე მოვედი არა მშვიდობის მოსატანად, არამედ მახვილისაო. რა უნდა მოიმოქმედოთ თქვენ (საქსონიის მთავრებმა) ამ მახვილით? თუ გინდათ, რომ ღვთის მსახურნი იყვნეთ, თქვენ უნდა განაცალკეოთ და მოსრნათ ბოროტნი, რომელნიც ხელს უშლიან სახარებას. ქრისტემ დიდი სიმკაცრით გვიბრძანა (ლუკა, თ. თ. 19, 27): მტერნი იგი ჩემნი მოსწყვიდენით წინაშე ჩემსაო... ნუ ითვალთმაქცებთ და ნუ გვეტყვით, ეს თვით ღვთის ძალამ უნდა ჰქმნას ჩვენი მახვილის დაუხმარებლადო, თორემ იგი თქვენ ქარქაშში დაგიჟანგდებათ. ვინც ღვთის გამოცხადებას ეწინააღმდეგება, შეუბრალებლად უნდა მოისრნას როგორც ეზეკიელმა, კიროსმა, იოსიამ, დანიელმა და ილიამ ბაალის ქურუმები მოსრნეს, სხვანაირად ქრისტიანული ეკლესია ვერ დაუბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას. მკის დროს უნდა ამოვაგდოთ ღვარძლი ღვთის ვენახიდან. ღმერთმა უთხრა მოსეს (მოსეს შეხუთე წიგნი, თავი V): ნუ შეიბრალებთ კერპთ თაყვანისმცემელთ, შემუსრეთ მათი ბომონნი, დალეწეთ და დასწვით მათი ხატები, რათა მე არ გაგირისხდეთ თქვენო.

მაგრამ ეს მოწოდებანი მთავრებისადმი უშედეგონი აღმოჩნდნენ, მაშინ როცა ხალხში რევოლუციური მღელვარება დღითი დღე იზრდებოდა. მიუნცერი, რომლის იდეები თანდათან უფრო მკაფიო

და თამამი ხდებოდა, გადაჭრით გამოეთიშა ბიურგერულ რეფორმაციას და პირდაპირ გამოვიდა როგორც პოლიტიკური აგიტატორი.

მისი თეოლოგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება თავს დაესხა არა მარტო კათოლიციზმის, არამედ საზოგადოდ მთელი ქრისტიანობის ყველა ძირითად პუნქტს. ქრისტიანულ ფორმებში იგი ახვევდა პანთეიზმის მოძღვრებას, რომელსაც საოცარი მსგავსება აქვს თანამედროვე სპეკულაციურ მსოფლმხედველობასთან[1] და ალაგ-ალაგ თვით ათეიზმს უახლოვდება. მან უარჰყო ბიბლია როგორც გამოცხადების ერთადერთი და შეუცდომელი წყარო. ნამდვილი და ცხოველი გამოცხადება, მისი აზრით, არის გონება, იგი ყოველ დროსა და ხალხში არსებულა და ახლაც არსებობსო. გონებისთვის ბიბლიის დაპირისპირება იმას ნიშნავს, რომ სული ასოკირკიტობით მოვკლათო. იმიტომ რომ სულიწმინდა, რომელზედაც ბიბლია ლაპარაკობს, არ არის რაღაც ჩვენს გარეშე არსებული; სულიწმიდა სწორედ ჩვენი გონებაა. რწმენა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის გონების გამოფხიზლება და ამიტომ წარმართთაც შეიძლება რწმენა ჰქონდეთ. ამ რწმენის, ამ გამოფხიზლებული გონების მეშვეობით ადამიანი ღვთაებას ემსგავსება და ნეტარებას აღწევს. ამიტომ სამოთხე საიქიოში კი არ უნდა ვეძებოთ, არაშედ საააქაო ცხოვრებაში და მორწმუნე ადამიანის მოწოდებაა ეს სამოთხე, ღვთის მეუფება, აქ, დედამიწაზე დაამყაროს. როგორც არ არსებობს საიქიო სამოთხე, ისე არც საიქიო ჯოჯოხეთი ანუ წაწყმედა არსებობს. არც სხვა რაიმე ეშმაკი არსებობს, გარდა ადამიანის ბოროტ ვნებათა და გულისთქმათა. ქრისტე ჩვენი მსგავსი ადამიანი იყო, მხოლოდ წინასწარმეტყველი და მოძღვარი, ხოლო მისი სერობა იყო უბრალო აღაპი, სადაც პურს სჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ ყოველი მისტიური სანელებლის გარეშე.

მიუნცერი ამ მოძღვრებას უმეტესწილად იმავე ქრისტიანულ ფრაზებში ახვევდა, რომელშიც კარგა ხანს ახალი ფილოსოფიაც. იძულებული ხდებოდა გახვეულიყო. მაგრამ მისი ნაწერებიდან ყველგან გამოსჭვივის ძირითადი არქიერესული იდეა და ნათლად ჩანს რომ მისთვის ბიბლიურ საბურველს ბევრად უფრო ნაკლებ სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ჰეგელის ზოგიერთი მიმდევრისთვის ჩვენს დროში. მიუნცერსა და ახალ ფილოსოფიას შორის კი მთელი სამი საუკუნეა.

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს გერმანელი იდეალისტი-ფილოსოფოსის შტრაუსის და აგრეთვე ფოიერბახის შეხედულებანი; ფოიერბახი თავის ადრინდელ ნაწარმოებებში ავითარებდა რელიგიურ საკითხებზე პანთეისტურ შეხედულებებს. რ ე დ.

მისი პოლიტიკური მოძღვრება სავსებით შეესაბამებოდა ამ რევოლუციურ რელიგიურ მსოფლმხედველობას და ასევე სცილდებოდა უშუალოდ არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობებს, როგორც მისი თეოლოგია მის დროში გაბატონებულ წარმოდგენებს შორდებოდა. მიუნცერის რელიგიური ფილოსოფია ისევე უახლოვდებოდა ათეიზმს, როგორც მისი პოლიტიკური პროგრამა — კომუნიზმს, ხოლო მრავალ თანამედროვე კომუნისტურ სექტას არ ჰქონია თებერვლის რევოლუციის წინადღით იმაზე უფრო მდიდარი თეორიული არსენალი, როგორიც ჰქონდათ XVI საუკუნეში მიუნცერის მიმდევრებს. ეს პროგრამა, რომელიც იმდენად იმდროინდელი პლებეების მოთხოვნათა განზოგადოებას კი არ წარმოადგენდა, რამდენადაც ამ პლებეებს შორის ოდნავ ჩასახული პროლეტარული ელემენტების განთავისუფლების პირობათა გენიალურ წინათგრძნობას, მოითხოვდა, რომ დაუყოვნებლივ დამყარებულიყო ქვეყნად წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყები ღვთის ათასწლოვანი სუფევა; ეს უნდა მომხდარიყო ეკლესიის უკან დაბრუნებით თავისი პირვანდელი მდგომარეობისაკენ და ყველა იმ დაწესებულებათა გაუქმებით, რომელნიც ამ ვითომდა ადრინდელ ქრისტიანულ, ნამდვილად კი სრულიად ახალ ეკლესიას ეწინააღმდეგებოდნენ. ღვთის სუფევა კი მიუნცერს ესმოდა როგორც ისეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა, სადაც არც კლასობრივი განსხვავება იარსებებდა, არც კერძო საკუთრება და არც საზოგადოების წევრებისაგან დამოუკიდებელი, მათდამი დაპირისპირებული და მათთვის უცხო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. ყოველი არსებული ხელისუფლება უნდა დამხობილიყო, თუ იგი არ დაემორჩილებოდა რევოლუციას და არ მიემხრობოდა მას. ყველა სარეწი და ყოველი ქონება საერთო უნდა გამხდარიყო და სრული თანასწორობა უნდა განხორციელებულიყო. ყოველივე ამის გასატარებლად უნდა დაარსებულიყო კავშირი, რომელიც მოიცავდა არა მარტო გერმანიას, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროს; მთავრებსა და მეგატონეებს წინადადება უნდა მისცემოდათ — შემოერთებოდნენ მას: ვინც არ ისურვებდა, კავშირი პირველი შემთხვევისთანავე იარაღით დაამხობდა ან მოსპობდა მას.

მიუნცერი მაშინვე შეუდგა ამ კავშირის ორგანიზაციას. მისმა ქადაგებამ კიდევ უფრო მგზნებარე, რევოლუციური ხასიათი მიიღო; იგი თავს ესხმოდა არა მარტო ხუცებს, არამედ ისეთივე გააფთრებით ილაშქრებდა მთავრებისა, თავადაზნაურობისა, პატრიციატის წინააღმდეგ, ცხოველი ფერადებით ხატავდა არსებულ ჩაგვრას და

უპირისპირებდა მას თავისი სოციალ-რესპუბლიკური თანასწოროობის ათასწლიანი სუფევის ფანტასტიურ სურათს. ამასთანავე იგი ერთი მეორის მიყოლებით რევოლუციურ პამფლეტებს აქვეყნებდა და ყველა მიმართულებით გზავნიდა თავის ემისრებს, ხოლო თვითონ შეუდგა კავშირის შექმნას ალშტედტსა და მის მიდამოებში.

ამ პროპაგანდის პირველი ნაყოფი იყო ღვთისმშობლის სავლოცველოს დანგრევა მელერბახში ალშტედტის მახლობლად, თანახმად მცნებისა: მათი ბომონნი დაანგრიეთ, მათი სვეტნი შემუსრეთ და მათი კერპნი დასწვით, ვინაიდან თქვენ ხართ ერი ღვთისაო. (მეორე სჯული, თავი 7, 6). საქსონელი მთავრები თვითონ მოვიდნენ ალშტედტში, რათა ამბოხება დაეცხროთ, და იხმეს მიუნცერი ციხესიმაგრეში. იქ მან წარმოთქვა ქადაგება, რომლის მსგავსი მათ არ მოუსმენიათ თვით ლუთერისაგანაც კი, ამ «ვიტენბერგს მშვიდად მცხოვრები მძოვრისაგან», როგორც მას მიუნცერმა უწოდა. იგი მოითხოვდა, რომ დაეხოცათ უღვთო მმართველები, განსაკუთრებით ხუცები და ბერები, რომლებიც სახარებას ისევე ჰგმობდნენ, როგორც ერესს, და ამასთანავე ახალ აღთქმას იმოწმებდა. უღმერთოებს ცხოვრების უფლება არა აქვთ, თუ არა მხოლოდ რჩეულთა წყალობითო. თუ მთავრებმა უღმერთოები არ აღმოფხვრეს, ღმერთი მათ მახვილს წაართმევს, ი მ ი ტ ო მ რ ო მ მ ა ხ ვ ი ლ ი ს ძ ა ლ ა მ თ ე ლ ს თ ე მ ს ე კ უ თ ვ ნ ი ს ო. თავიდათავი მევახშეები, ქურდები და ავაზაკები არიან მთავრები და მებატონეები; ისინი ისაკუთრებენ ყოველივე ქმნილებას: თევზს წყალში, ფრინველს ჰაერში, მცენარეებს დედამიწაზე. და ამის შემდეგ ისინი ღარიბებს უქადაგებენ: არ მოიპაროთო; თვითონ კი ყოველივეს ითვისებენ, სადაც კი რაიმეს წააწყდებიან, ძარცვავენ და ტყავს აძრობენ გლეხსა და ხელოსანს; ხოლო თუ ამ უკანასკნელებმა ცოტაოდენი რამ შესცოდეს, უმალვე საბრჩობელაზე ჰგზავნიან და დოქტორი ლიუგნერიც[1] დასძენს: ამინ! «ეს ვაებატონები ისე იქცევიან, რომ ღარიბი კაცი მათი მტერი ხდება. მათ არ სურთ ამბოხების მიზეზის მოსპობა, როგორღა შეიძლება ხანგრძლივი მშვიდობა დამყარდეს? აჰ, მოწყალეო ხელმწიფენო, რა კარგად დალეწს უფალი რკინის კვერთხით ძველ ქოთნებს! ნეშმარიტად გეუბნებით, რომ მე ავამხედრებ ხალხს. მშვიდობით!» (შეად. ციმერმანი. «გლეხთა ომი» ნაწ. II, გვ. 75)[2].

[1] მიუნცერს ნიუბერგელობაში ჰყავს ლუთერი; სიტყვის თამაშია — «ლიუგნერ» (Lügner) გერმანულად ნიშნავს «ტრაბენტელას». (რ ე დ.)

[2] იხ. რუსული გამოცემა ციმერმანის წიგნისა «გლეხთა ომის ისტორია», ტ. I, მოსკოვი 1937, გვ. 145. რ ე დ.

მიუნცერმა დააბეჭდვინა თავისი ქადაგება; მისი ალშტედტელი მბეჭდავი ჰერცოგმა იოჰან საქსონელმა იმით დასაჯა, რომ სამშობლოდან გააძევა, სოლო თვით მიუნცერის ყველა ნაწერი ჰერცოგის ბრძანებით ცენზურას დაექვემდებარა ვაიმარში. მაგრამ ამ ბრძანებისთვის მიუნცერს ყურადღება როდი მიუქცევია. მან დაუყოვნებლივ დაბეჭდა საიმპერიო ქალაქ მიულჰაუზენში მეტისმეტად მეამბოხური თხზულება[1], რომელშიც ხალხს მოუწოდებდა «გაეფართოებინა ხვრელი, რათა მთელ ქვეყანას დაენახა და აშკარად ეგრძნო, თუ რას წარმოადგენენ ჩვენი პატივცემული ვაჟბატონები, რომლებმაც ღმერთი ესეოდენ გააუხამსეს და შეღებილ კაცუნად აქციეს»; ამ წიგნს იგი შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: «დიდ შერყევას უნდა გაუძლოს მთელმა ქვეყანამ; ისეთი რამ მოხდება, რომ უღმერთონი ტახტიდან ჩამოვარდებიან, ხოლო დამდაბლებულნი ამაღლდებიან». ეპიგრაფად «ჩაქუჩიანმა ტომას მიუნცერმა» სათაურზე წააწერა: «ყურად იღე, მე ჩემი სიტყვებით აგამეტყველე, მე შენ დღეს ადამიანებსა და სამეფოებზე დაგადგინე, რათა შენ აღმოფხვრა, შემუსრო, გაჰფანტო და დაანგრიო და ააშენო და დარგო. რკინის კედელი აღიმართა მეფეებისა, მთავრებისა და ხუცების წინააღმდეგ და ერის წინააღმდეგ. დაე მათ იბრძოლონ, ჩვენ სასწაულებრივად გავიმარჯვებთ ძლიერსა და უღმრთო ტირანებზე»[2].

მიუნცერის გათიშვა ლუთერსა და მის პარტიასთან უკვე დიდი ხნის წინად მოხდა. ლუთერი იძულებული გახდა შემოეღო მთელი რიგი საეკლესიო რეფორმა, რომელიც მიუნცერმა მისდა დაუკითხავად განახორციელა. იგი თვალყურს ადევნებდა მიუნცერის მოღვაწეობას, აღსავსე ზომიერი რეფორმატორის უკმაყოფილებითა და ეჭვიანობით უფრო ენერგიული და შორსმიმავალი პარტიისადმი. ჯერ კიდევ 1524 წლის გაზაფხულზე მიუნცერი სწერდა მელანხტონს, სისხლგამშრალი, სკამზემიკრული ფილისტერი მეცნიერის ამ წინა-

---

[1]. ენგელსს მხედველობაში აქვს მიუნცერის პამფლეტი, რომელიც 1524 წელს მიულჰაუზენში გამოვიდა სახელწოდებით: «უმართლო ქვეყნიერების ცრურწმენის აშკარა გაბათილება ლუკას სახარების დამოწმებით, რასაც ვუძღვნით საცოდავ და უბედურ ქრისტიანობას, თავისი შეცდომის მოსაგონებლად» (Ausgedrückte Entblössung des falschen Glaubens der ungetreuen Welt durchs Zeugnis des Evangelions Lucae, vorgetragen der elenden erbärmlichen Christenheit zur Erinnerung ihres Irrsals. Thomas Müntzer mit dem Hammer. Mühlhausen M. D. XXIIII) რ ე დ.

[2] თავის თხზულებისათვის წამძღვარებულ ეპიგრაფში მიუნცერმა გადაასხვაფერა სიტყვები წინასწარმეტყველ იერემიას წიგნიდან (ძველი აღთქმა) და რევოლუციური შინაარსი ჩააქსოვა მასში. რ ე დ.

მორბედს, რომ შენ და ლუთერს სრულიად არ გესმით მოძრაობაო. თქვენ ცდილობთ იგი ბიბლიის ასოკირკიტობისადმი რწმენაში ჩაღ-ლეთ. მთელი თქვენი რწმენა მატლებითაა გამოხრულიო. «ძვირ-ფასნო ძმანო, თავი დაანებეთ თქვენს ლოდინსა და ყოყმანს, მოვიდა ჟამი, ზაფხული კარზე დგას. ნუ ინებებთ მეგობრობას უღმერთოებ-თან, ისინი ხელს უშლიან, რომ სიტყვამ სრული სიძლიერით იმოქმე-დოს. ნუ ეპირფერებით თქვენს მთავრებს, თორემ თქვენც მათთან ერთად დაიღუპებით. თქვენ, აზიზნო მწიგნობარნო და სწავლულნო, ნუ განმირისხდებით, მე სხვაფრივ ვერ ვიმოქმედებ».

ლუთერმა მიუნცერი რამდენჯერმე გაიოიწვია საპაექროდ; და თუმცა მიუნცერი ყოველ წუთს მზად იყო საჯაროდ გამოსულიყო ბრძოლაში, მაგრამ არავითარი სურვილი არ ჰქონდა ღვთისმეტყვე-ლურ კამათში ჩაბმულიყო ვიტენბერგის უნივერსიტეტის ტენდენ-ციურად განწყობილი საზოგადოების წინაშე. მას არ სურდა «სულის მოწმობა მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი სკოლის უპირატესობად გადაექცია». თუ ლუთერი გულწრფელია, დაე მან თავისი გავლენა იმას მოახმაროს, რომ შეწყდეს დევნა მიუნცერის მბეჭდავისა და მოიხსნას ცენზურა, რათა კამათი დაუბრკოლებლივ წარმოებდეს პრესაშიო.

ახლა უკვე, მიუნცერის ზემოაღნიშნული რევოლუციური ბროშუ-რის შემდეგ, ლუთერი აშკარად გამოვიდა მის წინააღმდეგ და დაას-მინა იგი. თავის ნაბეჭდ «წერილში საქსონიის მთავრებისადმი შეამ-ბოხე სულის წინააღმდეგ» მან მიუნცერი სატანის იარაღად გამოა-ცხადა და მოუწოდა მთავრებს ჩარეულიყვნენ საქმეში და ქვეყნი-დან გაეძევებინათ ამბოხების წამომწყებნი, ვინაიდან ისინი არ კმა-ყოფილდებიან თავიანთი უკეღმართი მოძღვრების ქადაგებით და შოუწოდებენ მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებისა და ძალმომ-რეობისკენო.

1 აგვისტოს მიუნცერს ვაიმარის ციხე-დარბაზში მთავრების წინაშე პასუხი უნდა ეგო; მას ბრალს სდებდნენ აჯანყების წამქე-ზებლობაში. მის წინააღმდეგ მეტად გამაწბილებელი ფაქტები იყო დაგროვილი: მიაგნეს მისი ფარული კავშირის კვალს, მისი ხელი აღმოაჩინეს მემაღაროების და გლეხების კავშირთა შექმნაში. შიუნ-ცერს გაძევებით ემუქრებოდნენ. ალშტედტში დაბრუნებისთანავე მიუნცერმა გაიგო, რომ საქსონიის ჰერცოგი გეორგი მის გაცემას მოითხოვდა; მოწინააღმდეგეებს ხელში ჩაუვარდათ მიუნცერის მიერ დაწერილი კავშირის წერილები, რომელშიც იგი გეორგის ქვეშევ-რდომთ მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყება მოახდინეთ სახარების

მტრების წინააღმდეგო. ქალაქის საბჭო გასცემდა მას, თუ იგი ქალაქს არ დასტოვებდა.

ამასობაში გლეხებისა და პლებეების სულ უფრო და უფრო მზარდმა მღელვარებამ არაჩვეულებრივად შეუწყო ხელი მიუნცერის პროპაგანდას. ამ პროპაგანდისთვის მან ფასდაუდებელი აგენტები შეიძინა ანაბაპტისტების სახით. ამ სექტის წევრები, რომლებსაც არ გააჩნდათ გარკვეული დადებითი დოგმები, გაერთიანებული იყვნენ მხოლოდ საერთო ოპოზიციით ყველა გაბატონებული კლასის წინააღმდეგ და ხელმეორე მონათვლის საერთო სიმბოლოთი; ასკეტურად მკაცრნი ყოფაცხოვრებაში, დაუღალავნი, ფანატიკურნი და უშიშარნი აგიტაციაში, ისინი თანდათან შეჯგუფდნენ მიუნცერის გარშემო. დევნის გამო ეს სექტა მოკლებული იყო გარკვეულ საცხოვრებელ ადგილს, მისი წევრები მთელ გერმანიაში დაეხეტებოდნენ და ყველგან აუწყებდნენ ახალ მოძღვრებას, რომელშიც მიუნცერმა მათივე მოთხოვნილებები და სურვილები განუმარტა მათ. მრავალი მათგანი აწამეს, დასწვეს ან სხვაგვარად დასაჯეს სიკვდილით, მაგრამ ამ ემისრების გამბედაობა და გამძლეობა შეურყეველი იყო, ხოლო მათი მოღვაწეობის წარმატება, ხალხის გაძლიერებული მღელვარების გამო, განუზომელი. ამიტომ ტიურინგიიდან ლტოლვილ მიუნცერს ნიადაგი ყველგან მომზადებული ხვდებოდა, სადაც კი წავიდოდა.

ნიურნბერგის მახლობლად, სადაც მიუნცერი[1] თავდაპირველად წავიდა, ერთი თვით ადრე მის ჩასვლამდე ჩანასახშივე ჩაეხშოთ გლეხთა აჯანყება. მიუნცერი აქ ფარულად ეწეოდა აგიტაციას; მალე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც იცავდნენ მის ყველაზე გაბედულ თეოლოგიურ დებულებებს ბიბლიის არასავალდებულობისა და საიდუმლოებათა არარაობის შესახებ; ქრისტეს ისინი უბრალო ადამიანად აცხადებდნენ, ხოლო საერო მთავრობის ძალაუფლებას არაღვთაებრივად რაცხდნენ. «აი იქ დაძრწის სატანა, ალშტედტელი სული!» წამოიძახა ლუთერმა. აქ ნიურნბერგში მიუნცერმა დაბეჭდვინა თავისი პასუხი ლუთერისადმი[2]. იგი მას პირდაპირ

---

[1] შემდეგში დაზუსტებული ცნობების თანახმად მიუნცერი ჯერ გაემგზავრა საიმპერიო ქალაქ მიულჰაუზენში, საიდანაც იგი 1524 წ. სექტემბერში გააძევეს ქალაქის დაბალი ფენების მღელვარებაში მონაწილეობის გამო. მიულჰაუზენიდან მიუნცერი ნიურნბერგს ჩავიდა. რ ე დ.

[2] ლუთერისადმი მიუნცერის დაბეჭდილი პასუხის სახელწოდება იყო: «ზეციმიწევნით დასაბუთებული დაცვითი სიტყვა და პასუხი, ოღვთო, ვიტენბერგს მშვიდად მცხოვრები მძოვრისადმი, რომელმაც ნმინდა წერილს უკუღმართი და თაღლითური დამახინჯებით სამარცხვინოდ შეურაცხყო საბრალო ქრისტიანობა» (Hoch

ბრალს სდებდა, მთავრებს ეპირფერები და შენი მერყეობით დაბმა-
რებას უწევ რეაქციულ პარტიასო. მაგრამ ხალხი მაინც მიაღწევს
განთავისუფლებას და დოქტორ ლუთერს ხაფანგში მომწყვდეული
მელიის ამბავი მოუვაო. — საბჭომ აკრძალა ეს წიგნი და მიუნცერი
იძულებული გახდა ნიურნბერგი დაეტოვებინა.

იგი ახლა შვაბიის გზით ელზასისა და შვეიცარიისკენ წავიდა.
ხოლო იქიდან უკან დაბრუნდა ზემო შვარცვალდში, სადაც უკვე
რამდენიმე თვის წინათ იფეთქა აჯანყებამ, რომელიც უმთავრესად
მისი ანაბაპტისტი ემისრების მიერ იყო დაჩქარებული. მიუნცერის
ამ საპროპაგანდო მოგზაურობამ, ამბავია, დიდად შეუწყო
ხელი საბალხო პარტიის ორგანიზაციას. მის მოთხოვნათა ნათლად
ჩამოყალიბებას და, ბოლოს, საერთო აჯანყების აფეთქებას 1525
წლის აპრილში. აქ განსაკუთრებით ნათლად ჩანს მიუნცერის მოღვა-
წეობის ორივე მხარე: ერთი მხრივ ხალხში, რომელსაც იგი მასებისა-
თვის მაშინ ერთადერთი გასაგები სარწმუნოებრივი წინასწარმეტ-
ყველური ენით ესაუბრებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, — რჩეულთა
შორის, რომელთა წრეში მას შეეძლო გულახდილად გამოეთქვა თა-
ვისი საბოლოო ტენდენცია. წინათ ჯერ კიდევ ტიურინგიაში ყოფ-
ნის დროს, მან თავის გარშემო შემოიკრიბა არა მარტო ხალხიდან,
არამედ დაბალი სამღვდელოებიდან გამოსული მედგარი ადამიანე-
ბის წრე და სათავეში ჩაუდგა ფარულ კავშირს; აქ იგი უკვე მთელი
სამხრეთ გერმანიის რევოლუციური მოძრაობის ცენტრი ხდება,
საქსონიიდან და ტიურინგიიდან ფრანკონიაზე და შვაბიაზე გავლით
კავშირს აბამს ელზასსა და შვეიცარიის საზღვრამდე და ბრი მო-
წაფეებისა და კავშირის მეთაურების რიცხვში ისეთ სამხრეთ გერმა-
ნელ აგიტატორებს ვხედავთ, უმეტესწილად რევოლუციონერ ხუცებს,
როგორიც იყვნენ ჰუმბაიერი ვალდსჰუტში, კონრად გრებელი ციუ-
რიხში, ფრანც რაბმანი გრისენში, შაპელერი მემინგენში, იაკობ
ვეჰე ლაიპჰაიმში, დოქტორი მანტელი შტუტგარტში. თვით იგი უმე-
ტესწილად გრისენში იმყოფებოდა შაფჰაუზენის საზღვართან
იქიდან მოგზაურობდა ჰეგაუსა, კლეტგაუში და სხვაგან. სასტიკმა
დევნამ, რომელიც შეშფოთებულმა მთავრებმა და მებატონეებმა ამ
ახალი პლებეური ერესის წინააღმდეგ მოაწყეს, ყველგან ცოტაოდენ
როდი შეუწყო ხელი მეამბოხე სულის გაღვივებას და კავშირის გან-

---

verursachte Schutzrede und Antwort wider das geistlose, sanftlebende Fleisch zu Wittenberg, welches mit verkehrter Weise durch den Diebstahl der heiligen Schrift die erbärmliche Christenheit also ganz jämmerlich besudelt hat. Thomas Müntzer Allstedter. Anno M. D. XXIIII). რედ.

მტკიცებას. ამრიგად მიუნცერი ხუთ თვეს ზემო გერმანიაში ეწეოდა აგიტაციას და როცა შეთქმულების აფეთქების დრომ მოაღწია, იგი ხელახლა ტიურინგიაში გაემგზავრა, სადაც უნდოდა თვით გაეწია ხელმძღვანელობა აჯანყებისთვის და სადაც ჩვენ მას კიდევ შევხვდებით.

ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ სწორად ასახავდნენ თავიანთი პარტიების პოზიციას ორივე პარტიული ბელადის ხასიათი და ბათი ყოფაქცევა, თუ როგორ შეეფერებოდა ლუთერის გაუბედაობა, მისი შიში სერიოზულად გაღვივებული მოძრაობის წინაშე და მხდალი ლაქიობა მთავრების წინაშე ბიურგერთა მერყევ, ორპოფ პოლიტიკას და როგორ გამოხმაურებას პოულობს მიუნცერის რევოლუციური ენერგია და გამბედაობა პლებეებისა და გლეხების უფრო განვითარებულ ფრაქციაში. განსხვავება მხოლოდ შემდეგია: თუ ლუთერი იმით კმაყოფილდებოდა, რომ თავისი კლასის უმრავლესობის შეხედულებანი და მისწრაფებანი გამოეთქვა და ამ გზით თავის წრეში მეტად იაფფასიანი პოპულარობა მოეპოვებინა, მიუნცერი, პირიქით, პლებეების და გლეხების უშუალო წარმოდგენებსა და მოთხოვნებს დიდად განსცილდა და მაშინდელი რევოლუციური ელემენტებიდან შეადგინა პარტია, რომელიც, იდგა რა მისი იდეების სიმაღლეზე და ინაწილებდა რა მის ენერგიას, მუდამ მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდა აჯანყებულ მასაში.

III

ჰუსიტური მოძრაობის ჩაქრობიდან დაახლოებით ორმოცდაათი წლის შემდეგ გამოვლინდა პირველი სიმპტომები იმ რევოლუციური სულისკვეთებისა, რომელიც ის იყო ისახებოდა გერმანელ გლეხებს შორის *.

ვიურცბურგის საეპისკოპოსოში, იმ ოლქში, რომელიც უკვე წინათ გალატაკებული იყო ჰუსიტთა ომებისა, «ცუდი მმართველობისა, მრავალგვარი გადასახადებისა, გამოსაღებისა, ფეოდალური შუღლისა, მტრობისა, ომისა, ხანძრისა, მკვლელობისა, სატუსაღოსა და სხვ. წყალობით»[1] და ურცხვად იძარცვებოდა ეპისკოპოსებისა, ხუცებისა

* ჩვენს ქრონოლოგიაში ვიცავთ ციმერმანის მონაცემებს, რომელსაც იძულებული ვართ სავსებით დავეყრდნოთ, ვინაიდან უცხოეთში არ მოიპოვება საკმაო წყაროები; ეს მონაცემები სავსებით აკმაყოფილებს ამ ნაშრომის მიზნებს. ენგელსის შენიშვნა 1850 წლის გამოცემისადმი.

[1] ენგელსს მოჰყავს ციმერმანის მიერ დამოწმებული ნაწყვეტი XV საუკუნის ბალნაწერიდან, რომელიც ვიურცბურგის არქივში იყო დაცული. რედ.

და თავადაზნაურობის მიერ, 1476 წელს მოხდა პირველი გლეხთა შეთქმულება. ახალგაზრდა მწყემსი და მემუსიკე ჰანს ბეჰაიმი ნიკლასჰაუზენიდან, რომელსაც აგრეთვე მედოლესა და მესტვირე ჰანსს უწოდებდნენ, უცებ ტაუბერგრუნდში წინასწარმეტყველად გამოვიდა. იგი ჰყვებოდა თუ როგორ გამოეცხადა მას ქალწული მარიამი, როგორ უბრძანა, შენი დოლი დასწვი, ცეკვასა და ცოდვილ გულისთქმას ამიერიდან ნულარ აჰყვები, და ხალხს სინანულისკენ მოუწოდეო. დაე ყველამ მოინანიოს თავისი ცოდვები და სააქაოს ამაო სიამოვნებანი, მოიხსნას ყოველი სამკაული და მოსართავი და წავიდეს ნიკლასჰაუზენის ღვთისმშობელთან, რათა თავისი ცოდვების პატიება გამოითხოვოსო.

უკვე აქ, მოძრაობის ამ პირველ წინამორბედს ჩვენ ვაჩენენ ... ასკეტიზმს, რომელიც დამახასიათებელია როგორც შუა საუკუნეების ყველა რელიგიურად შეფერადებული აჯანყებისათვის, ისე ახალი დროის ყველა პროლეტარული მოძრაობისათვის დასაწყის სტადიაზე. ეს ასკეტური ზნეობრივი სიმკაცრე, ეს მოთხოვნა, რომ ხელი აიღონ ცხოვრების ყოველ სიამოვნებასა და სიტკბოებაზე, ერთი მხრივ, სპარტანული თანასწორობის პრინციპს აყენებს გაბატონებული კლასების წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებელ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს, უროლისოდაც შეუძლებელია საზოგადოების უდაბლესი ფენა ამოძრავდეს. იმისათვის, რათა განავითაროს თავისი რევოლუციური ენერგია, რათა თვითონ შეიგნოს თავისი მტრული დამოკიდებულება საზოგადოების ყველა სხვა ელემენტისადმი, რათა გაერთიანდეს როგორც კლასი, დაბალ-ზა ფენამ იმით უნდა დაიწყოს, რომ თავიდან მოიშოროს ყოველივე, რაც მას შეარიგებდა არსებულ საზოგადოებრივ წესწყობილებასთან, უარი უნდა თქვას იმ მცირეოდენ სიამოვნებაზე, რომელიც წუთიერად მაინც ასატანს ხდის მის ბეჩავ არსებობას და რომლის წართმევა თვით უმკაცრეს ჩაგვრასაც კი არ შეუძლია. ეს პლებეური და პროლეტარული ასკეტიზმი როგორც თავისი ველური ფანატიკური ფორმით, ისე თავისი შინაარსით საესებით განსხვავდება ბიურგერული ასკეტიზმისაგან, რომელსაც ბიურგერულ-ლუთერანული მორალი და ინგლისელი პურიტანები ქადაგებდნენ (ინდეპენდენტების[1] და უფრო რადიკალური სექტებისა-

[1] ინდეპენდენტები (რელიგიური დამოუკიდებლობის მომხრეები) — რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა ინგლისში XVI ს. მეორე ნახევარში და რომელიც წარმოადგენდა ოპოზიციის ფორმას აბსოლუტიზმისა და

გან გასასვლელებით) და რომლის მთელი საიდუმლოება ბურჟუა-ზიული ხელობაშეირნეობაა. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს პლებეურ-პროლეტარული ასკეტიზმი თავის რევოლუციურ ხასიათს ჰკარგავს იმდენად, რამდენადაც, ერთი მხრივ, თანამედროვე საწარმოო ძალთა განვითარება დაუსრულებლივ ამრავლებს მოხმარების საშუალებებს და ამით სპარტანულ თანასწორობას ზედმეტად ხდის, ხოლო, მეორე მხრივ, პროლეტარიატის ცხოვრების პირობები და თვით პროლეტარიატი სულ უფრო და უფრო რევოლუციური ხდება. მაშინ ასკეტიზმი თანდათან ჰქრება მასაში, ხოლო სექტანტებს შორის, რომელნიც მას ეყრდნობიან, ან პირდაპირ ბურჟუაზიულ სიძუნწედ გადაგვარდება იგი, ან ყბადაღებულ სათნოების რაინდობად, რაც პრაქტიკულად აგრეთვე ფილისტერულ ან ამქრულ-ხელოსნურ სიძუნწედ იქცევა. პროლეტარიატის მასას მით უფრო ნაკლებ სჭირია დათმენის ქადაგება, რომ მას თითქმის არაფერი დარჩენია, რის დათმენაც მას შეეძლოს.

მესტვირე ჰანსის სინანულის ქადაგებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა; ყველა მეამბოხე წინასწარმეტყველი თავის მოღვაწეობას ამით იწყებდა, და მართლაც ამ დაქსაქსული, თხლად გაფანტულ ბრბა მორჩილებაში აღზრდილ გლეხთა თაობის ამოძრავება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ყველა ძალის ღონივრად დაძაბვა მოხდებოდა და ეს ადამიანები უცებ უარს იტყოდნენ ჩვეულებით განმტკიცებული ცხოვრების წესზე. დაიწყო მწირთა მოგზაურობა ნიკლასჰაუზენისკენ, რამაც ჩქარა ფართო ხასიათი მიიღო; რაც უფრო მასიურად მიდიოდა ხალხი იქით, მით უფრო აშკარად ამხელდა თავის გეგმებს ახალგაზრდა მეამბოხე. ნიკლასჰაუზენის ღვთისმშობელმა გამომიცხადა, რომ ამიერიდან არც იმპერატორი უნდა იყოს, არც მთავარი, არც პაპი, არც სხვა რაიმე სასულიერო ან საერო ხელისუფლებაო, ქადაგებდა იგი; ყოველი ჩვენგანი თავის მახლობელს ძმად უნდა სთვლიდეს, თავისი საარსებო პური საკუთარი შრომით უნდა მოიპოვოს და სხვაზე მეტი არ უნდა იქონიო-

---

სახელმწიფო ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ სავაკრო და საშრეწველო ბურჟუაზიის და «ახალი» გაბურჟუაზებული თავადაზნაურობის მხრივ. XVII ს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში ინდეპენდენტები შეკავშირდნენ განსაკუთრებულ პოლიტიკურ პარტიად, რომელმაც 1648 წ. ბოლოს ძალაუფლება დაიპყრო. ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის ფართო წრეები, რომლებიც თავდაპირველად ინდეპენდენტებს ემხრობოდნენ, რევოლუციის წლებში შეჯგუფდნენ ლეველერების რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიის (პოლიტიკური თანასწორობის მოსწრეები) გარშემო. ლეველერების მოძრაობა ჩახშობილ იქნა ინდეპენდენტური მთავრობის მიერ. რ ე დ.

ხო. ყოველი ღალა, გამოსაღები, ბეგარა, ბაჟი, ხარკი და სხვა გადასახადი თუ ვალდებულება სამუდამოდ უნდა მოისპოს, ოღლო ტყე, წყალი და საძოვარი ყველგან თავისუფალი უნდა იყოსო.

ხალხმა სიხარულით მიიღო ეს ახალი სახარება. მალე შორს გავრცელდა წინასწარმეტყველის სახელი, «ჩვენი ქალწულის მოციქულისა»; ოდენვალდიდან, მაინიდან, კოხერიდან და იაქსტიდან, თვით ბავარიიდან, შვაბიიდან და რაინიდან მოდიოდნენ აურაცხელი პილიგრიმები. ერთმანეთს უამბობდნენ სასწაულთ, რომელნიც თითქოს მან ჰოახდინა; მუხლს იყრიდნენ მის წინაშე და წმინდანივით თაყვანს სცემდნენ; ერთმანეთს ხელიდან ჰგლეჯდნენ მისი წამოსასხმელის ნაფლეთებს, თითქო ეს ავგაროზები და წმინდა ნაწილები ყოფილიყოს. ხუცები ამაოდ გამოდიოდნენ მის წინააღმდეგ და მის ნაამბობს ეშმაკის მოჩვენებად, მის სასწაულთ ჯოჯოხეთურ ოინბაზობად სახავდნენ. ბორწმუნეთა მასა სწრაფად მატულობდა, რევოლუციურმა სექტამ ჩამოყალიბება იწყო, მეამბოხე მწყემსის საკვირაო ქადაგება 40 000-ზე მეტ სულს უყრიდა თავს ნიკლასჰაუზენში.

რამდენიმე თვეს უქადაგებდა მესტვირე ჰანსი მასებს. მაგრამ მას არ უნდოდა მარტო ქადაგებით დაკმაყოფილებულიყო. მას საიდუმლო კავშირი ჰქონდა ნიკლასჰაუზენის მღვდელთან და ორ რაინდთან, კუნც ფონ ტუნფელდთან და მის შვილთან, რომელნიც ახალ მოძღვრებას მიემხრნენ და განზრახული აჯანყების სამხედრო ბელადები უნდა გამხდარიყვნენ. ბოლოს, კვირას, წმ. კილიანის უქმის ძალზე, როცა თავისი გავლენა საკმაოდ ძლიერად მიიჩნია, მან აჯანყების ნიშანი მისცა. «ხოლო ახლა, — თქვა მან თავისი ქადაგების დასასრულ, — შინ დაბრუნდით და ასწონ-დასწონეთ რაც ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა გაუწყათ: მახლობელ შაბათს სახლში დასტოვეთ დედაკაცები, ბალღები და მოხუცები, ხოლო თქვენ, მამაკაცებო, ხელახლა ნიკლასჰაუზენში მოდით წმ. მარგარიტას დღეს, ე. ი. უახლოეს შაბათს; თან წამოიყვანეთ თქვენი ძმები და მეგობრები, რამდენიც არ უნდა იყვნენ. მაგრამ მოდით არა მწირული კვერთხებით, არამედ თოფ-იარაღით, ერთს ხელში მწირის კელაპტარი დაიჭირეთ, ხოლო მეორეში მასვილი, შუბი ან ალებარდი; მაშინ წმიდა ქალწული თავის ნებას გაუწყებთ და თქვენ იგი უნდა შეასრულოთ».

მაგრამ, ვიდრე გლეხების დიდი მასები შეიკრიბებოდნენ, ეპისკოპოსის მხედრებმა ღამით დაიჭირეს მეამბოხე წინასწარმეტყველი და ვიურცბურგის კოშკში მიიყვანეს. დანიშნულ დღეს 34 000 შე-

იარაღებულმა გლეხმა მოიყარა თავი, მაგრამ ამ ცნობამ მათ გული გაუტეხა. უდიდესი ნაწილი გაიფანტა; საქმეში უფრო ჩახედულმა შეთქმულებმა 16 000-მდე კაცი შეინარჩუნეს და მათთან ერთად კოშკისკენ გაემართნენ კუნც ფონ ტუნფელდის და მისი ვაჟის, მიქელის, მეთაურობით. სხვადასხვა დაპირებით ეპისკოპოსმა ისინი უკან გააბრუნა; მაგრამ ის იყო მეამბოხეები უნდა გაფანტულიყვნენ, რომ მათ თავს დაესხნენ ეპისკოპოსის მხედრები და მრავალი მათგანი დაატყვევეს. ორ მეამბოხეს თავი მოჰკვეთეს, თვით მესტვირე ჰანსი კი დასწვეს. კუნც ფონ ტუნფელდი გაიქცა და მხოლოდ მაშინ მიიღო შეწყალება, როცა მთელი თავისი ქონება მონასტერს გადასცა. მწირული მოგზაურობა ნიკლასჰაუზენისკენ კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელდა, მაგრამ ბოლოს ისიც აღკვეთეს.

ამ პირველი ცდის შემდეგ გერმანიაში კარგა ხნით კვლავ სიწყნარე დამყარდა. მხოლოდ 90-იანი წლების დასასრულიდან დაიწყო ხელახლა გლეხების აჯანყებანი და შეთქმულებანი.

ჩვენ გვერდს ვუვლით ჰოლანდიელი გლეხების აჯანყებას 1491 — 1492 წლებში, რომელიც ჰერცოგ ალბრეხტ საქსონელმა ჩაახშო ჰეემსკერკთან ბრძოლაში, კემპტენის საეპატოს გლეხთა ამბოხებას, რომელიც იმავე დროს მოხდა ზემო შვაბიაში, და ფრიზელების ამბოხებას სიარდ აილვას მეთაურობით 1497 წელს, რომელიც აგრეთვე ალბრეხტ საქსონელმა ჩააქრო. ეს ამბოხებანი ნაწილობრივ მეტად დაშორებულია საკუთრივ გლეხთა ომის ასპარეზს, ნაწილობრივ წარმოადგენენ მანამდე თავისუფალი გლეხების ბრძოლას მათთვის ფეოდალიზმის თავზე მოხვევის ცდის წინააღმდეგ. ჩვენ პირდაპირ გადავდივართ ორ დიდ შეთქმულებაზე, რომლებმაც გლეხთა ომი მოამზადეს: ესენია «წ ა ღ ი ს» შეთქმულება და «ს ა წ ყ ა ლ ი კ ო ნ რ ა დ ი ს» შეთქმულება.

ცხოვრების გაძვირებამ, ისევე როგორც ნიდერლანდიაში 1493 წელს, ელზასშიც გამოიწვია გლეხთა აჯანყება, ხელი შეუწყო გლეხებისა და პლებეების საიდუმლო კავშირის შექმნას, რომელშიც წმინდა ბიურგერული ოპოზიციური პარტიის ადამიანებიც იღებდნენ მონაწილეობას, მას მეტად თუ ნაკლებად დაბალი თავადაზნაურობის ერთი ნაწილიც თანაუგრძნობდა. კავშირის სამოქმედო სარბიელი იყო შლეტშტადტის, ზულცის, დამბახის, როსჰაიმის, შერვაილერის და სხვ. მიდამოები. შეთქმულნი მოითხოვდნენ მევახშეების აკლებას და ამოხოცვას, რომლებიც უკვე მაშინ, ისევე როგორც დღეს, ტყავს აძრობდნენ ელზასელ გლეხებს, მოითხოვდნენ საიუბილეო წელიწადის შემოღებას, როცა ყველა ვალი უნდა გაუქ-

მებულიყო ხანდაზმულობის გამო, ბაჟების და სხვა გადასახადების მოსპობას, სასულიერო და საიდუმლო (საიმპერიო) სასამართლოს გაუქმებას, წოდებებისათვის გადასახადების დამტკიცების უფლებას, ხუცების შეზღუდვას თითო-თითო სამწყსოთი, რომლის შეზოსავალი 50—60 გულდენი იქნებოდა, საიდუმლო აღსარების მოსპობას და საკუთარ, არჩევით სასამართლოს ყოველი თემისთვის. შეთქმულებს გეგმა ჰქონდათ, როგორც კი საკმაოდ ძალას მოიკრეფდნენ, თავს დასხმოდნენ გამაგრებულ ციხე შლეტშტადტს, ხელში ჩაეგდოთ მონასტრისა და ქალაქის სალარო და აქედან მთელი ელზასი აეჯანყებინათ. საკავშირო დროშაზე, რომელიც აჯანყების მომენტში უნდა გაშლილიყო, გამოხატული იყო გლეხური წაღა გრძელი თახმით, ეგრეთწოდებული Bundschuh, რომელიც ამიერიდან უახლოესი 20 წლის განმავლობაში გლეხთა შეთქმულებების სახელი და სიმბოლო გახდა.

შეთქმულნი ჩვეულებრივ ღამით იკრიბებოდნენ განმარტოებულ შიმშილის მთაზე. კავშირში მიღება დაკავშირებული იყო უაღრესად საიდუმლო ცერემონიებთან; გამცემლებს უსასტიკესი სასჯელი ემუქრებოდა. ამისდა მიუხედავად საქმე ჩაიშალა სწორედ იმ დროს, როცა შეტევა უნდა დაწყებულიყო შლეტშტადტის წინააღმდეგ, 1493 წლის ვნების კვირას. მთავრობამ სასწრაფოდ მიიღო სათანადო ღონისძიებანი; მრავალი შეთქმული დაატყვევეს, აწამეს, ზოგი მათგანი ასო-ასო აჰკუწეს ან თავი მოჰკვეთეს, ხოლო ზოგიერთს ხელები და თითები დააჭრეს, რის შემდეგ ისინი ქვეყნიდან გააძევეს. ბევრი მათგანი შვეიცარიაში გაიქცა.

მაგრამ ამ პირველი მარცხის მიუხედავად «წაღა» სრულიადაც არ მოსპობილა. პირიქით, იგი განაგრძობდა ფარულად არსებობას და შვეიცარიაში თუ სამხრეთ გერმანიაში დიდი რაოდენობით გაბნეული ლტოლვილნი იქცნენ ემისრებად, რომელნიც ყველგან ერთსა და იმავე ჩაგვრასთან ერთად ერთი და იმავე აჯანყებისადმი მიდრეკილებას პოულობდნენ; მათ «წაღა» მთელი ახლანდელი ბადენის ტერიტორიაზე გაავრცელეს. სწორედ რომ გასაოცარია ის უჯიათობა და გამძლეობა, რომლითაც ზემოგერმანელი გლეხები 1493 წლიდან ოცდაათი წლის განმავლობაში ფარულ შეთქმულებებს აწყობდნენ, რომლითაც მათ თავიანთი ტერიტორიული დაქსაქსულობით გამოწვეული დაბრკოლებანი გადალახეს, დიდი ცენტრალიზებული კავშირი შეჰქმნეს და ურიცხვი აფეთქებისა, დამარცხებისა და ბელადების სიკვდილით დასჯის შემდეგ მაინც კიდევ ახალ-ახალ შეთქმულებებს

აწყობდნენ, ვიდრე, ბოლოს, მოხერხებული შემთხვევა არ მიეცათ მასიური აჯანყებისთვის.

1502 წელს შპაიერის სამღვდელმთავროში, რომელიც მაშინ ბრუხზალის ოლქსაც მოიცავდა, გლეხებს შორის თავი იჩინა ფარული მოძრაობის ნიშნებმა. აქ «წაღის» კავშირი მართლაც დიდი წარმატებით იქნა რეორგანიზებული. კავშირში 7 000 კაცი იყო დაახლოებით. მისი ცენტრი იყო უნტერგრომბახში, რომელიც ბრუხზალსა და ვაინგარტენს შუა მდებარეობს, მისი შტოები რაინის ხეობაში ქვემო მაინამდე აღწევდა, ზემოთ ბადენის სამარკგრაფომდე. მისი პროგრამა შემდეგს შეიცავდა: მთავრებსა, თავადაზნაურობას და ხუცებს ამიერიდან არ უნდა მიეცეს არც ღალა, არც სამეათედო, არც სხვა რაიმე გადასახადი ან ბაჟი; ბატონყმობა უნდა მოისპოს, მ ო ნ ა ს ტ რ ე ბ ს ა დ ა ე კ ლ ე ს ი ე ბ ს მ თ ე ლ ი ქ ო ნ ე ბ ა უ ნ დ ა ჩ ა მ ო ე რ თ ვ ა ს დ ა ხ ა ლ ხ ს გ ა უ ნ ა წ ი ლ დ ე ს; ყ ო ვ ე ლ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა უ ნ დ ა გ ა უ ქ მ დ ე ს, გ ა რ დ ა ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი ს ა.

აქ პირველად ხდება, რომ გლეხები ორ მოთხოვნას ერთად აყენებენ, ხალხის სასარგებლოდ სასულიერო წოდების ქონების სეკულარიზაციას და ერთიანი, განუყოფელი გერმანიის მონარქიის დამყარებას; ორივე ამ მოთხოვნას ამიერიდან რეგულარულად აყენებენ გლეხებისა და პლებეების უფრო განვითარებული ფრაქციები, ვიდრე, ბოლოს, თომას მიუნცერმა საეკლესიო და სამონასტრო ქონების დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა არ აქცია კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა დ ქ ო ნ ე ბ ი ს გ ა ნ ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მიზნით, ხოლო ერთიანი გერმანიის ი მ პ ე რ ი ი ს მოთხოვნა, გერმანიის ერთიანი და განუყოფელი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს მოთხოვნად.

განახლებულ «წაღის» კავშირს, ისევე როგორც ძველს, თავისი ფარული კრებების ადგილი ჰქონდა, თავისი დუმილის აღთქმა, წევრად მიღების თავისი ცერემონიები და თავისი კავშირის ბაირაღი წარწერითურთ: «სხვა არაფერი გარდა ღვთის სამართლისა!» მოქმედების გეგმა ელზასელებისას ჰგავდა: განზრახული იყო თავს დასხმოდნენ ბრუხზალს, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა კავშირის წევრებისაგან შედგებოდა; იქ საკავშირო ჯარი უნდა მოწყობილიყო და მოძრავი შესაკრები ცენტრის სახით მეზობელ სამთავროებში გაგზავნილიყო.

ეს გეგმა გასცა სასულიერო პირმა, რომელსაც იგი ერთ-ერთმა შეთქმულმა გაანდო აღსარებისას. მთავრობებმა მაშინვე საწინააღმდეგო ღონისძიებანი მიიღეს. რამდენად განშტოებული იყო ფარული

კავშირი, ჩანს იმ შიშიდან, რომელმაც ელზასის სხვადასხვა საიმპერიო წოდებანი და შვაბიის კავშირი[1] მოიცვა. ჯარებს თავი მოუყარეს და შეთქმულნი მასობრივად დააპატიმრეს. «უკანასკნელმა რაინდმა» იმპერატორმა მაქსიმილიანემ გლეხების უმაგალითო გამოსვლების წინააღმდეგ უსასტიკესი დასჯითი ბრძანებულება გამოსცა. ცალკეულ ადგილებში გლეხკაცობამ რაზმებიც კი შეადგინა და მთავრობას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია; მაგრამ ამ განცალკევებულმა გლეხთა რაზმებმა დიდხანს ვერ გასძლეს. ზოგიერთი შეთქმული სიკვდილით დასაჯეს, სხვები გაიქცნენ, მაგრამ საიდუმლოება ისე კარგად იყო დაცული, რომ უმრავლესობა, თვით ბელადებიც კი, ან თავიანთ სამშობლოში დარჩნენ ხელუხლებლად ან კიდევ მეზობელ მებატონეთა სამფლობელოებში.

ამ ახალი დამარცხების შემდეგ ხელახლა ხანგრძლივი მოჩვენებითი სიწყნარე ჩამოვარდა კლასთა ბრძოლაში. მაგრამ ფარულად შუშაობა გრძელდებოდა. შვაბიაში უკვე XVI საუკუნის პირველ წლებში, ალბათ, «წაღის» კავშირის გაფანტული წევრების ზეგავლენით «საწყალი კონრადის» კავშირი დაარსდა; შვარცვალდში «წაღის» კავშირი ცალკეული პატარა წრეების სახით კიდევ განაგრძობდა არსებობას, ვიდრე ათი წლის შემდეგ ერთმა ენერგიულმა გლეხთა ბელადმა ცალკე ძაფები ერთ დიდ შეთქმულებად არ გადაბა. ორივე შეთქმულებამ ერთი მეორის მოყოლებით იჩინა თავი აბობოქრებულ 1513 — 1515 წლებში, როცა აგრეთვე შვეიცარიელმა, უნგრელმა და სლოვენელმა გლეხებმაც ერთდაიმავე დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი აჯანყება მოახდინეს.

ზემო რაინზე «წაღის» კავშირი აღადგინა 1502 წლის შეთქმულების ლტოლვილმა, ყოფილმა ჯარისკაცმა ი ო ს ფ რ ი ც მ ა უნტერგრომბახიდან, რომელიც ყოველ მხრივ გამოჩენილ პიროვნებას წარმოადგენდა. გაქცევის დღიდან იგი სხვადასხვა ადგილას ცხოვრობდა ბოდენის ტბასა და შვარცვალდს შუა, დაბოლოს, ლეჰენში დასახლდა, ბრაისგაუს ფრაიბურგის მახლობლად, სადაც იგი ტყის მცველიც კი გახდა. სასამართლო გამოძიების აქტებში საინტერესო

---

[1] მთავრების, თავადაზნაურობისა და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის საიმპერიო ქალაქების პატრიციანული ზედადენის შ ვ ა ბ ი ი ს კ ა ვ შ ი რ ი დაარსებულია 1488 წელს. მისი მთავარი მიზანი იყო ბრძოლა გლეხური და პლებეური მოძრაობის წინააღმდეგ. ამ რეაქციული გაერთიანების ხელმძღვანელი სამხრეთ და დასავლეთ გერმანიის მთავრები ისურვოდნენ, რათა იგი გერმანიაში თავიანთი ოლიგარქიული ხელისუფლების დასამყარებლად გამოიყენებინათ. კავშირს საკუთარი ადმინისტრაციული სასამართლო ორგანოები და ჯარი ქონდა. 1531 წ. შინაგანი განსხვავებებმა ფამო იგი დაიშალა. რ ე დ.

დეტალები მოიპოვება იმის შესახებ, თუ როგორ მოახდინა მან აქედან კავშირის რეორგანიზაცია, როგორ მარჯვედ შესძლო სხვადასხვა ყაიდის ადამიანთა გაერთიანება. თავისი დიპლომატური ნიჭისა და დაუღალავი გამძლეობის შემწეობით ამ სანიმუშო კონსპირატორმა შეძლო კავშირში მრავალი ადამიანი ჩაება სხვადასხვა კლასებიდან: რაინდები, ხუცები, მოქალაქეები, პლებეები და გლეხები; და თითქმის უცილობელია, რომ მან შეთქმულების რამდენიმე, მეტნაკლებად მკაცრად გათიშული საფეხური მოაწყო. ყველა გამოსადეგი ელემენტი გამოყენებულ იქნა დიდი წინდახედულობითა და ოსტატობით. განდობილ ემისრებს გარდა, რომელნიც მთელ ქვეყანას სერავდნენ სხვადასხვანაირად გადაცმულნი, იოს ფრიცი მეორეხარისხოვანი დავალებისთვის მაწანწალებსა და მათხოვრებს იყენებდა. მათხოვართა ბელადებთან მას უშუალო კავშირი ჰქონდა და მათი შემწეობით მთელი მრავალრიცხოვანი მაწანწალების ჯარი ხელში ჰყავდა. ეს მათხოვართა ბელადები მის შეთქმულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ისინი მეტისმეტად ორიგინალური ფიგურები იყვნენ: ერთი დახეტიალობდა პატარა გოგონას თანხლებით, რომელსაც ვითომ დაავადებული ფეხები ჰქონდა, და მის სასარგებლოდ შეწირულებას აგროვებდა. მის ქუდს რვაზე მეტი ნიშანი ამკობდა («თოთხმეტი წმინდა მფარველის» ემბლემა, წმ. ოტილიასი, ღვთისმშობლისა და სხვ.); გრძელ მწითურ წვერს ატარებდა და ხელთ ეჭირა დიდი ხორკლიანი კომბალი სატევრითა და გრძელი დანით; მეორეს, რომელიც წმ. ველტენის გულისთვის მათხოვრობდა და სანელებელ სურნელსა და ვარდკანაფას თესლს ჰყიდდა, გრძელი, ჟანგისფერი ხიფთანი ეცვა, წითელი ბერეტი ეხურა და ზედ ტრიენტელი ბალღი ესვა, ხოლო სარტყელზე გვერდით დაშნა, სატევარი და მრავალი დანა ეკიდა; სხვებს ხელოვნურად გაკეთებული იარები ჰქონდათ, ამასთანავე ახირებული ტანსაცმელი ეცვათ. ისინი ათნი მაინც იყვნენ; მათ გასამრჯელოდ 2000 გულდენი უნდა მიეღოთ, რათა ერთსა და იმავე დროს ელზასსა, ბადენის სამარკგრაფოსა და ბრაისგაუში ხანძარი გაეჩაღებინათ და დაახლოებით 2 000 თავიანთი კაცით ცაბერნის საეკლესიო დღეობაზე გამოცხადებულიყვნენ როზენში და ლანდსკნეხტთა ყოფილი კაპიტანის გეორგ შნაიდერის სარდლობის ქვეშ დარაზმულიყვნენ, რათა ქალაქი აეღოთ. კავშირის ნამდვილი წევრებიდან შექმნილ იქნა ორგანიზაცია, რომელიც ცნობებს აწვდიდა სადგურიდან სადგურს და იოს ფრიცი და მისი მთავარი ემისარი შტოფელი ფრაიბურგიდან შეუჩერებლივ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადადიოდნენ და ღამით ახალმიღებულ

წევრთა დათვალიერებას ახდენდნენ. გამოძიების აქტები საკმაოდ მოწმობენ კავშირის გავრცელებას ზემო რაინსა და შვარცვალდში; ისინი შეიცავენ უამრავი წევრის სახელს იმ კუთხის სხვადასხვა ადგილიდან, ამ სახელების გვერდით მათი ნიშნებია მოყვანილი. უმრავლესობას ხელოსნები, შემდეგ გლეხები და მედუქნეები, რამდენიმე აზნაური, ხუცები (მაგალითად თვით ლეჰენის ხუცესი) და უმუშევარი ლანდსკნეხტები შეადგენდნენ. ამ შემადგენლობიდან უკვე სჩანს, რომ «წაღის» კავშირმა იოს ფრიცის მეთაურობით ბევრად უფრო განვითარებული ხასიათი მიიღო; სულ უფრო და უფრო გაძლიერდა ქალაქის პლებეური ელემენტი. შეთქმულების განშტოებანი მოეფინა მთელს ელზასსა და ახლანდელ ბადენს და თვით ვიურტემბერგამდე და მაინამდე გავრცელდა. დროგამოშვებით განმარტოებულ მთებზე, მაგალითად კნიბისზე და სხვ. უფრო დიდ კრებებს მართავდნენ და კავშირის საქმეებს არჩევდნენ. მეთაურების შეხვედრა, რომელსაც ხშირად ესწრებოდნენ კავშირის როგორც ადგილობრივი წევრები, ისე შორიდან მოსული დელეგატები, ხდებოდა ჰარტმატეზე[1] ლეჰენის მახლობლად; აქვე მიღებულ იქნა კავშირის პროგრამის თოთხმეტი მუხლი: არ უნდა იყოს არავითარი ბატონი გარდა იმპერატორისა და (ზოგიერთი ვერსიით) პაპისა; გაუქმდეს როტვაილის სასამართლო და შეიზღუდოს საეკლესიო სასამართლო სასულიერო საქმეებით; მოისპოს ყველა ის პროცენტი, რომელთა გადასახდელის შეტანილი თანხა კაპიტალს გაუთანასწორდა; დაწესდეს ხუთი პროცენტი, როგორც უმაღლესი ნებადართული ნორმა; დაწესდეს ნადირობის, თევზაობის, საბალახოს და შეშის მოკრის თავისუფლება, აეკრძალოს ხუცებს ჰყავდეთ ერთზე მეტი სამრევლო; მოხდეს საეკლესიო ქონების და სამონასტრო განძეულობის კონფისკაცია კავშირის სამხედრო სალაროს სასარგებლოდ; გაუქმდეს ყოველი უსამართლო გადასახადი და ბაჟი; დამყარდეს მუდმივი მშვიდობა მთელ საქრისტიანოში; გატარდეს ენერგიული ღონისძიებანი კავშირის ყველა მტრის წინააღმდეგ; დაწესდეს გადასახადი კავშირის სასარგებლოდ; აღებულ იქნას გამაგრებული ქალაქი (ფრაიბურგი), რათა იგი კავშირის ცენტრი გახდეს; როგორც კი კავშირის რაზმები შეგროვდებიან, დაიწყოს მოლაპარაკება იმპერატორთან და შვეიცარიასთან, თუ იმპერატორმა მოლაპარაკება უარჰყო; ესაა ის მუხლები, რომელთა შესახებ მიღწეულ იქნა შეთანხმება. აქედან ჩანს, რომ, ერთი მხრივ, გლეხების და პლებეების მოთხოვნები თანდათან უფრო გარკვეულ და მტკიცე სახეს ღე-

[1] ჰარტმატე (Hartmatte) — სიტყვა სიტყვით ნიშნავს კორდს. რ ე დ.

ბულობდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, საჭირო ხდებოდა ამდენადვე დათმობაზე წასვლა ზომიერი და მერყეევი ელემენტების მიმართ.

აჯანყება 1513 წლის შემოდგომისათვის უნდა დაწყებულიყო. კავშირს მხოლოდ დროშა აკლდა და მის შესამკობად იოს ფრიცი ჰაილბრონნში გაემგზავრა. ამ დროშაზე სხვადასხვა ემბლემისა და სურათის გარდა დახატული იყო კავშირის წაღა და მოთავსებული იყო წარწერა: «უფალო, დაიცავი შენი ღვთაებრივი სამართალი!». მაგრამ სანამ იოს ფრიცი წასული იყო, შეთქმულებმა ნაადრევად სცადეს ფრაიბურგზე თავდასხმა. ეს ცდა დროზე იქნა გამომჟღავნებული; პროპაგანდის დროს გადადგმულმა რამდენიმე წინდაუხედავმა ნაბიჯმა, ფრაიბურგის საბჭოსა და ბადენის მარკგრაფს დახმარება გაუწია ნამდვილ კვალს დასდგომოდნენ, ხოლო ორი შეთქმულის ღალატმა სრულიად გამოამჟღავნა ყოველივე. მარკგრაფმა, ფრაიბურგის საბჭომ და ენზისჰაიმში მყოფმა საიმპერიო მთავრობამ[1], მაშინვე თავიანთი მზვერავები და ჯარისკაცები გაგზავნეს; «წაღის» კავშირის წევრთა ერთი ნაწილი დატყვევებულ იქნა, ისინი აწამეს და სიკვდილით დასაჯეს; მაგრამ უმრავლესობა ახლაც გადარჩა, მათ შორის იოს ფრიციც. შვეიცარიის მთავრობა ამ შემთხვევაში უფრო მეტი სისასტიკით ძოეპყრა ლტოლვილთ, თვითონაც სიკვდილით დასაჯა მრავალი მათგანი; მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა მეზობლებმა ხელი ვერ შეუშალეს ლტოლვილთა უმეტეს ნაწილს, რომ თავისი წინანდელი საცხოვრებელი ადგილების მახლობლად დარჩენილიყო და ნელნელა შინაც დაბრუნებულიყო. ყველაზე მეტი გააფთრება გამოიჩინა ელზასის მთავრობამ ენზისჰაიმში: მისი ბრძანებით მრავალს მოჰკვეთეს თავი, ბორბალზე აწამეს და ასო-ასო აჰკუწეს. თვით იოს ფრიცი უფრო მეტად შვეიცარიაში იმყოფებოდა რაინის ნაპირას, მაგრამ ხშირად შვარცვალდშიც გადმოდიოდა, ისე კი, რომ იგი ვერასოდეს ვერ იგდეს ხელთ.

ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში შვეიცარიელები მეზობელ მთავრობებს შეუკავშირდნენ «წაღის» კავშირელთა წინააღმდეგ, აიხსნება გლეხთა იმ ამბოხებით, რომელმაც უახლოეს, ე. ი. 1514 წელს იფეთქა ბერნსა, ზოლოტურნსა და ლუცერნში და რომელსაც შედეგად მოჰყვა არისტოკრატიული მთავრობებისა და პატრიციატის წმენდა. გარდა ამისა, გლეხებმა აქ ზოგიერთი უპირატესობა მოიპოვეს. თუ შვეიცარიის ადგილობრივმა აჯანყებებმა გამარჯვებას მიაღწიეს, ეს უბრალოდ იმით აიხსნება, რომ აქ

[1] — ე. ი. ავსტრიელ ჰაბსბურგთა მეფისნაცვლის მთავრობა ელზასსა და ბრაისგაუში. რედ.

ცენტრალიზაცია კიდევ უფრო სუსტი იყო, ვიდრე გერმანიაში. თავიანთ ადგილობრივ ბატონებს გლეხები 1525 წელსაც ყველგან სწრაფად უსწორდებოდნენ, მაგრამ ისინი მარცხდებოდნენ მთავრების ორგანიზებულ ჯარებთან შეტაკებებში, შვეიცარიაში კი სწორედ ასეთი ჯარები არ არსებობდა.

ბადენის «წაღის» კავშირთან ერთად და უშუალოდ მასთან დაკავშირებით ვიურტემბერგში მოეწყო მეორე შეთქმულება. ცნობების მიხედვით იგი ჯერ კიდევ 1503 წლიდან არსებობდა, მაგრამ, რადგან «წაღის» კავშირის სახელწოდება უნტერგრომბახის აფეთქების შემდეგ სახიფათო გახდა, ამ კავშირმა «ს ა წ ყ ა ლ ი კ ო ნ რ ა დ ი ს» სახელწოდება მიიღო. მისი მთავარი ცენტრი რემსის ხეობაში იყო ჰოჰენშტაუფენის მთის ძირში. მისი არსებობა, ყოველ შემთხვევაში ხალხში, უკვე კარგა ხანია საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. უსირცხვილო შევიწროვებამ ჰერცოგ ულრიხის მთავრობის მხრივ და რამდენიმე წლის შიმშილობამ, რომელმაც 1513 და 1514 წლების მოძრაობის აფეთქებას ძალოვანად შეუწყო ხელი. გაზარდა მოკავშირეთა რიცხვი; თვით ამბოხება გამოიწვია ახალი გადასახადების დაწესებამ ღვინოსა, ხორცსა და პურზე, აგრეთვე კაპიტალის გადასახადმა წლიურად ერთი პფენიგის რაოდენობით ყოველ გულდენზე. განზრახული იყო პირველად აეღოთ ქალაქი შორნდორფი, სადაც შეთქმულების მეთაურები მედანე კასპარ პრეგიცერის სახლში იკრიბებოდნენ. 1514 წელს გაზაფხულზე იფეთქა აჯანყებამ. 3 000, ზოგიერთი ცნობით კი 5 000, გლეხი ქალაქს მიუახლოვდა, მაგრამ უკანვე დაბრუნდა ჰერცოგის მოხელეთა მიერ კეთილი შეპირებებით დაიმედებული; ჰერცოგი ულრიხი სასწრაფოდ გამოეშურა ქალაქისკენ თავისი 80 მხედრითურთ და ამასთან აღუთქვამდა ახალი გადასახადების გაუქმებას. მაგრამ ქალაქში მას ამ დაპირების წყალობით ყოველივე წესრიგში და დამშვიდებული დახვდა. იგი ჰპირდებოდა ლანდტაგის მოწვევას საჩივრების გასარჩევად. მაგრამ კავშირის ბელადებმა კარგად იცოდნენ, რომ ულრიხს მხოლოდ ერთი განსრახვა ჰქონდა: ხალხი დაეწყნარებინა, სანამ იგი საკმაო რაოდენობის ჯარს გამოიწვევდა და თავს მოუყრიდა, რათა თავისი სიტყვა გაეტეხა და გადასახადები ძალით აეკრიფა. ამიტომ მათ კასპარ პრეგიცერის სახლიდან, «საწყალი კონრადის კანცელარიიდან», მოწოდება დაგზავნეს კავშირის კონგრესის მოსაწვევად; ამ მიზნით ყოველი მიმართულებით დაგზავნეს თავიანთი ემისრები. რემსის ხეობაში პირველი აჯანყების წარმატებამ ყველგან გაზარდა მოძრაობის ავტორიტეტი ხალხის თვალში; წერილობითმა მოწოდე-

ბამ და ემისრებმა ყველგან ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვეს და 28 მაისს ენტერტიურკჰაიმში შეკრებილ კონგრესს მრავალი წარმომადგენელი დაესწრო ვიურტემბერგის ყოველი კუთხიდან. გადაწყდა, ბეჯითად გაეგრძელებინათ აგიტაცია და პირველ შემთხვევისთანავე რემსის ხეობაში დაერტყათ, რათა აქედან აჯანყება შემდგომ გაეფართოებინათ. როდესაც ყოფილმა ჯარისკაცმა დეტინგენელმა ბანტელჰანსმა და ყველასაგან პატივცემულმა ვიურტინგელმა გლეხმა ზინგერჰანსმა შვაბიის ალბის[1] მცხოვრებნიც ჩააბეს კავშირში, აჯანყებამ უკვე ყველგან იფეთქა. მართალია, ზინგერჰანსი მოულოდნელი თავდასხმის შედეგად ხელში ჩაუვარდა მტერს, მაგრამ ქალაქები ბაკნანგი, ვინენდენი, მარკგრენინგენი პლებეებთან შეკავშირებულ გლეხებს ჩაუვარდათ ხელში და მთელი ქვეყანა ვაინსბერგიდან ბლაუბოირენამდე და იქიდან ბადენის საზღვრამდე აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული; ულრიხი იძულებული გახდა დაეთმო. და თუმცა იგი ლანდტაგს იწვევდა 25 ივნისისთვის, მაგრამ ამავე დროს ჰეზობელ მთავრებსა და თავისუფალ ქალაქებს წერილობით შველას სთხოვდა აჯანყების წინააღმდეგ, რომელიც ყველა მთავარსა, ხელისუფალსა და წარჩინებულს საფრთხეს უქადის იმპერიაში და «უცნაურად წააგავს «წაღის» კავშირის მოქმედებასო.

ამასობაში ლანდტაგი, ე. ი. ქალაქთა წარმომადგენლები და გლეხების მრავალი დელეგატი, რომლებიც აგრეთვე მოითხოვდნენ ადგილს ლანდტაგში, უკვე 18 ივნისს შეიკრიბა შტუტგარტში. პრელატები ჯერ კიდევ არ მოსულიყვნენ. რაინდები სრულიად არ ყოფილან მოწვეულნი. შტუტგარტის ქალაქის ოპოზიციამ, ისევე როგორც გლეხთა ორმა რაზმმა, რომელიც მახლობლად იყო ჩასაფრებული, ლეონბერგსა და რემსის ხეობაში და საშიშროებას უქმნიდა ქალაქს, მხარი დაუჭირა გლეხთა მოთხოვნებს. მათი წარმომადგენლები ლანდტაგში დაუშვეს და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გადაეყენებინათ და დაესაჯათ ჰერცოგის სამი მრჩეველი—ლამპარტერი, ტუმბი და ლორხერი, რომლებიც განსაკუთრებულ სიძულვილს იწვევდნენ, შეექმნათ ჰერცოგთან საბჭო ოთხი რაინდისა, ოთხი მოქალაქისა და ოთხი გლეხისაგან, დაენიშნათ ჰერცოგისათვის მტკიცე ჯამაგირი და მოეხდინათ მონასტრებისა და სამადლო ქონების კონფისკაცია სახელმწიფო სალაროს სასარგებლოდ.

ამ რევოლუციურ გადაწყვეტილებებს ჰერცოგმა ულრიხმა სახელმწიფოებრივი გადატრიალება დაუპირისპირა. იგი 21 ივნისს ტუბინგენს გაემგზავრა თავისი რაინდებითა და მრჩევლებით, იქ მას

[1] შვაბიის ალბი, ანუ შვაბიის იურა — შვაბიის მთიანეთი. რ. ედ.

პრელატებიც გაჰყვნენ, შემდეგ მან ბიურგერებსაც უბრძანა იქ მისვლა, რაც მათ შეასრულეს, და გლეხების დაუსწრებლად განაგრძო ლანდტაგის სხდომები. აქ ბიურგერებმა, რომლებიც სამხედრო ტერორის ქვეშ მოექცნენ, გასცეს თავიანთი მოკავშირეები, გლეხები. 8 ივლისს დაიდო ტუბინგენის ხელშეკრულება, რომელმაც ქვეყანას ჰერცოგის თითქმის ერთმილიონიანი ვალის გადახდა დააკისრა, ჰერცოგის ძალაუფლება შეზღუდა ზოგიერთი ვალდებულებით, რომელიც მას არასოდეს არ შეუსრულებია, ხოლო გლეხები ორიოდე მშვლე ზოგადი ფრაზითა და ამბოხების და კავშირების საწინააღმდეგო მეტად მკაცრი კანონით დაასაჩუქრა. გლეხების წარმომადგენლობაზე ლანდტაგში, რასაკვირველია, კრინტიც აღარ დაუძრავთ. სოფლის ხალხი გაიძახოდა — გვიღალატესო, მაგრამ ჰერცოგმა, რომელმაც თავისი ვალების გასტუმრება წოდებათ გადაულოცა და ამით ხელახლა მოიპოვა კრედიტი, სწრაფად მოუყარა თავი ჯარს; მისმა მეზობლებმაც, განსაკუთრებით პფალცის კურფიურსტმა, დამსმარე ჯარები გამოუგზავნეს. ამ პირობებში ივლისის ბოლომდე ტუბინგენის ხელშეკრულება მთელმა ქვეყანამ მიიღო და მისი დაცვა შეჰფიცა. მხოლოდ რემსის ხეობაში გაუწია «საწყალმა კონრადმა» წინააღმდეგობა; ჰერცოგი, რომელიც აქ ხელახლა პირადად მოიჭრა, კინაღამ მოჰკლეს, ხოლო კაპელის მთაზე გაიშალა გლეხთა ბანაკი. მაგრამ რადგან საქმე გაჭიანურდა, აჯანყებულთა უმრავლესობა დაიფანტა საკვების უქონლობის გამო, დანარჩენებმა კი ორაზროვანი ხელშეკრულება დასდეს ლანდტაგის ზოგიერთ წარმომადგენლებთან და შინ დაბრუნდნენ; აქასობაში ულრიხის ჯარი გაძლიერდა მოხალისე მოქალაქეებით, რომლებიც მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა მათი მოთხოვნები, გლეხკაცების ფანატიკურ მტრებად იქცნენ. ეს ჯარი ახლა ხელშეკრულების მიუხედავად თავს დაესხა რემსის ხეობას და დაარბია სოფლები და ქალაქები. 1600 გლეხი დაატუსაღეს, მათგან 16 კაცს დაუყოვნებლივ თავი მოჰკვეთეს, დანარჩენებს უმეტესწილად მძიმე ფულადი ჯარიმა დააკისრეს ულრიხის სალაროს სასარგებლოდ. მრავალი ადამიანი დიდხანს დარჩა სატუსაღოში. გლეხთა რაიმე კავშირის განახლებისა, თუ გლეხთა ყოველი კრების მოწვევის წინააღმდეგ გამოცემულ იქნა მკაცრი კანონები, ხოლო ყოველი ამბოხების ცდის დასათრგუნავად შვაბიის თავადაზნაურობამ საგანგებო კავშირი შეჰკრა. მაგრამ «საწყალი კონრადის» მთავარმა ბელადებმა თავი შეაფარეს შვეიცარიას, საიდანაც ისინი რამდენიმე წლის შემდეგ, უმეტესწილად ცალცალკე შინ დაბრუნდნენ.

ვიურტემბერგის მოძრაობასთან ერთად თავი იჩინა «წაღის» კავშირის ახალმა მღელვარებამ ბრაისგაუსა და ბადენის სამარკგრაფოში. ბიულის მახლობლად ივნისში გლეხებმა აჯანყების მოხდენა სცადეს, მაგრამ ეს ცდა მაშინვე ჩახშობილ იქნა მარკგრაფ ფილიპეს მიერ, და მეთაური გუგელბასტიანი ფრაიბურგში დააატუსაღეს და თავი მოჰკვეთეს.

იმავე 1514 წლის გაზაფხულზე იფეთქა საყოველთაო გლეხთა ომმა უ ნ გ რ ე თ შ ი. აქ იმ ხანად დაიწყო ჯვაროსნული ომის ქადაგება თურქების წინააღმდეგ და ჩვეულებისამებრ ყმებსა და მებეგრეებს, რომელნიც ლაშქარს მიემხრობოდნენ, თავისუფლებას აღუთქვამდნენ. შეიკრიბა 60 000 კაცი, რომელნიც სეკლერ[1] გეორგ დოჟას სარდლობის ქვეშ დააყენეს; ამ მხედარმა ჯერ კიდევ წინანდელ თურქთა ომში ისახელა თავი და აზნაურობაც კი მიიღო. მაგრამ უნგრელი რაინდები და მაგნატები ალმაცერად უცქერდნენ ამ ახალ ჯვაროსნულ ომს, რომელიც მათ საკუთრების — ყმების წართმევას ემუქრებოდა. ისინი უკან დაედევნენ ზოგიერთ გლეხთა რაზმს და ძალდატანებითა და ცემა-ტყეპით უკან წამოიყვანეს თავიანთი ყმები. როცა ეს ამბავი ჯვაროსანთა ლაშქარში შეიტყვეს, იფეთქა დაჩაგრული გლეხების გულისწყრომამ. ორმა ყველაზე გულმოდგინე მქადაგებელმა: ლაურენციუსმა და ბარნაბამ თავიანთი რევოლუციური სიტყვებით კიდევ უფრო გააღვივეს ჯარის სიძულვილი თავადაზნაურობისადმი. თვით დოჟა იზიარებდა თავისი ჯარების აღშფოთებას მოღალატე თავადაზნაურობის წინააღმდეგ; ჯვაროსანთა ლაშქარი რევოლუციურ ჯარად იქცა და დოჟა სათავეში ჩაუდგა ამ ახალ მოძრაობას.

იგი თავისი გლეხებით რაკოშის ველზე დაბანაკდა პეშტის მახლობლად. სამხედრო მოქმედება დაიწყო შეხლა-შემოხლით თავადაზნაურული პარტიის კაცებთან მახლობელ სოფლებსა და პეშტის გარეუბნებში; მალე ეს შეხლა-შემოხლა შეიარაღებულ შეტაკებად იქცა. ბოლოს დაიწყო სიცილიური სერობა[2] ყველა თავადაზნაურის-

[1] ს ე კ ლ ე რ ე ბ ი (სეკეიები) ეწოდებოდათ იმ მადიართ, რომლებიც ტრანსილვანიის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. რ ე დ.

[2] იგულისხმება სახალხო აჯანყება ადრეულ სიცილიაზე, რომელიც მიმართული იყო უცხოური, ფრანგ ანჟუელთა დინასტიის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა 1267 წელს ლიპარო სამხრეთ იტალია და სიცილია. ფრანგი ფეოდალების ძარცვა-გლეჯამ და ძალადობამ გამოიწვია სიძულვილი სიცილიის მთელი მოსახლეობისა, რომელმაც შური იძია დამპყრობლებზე პალერმოს აჯანყების მომენტში და 1282 წლის 31 მარტს საღამოთი ამოსწყვიტა რამდენიმე ათასი ფრანგი რაინდი და ჯარისკაცი. დამპყრობლები გამოძევებულ იქნენ სიცილიიდან, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში კიდევ ბატონობდნენ სამხრეთ იტალიაში. რ ე დ.

თვის, რომელიც ხელში უვარდებოდათ გლეხებს, და მახლობელი ციხე-კოშკების დაწვა. მეფის სასახლე იმუქრებოდა, მაგრამ ამაოდ. როცა სატახტო ქალაქის გალავანთან შესრულებულ იქნა პირველი აქტი ხალხის მიერ თავადაზნაურობის გასამართლებისა, დ ო ჟ ა შემდგომ ოპერაციებზე გადავიდა. მან ხუთ რაზმად გაანაწილა თავისი ჯარი. ორი ზემო უნგრეთის მთებში გაგზავნა იქ ხალხის ასაჯანყებლად და თავადაზნაურობის ამოსაწყვეტად, მესამე პეშტელი მოქალაქის ამბრუშ სალერეშის მეთაურობით რაკოშის ველზე დარჩა სატახტო ქალაქისთვის თვალყურის სადევნებლად; მეოთხე და მეხუთე დოჟამ და მისმა ძმამ გრეგორმა სეგედინისკენ წაიყვანეს.

ამასობაში პეშტში თავადაზნაურობა შეიკრიბა და ზიბენბურგენის[1] ვოევოდას იოჰან ზაპოლიას სთხოვა დახმარება. რ ო დ ე ს ა ც ს ა ლ ე რ ე შ ი გლეხთა ლაშქრის ბიურგერულ ელემენტებთან ერთად მტრის მხარეზე გადავიდა, თავადაზნაურობამ ბუდაპეშტის ბიურგერებთან ერთად გაანადგურა რაკოშის ველზე დაბანაკებული ჯარი. მრავალი დატყვევებული ულმობლად აწამეს და სიკვდილით დასაჯეს, დანარჩენებს კი ცხვირი და ყურები მოჭრეს და შინ გაუშვეს.

დოჟამ მარცხი განიცადა რა სეგედინთან, ჩენადისკენ გაილაშქრა და დაიპყრო კიდეც მას შემდეგ, რაც თავადაზნაურობის ჯარი, რომელსაც ისტვან ბატორი და ეპისკოპოსი ჩაკი სარდლობდნენ, დაამარცხა, ხოლო ტყვეებზე, რომელთა შორის ეპისკოპოსი და მეფის მოლარეთუხუცესი ტელეკი იმყოფებოდნენ, სისხლისმღვრელი რეპრესიებით იძია შური რაკოშის ველზე ჩადენილი სისასტიკისთვის. ჩენადში მან გამოაცხადა რესპუბლიკა, თავადაზნაურობის გაუქმება. საყოველთაო თანასწორობა და ხალხის სუვერენიტეტი და გაილაშქრა ტემეშვარისკენ[2], საითკენაც ბატორი გაიქცა. მაგრამ მაშინ როცა დოჟას ორი თვის განმავლობაში ამ ციხისთვის ალყა ჰქონდა შემორტყმული და მას ახალი ჯარი მიემატა ანტონ ჰოსას მეთაურობით, ორივე ზემოუნგრული ლაშქარი მრავალ შეტაკებაში დამარცხებულ იქნა თავადაზნაურობის მიერ და ამასთან დოჟას წინააღმდეგ გაილაშქრა იოჰან ზაპოლიამ ზიბენბურგენის ჯარითურთ. ზაპოლია თაეს დაესხა გლეხებს და დაამარცხა ისინი, თვით დოჟა დაიჭირეს, გავარვარებულ ტახტზე შესწვეს და ჯერ კიდევ ცოცხალი მისვე ხალხს შეაჭამეს იმ პირობით, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. გაფანტულ გლეხებს ლავრენციუსმა და ჰოსამ ხელახლა თავი მოუყარეს.

---

[1] ზიბენბურგენი (Siebenbürgen) — ტრანსილვანიის გერმანული სახელწოდება.
[2] აწინდელი რუმინული ქალაქი ტიმიშოარა. რ ე დ.

მაგრამ ისინი კვლავ დამარცხდნენ და ყველანი, ვინც მტერს ხელში ჩაუვარდა, სარზე ჩამოაცვეს ან ჩამოახრჩვეს. ათასობით გლეხთა გვამები ეკიდა გზების გასწვრივ ან გადამწვარი სოფლების შესავალში. 60 000-მდე კაცი ნაწილობრივ ბრძოლაში მოკვდა, ნაწილობრივ სიკვდილით იქნა დასჯილი. თავადაზნაურობამ კი იზრუნა, რომ უახლოეს ლანდტაგს გლეხების დამონება ხელახლა კანონად ეღიარებინა.

გლეხთა აჯანყება, რომელმაც იმავე დროს «ვინდის მარკში» ე. ი. კარინტიასა, კრაინასა და შტირიაში იფეთქა, ეყრდნობოდა «წაღის» კავშირის მსგავს შეთქმულებას; ეს შეთქმულება ამ თავადაზნაურობისა და იმპერატორის მოხელეებისაგან სისხლგამოწოვილ, თურქების თავდასხმებით გაპარტახებულ და შიმშილით დაბეჩავებულ ქვეყანაში ჯერ კიდევ 1503 წელს მოეწყო და მან აჯანყება გამოიწვია. ამ კუთხის სლოვენმა გლეხებმაც გერმანელი გლეხების მსგავსად უკვე 1513 წელს საომარი დროშა აღმართეს «stara prawa»-ს («ძველ უფლებათა») სახელით და თუ ამ წელს კიდევ მოხერხდა მათი დაშოშმინება, თუ 1514 წელს, როცა ისინი კიდევ უფრო მრავლად შეიკრიბნენ, იმპერატორმა მაქსიმილიანემ შესძლო მათი დაშლა იმით, რომ შეჰპირდა «ძველი უფლებების» აღდგენას, მით უფრო მეტი სიმძაფრით იფეთქა 1585 წლის გაზაფხულზე რამდენჯერმე მოტყუებული ხალხის აჯანყებამ შურის საძიებლად. უნგრეთის მსგავსად აქაც შეფიცული გლეხები ყველგან ანადგურებდნენ ციხე-კოშკებსა და მონასტრებს, ხოლო დატყვევებულ თავადაზნაურებს ასამართლებდნენ და ხოცავდნენ. შტირიასა და კარინტიაში იმპერატორის ჯარის უფროსმა დიტრიხშტაინმა მალე მოახერხა ამბოხების ჩაქრობა; მაგრამ კრაინაში იგი მხოლოდ ქალაქ რაინზე მოულოდნელი თავდასხმის (1516 წ. შემოდგომაზე) შემდეგ იქნა ჩაქრობილი, ამას მოჰყვა ავსტრიელი თავადაზნაურების ურიცხვი სისასტიკე, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა უნგრელი თავადაზნაურების მიერ ჩადენილ სამარცხვინო საქმეებს.

ადვილი გასაგებია, რომ მთელ რიგ ასეთ გადამწყვეტ დამარცხებათა და თავადაზნაურობის მასიური სისასტიკის შემდეგ გლეხები გერმანიაში დიდ ხანს წყნარად იყვნენ. მაგრამ სავსებით არ შეწყვეტილა არც შეთქმულებანი და არც ადგილობრივი აჯანყებანი. უკვე 1516 წელს «წაღის» კავშირის და «საწყალი კონრადის» ლტოლვილნი შვაბიაში და ზემო რაინზე დაბრუნდნენ, და 1517 წელს «წაღის» კავშირი უკვე ხელახლა აღორძინდა შვარცვალდში. თვით იოს ფრიცმა, რომელიც 1513 წლიდან ფარულად მუდამ მკერდზე ატარებდა «წაღის» კავშირის ძველ დროშას, ხელახლა მოიარა შვარც-

ვალდი და დიდი საქმიანობა გაშალა. შეთქმულება ხელახლა მოეწყო. როგორც ოთხი წლის წინათ, ისე ახლაც კრებებს კნიბისის მთაზე იწვევდნენ. მაგრამ საიდუმლოება გამომჟღავნდა, მთავრობებმა შეიტყვეს შეთქმულება და სათანადო ღონისძიებანი მიიღეს. მრავალი მონაწილე დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს; ყველაზე მოქმედი და ინტელიგენტი წევრები იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ, მათ შორის იოს ფრიციც, რომელიც ვერც ახლა დაიჭირეს; როგორც ეტყობა, იგი მალე შვეიცარიაში მოკვდა, იმიტომ რომ იგი ამიერიდან აღარსად არაა მოხსენებული.

IV

იმ დროს, როცა შვარცვალდში ჩახშობილ იქნა «წაღის» კავშირის მეოთხე შეთქმულება, ლუთერმა ვიტენბერგში ნიშანი მისცა მოძრაობას, რომელსაც ყველა წოდება მორევში უნდა ჩაეთრია და მთელი იმპერია შეერყია. ტიურინგელი ავგუსტინელი ბერის თეზისებმა[1] ისე იმოქმედა, როგორც ნაპერწკალმა თოფისწამლიან კასრში. მათში თავდაპირველად საერთო, ზოგადი გამოხატულება ჰპოვა მრავალმხრივ გადაჯვარედინებულმა მისწრაფებებმა როგორც რაინდებისა ისე მოქალაქეებისა, როგორც გლეხებისა ისე პლებეებისა, როგორც სუვერენობის მაძიებელი მთავრებისა ისე დაბალი სამღვდელოებისა, როგორც ფარული მისტიური სექტებისა, ისე ლიტერატურული-სწავლული და ბურლესკულ-სატირული[2] ოპოზიციისა; ყველა ეს ელემენტი გასაოცარი სისწრაფით შეჯგუფდა ამ თეზისების გარშემო. ყველა ამ ოპოზიციური ელემენტის ერთ ღამეში შექმნილმა კავშირმა, რა რიგ ხანმოკლეც არ უნდა ყოფილიყო იგი, მოუ-

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს 95 თეზისი, რომელიც 1517 წლის 31 ოქტომბერს ლუთერმა (თავისი სასულიერო კარიერა მან დაიწყო როგორც ტიურინგიის ავგუსტინელთა მონასტრის უბრალო ბერმა) ვიტემბერგის ერთ-ერთი ეკლესიის კარებს მიაკრა. თეზისები შეიცავდნენ მძაფრ პროტესტს კათოლიკური სამღვდელოების მიერ ინდულგენციით ვაჭრობისა და თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. გარდა ამისა თეზისებში მოცემული იყო ლუთერის რელიგიური მოძღვრების პირველი მონასახი ბიურგერული იდეალების შესატყვისი იაფფასიანი ეკლესიის შესახებ. რ ე დ.

[2] ბ ურ ლ ე ს კ ა — პაროდიულ-სატირული ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი, რომელიც გავრცელებული იყო აღორძინების პერიოდის მწერლებსა და ჰუმანიზმის იდეოლოგებს შორის; ამ ჟანრს ისინი იყენებდნენ კარის პოეზიის მაღალფარდოვანი სტილისა და ფეოდალური საზოგადოების გაბღენძილობის გასამასხრებლად. რ ე დ.

ლოდნელად გამოამჟღავნა მოძრაობის საშინელი ძალა და მით უფრო დააჩქარა მისი განვითარება.

მაგრამ სწორედ მოძრაობის ამ სწრაფ განვითარებას ჩქარა უნდა გამოეჩენებია იმ წინააღმდეგობის ჩანასახი, რომელიც მასში იყო ჩაქსოვილი, უნდა ხელახლა გაეთიშა მღელვარე მასის ერთიმეორის მოწინააღმდეგე ელემენტები და ჩაეყენებინა ისინი მათთვის ნორმალურ მტრულ ადგომარეობაში. ამ ჭრელი ოპოზიციური მასის დაჯგუფებამ ორი პოლუსის, მიზიდულობის ცენტრის გარშემო რეფორმაციის პირველ წლებში იჩინა თავი; თავადაზნაურობა და ბიურგერები ყოველი პირობის გარეშე ლუთერის გარშემო დაჯგუფდნენ; გლეხებმა და პლებეებმა, რომლებიც ლუთერს ჯერ კიდევ არ თვლიდნენ თავიანთ პირდაპირ მტრად, წინანდებურად რევოლუციური ოპოზიციური პარტია შექმნეს. მხოლოდ მოძრაობა ახლა ბევრად უფრო ზოგადი, ბევრად უფრო ღრმა გახდა, ვიდრე ლუთერამდე იყო, ამას ორივე პარტიის ინტერესთა მძაფრი წინააღმდეგობა უნდა გამოეწვია, ისინი ერთმანეთისთვის უნდა დაეჯახებინა. ეს პირდაპირი შეჯახება ჩქარა მოხდა; ლუთერი და მიუსცერი ერთმანეთს ებრძოდნენ პრესაში და კათედრიდან, ისევე, როგორც უმეტესწილად ლუთერანებისაგან შემდგარი ან ყოველ შემთხვევაში ლუთერანობისკენ გადახრილი მთავრების, რაინდებისა და ქალაქების ჯარები გლეხებისა და პლებეების რაზმებს ფანტავდნენ ხოლმე.

თუ რა რიგ გათიშული იყო რეფორმაციის მსარეზე გადასული სხვადასხვაგვარი ელემენტების ინტერესები და მოთხოვნილებანი, ჯერ კიდევ გლეხთა ომამდე გამოამჟღავნა თავადაზხაურობის ცდამ გაეხორციელებინა თავისი მოთხოვნები მთავრებისა და ხუცების წინააღმდეგ.

ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, რა მდგომარეობა დაიჭირა გერმანიის თავადაზნაურობამ XVI საუკუნის დასაწყისში. მას საფრთხე ემუქრებოდა, რომ თავის დამოუკიდებლობას დაკარგავდა თანდათან გაძლიერებული საერო და სასულიერო მთავრების სასარგებლოდ. იმავე დროს ხედავდა, რომ რამდენადაც იგი ქვეითდებოდა, საიმპერიო ხელისუფლებაც სუსტდებოდა და იმპერია რამდენიმე სუვერენულ სამთავროებად იშლებოდა. ამიტომ თავისი დაქვეითება მას უნდა მოსჩვენებოდა გერმანელების, როგორც ერის, დაქვეითებად. ამას ზედ ერთვოდა ის, რომ თავადაზნაურობა, განსაკუთრებით კი უშუალოდ საიმპერიო თავადაზნაურობა, ის წოდება იყო, რომელიც, როგორც თავისი სამხედრო პროფესიის გამო, ისე მთავრების მიმართ თავისი მდგომარეობის გამო, ყველაზე უკეთ წარმოადგენდა იმპერიასა და საიმპერიო ხელისუფლებას. იგი ყველაზე ნაციონალური

წოდება იყო და რამდენადაც უფრო ძლიერი იყო საიმპერიო ხელისუფლება, რაც უფრო სუსტი და მცირერიცხოვანი იყვნენ მთავრები, რაც უფრო გაერთიანებული იყო გერმანია, მით უფრო ღონიერი იყო იგი. ამით აიხსნება რაინდთა საერთო უკმაყოფილება გერმანიის უბადრუკი პოლიტიკური მდგომარეობით, მისი უძლურებით საგარეო საქმეებში (ეს უძლურება მით უფრო მატულობდა, რაც უფრო აკოწიწებდა იმპერიას საიმპერიო ხელისუფლება მემკვიდრეობით მიღებული პროვინციების შემოერთებით), უცხო სახელმწიფოების ინტრიგებით გერმანიის შიგნით და გერმანელი მთავრების შეთქმულებებით უცხოეთთან საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ. ცხადია, რომ თავადაზნაურობის მოთხოვნა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოხატულიყო საიმპერიო რეფორმის მოთხოვნით, რომლის მსხვერპლი მთავრები და უმაღლესი სამღვდელოება უნდა გამხდარიყვნენ. ამ მოთხოვნათა შემუშავება იკისრა გერმანიის თავადაზნაურობის თეორეტიკოსმა წარმომადგენელმა ულრიხ ფონ ჰუტენმა გერმანელი თავადაზნაურობის სამხედრო და პოლიტიკურ წარმომადგენელ ფრანც ფონ ზიკინგენთან ერთად.

საიმპერიო რეფორმის მოთხოვნას, რომელიც ჰუტენმა თავადაზნაურობის სახელით წამოაყენა, მან მეტად გარკვეული და რადიკალური სახე მისცა. არც მეტი და არც ნაკლები საქმე ეხებოდა ყველა მთავრის გადაყენებას, ყველა სასულიერო სამთავროსა და მამულის სეკულარიზაციას და თავადაზნაურული დემოკრატიის დამყარებას მონარქის მეთაურობით, როგორც ეს ოდესღაც არსებობდა კეთილმოსაგონებელ პოლონეთის რესპუბლიკაში. ჰუტენს და ზიკინგენს იმედი ჰქონდათ, რომ სახელმწიფოს ხელახლა მთლიანს, თავისუფალს და ძლიერს გავხდით, თუ აღვადგინეთ უმთავრესად სამხედრო კლასის—თავადაზნაურობის—ბატონობა, თუ გათიშვის მატარებელი მთავრები თავიდან მოვიშორეთ, თუ ხუცების ძალა გავანადგურეთ და გერმანია რომის სულიერი ბატონობისგან გავანთავისუფლეთო.

ბატონყმობაზე დამყარებული თავადაზნაურული დემოკრატია, როგორც იგი პოლონეთში და ოდნავ შეცვლილი ფორმით გერმანელების მიერ პირველ საუკუნეებში დაპყრობილ სახელმწიფოებში არსებობდა, მეტად პრიმიტიული საზოგადოებრივი ფორმაა და სრულიად ნორმალურად ვითარდება ნათლად გამოკვეთილი ფეოდალური იერარქიისაკენ, რომელიც უკვე ბევრად უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს. ცხადია, ასეთი წმინდა თავადაზნაურული დემოკრატია XVI საუკუნის გერმანიაში შეუძლებელი იყო. იგი შეუძლე-

ბელი იყო იმიტომ, რომ გერმანიაში უკვე არსებობდა მნიშვნელოვანი და ძლიერი ქალაქები. მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლებელი იყო აგრეთვე ის კავშირი დაბალი თავადაზნაურობისა და ქალაქებისა, რომელმაც ინგლისში გამოიწვია ფეოდალურ-წოდებრივი მონარქიის გადაქცევა ბურჟუაზიულ-კონსტიტუციურ მონარქიად. გერმანიაში ძველი თავადაზნაურობა გადარჩა, ინგლისში კი იგი «ვარდების ომის»[1] დროს სრულიად ამოწყდა, გარდა 28 საგვარეულოსი, და მისი ადგილი ახალმა თავადაზნაურობამ დაიჭირა, რომელიც ბურჟუაზიული იყო წარმოშობითაც და ტენდენციებითაც; გერმანიაში კი ბატონყმობა განაგრძობდა არსებობას, და თავადაზნაურობას ფ ე ო დ ა ლ უ რ ი შემოსავლის წყაროები ჰქონდა. ინგლისში იგი თითქმის სრულიად გაუქმებული იყო და თავადაზნაურობა უბრალო ბურჟუაზიული მიწათმფლობელი იყო და ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი შემოსავლის წყარო — საადგილმამულო რენტა — ჰქონდა. ბოლოს, გერმანიაში უკვე იმიტომაც შეუძლებელი იყო აბსოლუტური მონარქიის ცენტრალიზაცია, რომელიც საფრანგეთში თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგობის გამო ლუი XI-ის დროიდან არსებობდა და თანდათან ძლიერდებოდა, რომ აქ ეროვნული ცენტრალიზაციის პირობები ან საზოგადოდ სრულიად არ არსებობდა ან განუვითარებელი იყო.

ასეთ პირობებში რაც უფრო ახლო უდგებოდა ჰუტენი თავისი იდეალის პრაქტიკულ განხორციელებას, მით უფრო მეტი უნდა დაეთმო მას და მით უფრო გაურკვეველი უნდა გამხდარიყო მისი სახელმწიფოებრივი რეფორმის კონტურები. მარტოდმარტო თავადაზნაურობა იმდენად ძლიერი არ იყო, რომ დაწყებული საქმე განეხორციელებინა. ეს დაამტკიცა მისმა უილაჯობამ, რომელიც თანდათან მატულობდა თავადაზნაურობის გაძლიერებასთან შედარებით. საჭირო იყო მოკავშირეების გამოძებნა, ერთადერთი შესაძლებელი მოკავშირეები კი ქალაქები, გლეხები და რეფორმაციული მოძრაობის გავლენიანი თეორეტიკოსები იყვნენ. მაგრამ ქალაქები იმდენად

[1] «ვ ა რ დ ე ბ ი ს ო მ ი» (1455 — 1485) ომი ინგლისის ორი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელთა შორის, რომლებიც ერთმანეთს ტახტს ეცილებოდნენ: იორკები, რომელთა გერბზე გამოსახული იყო თეთრი ვარდი, და ლანკასტერები, რომელთა გერბზეც წითელი ვარდი იყო გამოკვეთილი. იორკთა გარშემო დაჯგუფებული იყო ეკონომიურად უფრო განვითარებული სამხრეთის მსხვილ ფეოდალთა ნაწილი, რაინდები და მოქალაქენი, ლანკასტერებს მხარს უჭერდა ჩრდილოეთის საგრაფოების ფეოდალური არისტოკრატია. ომი დამთავრდა იმით, რომ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ტიუდორების ახალი დინასტია, რომელმაც ინგლისში აბსოლუტიზმი შემოიღო. რ ე დ.

კარგად იცნობდნენ თავადაზნაურობას, რომ არ ენდობოდნენ მას და გაურბოდნენ მასთან ყოველგვარ კავშირს. გლეხები სრულიად სამართლიანად თავის უსამართლოდ მტრად თავადაზნაურობას თვლიდნენ, რომელიც მას სისხლს სწოვდა და სტანჯავდა. რეფორმაციის თეორეტიკოსები კი ან ბიურგერების მხარეზე იყვნენ, ან მთავრების, ან გლეხებისა. ან კი რა შეეძლო თავადაზნაურობას, რომ ბიურგერებისა და გლეხებისთვის პოზიტიური რამ მიეცა საიმპერიო რეფორმით, რომლის მთავარი მიზანი მაინც თავადაზნაურობის გაძლიერება იყო? ასეთ პირობებში ჰუტენს ისღა დარჩენოდა, რომ თავის საპროპაგანდო ნაწერებში ცოტა ან სრულიად არაფერი ეთქვა თავადაზნაურობის, ქალაქების და გლეხების მომავალ ურთიერთობაზე, მთელი ბოროტების წყაროდ მთავრები, ხუცები და რომისაგან დამოკიდებულება დაესახა და ბიურგერებისათვის ემტკიცებინა — თქვენი ინტერესი მოითხოვს ნეიტრალური მაინც დარჩეთ მთავრებსა და თავადაზნაურობას შორის მოსალოდნელ ბრძოლაშიო. ჰუტენი კრინტსაც არ სძრავს ბატონყმობისა და გლეხების ვალდებულებათა მოსპობაზე.

გერმანიის თავადაზნაურობის დამოკიდებულება გლეხებისადმი იმ დროს სწორედ ისეთივე იყო, როგორც პოლონეთის თავადაზნაურობისა თავისი გლეხობისადმი 1830 — 1846 წლის აჯანყებათა დროს. როგორც პოლონეთის ამ აჯანყებებში, იმდროინდელ გერმანიაშიც მოძრაობის გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ყველა ოპოზიციური პარტიის, განსაკუთრებით თავადაზნაურობის და გლეხკაცობის, კავშირი დამყარდებოდა. მაგრამ აქაც და იქაც სწორედ ეს კავშირი იყო შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი. არც თავადაზნაურობა იყო იძულებული თავისი პოლიტიკური პრივილეგიები და თავისი ფეოდალური სამართალი დაეთმო გლეხებისთვის, არც რევოლუციურ გლეხებს შეეძლოთ ზოგადი და გაურკვეველი პერსპექტივებით . დაკმაყოფილებულიყვნენ და კავშირი დაემყარებიათ თავადაზნაურობასთან, ე. ი. იმ წოდებასთან, რომელიც მას სწორედ ყველაზე მეტად სჩაგრავდა. არც 1830 წლის პოლონეთში და არც 1522 წლის გერმანიაში თავადაზნაურობას აღარ შეეძლო გლეხების გადაბირება. მხოლოდ ბატონყმობისა და მებეგრეობის სრულ მოსპობას, ყველა თავადაზნაურული პრივილეგიის მოსპობას შეეძლო სოფლის ხალხის დაკავშირება თავადაზნაურობასთან; მაგრამ თავადაზნაურობას, როგორც ყოველ პრივილეგიურ წოდებას, არავითარი სურვილი არ ჰქონდა ნებაყოფლობით დაეთმო თავისი

პრივილეგიები, მთელი თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა და თავისი შემოსავლის წყაროების უდიდესი ნაწილი.

ამრიგად, როცა ბრძოლა დაიწყო, თავადაზნაურობა განშარტოებული აღმოჩნდა მთავრების წინააღმდეგ. ძნელი არ იყო იმის წინდაწინ დანახვა, რომ მთავრები, რომელნიც ორი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში მას ზედიზედ ართმევდნენ პოზიციებს, ახლაც ადვილად გაუსწორდებოდნენ მას.

თვით ბრძოლის მიმდინარეობა ცნობილია. ჰუტენმა და ზიკინგენმა, რომელიც უკვე შუა გერმანიის თავადაზნაურობის ბელადად იყო აღიარებული, ლანდაუში 1522 წელს რაინის, შვაბიისა და ფრანკონიის თავადაზნაურობის კავშირი შეჰკრეს ექვსი წლით ვითომდა თავის დასაცავად; ზიკინგენმა ნაწილობრივ თავისი საკუთარი სახსრით, ნაწილობრივ მეზობელ რაინდებთან ერთად ჯარი შეკრიბა, ჯარისკაცები გამოიწვია ფრანკონიიდან, ქვემო რაინიდან, ნიდერლანდიიდან, ვესტფალიიდან და სექტემბერში 1522 წელს სამხედრო მოქმედება დაიწყო იმით, რომ ომი გამოუცხადა ტრირის კურფიურსტ არქიეპისკოპოსს. მაგრამ როცა მათ ტრირზე ალყა ჰქონდათ შემორტყმული, მთავრებმა სწრაფი მოქმედების შემწეობით მოსწყვიტეს იგი მის სათადარიგო ჯარებს; ჰესენის ლანდგრაფი და პფალცის კურფიურსტი ტრირის დასახმარებლად გამოეშურნენ და ზიკინგენი იძულებული გახდა უკან დაეხია თავის ციხე-კოშკ ლანდშტულისკენ. ჰუტენის და სხვა მეგობრების ყველა ცდის მიუხედავად, იგი აქ მოკავშირე თავადაზნაურობამ, რომელიც დააფრთხო მთავრების კონცენტრირებულმა და სწრაფმა მოქმედებამ, ბედის ანაბარა დასტოვა; თვით იგი სასიკვდილოდ დაიჭრა, ლანდშტული მტერს გადასცა და მალე ამის შემდეგ მოკვდა. ჰუტენი იძულებული გახდა შვეიცარიაში გაქცეულიყო; რამდენიმე თვის შემდეგ იგი გარდაიცვალა ციურიხის ტბის კუნძულ უფნაუზე.

ამ დამარცხებამ და ორივე ბელადის სიკვდილმა გატეხა თავადაზნაურობის ძალა როგორც მთავრებისაგან დამოუკიდებელი კორპორაციისა. ამიერიდან თავადაზნაურობა გამოდის მხოლოდ როგორც მთავრების დამხმარე და ხელქვეითი ძალა. გლეხთა ომმა, რომელმაც ამის შემდეგ მალე იფეთქა, კიდევ უფრო აიძულა იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ მთავრების მფარველობის ქვეშ დამდგარიყო და იმავე დროს დაამტკიცა, რომ გერმანელმა თავადაზნაურობამ ამჯობინა მთავართა სუვერენობის ქვეშ განეგრძო გლეხკაცობის ექსპლოატაცია, ვიდრე მთავრები და ხუცები დაემხო განთავისუფლებულ გლეხებთან აშკარა კავშირის შემწეობით.

V

იმ დროიდან, როცა ლუთერმა კათოლიკურ იერარქიას ომი გამოუცხადა და გერმანიის ყველა ოპოზიციური ელემენტი აამოძრავა, ერთი წელიც არ გასულა ისე, რომ გლეხებსაც არ წარმოედგინათ თავიანთი მოთხოვნები. 1518 წლიდან 1523 წლამდე შვარცვალდსა და ზემო შვაბიაში ერთი ადგილობრივ გლეხთა ამბოხება მეორეს მოსდევდა. 1524 წლის გაზაფხულიდან ამ აჯანყებებმა სისტემატური ხასიათი მიიღეს. ამ წლის აპრილში მარხტალის სააბატოს გლეხებმა უარი განაცხადეს ბეგრისა და ვალდებულებათა შესრულებაზე; მაისში სანქტ-ბლაზიენის გლეხებმა უარი თქვეს საბატონო ბეგრისა და ვალდებულებათა შესრულებაზე, ივნისში შტაინჰაიმის — მემინგენის მიდამოები — გლეხებმა განაცხადეს არც საათისთავოს გადავიხდით, არც სხვა გამოსაღებსო; ივლისსა და აგვისტოში ტურგაუელი გლეხები აჯანყდნენ და ისინი ნაწილობრივ ციურიხელების 'შუამავლობამ დააშოშმინა, ნაწილობრივ შვეიცარიის კავშირის მთავრობის სიმკაცრემ; ამ მთავრობამ მრავალი მათგანი სიკვდილით დასაჯა. ბოლოს შტიულინგენის სალანდგრაფოში დაიწყო გადამწყვეტი ამბოხება, რომელიც შეიძლება გ ლ ე ხ თ ა ო მ ი ს უ შ უ ა ლ ო დ ა ს ა წ ყ ი ს ა დ ჩაითვალოს.

შტიულინგენელმა გლეხებმა უეცრად უარი განაცხადეს ლანდგრაფის გადასახადებზე; შექმნეს ძლიერი რაზმები და ბ ულ გ ენ ბ ა ხ ე ლ ი ჰ ა ნ ს მ ი უ ლ ე რ ი ს მეთაურობით 1524 წლის 24 აგვისტოს ვალდსჰუტისკენ გაემართნენ. აქ მოქალაქეებთან ერთად ზათ დააარსეს ევანგელიური ძმობა. მოქალაქეები მით უფრო მეტი ხალისით შევიდნენ კავშირში, რომ მათ სწორედ ამ დროს კონფლიქტი ჰქონდათ წინაავსტრიის[1] მთავრობასთან, რომელიც სარწმუნოებრივ ნიადაგზე სდევნიდა მათს მქადაგებელს ბალთაზარ ჰ უ ბ მ ა ი ე რ ს, ტომას მიუნცერის მოწაფესა და მეგობარს. დაწესებულ იქნა საკავშირო გადასახადი, 3 კრაიცერი კვირეულად, რაც დიდ თანხას წარმოადგენს იმდროინდელი ფულის კურსის მიხედვით; დაგზავნილ იქნენ ემისრები ელზასში, მოზელისკენ, მთელს ზემო რაინის მხარესა და ფრანკონიაში, რათა ყველგან გლეხები კავშირში შეეყვანათ, ხოლო კავშირის მიზნად გამოცხადებულ იქნა ფეოდალური წესწყობილების გაუქმება, ციხეების და მონასტრების

[1] «წინაავსტრიის მიწები» — ასე ეწოდებოდა ავსტრიელი ჰაბსბურგებისა და მათი უშუალო ვასალების მამულებს, რომლებიც ზემო შვაბიისა და შვარცვალდის რაიონში იყო გაფანტული. რ ე დ.

დანგრევა და ყველა ბატონის გადაყენება, გარდა იმპერატორისა. კავშირის დროშა გერმანული სამფეროვანი ალამი[1] იყო.

აჯანყებამ ჩქარა მოიპოვა ნიადაგი ბადენის მთელს დღევანდელ „ობერლანდში". შიშის ძრწოლამ მოიცვა ზემოშვაბიის თავადაზნაურობა, რომლის სამხედრო ძალები თითქმის სავსებით იტალიაში იყო ჩაბმული, ფრანგთა მეფის ფრანცისკ I წინააღმდეგ. თავადაზნაურობას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ მოლაპარაკებით საქმე გაეჭიანურებინა, ხოლო ამასობაში ფული შეეგროვებინა და ჯარი შეედგინა, სანამ, ბოლოს, იმდენ ძალას არ მოიკრეფდა, რომ გლეხები მათი თავხედობისთვის «ცეცხლითა და მახვილით, რბევითა და ხოცვა-ჟლეტით»[3] დაესაჯა. აქედან დაიწყო ის სისტემატური ღალატი, ის განუწყვეტელი ცბიერება და ვერაგობა, რომლითაც თავად-აზნაურობამ და მთავრებმა თავი ისახელეს მთელი გლეხთა ომის დროს და რომელიც მათ უძლიერეს იარაღს წარმოადგენდა დაქსაქსული და ძნელად დასარაზმავი გლეხკაცობის წინააღმდეგ. შვაბიის კავშირმა, რომელიც მთავრებს, თავადაზნაურობას და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის საიმპერიო ქალაქებს მოიცავდა, შუამავლობა იკისრა, მაგრამ ისე კი, რომ არავითარი გარკვეული დათმობის გარანტია არ მიუცია გლეხებისათვის. გლეხების მოძრაობა არ შეწყვეტილა. ბულგენბახელმა ჰანს მიულერმა 30 სექტემბრიდან შუა ოქტომბრამდე შვარცვალდი განვლო ურახამდე და ფურტვანგენამდე, თავისი ლაშქარი 3 500 კაცამდე გაზარდა და ევატინგენთან (შტიულინგენის მახლობლად) დაბანაკდა. თავადაზნაურობის განკარგულებაში მხოლოდ 1700 კაცი იყო და ისინიც დაქსაქსული იყვნენ. თავადაზნაურობა იძულებული გახდა დროებითი ზავი ჩამოეგდო. ეს ზავი მართლაც შეიკრა ევატინგენის ბანაკში. გლეხებს აღუთქვეს ნებაყოფლობითი შეთანხმება ან უშუალოდ ძონაწილეთა შორის, ან სამედიატორო მსაჯულების შემწეობით, აგრეთვე მათი საჩივრების გარჩევა შტოქკახის საერობო სასამართლოში. ამის შემდეგ როგორც თავადაზნაურობის ჯარები, ისე გლეხები დაიშალნენ.

---

[1] — შავ-წითელ-ოქროსფერი ალამი, რომელიც იმ დროს და უფრო გვიანაც გერმანიის ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა. რ ე დ.

[2] — ე. ი. ბადენის მთიან სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. რ ე დ.

[3] სიტყვები ულტიმატუმიდან, რომელიც ტრუხზესმა, შვაბიის კავშირის დამსჯელი არმიის მეთაურმა, წაუყენა გეგაუს აჯანყებულ გლეხებს 1525 წ. 15 თებერვალს, როდესაც მთავრობამ უკვე თავი მოუყარა კონტრრევოლუციურ ძალებს. რ ე დ.

საერთო თანხმობით გლეხებმა წამოაყენეს 16 მუხლი, რომლის დადასტურებას შტოქკახის საერობო სასამართლოსაგან მოითხოვდნენ. ეს მუხლები მეტად ზომიერი იყო. გლეხები მოითხოვდნენ მხოლოდ ნადირობის უფლების, ბეგარის, მძიმე გადასახადების და საერთოდ მებატონეების პრივილეგიების გაუქმებას, მფარველობას თვითნებური დატუსაღებისა და მიკერძოებითი, თვითნებურად განმკითხავი სასამართლოსაგან, და სხვას არაფერს.

პირიქით, თავადაზნაურობამ, როგორც კი გლეხები შინ დაბრუნდნენ, მაშინვე მოითხოვა ყველა სადავო გამოსაღების გადახდა, სანამ საკითხს სასამართლო გადასწყვეტდა. გლეხები, რასაკვირველია, უარს აცხადებდნენ და მებატონეებს სასამართლოზე მიუთითებდნენ. ბრძოლა ხელახლა გაჩაღდა; გლეხებმა ხელახლა შექმნეს რაზმები, მთავრებმა და მებატონეებმა თავიანთ ჯარებს მოუყარეს თავი. ამჯერად მოძრაობა უფრო ფართოდ გავრცელდა, ბრაისგაუს საზღვრებს გაშორდა და ღრმად შეიჭრა ვიურტემბერგში. თავადაზნაურთა ჯარი გეორგ ტრუხზეს ფონ ვალდბურგის, გლეხთა ომის ამ ალბას მეთაურობით, ფეხდაფეხ მისდევდა გლეხებს, ამარცხებდა ცალკეულ რაზმებს, მაგრამ ვერ ბედავდა მთავარ ძალებზე თავდასხმას. გეორგ ტრუხზესი მოლაპარაკებას აწარმოებდა გლეხთა ბელადებთან და ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულებას სდებდა მათთან.

დეკემბრის ბოლოს დაიწყო საქმის განხილვა შტოქკახის საერობო სასამართლოში. გლეხებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ სასამართლო მხოლოდ თავადაზნაურებისაგან შედგებოდა. ამის საპასუხოდ მათ იმპერატორის სიგელი[1] წაუკითხეს. მოლაპარაკება გაჭიანურდა, ამავე დროს თავადაზნაურობა, მთავრები და შვაბიის საკავშირო მთავრობა იარაღს ისხამდნენ. ერცჰერცოგმა ფერდინანდმა, რომელიც აწინდელი ავსტრიის სამკვიდრო სამფლობელოს გარდა ვიურტემბერგს[2], ბადენის შვარცვალდსა და სამხრეთ ელზასს ჰფლობდა, ბრძანა უდიდესი სიმკაცრით გასწორებოდნენ ამბოხებულ გლეხებს. ისინი უნდა დაეტყვევებინათ, ეწამებინათ და შეუბრალებლად დაეხოცათ, ისინი უნდა ეჟლიტათ ყოველი

---

[1] თანახმად იმპერატორ მაქსიმილიანეს სიგელისა საერობო სასამართლოების შესახებ, ამ სასამართლოს წევრი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ «კეთილშობილ» წოდებათა წარმომადგენელი. რ ე დ.

[2] მას შემდეგ რაც 1519 წ. შვაბიის კავშირის, უკმაყოფილო ვიურტემბერგელი თავადაზნაურობისა და ბიურგერთა ძალებით ჰერცოგი ულრიხი განდევნილ იქნა ვიურტემბერგიდან, ამ ქვეყნის მართვა-გამგეობა გადაეცა ავსტრიის ერცჰერცოგს. რ ე დ.

საშუალებით. მათი კარმიდამო და ქონება დაეწვათ და გაეპარტახებინათ, მათი ცოლები და ბავშვები ქვეყნიდან გაეძევებინათ. აქედან ჩანს, როგორ იცავდნენ მთავრები და მებატონეები დროებით ზავს და როგორ ესმოდათ მათ ნებაყოფლობითი შეთანხმება და საჩივრების განხილვა. ერცჰერცოგი ფერდინანდი, რომელსაც ველზერის სავაჭრო სახლმა აუგსბურგში ფული ასესხა, სწრაფად იარაღდებოდა; შვაბიის კავშირმა მოითხოვა, რომ თანხები და ჯარები მისთვის სამ ვადაზე მიეწოდებინათ.

ყველა ეს აქამდე მომხდარი ამბოხება იმ დროს ეკუთვნის, როცა ტომას მიუნცერი ხუთი თვით ობერლანდში იყო. თუმცა არ არსებობს პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მოძრაობის დაწყებასა და მსვლელობაზე მას გავლენა მოეხდინოს, მაგრამ არაპირდაპირ ეს გავლენა სავსებით დადასტურებულია. ყველაზე გაბედული რევოლუციონერები გლეხებს შორის, უმეტესწილად, მისი მოწაფეები და მისი იდეების მიმდევრები არიან. თანამედროვეები მას მიაწერდნენ როგორც «თორმეტი მუხლის», ისე ობერლანდელი გლეხების «მოთხოვნათა ბარათის» [«Artikelbrief»] შედგენას. თუმცა მას, ყოველ შემთხვევაში, პირველი დოკუმენტი არ შეუდგენია. ტიურინგიაში დაბრუნების დროს მან გადამწყვეტი რევოლუციური მოწოდება გამოაქვეყნა აჯანყებული გლეხების მიმართ [1].

ამასობაში 1519 წელს ვიურტემბერგიდან გაძევებული ჰერცოგი ულრიხი ინტრიგების ქსელს აბამდა, რათა გლეხების დახმარებით კვლავ დაებრუნებინა თავისი ქვეყანა. ფაქტია, რომ თავისი გაძევების მომენტიდან იგი ცდილობდა რევოლუციური პარტია გამოეყენებინა და მას მუდამ მხარს უჭერდა. იმ ადგილობრივ აჯანყებებთან, რომელიც შვარცვალდსა და ვიურტემბერგში მოხდა — 1520 — 1524 წლებს შუა, უმეტესწილად, მისი სახელია დაკავშირებული, და ახლა იგი იარაღდებოდა, რათა თავისი ციხეკოშკ ჰოჰენტვილიდან პირდაპირ ვიურტემბერგში შეჭრილიყო. გლეხები კი მხოლოდ იყენებდნენ მას, მაგრამ არც მის გავლენას დამორჩილებიან ოდესმე, და არც, მით უმეტეს, ენდობოდნენ მას.

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს 1525 წ. დამდეგს ნიურნბერგში დაბეჭდილი ანონიმური პამფლეტი «ზემოგერმანელი ერის და მრავალი სხვა ადგილის აღშფოთებული და აჯანყებული გლეხკაცობის კრებას იმის თაობაზე, სამართლიანია თუ არა მისი აღშფოთება და რა შეიძლება ან რა არ შეიძლება რომ მან ჩაიდინოს ხელისუფალთა მიმართ. საფუძვლად უდევს წმინდა წერილი ღვთისა, შედგენილი და გადმოცემული მოძმე ობერლანდელ გლეხთა სრული მოწონებით». (იხ. W. Zimmermann. Allgemeine Geschichte des grossen Bauernkrieges, T. 2, Stuttgart 1842, S. 113 — 115). რ ე დ.

ასე განვლო ზამთარმა და არც ერთ მხარეს არ მიუმართავს გადამწყვეტი მოქმედებისათვის. ბატონი მთავრები მიიმალნენ, გლეხთა აჯანყება გაფართოვდა. 1525 წლის იანვარში მთელი ქვეყანა დუნაისა, რაინსა და ლეხს შუა ბობოქრობდა, ხოლო თებერვალში ამოვარდა ქარიშხალი.

მაშინ როცა შვარცვალდ-ჰეგაუს რაზმი ბულგენბახელი ჰანს მიულერის მეთაურობით ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა ულრიხ ვიურტემბერგელთან და ნაწილობრივ ეხმარებოდა მის უნაყოფო ლაშქრობას შტუტგარტზე (თებერვალი და მარტი 1525 წ.), 9 თებერვალს გლეხები აჯანყდნენ რიდში, ულმის ზემოთ, შეგროვდნენ ჭაობების გამო მიუდგომელ ბანაკში ბალტრინგენთან, ააფრიალეს წითელი დროშა და ულრიხ შმიტის წინამძღოლობით ბალტრინგენის რაზმი შეადგინეს. მათი რიცხვი 10 — 12 ათას კაცს აღწევდა.

25 თებერვალს შუსენში თავი მოიყარა ზემო ალგაუს რაზმმა, 7000 კაცის რაოდენობით, ეს ხალხი აღელვებული იყო იმ ხმებით, რომ ამ კუთხეში მყოფ უკმაყოფილოთა წინააღმდეგ ჯარებს აგზავნიანო. კემპტენლები, რომლებსაც მთელი ზამთრის განმავლობაში შეხლა-შემოხლა ჰქონდათ თავიანთ არქიეპისკოპოსთან, გაერთიანდნენ და 26 თებერვალს შეუერთდნენ მათ. განსაზღვრული პირობებით მოძრაობას შეუერთდნენ ქალაქები მემინგენი და კაუფბოირენიც, მაგრამ აქ უკვე თავი იჩინა იმ ორჭოფმა პოზიციამ, რომელიც ამ ბრძოლაში ქალაქებს ეპირა. 7 მარტს მემინგენში მიღებულ იქნა თორმეტი მუხლი მთელი ზემო ალგაუელი გლეხობისთვის.

ალგაუელების წინადადებით ბოდენის ტბაზე აიტელ ჰანსის მეთაურობით ტბისპირელთა ჯარი შედგა. იგი სწრაფად გაიზარდა. მისი მთავარი ბანაკი ბერმატინგენში იყო.

უკვე მარტის პირველ დღეებში გლეხები აჯანყდნენ აგრეთვე ქვემო ალგაუში, ოქსენჰაუზენის და შელენბერგის მიდამოებში, ცაილშენსა და ვალდბურგშენში, ტრუხზესის სამფლობელოში. ეს ქვემო ალგაუელი ჯარი 7000 კაცის რაოდენობით ვურცახთან იყო დაბანაკებული.

ყველა ამ ოთხმა რაზმმა მემინგენის პროგრამა მიიღო, რომელიც ბევრად უფრო ზომიერი იყო, ვიდრე ჰეგაუს გლეხთა პროგრამა და იმ პუნქტებში, რომელიც შეეხებოდა შეიარაღებულ გლეხთა რაზმების დამოკიდებულებას თავადაზნაურობასა და მთავრობებთან, ფრიად დამახასიათებელ მერყეობას ამჟღავნებდა. თუ საერთოდ გლეხებმა სადმე გაბედულობა გამოამჟღავნეს, ეს მოხდა თვით ომის

მსვლელობაში, მას შემდეგ როცა გლეხები გამოცდილებით გაეცვნენ თავიანთი მტრების მოქმედების ხასიათს.

ამ რაზმებთან ერთად იმავდროულად დუნაიზე შეიკრიბა მეექვსე რაზმი. მთელი ამ ტერიტორიიდან, ულმიდან დაწყებული დონაუვერტამდე, ილერის, როტის და ბიბერის ხეობებიდან გლეხებმა თავი მოიყარეს ლაიპჰაიმში და ბანაკი გაშალეს. 15 დაბა-სოფლიდან ქუდზე კაცი გამოვიდა, 117 ადგილიდან მაშველი რაზმები მოვიდნენ. ლაიპჰაიმის რაზმის მეთაური ულრიხ შოენი იყო, მისი მქადაგებელი — ლაიპჰაიმელი ხუცესი იაკობ ვეჰე.

ამრიგად, მარტის დამდეგს ექვს ბანაკში 30-დან — 40 ათასამდე აჯანყებული და შეიარაღებული ზემოშვაბიელი გლეხი იდგა. თავისი ხასიათით ეს გლეხთა რაზმები მეტად ჭრელი იყო. რევოლუციური, ე. ი. მიუნცერის პარტია ყველგან უმცირესობას შეადგენდა. ამისდა მიუხედავად, იგი ყველგან გლეხთა ბანაკების ბირთვსა და დასაყრდენს წარმოადგენდა, გლეხთა მასა ყოველთვის მზად იყო შეთანხმებოდა მებატონეებს, თუკი მას აღუთქვამდნენ დათმობებს, რომელთა გამოგლეჯას იგი მუქარით ცდილობდა. გარდა ამისა, როცა საქმე გაჭიანურდებოდა და მთავართა ჯარები ახლოვდებოდნენ, გლეხებს ომი ემძიმებოდათ და ისინი, ვისაც ჯერ კიდევ გააჩნდა რაიმე დასაკარგავი, უმეტესწილად, შინ ბრუნდებოდნენ. ესეცაა, რომ რაზმებს მასიურად უერთდებოდა მოხეტიალე ლუმპენპროლეტარიატი, რომელიც დისციპლინის დაცვას აძნელებდა, გლეხკაცობას ზნეობრივად ხრწნიდა და ხშირად გარბოდა, რათა ისევ უკან დაბრუნებულიყო. უკვე ამით აიხსნება ის, რომ გლეხთა რაზმები თავდაპირველად ყველგან თავდაცვით კმაყოფილდებოდნენ, ბანაკებში იხრწნებოდნენ და, მათი ტაქტიკური უმწეობა და კარგი სარდლების ნაკლებობაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, სრულებით ვერ შეედრებოდნენ მთავართა ჯარებს.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა გლეხთა რაზმები თავს იყრიდნენ, ჰერცოგი ულრიხი შეკრებილი ჯარებითა და ჰეგაუელი გლეხების ერთი ნაწილით ჰოჰენტვილიდან ვიურტემბერგში შეიჭრა. შვაბიის კავშირის დაღუპვა გარდუვალი იქნებოდა, გლეხებს რომ ახლა მეორე მხრიდან შემოეტიათ ტრუხზეს ფონ ვალდბურგის ჯარისთვის. მაგრამ რადგან გლეხთა რაზმები მხოლოდ თავდაცვით კმაყოფილდებოდნენ, ტრუხზესმა ჩქარა შეძლო ბალტრინგენელ, ალგაუელ და ტბისპირელ გლეხებთან დროებითი ზავი ჩამოეგდო, მოლაპარაკება დაეწყო და საქმის საბოლოოდ მოგვარება

Judica-ს კვირისათვის (2 აპრილისთვის)[1] დაენიშნა. ეს ვადა მან გამოიყენა, რათა ჰერცოგ ულრიხის წინააღმდეგ გაელაშქრნა, შტუტგარტი აეღო და ჰერცოგი აეძულებინა 17 მარტს ხელახლა დაეტოვებინა ვიურტემბერგი. მაშინ მან თავისი ძალები გლეხების წინააღმდეგ მიმართა, მაგრამ მისსავე საკუთარ ჯარში ლანდსკნეხტები აჯანყდნენ და უარი თქვეს გლეხებს შებრძოლებოდნენ. ტრუხზესმა მოახერხა მეამბოხეთა დაშოშმინება და ულმისკენ გაემართა, სადაც ახალი დამხმარე ძალები იყრიდნენ თავს. კირხჰაიმუნტერტეკთან მან მეთვალყურე ბანაკი დასტოვა.

შვაბიის კავშირმა, რომელმაც იგრძნო, რომ ხელფეხშებოჭილი აღარ იყო და რომელმაც უკვე შეკრიბა თავისი პირველი კონტინგენტები, ნიღაბი ჩამოიხსნა და განაცხადა, «გადაწყვეტილი მაქვს იარაღით და ღვთის შეწევნით დავთრგუნო გლეხების თვითნებური მოქმედებანიო»[2].

გლეხები კი ამასობაში მტკიცედ იცავდნენ დროებითი ზავის პირობებს. იმ მოლაპარაკებისთვის, რომელიც Judica-ს კვირისათვის იყო დანიშნული, მათ თავიანთი მოთხოვნები შეიმუშავეს, ცნობილი «თ ო რ მ ე ტ ი მ უ ხ ლ ი». ისინი მოითხოვდნენ სასულიერო პირთა არჩევას და გადაყენებას თემების მიერ, მცირე სამეათედოს მოსპობას, ხოლო დიდი სამეათედოს[3] საზოგადოებრივი მიზნებისთვის მოხმარებას, ხუცესის ჯამაგირის გამოკლებით, ბატონყმობის მოსპობას, თევზაობის და ნადირობის უფლებას, სამკვდრო გადასახადის გაუქმებას, ძალზე დიდი გამოსაღების, ღალისა და ბეგარის შეზღუდვას, ძალმომრეობით წართმეული ტყეების, საძოვრებისა და პრივილეგიების დაბრუნებას თემებისა და კერძო პირებისთვის,

---

[1] Judica-ს კვირა (სიტყვა iudex-იდან — განმკითხველი, სიტყვა-სიტყვით «განკითხვის კვირა») — დიდი მარხვის მეხუთე კვირადღე. რ ე დ.

[2] ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მოკავშირე ხელისუფალთა თათბირზე ულმში 1525 წ. მარტში იმ დროს, როდესაც შვაბიის კავშირის წარმომადგენლები ჯერ კიდევ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ აჯანყებულებთან. იგი დამოწმებულია ულმის არქივის დოკუმენტში, რომელიც მოჰყავს ციმერმანს (იხ. «გლეხთა ომის ისტორია გერმანიაში», ტ. 1, მოსკოვი, 1937, გვ. 254). რ ე დ.

[3] დ ი დ ი დ ა მ ც ი რ ე ს ა მ ე ა თ ე დ ო — ორი სახესხვაობა გლეხებისათვის უაღრესად მძიმე გადასახადისა, რომელსაც ისინი კათოლიკური ეკლესიის სასარგებლოდ იხდიდნენ. ამ გადასახადის ოდენობა და ხასიათი უაღრესად სხვადასხვაგვარი იყო გერმანიის სხვადასხვა კუთხეში და უმრავლეს შემთხვევაში მნიშვნელოვნად აღემატებოდა გლეხური წარმოების პროდუქტის მეათედ ნაწილს. როგორც წესი, მცირე სამეათედოს იხდიდნენ საქონლის სულადობისდა მიხედვით, ხოლო დიდ სამეათედოს — მოსავლისაგან ჰკრეფდნენ. რ ე დ.

თვითნებობის მოსპობას სასამართლოებსა და მმართველობაში. აქედან ჩანს, რომ ზომიერი, შემთანხმებლური პარტია მეტად გავლენიანი იყო გლეხთა რაზმებში. რევოლუციურმა პარტიამ უკვე წინათ წარმოადგინა თავისი პროგრამა, ე. წ. «მ ო თ ხ ო ვ ნ ა თ ა ბ ა რ ა თ შ ი». ეს ღია ბარათი, მიმართული მთელი გლეხკაცობისადმი, მოუწოდებდა მას შესულიყო «ქრისტიანულ კავშირსა და ძმობაში», რათა თავიდან მოეშორებინა ყოველი ტვირთი, ნებაყოფლობით იქნებოდა ეს,— «რაიცა თუმცაღა ძნელად მოსალოდნელია» —თუ ძალდატანებით; შემდეგ ეს ბარათი «საერო შეჩვენებით» ემუქრებოდა ყველა განდგომილთ, ე. ი. საზოგადოებიდან გაძევებით და ყოველი ურთიერთობის შეწყვეტით კავშირის წევრებთან. ეს საერო შეჩვენება ეხებოდა აგრეთვე ყველა ციხე-კოშკსა, მონასტერსა და ეკლესიას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თავადაზნაურობა, მღვდლები და ბერები ნებაყოფლობით დასტოვებდნენ მათ, ჩვეულებრივ სახლებში გადავიდოდნენ სხვა ადამიანებივით და ქრისტიანულ კავშირს შეუერთდებოდნენ. — მაშასადამე, ამ რადიკალურ მანიფესტში, რომელიც ალბათ 1525 წლის გაზაფხულის ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა მ დ ე დაიწერა, უწინარეს ყოვლისა ლაპარაკია ჯერ კიდევ გაბატონებულ კლასებზე რევოლუციის სრული გამარჯვების მოპოვების შესახებ, ხოლო მუხლი «საერო შეჩვენების» შესახებ ნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ გლეხებმა მჩაგვრელები და მოღალატეები უნდა გაელიტონ, ციხე-კოშკები დასწვან, მონასტრებსა და ეკლესიებს კონფისკაცია უყონ, ხოლო მათი განძეულობა უნდა ფულად აქციონ.

მაგრამ სანამ გლეხები თავიანთ თორმეტ მუხლს მოწვეულ მედიატორებს წარუდგენდნენ, მათ ცნობა მიიღეს, რომ შვაბიის კავშირმა ხელშეკრულება დაარღვია და რომ მისი ჯარები ახლოვდებიან. უმალვე მიღებულ იქნა საწინააღმდეგო ღონისძიებანი. გაისბოირენში მოწვეულ იქნა ალგაუელების, ბალტრინგელების და ტბისპირელი გლეხების საერთო კრება. ოთხი რაზმი ერთმანეთს შეუერთდა და მათგან ოთხი ახალი ლაშქარი მოეწყო, გადაწყდა მოეხდინათ საეკლესიო და სამონასტრო ქონების კონფისკაცია, გაეყიდათ განძეულობა სამხედრო სალაროს სასარგებლოდ და დაეწვათ ციხეკოშკები. ამრიგად, ოფიციალურ თორმეტ მუხლთან ერთად «მოთხოვნათა ბარათიც» გლეხთა ომის სახელმძღვანელოდ იქცა, ხოლო Judica-ს კვირა — ზავის ჩამოსაგდებად დანიშნული დღე — ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს თარიღად.

აღელვება, რომელიც ყველგან იზრდებოდა, შეუწყვეტელი ადგილობრივი კონფლიქტები გლეხკაცობისა თავადაზნაურობასთან,

ცნობა, რომ უკვე ექვსი თვეა, რაც შვარცვალდში აჯანყება თანდათან ღვივდება და ფართოვდება დუნაიმდე და ლეხამდეო, — ყოველივე ეს გასაგებს ხდის, თუ როგორ მოიცვა ერთიმეორის მიყოლებით დაწყებულმა გლეხთა აჯანყებებმა, ბოლოს, გერმანიის ორი მესამედი. მაგრამ ის ფაქტი, რომ ყველა ეს ცალკეული აჯანყება ერთდროულად მიმდინარეობდა, ამტკიცებს, რომ მოძრაობას სათავეში უდგნენ ადამიანები, რომლებიც მას ანაბაპტისტების და სხვა ემისრების საშუალებით ორგანიზებულად აწყობდნენ. მარტის მეორე ნახევარში არეულობამ თავი იჩინა ვიურტემბერგსა, ნეკარის ქვემო ხეობასა, ოდენვალდსა, ქვემო და შუა ფრანკონიაში; მაგრამ ყველგან საყოველთაო ამბოხების დღედ, წინასწარ დანიშნული იყო 2 აპრილი, Judica-ს კვირა. ყველგან გადამწყვეტი დარტყმა, მასობრივი ამბოხება აპრილის პირველ კვირაშივე მოხდა. ალგაუელებმა, ჰეგაუელებმა და ტბისპირელმა გლეხებმაც ნობათითა და მასობრივი კრებებით 1 აპრილს ქუდზე კაცი გამოიწვიეს ბანაკში და ბალტრინგელებთან ერთად ბრძოლა დაიწყეს ციხე-დარბაზებისა და მონასტრების წინააღმდეგ.

ფ რ ა ნ კ ო ნ ი ა შ ი, სადაც მოძრაობა ექვსი ცენტრის გარშემო გაიშალა, აჯანყებამ ყველგან აპრილის პირველ დღეებში იფეთქა. ამ დროისთვის ნ ო რ დ ლ ი ნ გ ე ნ თ ა ნ ორი გლეხთა ბანაკი შეიქმნა, მათი დახმარებით ქალაქში გამარჯვება მოიპოვა რევოლუციურმა პარტიამ, რომლის ბელადი ანტონ ფ ო რ ნ ე რ ი იყო. ამ პარტიამ მიაღწია როგორც ფ ო რ ნ ე რ ი ს დანიშვნას ქალაქის მოურავად, ისე ქალაქის მიმხრობას გლეხებისადმი. ა ნ ს ბ ა ხ ი ს მიდამოებში გლეხები ყველგან 1 აპრილიდან 7 აპრილამდე აჯანყდნენ, და აჯანყება აქედან ბავარიის საზღვრებამდე გავრცელდა. რ ო ტ ე ნ ბ უ რ გ ი ს მიდამოებში გლეხები უკვე 22 მარტიდან შეიარაღდნენ; ქალაქ როტენბურგში 27 მარტს წვრილმა ბიურგერებმა და პლებეებმა სტეფან ფონ მ ე ნ ც ი ნ გ ე ნ ი ს მეთაურობით დაამხეს პატრიციატის ბატონობა; მაგრამ რადგან აქ ქალაქის მთავარ შემოსავალს სწორედ გლეხების გადასახადები წარმოადგენდა, ახალმა მთავრობამაც მეტისმეტი მერყეობა და ორჭოფობა გამოიჩინა გლეხკაცობის მიმართ. ვ ი უ რ ც ბ უ რ გ ი ს სატაძრო კაპიტულის სამფლობელოში[1] გლეხკაცობა და პატარა ქალაქები ყველგან აჯანყდნენ აპრილის დასაწყისში, ხოლო ბ ა მ ბ ე რ გ ი ს სამღვდელთმთავროში საყოველთაო აჯან-

---

[1] ვ ი უ რ ც ბ უ რ გ ი ს ს ა ტ ა ძ რ ო კ ა პ ი ტ უ ლ ი—სასულიერო კოლეგია, რომელიც ვიურცბურგის ეპარქიას მართავდა. მის მეთაურს ვიურცბურგის ეპისკოპოსს, ამავე დროს, ჰერცოგ ფრანკონელის ტიტულიც ჰქონდა. რ ე დ.

ყებამ ხუთი დღის განმავლობაში აიძულა ეპისკოპოსი დაეთმო. ბოლოს, ჩრდილოეთში, ტიურინგიის საზღვარზე გაიშალა ბილდჰაუზენის გლეხთა ძლიერი ბანაკი.

ოდენვალდში, სადაც რევოლუციური პარტიის სათავეში იდგნენ გრაფ ჰოჰენლოეს ყოფილი კანცლერი აზნაური ვენდელ ჰიპლერი და გეორგ მეცლერი — კრაუტჰაიმის მახლობლად მდებარე ბალენბერგის მიკიტანი, ქარიშხალი უკვე 26 მარტს ამოვარდა. გლეხები ტაუბერისკენ გაემართნენ ყოველი მხრიდან. მათ მიემხრო აგრეთვე 2 000 კაცი როტენბურგის ბანაკიდან. სარდლობა გეორგ მეცლერმა იკისრა და 4 აპრილს ყველა დამხმარე ძალის შემოერთების შემდეგ, შოენტალის მონასტრისკენ გაილაშქრა, მდინარე იაქსტისკენ, სადაც მას ნეკარის ხეობის გლეხები შეუერთდნენ. ეს უკანასკნელები, რომლებსაც ჰაილბრონის მახლობლად მდებარე ბეკინგენის მიკიტანი იეკლაინ რორბახი მეთაურობდა, **Judica** კვირას აჯანყდნენ ფლაინსა, ზონტჰაიმში და სხვაგან, ხოლო ვენდელ ჰიპლერი იმავე დროს რამდენიმე შეთქმულითურთ ოერინგენს დაესხა თავს და მახლობლად მცხოვრები გლეხები მოძრაობაში ჩაითრია. შოენტალში ორივე გლეხთა რაზმი ნათელი ლაშქრის სახელწოდებით შეერთდა, მიიღო თორმეტი მუხლი და გაითარეშა ციხეკოშკებისა და მონასტრების წინააღმდეგ. ნათელი ლაშქარი დაახლოებით 8000 კაცისაგან შედგებოდა და ზარბაზნებითა და 3000 თოფით იყო შეიარაღებული. მას მიემხრო აგრეთვე ფრანკონელი რაინდი ფლორიან გაიერი; მან შექმნა შავი გუნდი, რჩეული რაზმი, რომელიც განსაკუთრებით როტენბურგელი და ოერინგელი მოლაშქრეებისაგან შედგებოდა.

სამხედრო მოქმედება დაიწყო ვიურტემბერგელმა მოურავმა ნეკარზულმში, გრაფმა ლუდვიგ ფონ ჰელფენშტაინმა. იგი დაუყოვნებლივ ახოცინებდა ყველა გლეხს, რომელიც კი ხელში ჩაუვარდებოდა. ნათელი რაზმი მის წინააღმდეგ გაემართა. გრაფის მიერ მოწყობილმა ამ ხოცვა-ჟლეტამ, ამასთანავე ცნობამ ლაიპჰაიმერის რაზმის დამარცხებისა, იაკობ ვეჰეს სიკვდილით დასჯისა და ტრუხზესის მძვინვარების შესახებ, გააბოროტა გლეხები. ჰელფენშტაინერი ვაინსბერგისკენ გაიჭრა, მაგრამ აქ მას შეუტიეს. ფლორიან გაიერმა იერიშით აიღო ციხე-კოშკი, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ქალაქიც აიღო და გრაფი ლუდვიგი დაატყვევა რამდენიმე რაინდთან ერთად. მეორე დღეს, 17 აპრილს, იეკლაინ რორბახმა ყველაზე უფრო შეურიგებელ რაზმელებთან ერთად გაასა-

მართლა ტყვეები და მათგან თოთხმეტი კაცი ჰელფენშტაინის მეთაურობით რაზმებს შუა გაატარებინა: ამაზე სამარცხვინო სიკვდილით დასჯის მოგონება მათთვის შეუძლებელი იყო. ვაინსბერგის აღებამ და იეკლაინ რორბახის ტერორისტულმა შურისძიებამ ჰელფენშტაინის მიმართ სათანადო გავლენა მოახდინა თავადაზნაურობაზე. გრაფები ფონ ლევენშტაინები მიემხრნენ გლეხთა კავშირს, გრაფებმა ფონ ჰოჰენლოებმა, რომლებიც უკვე წინათ გადმოვიდნენ მათ მხარეს, მაგრამ აქამდე გლეხებისთვის არავითარი დახმარება არ გაუწევიათ, მაშინვე საჭირო იარაღი და თოფის წამალი გამოგზავნეს.

მეთაურებმა თათბირი დაიწყეს იმის შესახებ, მოეწვიათ თუ არა სარდლად გიოც ფონ ბერლიხინგენი, რადგან იგი თავადაზნაურობის გადმობირებას შესძლებსო. ეს წინადადება მიღებულ იქნა თანაგრძნობით; მაგრამ ფლორიან გაიერი, რომელმაც გლეხებისა და მეთაურების ამ განწყობილებაში რეაქციის დასაწყისი დაინახა, თავისი შავი რაზმითურთ გამოეთიშა გლეხთა ლაშქარს და საკუთარი ძალების ანაბარამ ჯერ ნეკარის ხეობა გაიარა, შემდეგ ვიურცბურგის მიდამოები დალაშქრა და ყველგან ანადგურებდა ციხე-კოშკებსა და ხუცების ბუდეებს.

რაზმის დანარჩენი ნაწილი უწინარეს ყოვლისა ჰაილბრონისკენ გაემართა. ამ ძლიერ, თავისუფალ საიმპერიო ქალაქში, ისევე როგორც თითქმის ყველგან, წარჩინებულთა წინააღმდეგ ბიურგერული და რევოლუციური ოპოზიცია იდგა. ეს უკანასკნელი ფარულად შეუთანხმდა გლეხებს და უკვე 17 აპრილს აყალმაყალის დროს კარიბეე გაუღო მეცლერსა და იეკლაინ რორბახს. გლეხთა ბელადები თავიანთი რაზმებით დაეპატრონენ ქალაქს, რომელიც ძმობაში იქნა შეყვანილი. ამ ქალაქმა 1200 გულდენი გამოიღო და მოხალისეთა მცირე რაზმი შეადგინა. მხოლოდ სამღვდელოების ქონება და ტევტონთა ორდენის[1] კომანდორთა სამფლობელოები

---

[1] ტ ე ვ ტ ო ნ თ ა ო რ დ ე ნ ი — გერმანელ რაინდთა «სასულიერო» ორდენი, რომელიც დაარსებულ იქნა 1190 წ. ჯვაროსნულ ლაშქრობათა დროს. დაპყრობათა და გამოძალვის საშუალებით ორდენმა უთვალავი სამფლობელო შეიძინა გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. ამ სამფლობელოების მმართველობას ახორციელებდნენ ორდენის მოხელეები — კომანდორები (ანუ კომტურები). XIII საუკუნეში ორდენმა ხელთ იგდო აღმოსავლეთი პრუსია, რომელიც მან დაიპყრო ადგილობრივი ლიტველი მოსახლეობის ბარბაროსული ხოცვა-ყლეტისა და დამორჩილების გზით. ამის შემდეგ აღმოსავლეთი პრუსია ამ ორდენის აგრესიის დასაყრდენად იქცა, პოლონეთის, ლიტვისა და რუსეთის სამთავროების წინააღმდეგ. 1237 წ. ტევტონთა ორდენი შეუერთდა მძარცველურ ლივონიის ორდენს, რომელიც აგრეთვე დამკვიდრდა ბალტიისპირეთ-

იქნა გაძარცული. 22 აპრილს გლეხები ქალაქიდან გავიდნენ, იქ მხოლოდ პატარა საგუშაგო რაზმი დასტოვეს. ჰაილბრონი სხვადასხვა რაზმის ცენტრი უნდა გამხდარიყო და, მართლაც, ეს რაზმები იქ გზავნიდნენ თავის დელეგატებს, რომელნიც ბჭობდნენ გლეხკაცობის საერთო მოქმედებისა და საერთო მოთხოვნების შესახებ. მაგრამ ბიურგერთა ოპოზიციამ და გლეხთა შემოვრის შემდეგ მასთან დაკავშირებულმა პატრიციატმა ხელახლა უპირატესობა მოიპოვეს ქალაქში, ისინი ხელს უშლიდნენ ყოველი ენერგიული ნაბიჯის გადადგმას და მხოლოდ მთავრების ჯარის მოახლოვებას უცდიდნენ, რათა გლეხები საბოლოოდ გაეცათ.

გლეხები ოდენვალდს უახლოვდებოდნენ. 24 აპრილს გიოც ფონ ბერლიხინგენი, რომელიც რამდენიმე დღით ადრე თავის სამსახურს ჯერ პფალცის კურფიურსტს თავაზობდა, შემდეგ კი გლეხებს, შემდეგ ხელახლა კურფიურსტს, იძულებული გახდა ევანგელიურ ძმობაში შესულიყო და ნათელ-ს ხ ი ვ ო ს ა ნ ი რაზმის (ფლორიან გაიერის შავი რაზმის წინააღმდეგ) მთავარსარდლობა ეკისრა. მაგრამ ამავე დროს იგი გლეხების ტყვე იყო, ისინი მას უნდობლად უცქერდნენ და მისი მოქმედება წინამძღოლთა საბჭოს მეშვეობით შეზღუდეს, ამ საბჭოს დაუკითხავად გიოცს არაფრის წამოწყება არ შეეძლო. გიოცი და მეცლერი გლეხთა მასებითურთ ბუხენის გზით ამორბახისკენ გაემართნენ, სადაც ისინი 30 აპრილიდან 5 მაისამდე დარჩნენ და მთელი მაინცის მხარე ააჯანყეს. თავადაზნაურობა ყველგან იძულებული გახდა აჯანყებულთ მიმხრობოდა და ამან გადაარჩინა კიდეც მათი ციხე-კოშკები. აჯანყებულებმა მხოლოდ მონასტრები დასწვეს და გაძარცვეს. ლაშქარი აშკარად იხრწნებოდა; ყველაზე ენერგიული ადამიანები ფლორიან გაიერს ან იეკლინ რორბახს გაჰყვნენ; ჰაილბრონის აღების შემდეგ ლაშქარს ეს უკანასკნელიც გამოეთიშა, ალბათ იმიტომ, რომ მას, როგორც გრაფ ჰელფენშტაინის მსაჯულს, აღარ შეეძლო დარჩენილიყო იმ ადამიანებთან, რომლებსაც თავადაზნაურობასთან შეთანხმება სურდათ. თავადაზნაურობასთან შეთანხმების ეს დაჟინებითი მისწრაფება თავისთავად დემორალიზაციის ნიშანი იყო. მალე ამის შემდეგ ვენდელ ჰიპლერმა რაზმის რეორგანიზაციის ფრიად საგულისხმო პროექტი წამოაყენა:

ში. 1242 წ. ორდენის რაინდები სასტიკად დაამარცხა ალექსანდრე ნეველმა ჩუდის ტბაზე (ბრძოლა ყინულზე); 1410 წ. ისინი გაანადგურეს რუსების, პოლონელებისა და ლიტველთა გაერთიანებულმა ძალებმა ბრძოლაში გრიუნვალდის მახლობლად, რასაც შედეგად მოჰყვა ორდენის დაცემა. შემდეგში ორდენმა შეინარჩუნა თავისი სამფლობელოების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. რ ე დ.

მივიღოთ რაზმში ყველა ლანდსკნეხტი, რომლებიც ყოველდღე გვეხვეწებიან ამის შესახებ. რაზმს ყოველთვიურად ნულარ განვაახლებთ ახალი ნაწილების შემოყვანით და ძველების დათხოვნით, როგორც ამას დღემდე ვაკეთებდით, არამედ შევინარჩუნოთ იარაღქვეშ მყოფი, ასე თუ ისე გაწვრთნილი ჯარისკაცებიო. მაგრამ სათემო კრებამ უარყო ორივე წინადადება; გლეხები უკვე გადიდგულებული იყვნენ, ომს დავლის თვალსაზრისით უყურებდნენ და თარეშობად თვლიდნენ; მათ არაფრად ეპრიანებოდათ ლანდსკნეხტების მოცილეობა, გარდა ამისა მათ უნდოდათ, როგორც კი ჯიბეებს გაიტენიდნენ, შინ დაბრუნების საშუალება ჰქონოდათ. ამორბახში საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჰაილბრონელმა საბჭოს წევრმა ჰანს ბერლინმა რაზმის სარდლებსა და მრჩევლებს მიაღებინა „თორმეტი მუხლის დეკლარაცია“— დოკუმენტი, რომელშიც შერბილებული იყო წინანდელი თორმეტი მუხლის უკანასკნელი მძაფრი ადგილები და რომელიც გლეხებს მოკრძალებული ვედრების ენით ალაპარაკებდა. მაგრამ თვით გლეხებს ეს უკვე ემწვავათ; მათ დიდი ხმაური ატეხეს, დეკლარაცია უარჰყვეს და ფეხი მიაბჯინეს პირვანდელ მუხლებს.

ამავე დროს ვიურცბურგში საქმის ვითარება სრულიად შეიცვალა. ეპისკოპოსი, რომელიც გლეხების პირველი აჯანყებისთანავე აპრილის დამდეგს ფრაუნბერგის გამაგრებულ ციხე-დარბაზში დაიმალა ვიურცბურგის მახლობლად, რათა ყოველი მიმართულებით წერილები ეგზავნა და, თუმცა ამაოდ, ყველასაგან შველა ეთხოვნა, ბოლოს იძულებული გახდა დროებით დაეთმო. 2 მაისს გაიხსნა ლანდტაგი, რომელშიც გლეხების წარმომადგენლებიც იყვნენ. მაგრამ სანამ რაიმე შედეგს მიაღწევდნენ, დაჭერილ იქნა წერილები, რომელშიც მეღავნდებოდა ეპისკოპოსის მოღალატური ინტრიგები. ლანდტაგი დაუყოვნებლივ დაიშალა, ერთი მხრივ, აჯანყებულ მოქალაქეებსა და გლეხებსა, ხოლო, მეორე მხრივ, ეპისკოპოსის ჯარს შორის ბრძოლა დაიწყო. თვით ეპისკოპოსი 5 მაისს ჰაიდელბერგში გაიქცა; უკვე მეორე დღეს ვიურცბურგში ფლორიან გაიერი შევიდა შავი რაზმითურთ, მასთან ერთად იყო ე. წ. ფ რ ა ნ კ ო ნ უ ლ ი ტ ა უ ბ ე რ ი ს რ ა ზ მ ი, რომელიც მერგენტჰაიმელი, როტენბურგელი და ანსბახელი გლეხებისაგან შედგებოდა. 7 მაისს გიოც ფონ ბერლიხინგენიც გამოჩნდა თავისი ნათელ-სხივოსანი რაზმით და დაიწყო ფრაუენბერგის ალყა.

ლიმპურგის, ელვანგენის და ჰალის მხარეში მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში მეორე, ჰ ა ი ლ დ ო რ ფ ი ს, ანუ ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ნ ა თ ე ლ ი რ ა ზ მ ი შედგა. იგი ერთობ გაბედულად მოქ-

მედებდა, მთელი კუთხე ააჯანყა, მრავალი მონასტერი და ციხე-კოშკი დასწვა, სხვათა შორის ჰოჰენშტაუფენის ციხე-კოშკიც, ყველა გლეხი აიყოლია და ყველა აზნაური, თვით ლიმპურგთა მეღვინეთ-უხუცესი აიძულა ქრისტიანულ ძმობაში შესულიყო. მაისის დასაწყისში იგი ვიურტემბერგში შეიჭრა, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეხია. როგორც 1848 წელს, ისე იმ დროსაც გერმანიის პატარა სახელმწიფოების პარტიკულარიზმი სხვადასხვა სახელმწიფოს რევოლუციონერებს ხელს უშლიდა ერთად ემოქმედნათ. პატარა ტერიტორიით შემოფარგლული ჰაილდორფელები აუცილებლად უნდა დაშლილიყვნენ, რაკი მათი ყოველი წინააღმდეგობა დათრგუნეს ამ ტერიტორიაზე. მათ ხელშეკრულება დასდეს ქალაქ გმიუნდთან, დატოვეს იქ მხოლოდ 500 შეიარაღებული კაცი და წავიდწამოვიდნენ.

პფალცშიც რაინის ორივე ნაპირას გლეხთა რაზმები შედგა აპრილის ბოლოს. მათ ბევრი ციხე-კოშკი და მონასტერი დაანგრიეს, ხოლო 1 მაისს ნოიშტადტი აიღეს ჰაირდტის ტაფობში; წინა დღით კი გაღმიდან გადმოსულმა ბრუხრაინელებმა[1] აიძულეს შპაიერი ხელშეკრულება დაედო. მარშალი ფონ ჰაბერნი კურფიურსტის მცირერიცხოვანი ჯარით ვერაფერს გახდა მათ წინააღმდეგ და კურფიურსტიც იძულებული შეიქნა 10 მაისს ხელშეკრულება დაედო აჯანყებულ გლეხებთან, ამ ხელშეკრულებაში იგი თავდებობას კისრულობდა თქვენს საჩივრებს დავაკმაყოფილებ ლანდტაგშიო.

ბოლოს, ვიურტემბერგში ზოგიერთ ადგილას უკვე ადრევე იფეთქა აჯანყებამ. ურახის ზეგანზე გლეხებმა ჯერ კიდევ თებერვალში დააარსეს კავშირი ხუცებისა და მებატონეების წინააღმდეგ, ხოლო მარტის ბოლოს ბლაუბოირელი, ურახელი, მიუნზინგელი, ბალინგელი და როზენფელდელი გლეხები აჯანყდნენ. ჰაილდორფელები გეპინგენთან შეიჭრნენ ვიურტემბერგის ტერიტორიაზე, იეკლაინ რორბახი ბრაკენჰაიმთან, დამარცხებული ლაიპჰაიმელი რაზმის ნაშთები პფულინგენთან; მათ ააჯანყეს ყველა სოფლის მოსახლეობა. სხვა კუთხეებშიც სერიოზული მღელვარება დაიწყო. უკვე 6 აპრილს პფულინგენი იძულებული გახდა გლეხებს დანებებოდა. ავსტრიის ერცჰერცოგის მთავრობა ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას ფული სრულიად არ ჰქონდა და ძლიერ ცოტა ჯარი ჰყავდა. ქალაქები და ციხე-კოშკები მეტად ცუდ მდგომა-

[1] ბრუხრაინი — ოლქია, რომელიც მოიცავს რაინის მარჯვენა ნაპირას მდებარე შპაიერის სამწყსოს მიდამოებს. რედ.

რეობაში იყვნენ; მათ არც მეციხოვნენი ჰყავდათ, არც იარაღი გააჩნდათ. თვით ასპერგიც თითქმის სრულიად დაუცველი იყო.

მთავრობის ცდამ გამოეყვანა ქალაქთა რაზმები გლეხების წინააღმდეგ. მაშინვე მისი დამარცხება გამოიწვია. 16 აპრილს ბოტვარის რაზმმა უარი თქვა გლეხების წინააღმდეგ გალაშქრებაზე და, იმის მაგივრად, რომ შტუტგარტისკენ წასულიყო, ბოტვარის მახლობელ ვუნენშტაინისკენ[1] გაემართა, სადაც მან გლეხებისა და მოქალაქეების ბანაკის ცენტრი შეადგინა, რომელიც სწრაფად გაიზარდა. იმავე დღეს ცაბერგაუში იფეთქა აჯანყებამ; მაულბრონის მონასტერი გაძარცულ იქნა, რამდენიმე მონასტერი და ციხე-კოშკი სრულიად გაპარტახებულ იქნა. მეზობლად მდებარე ბრუხრაინიდან გოიბაურელებმა დამსმარე ძალები მიიღეს.

ვუნენშტაინის რაზმს სათავეში ჩაუდგა მ ა ტ ე რ ნ ფ ო ი ე რ-ბ ა ხ ე რ ი, ბოტვარის ქალაქის საბჭოს წევრი, ბიურგერული ოპოზიციის ერთ-ერთი ბელადი, რომელიც იმდენად სახელგატეხილი იყო, რომ იძულებული გახდა გლეხებს მიმხრობოდა. მაგრამ იგი ყოველთვის მეტად ზომიერი იყო, ხელს უშლიდა ციხე-კოშკების მიმართ «მოთხოვნათა ბარათის» გამოყენებას და ყველგან ცდილობდა შუამავლობა გაეწია გლეხკაცობასა და ზომიერ ბიურგერებს შორის. მან ხელი შეუშალა ვიურტემბერგელების შეერთებას ნათელ-სხეოსან რაზმთან; შემდეგში სწორედ მან დაარწმუნა გაილდორფელები ვიურტემბერგიდან უკან დაეხიათ. თავისი ბიურგერული ტენდენციებისთვის იგი გადაყენებულ იქნა 19 აპრილს, მაგრამ უკვე მეორე დღესვე ხელახლა დანიშნეს სარდლად. იგი აუცილებლად საჭირო კაცად იყო მიჩნეული და, როცა 22 აპრილს თვით იეკლაინ რორბახი შეუერთდა ვიურტემბერგელებს თავისი 200 მედგარი კაცით, იგი იძულებული გახდა ფოიერბახერი ადგილზე დაეტოვებინა და მხოლოდ მისი მოქმედებისათვის ედევნებინა თვალყური გაფაციცებით.

18 აპრილს მთავრობა შეეცადა გლეხებთან მოლაპარაკება დაეწყო ვუნენშტაინზე. გლეხებმა მოითხოვეს, რომ მთავრობას თორმეტი მუხლი მიეღო, მაგრამ მთავრობის რწმუნებულთ, რასაკვირველია, არ შეეძლოთ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება. მაშინ გლეხთა რაზმი სალაშქროდ დაიძრა. 20 აპრილს იგი ლაუფენში იყო, სადაც მთავრობის დელეგატების წინადადებანი უკანასკნელად უარყოფილ იქნა. 22 აპრილს იგი 6 000 კაცისგან შედგებოდა, ბიტინგჰაიმში იდგა და შტუტგარტს ემუქრებოდა. აქედან საბჭოს უდიდესი ნაწილი

[1] ვ უ ნ ე ნ შ ტ ა ი ნ ი—მთაგორიანი ადგილი ბოტვარის მახლობლად. რ ე დ.

გაიქცა და მმართველობას სათავეში მოქალაქეთა კომიტეტი ჩაუდგა. როგორც სხვაგან ისე აქაც მოქალაქეები დანაწილებული იყვნენ პარტიებად: პატრიციატი, ბიურგერთა ოპოზიცია და რევოლუციური პლებეები. ამ უკანასკნელებმა 25 აპრილს კარიბჭე გაუღეს გლეხებს და შტუტგარტიც მაშინვე აღებულ იქნა. აქ საბოლოოდ შეიქმნა ნათელი ქრისტიანული ლაშქრის ორგანიზაცია, როგორც ახლა თავიანთ თავს უწოდებდნენ ვიურტემბერგელი აჯანყებულნი, და ჩამოყალიბდა მტკიცე წესები ჯამაგირის გაცემისა, ნადავლის განაწილებისა, სურსათის მიწოდებისა და სხვ. მათ მიემხრო შტუტგარტელების რაზმი ტოიუს გერბერის მეთაურობით.

29 აპრილს ფოიერბახერი მთელი რაზმით გავიდა შორნდორფთან ვიურტემბერგში შეჭრილი გაილდორფელების შესახვედრად, მთელი ეს კუთხე კავშირში შეიყვანა და გაილდორფელები აიძულა უკან დაეხიათ. ამით მან ხელი შეუშალა თავზეხელაღებულ გაილდორფელებთან თავისი ლაშქრის შერევას, რაც სახიფათოდ გააძლიერებდა მისი ჯარის რევოლუციურ ელემენტებს, რომელთა სათავეში რორბახი იდგა. ტრუხზესის მოახლოვების შესახებ ცნობის მიღებისთანავე იგი შორნდორფიდან ამ უკანასკნელის წინააღმდეგ გაემართა და 1 მაისს დაბანაკდა კირხჰაიმ უნტერ ტეკთან.

ჩვენ ავწერეთ, ამრიგად, აჯანყების წარმოშობა და განვითარება გერმანიის იმ ნაწილში, რომელიც გლეხთა რაზმების პირველი ჯგუფის მოქმედების ტერიტორიად უნდა ჩაითვალოს. სანამ სხვა ჯგუფებზე გადავიდოდეთ (ტიურინგია და ჰესენი, ელზასი, ავსტრია და ალპები), ტრუხზესის ლაშქრობა უნდა გადმოვცეთ, რომელშიც მან თავდაპირველად მარტო, შემდეგ კი სხვადასხვა მთავრებისა და ქალაქების დახმარებით, აჯანყებულთა ეს პირველი ჯგუფი გაანადგურა.

ჩვენ ტრუხზესი ულმთან დავტოვეთ, საითკენაც იგი მარტის ბოლოს გაემართა, მას შემდეგ რაც კირხჰაიმ უნტერ ტეკთან მეთვალყურე რაზმი დატოვა დიტრიხ შპეიტის მეთაურობით. ტრუხზესის ჯარი ულმში თავმოყრილი მოკავშირე ძალების შემოერთების შემდეგ 10 000-დე კაცს შეიცავდა, მათგან 7 200 ქვეითი ჯარისკაცი იყო; ეს ერთადერთი ჯარი იყო, რომელიც გამოდგებოდა გლეხების წინააღმდეგ შეტევის საწარმოებლად. დამხმარე ძალები მეტად აუჩქარებლად იყრიდნენ თავს ულმში, ნაწილობრივ ჯარისკაცების მოკრეფის სიძნელის გამო აჯანყებულ მხარეებში, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ხელისუფალთ ფული აკლდათ, ნაწილობრივ კიდევ იმის

გამო, რომ ყველგან აუცილებლად საჭირო იყო ცოტაოდენი ჯარები ციხე-სიმაგრეებისა და კოშკების დასაცავად. ჩვენ უკვე დავინახეთ, რა ცოტა ჯარები იყო იმ მთავრებისა და ქალაქების განკარგულებაში, რომლებიც შვაბიის კავშირს ეკუთვნოდნენ. ამიტომ ყოველივე დამოკიდებული იყო იმ გამარჯვებაზე, რომელიც გეორგ ტრუხზესს უნდა მოეპოვებინა თავისი საკავშირო ლაშქრით.

ტრუხზესი თავდაპირველად ბ ა ლ ტ რ ი ნ გ ე ნ ი ს ჯ ა რ ი ს წინააღმდეგ გაემართა, რომელიც იმჟამად კოშკებსა და მონასტრებს არბევდა რიდის მიდამოებში. გლეხებმა საკავშირო ჯარების მოახლოვებისთანავე უკან დაიხიეს, ისინი გარემოვლის შემწეობით გამოდევნილ იქნენ ქაობებიდან, დუნაიზე გადავიდნენ და შვაბიის ალბის ხეობებსა და ტყეებში შეცვივდნენ. რადგან საკავშირო ჯარის მთავარი ძალა — ცხენოსანი ნაწილები და არტილერია მათ აქ ვეღარაფერს დააკლებდა, ტრუხზესი მათ აღარ გამოედევნა. იგი მიბრუნდა ლაიპჰაიმელების წინააღმდეგ, რომლებსაც 5000 კაცი ლაიპჰაიმთან დაეყენებინათ, 4000 — მინდელტალში და 6000 — ილერტისენში; მათ მთელი კუთხე აეჯანყებინათ, მონასტრები და ციხეკოშკები დაენგრიათ და სამივე ჯგუფითურთ ულმის წინააღმდეგ გასალაშქრებლად მომზადებულიყვნენ. როგორც ეტყობა, აქაც ერთგვარმა დემორალიზაციამ იჩინა თავი გლეხკაცობაში და დასცა რაზმის ბრძოლისუნარიანობა, იმიტომ რომ იაკობ ვეჰე იმთავითვე შეეცადა მოლაპარაკება გაემართა ტრუხზესთან. მაგრამ ამ უკანასკნელმა ახლა, როცა მას საკმაო სამხედრო ძალა ჰყავდა, აღარაფერი დათმო, არამედ 4 აპრილს ლაიპჰაიმთან თავს დაესხა გლეხთა ჯარის მთავარ ჯგუფს და სრულიად გაჰფანტა იგი. იაკობ ვეჰე და ულრიხ შონი ისევე, როგორც ორივე გლეხთა ბელადი, ტყვედ ჩავარდა, მათ თავი მოჰკვეთეს; ლაიპჰაიმი მტერს დანებდა, რამდენიმე გათარეშების შემდეგ მთელი ოლქი დამორჩილებულ იქნა.

ამ დროს აჯანყდნენ ლანდსკნეხტები, რომლებიც რბევის ნებართვასა და დამატებით ჯამაგირებს მოითხოვდნენ; ამ გარემოებამ კვლავ შეაფერხა ტრუხზესი 10 აპრილამდე. შემდეგ მან გაილაშქრა სამხრეთ დასავლეთით ბ ა ლ ტ რ ი ნ გ ე ლ ე ბ ი ს წინააღმდეგ, რომლებიც შეესიენენ მის მამულებს—ვალდბურგს, ცაილსა და ვოლფეგს და მის ციხე-კოშკებს ალყა შემოარტყეს. აქაც გლეხთა ძალები დაქსაქსული აღმოჩნდა და მან ისინი 11 და 12 აპრილს დაამარცხა ცალცალკე ბრძოლებში, რის შედეგად ბალტრინგელთა რაზმიც სავსებით გაფანტული აღმოჩნდა. მისი ნაშთები ხუცესი ფლორიანის მეთაურობით ტ ბ ი ს პ ი რ ე ლ რ ა ზ მ ს შეუერთდა. ახლა ტრუხ-

ზესმა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ იბრუნა პირი. ტბისპირელმა რაზმმა, რომელმაც არა მარტო რამდენიმე თარეში წამოიწყო, არამედ აიძულა კიდეც ქალაქები ბუხჰორნი (ფრიდრიხსჰაფენი) და ვოლმატინგენი ძმობაში შესულიყვნენ, 13 აპრილს დიდი სამხედრო საბჭო მოიწვია სალემის მონასტერში; საბჭომ გადაწყვიტა ტრუხზესის წინააღმდეგ გაელაშქრნა. მაშინვე ყველგან ნობათი დაჰკრეს და ბერმანტინგენის ბანაკში თავი მოიყარა 10 000 კაცმა, რომელთაც დამარცხებული ბალტრინგელებიც შეუერთდნენ. 15 აპრილს გლეხები წარმატებით გაუმკლავდნენ ტრუხზესს, რომელსაც არ უნდოდა, რომ აქ თავისი ჯარი საფრთხეში ჩაეგდო და გადამწყვეტი ბრძოლა მიეცა და ამჯობინა, მოლაპარაკება დაეწყო, მით უმეტეს, რომ გაიგო, ალგაუელები და ჰეგაუელები ახლოვდებიანო. ამრიგად მან 17 აპრილს ტბისპირელ ბალტრინგენელ გლეხებთან ვაინგარტენში ხელშეკრულება დასდო, ეს ხელშეკრულება ერთი შეხედვით თითქოს ხელსაყრელი იყო გლეხებისთვის და ისინიც უყოყმანოდ დასთანხმდნენ მას. ტრუხზესმა მოახერხა ისიც, რომ ზემო და ქვემო ალგაუელების დელეგატებმაც მიიღეს ეს ხელშეკრულება, და შემდეგ ვიურტემბერგისკენ დაიხია.

ტრუხზესის თვალთმაქცობამ იხსნა იგი აქ უეცველი დაღუპვისაგან. მას რომ მერყევი, გონებაჩლუნგი, უმეტესწილად დემორალიზებული გლეხების და მათი უნიჭო, მშიშარა და გამყიდველი წინამძღოლების გასულელება არ მოესერხებინა, იგი თავისი პატარა ჯარითურთ მოექცეოდა გლეხთა ოთხ ჯგუფს შორის, რომელთა რიცხვი 25 — 30 000 კაცს მაინც აღწევდა, და აუცილებლად დაიღუპებოდა. მაგრამ გლეხთა მასების დამახასიათებელმა სიჩლუნგემ ტრუხზესს შესაძლებლობა მისცა ისინი სწორედ იმ მომენტში მოეშორებინა თავიდან, როცა მათ შეეძლოთ ომი ერთი დარტყმით დაესრულებინათ, ყოველ შემთხვევაში შვაბიასა და ფრანკონიაში. ტბისპირელი გლეხები ისე მკაცრად იცავდნენ ხელშეკრულებას, რომლითაც ისინი ბოლოს და ბოლოს, რასაკვირველია, მოტყვილებულნი აღმოჩნდნენ, რომ შემდეგ თავიანთი მოკავშირეების — ჰეგაუელების წინააღმდეგ აღმართეს იარაღი; მართალია, ალგაუელებმა, რომელნიც ღალატში საკუთარმა ბელადებმა ჩაითრიეს, მაშინვე უარჰყვეს ეს ხელშეკრულება, მაგრამ ტრუხზესი უკვე გამოსული იყო სახიფათო მდგომარეობიდან.

ჰეგაუელმა გლეხებმა, თუმცა მათ ხელი არ მოუწერიათ ვაინგარტენის ხელშეკრულებისათვის, ჩქარა გამოამჟღავნეს ის უსაზღვრო კუთხური შეზღუდულობა და ჯიუტი პროვინციალიზმი, რო-

მელმაც მთელი გლეხთა ომი დაღუპა. როცა ტრუხზესმა მათთან ამაო მოლაპარაკების შემდეგ ვიურტემბერგისკენ დაიხია, ისინი მათ უკან გამოედევნენ და სულ ფეხდაფეხ მისდევდნენ; მაგრამ მათ აზრადაც არ მოსვლიათ ვიურტემბერგის ნათელ ქრისტიანულ ჯგუფს შეერთებოდნენ, და ეს იმიტომ, რომ ვიურტემბერგელმა და ნეკარისხეობელმა გლეხებმაც მათ ერთხელ უარი უთხრეს დახმარებაზე. ამიტომ, როცა ტრუხზესი საკმაოდ დაშორდა მათ სამშობლოს, ისინი წყნარად დაბრუნდნენ უკან და ფრაიბურგისაკენ წავიდნენ.

ჩვენ ვიურტემბერგელები მატერნ ფოიერბახერის მეთაურობით კირხჰაიმ უნტერ ტეკთან დავტოვეთ, საიდანაც ტრუხზესის მიერ დატოვებულმა მეთვალყურე რაზმმა დ ი ტ რ ი ხ შ პ ე ტ ი ს მეთაურობით ურახისკენ დაიხია. ურახზე ამაო შეტევის შემდეგ ფოიერბახერი ნიურტინგენისკენ გაემართა და ყველა მეზობელ აჯანყებულ რაზმს მისწერა — მომეშველეთ გადამწყვეტ ბრძოლაშიო. მართლაც, როგორც ვიურტემბერგის დაბლობიდან, ისე გოიდან[1] მნიშვნელოვანი დამხმარე ძალები მოვიდა. კერძოდ, გოის გლეხები შეუერთდნენ დასავლეთ ვიურტემბერგამდე უკანდახეულ ლაიპჰაიმელი რაზმის ნაშთებს, ააჯანყეს მთელი ზემონეკარის და ნაგოლდის ხეობა ბებლინგენამდე და ლეონბერგამდე, შეადგინეს ორი ძლიერი რაზმი და 5 მაისს ფოიერბახერს შეუერთდნენ ნიურტინგენში. ბებლინგენის მახლობლად ტრუხზესი შეეჯახა შეერთებულ გლეხთა რაზმებს. მათმა რიცხვმა, ზარბაზნებმა და პოზიციამ იგი შეაშფოთა; თავის ჩვეულებისამებრ მან მაშინვე მოლაპარაკება გამართა გლეხებთან და დროებითი ზავი ჩამოაგდო, მაგრამ როგორც კი ამრიგად თავისი თავი უზრუნველჰყო, იგი მათ თავს დაესხა 12 მაისს, დ რ ო ე ბ ი თ ი ზ ა ვ ი ს დ ა ს რ უ ლ ე ბ ა მ დ ე, და აიძულა გადამწყვეტი ბრძოლა მიეღოთ. გლეხებმა ხანგრძლივი და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, ვიდრე ბოლოს ბებლინგენი ტრუხზესს არ გადასცეს ბიურგერთა ღალატის გამო; ამრიგად, გლეხთა მარცხენა ფრთას გამოეცალა დასაყრდენი პუნქტი; მას შემოუარეს და უკუაქციეს. ამით გადაწყდა ბრძოლის ბედი. უდისციპლინო გლეხები აირივნენ და ჩქარა უკანმოუხედავად ბრძოლის ველიდან გაიქცნენ; ვინც მოკავშირეთა მხედრებს არ დაუტყვევებიათ ან არ მოუკლავთ, თოფიარაღი გადააგდო და შინ დაბრუნდა. ნათელი ქრისტიანული რაზმი დაიშალა და მასთან ერთად მთელი ვიურტემბერგის ამბოხება საესებით დაცხრა. ტ ო ი ს გ ე რ ბ ე რ მ ა ესლინგენს შეაფარა თავი,

[1] გ ო ი — მთაგორიანი ადგილი ვიურტემბერგის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. რ ე დ.

ფოიერბახერი შვეიცარიაში გაიქცა, დატყვევებული და შებორკილი იეკლაინ რორბახი ნეკარგარტახამდე ათრიეს; აქ ტრუხზესმა იგი სვეტზე მიაჯაჭვინა, გარშემო შეშა შემოაწყობინა და ნელ ცეცხლზე ცოცხლად დააწვევინა. თვითონ კი ამ დროს თავის რაინდებთან ერთად ქეიფობდა და ამ რაინდული სურათით ტკბებოდა.

ნეკარგარტახიდან ტრუხზესმა კრაიხგაუში შეპრით დახმარება გაუწია პფალცის კურფიურსტის ოპერაციებს. ამ უკანასკნელმა, რომელსაც უკვე ჯარები ჰყავდა თავმოყრილი, ტრუხზესის გამარჯვების შეტყობისთანავე დაარღვია გლეხებთან დადებული ხელშეკრულება, 23 მაისს თავს დაესხა ბრუხრაინს, ცხარე წინააღმდეგობის შემდეგ აიღო და დასწვა მალში, მოაოხრა რამდენიმე სოფელი და დაიკავა ბრუხზალი. იმავე დროს ტრუხზესი თავს დაესხა ეპინგენს და დაატყვევა იქაური მოძრაობის ბელადი ანტონ აიზენჰუტი, რომელიც კურფიურსტმა მაშინვე სიკვდილით დაასჯევინა თორმეტიოდე სხვა გლეხთა ბელადებთან ერთად. ამრიგად, ბრუხრაინი და კრაიხგაუ დათრგუნვილ იქნა და იძულებული გახდა 40 000 გულდენი კონტრიბუცია გადაეხადა. ამის შემდეგ ტრუხზესის ორივე ჯარი, რომელიც 6000 კაცზე ჩამოვიდა განვლილი ბრძოლების შედეგად, შეუერთდა კურფიურსტის რაზმს (6500 კაცს) და გაემართა ოდენვალდელების წინააღმდეგ.

ბებლინგენთან დამარცხებამ ყველგან შიშის ძრწოლა გამოიწვია აჯანყებულებში. იმ თავისუფალმა საიმპერიო ქალაქებმა, რომლებიც გლეხთა შემავიწროებელ ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ, უეცრად თავისუფლად ამოისუნთქეს. პირველად ჰაილბრონმა გადადგა ნაბიჯი შვაბიის კავშირთან შესარიგებლად. ჰაილბრონში მოთავსებული იყო გლეხთა კანცელარია, სადაც ისხდნენ სხვადასხვა გლეხთა ჯარების დელეგატები, რათა გაერჩიათ ის წინადადებანი, რომლებიც მთელი აჯანყებული გლეხობის სახელით იმპერატორსა და სახელმწიფოს უნდა წარდგენოდა. ამ თათბირებმა, რომლებსაც ერთი საყოველთაო, მთელი გერმანიისთვის სავალდებულო სამართალი უნდა შეემუშავებინათ, ხელახლა გამოამჟღავნეს, რომ არც ერთი წოდება, მათ შორის არც გლეხობა, იმდენად განვითარებული არ იყო, რომ თავისი თვალსაზრისით გარდაექმნა მთელი გერმანიის საზოგადოებრივი პირობები. იმთავითვე გამოაშკარავდა, რომ ამ მიზნისთვის თავადაზნაურობის და განსაკუთრებით მოქალაქეთა მიმხრობა იყო საჭირო. ამის გამო მოლაპარაკების ხელმძღვანელობა ვ ე ნ დ ე ლ ჰ ი პ ლ ე რ ს დაეკისრა. მოძრაობის მეთაურებს შორის ვენდელ ჰიპლერმა ყველაზე უკეთ შეიგნო საქმის

ვითარება. იგი არც შეუპოვარი რევოლუციონერი იყო მიუნცერივით, არც გლეხების წარმომადგენელი როგორც მეცლერი ან რორბახი. მისი ყოველმხრივი გამოცდილება, მისი პრაქტიკული ცოდნა ცალკე წოდებათა ურთიერთდამოკიდებულებისა მხოლოდ ხელს უშლიდა მას მოძრაობაში მონაწილე ერთი რომელიმე წოდების წარმომადგენლობა ეკისრა სხვების წინააღმდეგ. მიუნცერის მსგავსად, რომელიც, როგორც იმდროინდელი ოფიციალური საზოგადოების გარეშე მდგომი კლასის, ახლად ფეხადგმული პროლეტარიატის წარმომადგენელი, კომუნიზმის წინაგრძნობამდე მივიდა, ვენდელ ჰიპლერიც, ერის ყველა პროგრესული ელემენტის, ასე ვთქვათ, საშუალო ტოლქმედის წარმომადგენელი, თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წინათგრძნობამდე მივიდა. მართალია, მის მიერ წარმოდგენილი პრინციპების, მის მიერ წამოყენებული მოთხოვნების უშუალოდ განხორციელება შეუძლებელი იყო, მაგრამ ისინი წარმოადგენდნენ ფეოდალური საზოგადოების დაშლის აუცილებელ შედეგს, და რამდენადაც გლეხები მიზნად ისახავდნენ კანონპროექტები შეემუშავებინათ მთელი სახელმწიფოსთვის, იძულებული იყვნენ ამ პრინციპებისა და მოთხოვნებისთვის ანგარიში გაეწიათ. ამრიგად, ცენტრალიზაციამ, რომელსაც გლეხები მოითხოვდნენ, აქ ჰაილბრონნში უფრო გარკვეული სახე მიიღო, მაგრამ იგი ცასა და დედამიწასავით განსხვავდებოდა გლეხების წარმოდგენისაგან. ასე, მაგალითად, ამ ცენტრალიზაციამ ზუსტი გამოხატულება მიიღო ფულის, წონისა და ზომის ერთიანობის დამყარებასა, შინაგანი ბაჟების მოსპობაში და სხვ., ერთი სიტყვით, იმ მოთხოვნებში, რომლებიც უფრო მოქალაქეთა ინტერესებს ეთანხმებოდნენ, ვიდრე გლეხთა ინტერესებს. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა ადგილი თავადაზნაურობის მიმართ, ისე რომ რაღაც თანამედროვე მიწის გამოყიდვის მსგავსი უნდა მომხდარიყო და ფეოდალური მიწათმფლობელობა ბურჟუაზიულ მფლობელობად უნდა გადაქცეულიყო, ერთი სიტყვით, როცა გლეხთა მოთხოვნები «საიმპერიო რეფორმის» სახით ჩამოყალიბდა, ისინი დაექვემდებარნენ არა მომენტის მოთხოვნებს, არამედ ბიურგერთა საბოლოო ინტერესებს.

იმ დროს როცა ჰაილბრონში ჯერ კიდევ კამათობდნენ საიმპერიო რეფორმის შესახებ, «თორმეტმუხლიანი დეკლარაციის» ავტორი ჰანს ბერლინი უკვე ტრუხზესთან გაემგზავრა, რათა პატრიციატისა და ბიურგერობის სახელით ქალაქის დანებების შესახებ გაემართა მოლაპარაკება. ამ ღალატს მხარს უჭერდა რეაქციონერთა გამოხდომები თვით ქალაქში; ვენდელ ჰიპლერი იძულებული გახდა გლეხებ-

თან ერთად გაქცეულიყო. იგი წავიდა ვაინსბერგში, სადაც შეეცადა ვიურტემბერგის რაზმის ნაშთებისა და გაილდორფელების გადარჩენილი მეომრებისთვის მოეყარა თავი. მაგრამ პფალცის კურფიურსტის და ტრუხზესის მოახლოებამ იგი აქედანაც განდევნა და იძულებული გახადა ვიურცბურგში წასულიყო, რათა ნათელსხივოსანი ჯარი აემოქმედებინა. ამასობაში საკავშირო და კურფიურსტის ჯარებმა მთელი ნეკარის მხარე დაიპყრეს, აიძულეს გლეხები ხელახლა დაედოთ ფიცი, მრავალი სოფელი დასწვეს, ხოლო გაქცეული გლეხები, რომლებიც კი მათ ხელთ იგდეს, აჰკუწეს ან ჩამოახრჩვეს. ჰელფენშტაინის მკვლელობისათვის შურის საძიებლად ვაინსბერგი დასწვეს.

ამავე დროს ვიურცბურგთან შეერთებულმა გლეხთა რაზმებმა ალყა შემოარტყა ფრაუენბერგს და 15 მაისს, სანამ გალავანს შეანგრევდნენ, გაბედული, მაგრამ უნაყოფო იერიში მიიტანეს ციხეზე. 400 საუკეთესო მეომარი, უმეტესწილად ფლორიან გეიერის რაზმიდან, თხრილებში დარჩა მკვდარი თუ დაჭრილი. ორი დღის შემდეგ, 17 მაისს, მოვიდა ვენდელ ჰიპლერი და სამხედრო საბჭო მოიწვია. მან წინადადება შეიტანა, მხოლოდ 4000 კაცი დაეტოვებინათ ფრაუენბერგთან, ხოლო 20 000 კაცისგან შემდგარი მთავარი ძალა ტრუხზესის თვალწინ გაეტარებინათ და კრაუტჰაიმთან იაქსტზე ბანაკი გაეშალათ, სადაც ყველა დამხმარე ძალის თავმოყრა იყო შესაძლებელი. გეგმა საუცხოო იყო; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასები არ დაიჭსაჭსებოდნენ და გლეხკაცებს რიცხობრივი უპირატესობა შერჩებოდათ, მათ იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ დაამარცხებდნენ მთავრების ჯარს, რომელიც ახლა 13 000 კაცს შეიცავდა. მაგრამ დემორალიზაცია და სულიერი დაცემა გლეხებს შორის იმდენად ძლიერი იყო, რომ რაიმე ენერგიული ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელი გახდა. იმაში, რომ გლეხთა ლაშქარი შეჩერდა და ჰიპლერის გეგმა აღარ განხორციელდა, შეიძლება ბრალი მიუძღოდეს გიოც ფონ ბერლიხინგენსაც, რომელიც ამის შემდეგ მალე გამოვიდა როგორც აშკარა მოღალატე. გლეხთა რაზმები წინანდებურად დაჭსაჭსული დარჩნენ. ნათელ-სხივოსანი რაზმი მხოლოდ 23 მაისს ამოძრავდა, მას შემდეგ რაც ფრანკონელებმა მას აღუთქვეს, რაც შეიძლება ჩქარა გამოგყვებითო. 26 მაისს ვიურცბურგში დაბანაკებული ანსბახის რაზმი შინ იქნა გაწვეული იმ ცნობის წყალობით, რომ მარკგრაფმა[1] ბრძოლა დაიწყო გლეხების წინააღმდეგო. საალყო ჯარის დანარჩენმა ნაწილმა, ფლორიან გაიერის შავ რაზმთან ერთად, პოზიცია დაიჭირა ჰაიდინგსფელდთან, ვიურცბურგის მახლობლად.

[1] იგულისხმება მარკგრაფი კაზიმირ ბრანდენბურგელი, რომელიც ანსბახის და ბაირაიტის სამთავროებს ფლობდა. რ ე დ.

ნათელსხივოსანი ჯარი 24 მაისს კრაუტჰაიმში მივიდა, ბრძოლისთვის ნაკლებ გამოსადეგ მდგომარეობაში. აქ ბევრმა გლეხმა გაიგო, რომ მათმა სოფლებმა ტრუხზესს შეჰფიცეს, და ეს საბაბად გამოიყენეს, რათა შინ დაბრუნებულიყვნენ. რაზმი ნეკარზულმისკენ გაემართა და 28 მაისს მოლაპარაკება დაიწყო ტრუხზესთან. ამავე დროს დაგზავნილ იქნენ შიკრიკები ფრანკონელებისა, ელზასელებისა და შვარცვალდ-ჰეგაუელებისკენ, ჩქარა მოგვაწოდეთ დამხმარე ძალები. ნეკარზულმიდან გიოცმა ერინგენისკენ დაიხია. მისი ჯარი დღითიდღე დნებოდა; ამ უკანდახევის დროს თვით გიოც ფონ ბერლიხინგენიც გაჰქრა; იგი შინ დაბრუნდა, მას შემდეგ რაც თავისი ძველი თანამებრძოლის დიტრიხ შპეტის შემწეობით ტრუხზესთან მოლაპარაკება გამართა მის მხარეზე გადასვლის შესახებ. ერინგენში ყალბი ცნობა გავრცელდა მტრის მოახლოების შესახებ და უეცწეო, სასოწარკვეთილი მასა შიშის ძრწოლამ მოიცვა; ჯარი უწესრიგოდ გაიქცა-გამოიქცა და მეცლერმა და ვენდელ ჰიპლერმა დიდი გაჭირვებით შეაჩერეს 2000-მდე კაცი, რათა ისინი ხელახლა კრაუტჰაიმისკენ წაეყვანათ. ამავე დროს მოახლოვდა ფრანკონული ლაშქარი — 5000-მდე კაცი. მაგრამ რადგან რაზმი გიოცის, როგორც ეტყობა, მოღალატური მითითებით ორინგენისკენ არაპირდაპირი გზით წამოვიდა და ლევენშტაინისკენ შეუხვია, ფრანკონელი რაზმი ნათელ რაზმს ასცდა და ნეკარზულმისკენ გაემართა. ეს ქალაქი, რომელიც ნათელ-სხივოსანი რაზმის რამდენიმე ქვეგანაყოფს ეჭირა, ალყაშემორტყმული იყო ტრუხზესის მიერ. ფრანკონელები ღამით მოვიდნენ, მტრის ბანაკში ცეცხლი დაინახეს; მაგრამ ბელადებმა იმდენი ვაჟკაცობა ვერ გამოიჩინეს, რომ მტერს თავს დასხმოდნენ, და კრაუტჰაიმისკენ დაიხიეს, სადაც ბოლოს ნათელ-სხივოსანი ჯარის ნაშთს წააწყდნენ. რაკი მაშველი ჯარი არ გამოჩნდა, ნეკარზულმი 29 მაისს დანებდა მოწინააღმდეგეს; ტრუხზესმა მაშინვე სიკვდილით დასაჯა ცამეტი გლეხი და გლეხთა ჯარის შესახვედრად გაემართა: გზაზე ყოველივეს იკლებდა და სწვავდა, აოხრებდა და ხალხს ხოცავდა, კოსერის და იაქსტის ხეობებში მის მიერ განვლილ გზას ნანგრევები და ხეზე ჩამოკიდებული გლეხები უჩვენებდნენ.

კრაუტჰაიმში შვაბიის კავშირის ჯარი შეეჯახა გლეხებს, რომელნიც ტრუხზესის მიერ გვერდით შემოვლამ აიძულა კონიგსჰოფენისკენ დაეხიათ, ტაუბერის ნაპირისაკენ. აქ მათ პოზიციები დაიჭირეს, 8000 კაცი გამოიყვანეს და 32 ზარბაზანი გამართეს. ტრუხზესი მათ მიეპარა ტყითა და გორაკებით დაფარული გზით, გვერდით შემომვლელი რაზმი წინ წასწია და 2 ივნისს ისეთი ძალთა

უპირატესობით და ენერგიით დაესხა თავს გლეხებს, რომ მრავალი ჯგუფის უჯიათი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელმაც დაღამებამდე გასტანა, გლეხები სასტიკად დამარცხდნენ და დაიშალნენ. როგორც სხვაგან, ისე აქაც მეამბოხეთა ჯარის განადგურებას განსაკუთრებით მოკავშირეთა ცხენოსნებმა შეუწყვეს ხელი, რომლებსაც «გლეხთა შემმუსვრელნი» შეარქვეს. ისინი ეძგერნენ არტილერიის დაშენით, თოფის სროლით და შუბოსანთა იერიშებით უკვე არეულ-დარეულ გლეხთა რაზმებს, სრულიად გაჰფანტეს ისინი და შემდეგ ცალ-ცალკე ხოცავდნენ მათ. თუ როგორ ომს აწარმოებდა ტრუხზესი თავისი ცხენოსანი ჯარით, ჩანს იმ 300 კონიგსჰოფენელი მოქალაქის ბედიდან, რომლებიც გლეხთა ჯარში იყვნენ. ისინი ყველანი დახოცეს გარდა თხუთმეტი კაცისა, შემდეგ ამ თხუთმეტიდანაც ოთხს თავი მოჰკვეთეს.

როცა ტრუხზესი ამრიგად ოდენვალდელებს, ნეკარის ხეობელებს და ქვემოფრანკონელებს გაუსწორდა, მან მარბიელი რაზმებით, მთელი სოფლების დაწვისა და მრავალი ხალხის სიკვდილით დასჯის მეშვეობით მთელი მხარე დაიმორჩილა და ვიურცბურგისკენ გაემართა. გზად მან გაიგო, მეორე ფრანკონული ჯარი ზულცდორფთან დგას ფლორიან გაიერის და გრეგორ ფონ ბურგ-ბერნჰაიმის მეთაურობითო და მაშინვე მათ წინააღმდეგ გაილაშქრა.

ფლორიან გაიერმა, რომელიც ფრაუენბერგზე ამაო იერიშის მიტანის შემდეგ უმთავრესად მთავრებსა და ქალაქებთან, განსაკუთრებით როტენბურგთან და მარკგრაფ კაზიმირ ანსბახელთან აწარმოებდა მოლაპარაკებას იმის შესახებ, რომ ისინი გლეხთა ძმობაში შესულიყვნენ, უცებ ცნობა მიიღო კონიგსჰოფენის დამარცხების შესახებ და უკან დაბრუნდა. მის რაზმს ანსბახელები შეუერთდნენ გრეგორ ფონ ბურგ-ბერნჰაიმის მეთაურობით. ეს უკანასკნელი რაზმი ცოტა ხნის წინათ შედგა. მარკგრაფმა კაზიმირმა, როგორც ნამდვილ ჰოჰენცოლერნს შეეფერებოდა, მოახერხა თავის ტერიტორიაზე ნაწილობრივ დაპირებებით, ნაწილობრივ ჯარების თავმოყრის მუქარით დაეცხრო გლეხთა აჯანყება. იგი სრულ ნეიტრალიტეტს იცავდა ყოველი გარეშე ჯარის მიმართ, რამდენადაც იგი არ იზიდავდა ხოლმე ანსბახელ ქვეშევრდომებს. იგი ცდილობდა გლეხების სიძულვილი უმთავრესად საეკლესიო დაწესებულებებისკენ მიეპყრო, რომელთა საბოლოო კონფისკაციით იგი თავის გამდიდრებას ფიქრობდა. ამასთანავე იგი განუწყვეტლივ იარაღდებოდა და მოვლენათა განვითარებას უცდიდა. როგორც კი ბებლინგენის ბრძოლის ამბავი მოვიდა, მან მაშინვე საომარი მოქმედება დაიწყო თავისი აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ, აიკლო და დაწვა მათი სოფლები, ხოლო მრავალი მათგანი

ჩამოახრჩობინა და დაახოცინა. მაგრამ გლეხებმა ჩქარა თავი მოუყარეს თავიანთ ძალებს და 29 მაისს დაამარცხეს ვინდსჰაიმთან გრეგორ ფონ ბურგბერნსჰაიმის მეთაურობით. როცა ისინი მას ფეხდაფეხ მისდევდნენ, მათ შეპირვებული ოდენვალდელების ძახილი მოესმათ და ისინიც მაშინვე ჰაიდინგსფელდისკენ გაემართნენ, ხოლო იქიდან ფლორიან გაიერთან ერთად ხელახლა ვიურცბურგისკენ წავიდნენ (2 ივნისს). რადგან აქ მათ არავითარი ცნობები არ მიუღიათ ოდენვალდელებისაგან, 5000 გლეხი დატოვეს, ხოლო 4000 კაცით — დანარჩენი გაიფანტა — წინ გასწიეს. ყალბმა ცნობამ კონიგსჰოფენის ბრძოლის შედეგებზე გლეხები დაარწმუნა სრულ უშიშროებაში, მაგრამ ზულცდორფთან მათ მოულოდნელად თავს დაესხა ტრუხზესი და სავსებით დაამარცხა. ჩვეულებისამებრ ტრუხზესის ცხენოსნებმა და ლანდსკნეხტებმა შემზარავი სისხლის ნიაღვარი დააყენეს. ფლორიან გაიერმა შეაჯგუფა თავისი შავი რაზმის ნაშთი, 600 კაცის რაოდენობით და სოფელ ინგოლშტადტისკენ გაიკაფა გზა. 200 კაცმა ეკლესია და სასაფლაო დაიკავა, 400 კაცმა — ციხეკოშკი. მათ რაზმს პფალცელები გამოედევნენ: 1200 კაცისგან შემდგარმა რაზმმა სოფელი აიღო და ეკლესიას ცეცხლი წაუკიდა; ვინც ცეცხლს გადაურჩა, მახვილით იქნა მოკლული. შემდეგ პფალცელებმა კოშკის დახავსებული გალავანი შეანგრიეს და იერიშის მიტანა სცადეს. ისინი ორჯერ უკუქცეულ იქნენ გლეხების მიერ, რომელნიც ამოფარებული იყვნენ შიდა გალავანს, მაგრამ პფალცელებმა მოახერხეს ამ მეორე გალავნის დანგრევა და მესამეჯერ მიიტანეს იერიში, რომელიც მათი გამარჯვებით დამთავრდა. გაიერის რაზმელების ნახევარი დაიხოცა; დანარჩენი ორასი კაცი მან თან გაიყოლია და გაიქცა. მაგრამ მისი საფარი მეორე დღესვე (სამების ორშაბათს) აღმოაჩინეს; პფალცელებმა შეჰკრეს ტყე, სადაც იგი იმალებოდა და მთელი რაზმი აჰკუწეს. ამ ორ დღეში მხოლოდ 17 კაცი ჩავარდა ტყვედ. ფლორიან გაიერმა ხელახლა გაიკაფა გზა რამდენიმე მამაც რაზმელთან ერთად და გაილდორფელებისაკენ გაემართა, რომლებმაც კვლავ 7000-მდე კაცს მოუყარეს თავი. მაგრამ როცა იქ მივიდა, მან აღმოაჩინა, რომ რაზმის უმეტესი ნაწილი ყოველი მხრიდან მიღებული შემზარავი ამბების ზეგავლენით კვლავ დაშლილიყო. იგი კიდევ შეეცადა ტყეებში დაქსაქსულთათვის თავი მოეყარა, მაგრამ 9 ივნისს მტრის ჯარი თავს დაესხა ჰალთან და მოკლულ იქნა ბრძოლის დროს.

ტრუხზესი, რომელმაც კონიგსჰოფენთან გამარჯვებისთანავე ცნობა მიაწოდა ფრაუენბერგში ალყაშემორტყმულთ, ვიურცბურ-

გისკენ გაემართა. ქალაქის საბჭო მას შეუთანხმდა ფარულად, ისე რომ მოკავშირეთა ჯარი 7 ივნისს ღამით გარს შემოერტყა ქალაქს, რომელშიც 5000 გლეხი იმყოფებოდა, ხოლო მეორე დილით უბრძოლველად შევიდა საბჭოს მიერ გაღებულ კარიბჭეში. ვიურცბურგელ «წარჩინებულთა» ამ ღალატის შედეგად უკანასკნელი ფრანკონელი გლეხთა რაზმები განიარაღებულ იქნენ, ხოლო ყველა მისი ბელადი ტყვედ ჩავარდა. ტრუსზესმა მაშინვე თავი მოჭკვეთა 81 კაცს. აქ, ვიურცბურგში, ნელნელა თავი მოიყარეს სხვადასხვა ფრანკონელმა მთავრებმა; მათ შორის იყვნენ თვით ვიურცბურგის ეპისკოპოსი, ბამბერგის ეპისკოპოსი და ბრანდენბურგ-ანსბახის მარკგრაფი. კეთილშობილმა ბატონებმა თავიანთ შორის როლები გაინაწილეს. ტრუბზესი თან გაჰყვა ბამბერგის ეპისკოპოსს, რომელმაც ახლა დაარღვია გლეხებთან დადებული ხელშეკრულება და თავისი სამფლობელო საკავშირო ჯარის გააფთრებულ ბანდებს მისცა ასაკლებად და შესამუსრავად. მარკგრაფმა კაზიმირმა მოაოხრა თავისი საკუთარი სამფლობელოები. ტაინინგენი დასწვეს; მრავალი სოფელი აიკლეს ან ცეცხლს მისცეს; ამასთან ყოველ ქალაქში მარკგრაფი სისხლისმღვრელ სასამართლოს მართავდა. აიშის ნოიშტადტში მან 18 მეამბოხეს მოჭკვეთა თავი, მარკ-ბიურგელში 43. აქედან იგი გაემართა როტენბურგისკენ, სადაც პატრიციატმა უკვე კონტრრევოლუციური გადატრიალება მოახდინა და სტეფან ფონ მენცინგენი დაატყვევა. როტენბურგელ წვრილ ბიურგერებსა და პლებეებს ძვირად დაუჯდათ, რომ გლეხთა მიმართ ასე ორჭოფულად ეჭირათ თავი, რომ ისინი ბოლო დრომდე უარს ამბობდნენ ყოველივე დახმარებაზე, რომ კუთხური ეგოიზმის ზეგავლენით ისინი სოფლური ხელოსნობის დათრგუნვას მოითხოვდნენ ქალაქური ამქრების სასარგებლოდ და დიდი გაჭირვებით თქვეს უარი იმ შემოსავალზე, რომელსაც ქალაქები ღებულობდნენ გლეხების ფეოდალური ბეგარისა თუ გადასახადის სახით. მარკგრაფმა 16 კაცისთვის თავი მოაკვეთინა, უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, მენცინგენისთვის. — ვიურცბურგის ეპისკოპოსმაც ასევე დაარბია, გააპარტახა და მოსწვა მთელი თავისი სამფლობელო. 256 ამბოხებული სიკვდილით დაასჯევინა თავისი ძლევამოსილი ბსვლელობის დროს და თავისი ღვაწლი იმით დააგვირგვინა, რომ ვიურცბურგში დაბრუნებისას 13 კაცისთვის მოაკვეთინა თავი.

მაინცში მმართველის მოადგილემ, ეპისკოპოსმა ვილჰელმ სტრასბურგელმა მშვიდობიანობა ისე დაამყარა, რომ წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მან მხოლოდ 4 კაცი დასაჯა სიკვდილით. რაინ-

გაუს, სადაც აგრეთვე თავი იჩინა მღელვარებამ, მაგრამ მეამბოხენი უკვე შინ წავიდ-წამოვიდნენ, ულრიხის ბიძაშვილი ფროვენ ფონ ჰუტენი დაესხა თავს, აქ 12 მეთაური დასაჯეს სიკვდილით, და ყოველივე საბოლოოდ «დამშვიდდა». ფრანკფურტში, რომელმაც აგრეთვე განიცადა მნიშვნელოვანი რევოლუციური მოძრაობა, უკმაყოფილება თავდაპირველად საბჭოს დამთმობმა პოლიტიკამ დააშოშმინა, ხოლო შემდეგ დაქირავებულმა ჯარმა. რაინის პფალცში კურფიურსტის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ ხელახლა 8 000-მდე გლესმა მოიყარა თავი, რომლებმაც ისევ იწყეს მონასტრებისა და ციხე-კოშკების დაწვა; მაგრამ ტრირის არქიეპისკოპოსი მარშალ ფონ ჰაბერნის საშველად გაეშურა და 23 მაისს პფედერსჰაიმთან გლეხები დამარცხებულ იქნენ. აქაც აჯანყებას ბოლო მოუღეს მთელი რიგი სასტიკი ზომებით (მარტო პფედერსჰაიმში 82 კაცი სიკვდილით დასაჯეს) და ვაისენბურგის აღებით 7 ივლისს.

ყველა გლეხთა რაზმიდან ახლა მხოლოდ ორი დარჩა დაუმარცხებელი: ჰეგაუ-შვარცვალდელებისა და ალგაუელებისა. ორივეს წინააღმდეგ ერცჰერცოგი ფერდინანდი ეწეოდა ინტრიგებს. ისევე როგორც მარკგრაფი კაზიმირი და სხვა მთავრები აჯანყების გამოყენებას ცდილობდნენ საეკლესიო სამფლობელოებისა და სამთავროების მისათვისებლად, იგი ავსტრიის დინასტიის გასაძლიერებლად ცდილობდა აჯანყების გამოყენებას. მან მოლაპარაკება გამართა ალგაუელ სარდალთან ვალტერ ბასთან და ჰეგაუელ გლეხთა ბეთაურ ჰანს მიულერ ბულგენბახელთან, რათა გლესებისთვის შთაეგონებინათ, ავსტრიასთან შეერთება მოითხოვეთო; მაგრამ, თუმცა ორივე ბელადი გამყიდველი აღმოჩნდა, მათ თავიანთ ჯარებში ვერაფერი გაატარეს გარდა იმისა, რომ ალგაუელებმა ერცჰერცოგთან დროებითი ზავი ჩამოაგდეს და ავსტრიის მიმართ ნეიტრალიტეტი დაიცვეს.

ჰეგაუელმა გლეხებმა ვიურტემბერგიდან უკან დახევის დროს რამდენიმე ციხე-კოშკი დაანგრიეს და დაუსმარე ძალები მოიკრიბეს ბადენის სამარკგრაფოდან. 13 მაისს ისინი ფრაიბურგისკენ გაემართნენ, 18 მაისს შეტევა დაიწყეს, ხოლო 23 მაისს, ქალაქის კაპიტულაციის შემდეგ, გლეხები აფრიალებული დროშებით შეიერნენ შიგ. აქედან მათ შტოკასისა და რადოლფცელისკენ გაილაშქრეს და დიდხანს უნაყოფოდ ეომებოდნენ ამ ქალაქების მეციხოვნეებს. ორივე ქალაქმა, ისევე როგორც თავადაზნაურობამ და მახლობელმა ქალაქებმა, ვაინგარტენის ხელშეკრულების ძალით .ტბისპირელ გლეხებს მოუწოდეს საშველად, და ყოფილი ტბისპირელი მეამბოხეები, რიცხვით 5 000 კაცი თავისი მოკავშირეების წინააღმდეგ გამო-

ვიდნენ. ამდენად ძლიერი იყო ამ გლეხების პროვინციული შეზღუდულობა და სიჩლუნგე! მხოლოდ 600 კაცმა თქვა უარი და ჰეგაუელებთან შეერთება მოინდომა, მაგრამ ისინი დახოცეს. ჰეგაუელებმა კი მოსყიდული ბულგენბახელი ჰანს მიულერის ზეგავლენით ალყა მოხსნეს და, როცა მალე ამის შემდეგ ჰანს მიულერი გაიქცა, ისინიც მეტწილად წავიდ-წამოვიდნენ. ნაშთი ჰილცინგის ფერდობზე გამაგრდა, სადაც ისინი 16 ივლისს ამასობაში განთავისუფლებულმა ჯარებმა დაამარცხეს და მოსპეს. შვეიცარიის ქალაქების შუამავლობით ჰეგაუელებთან ხელშეკრულება იქნა დადებული, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა იმას, რომ ჰანს მიულერი, მიუხედავად მისი ღალატისა, ხელისუფლებას ლაუფენბურგში დაეტყვევებინა და თავი მოეკვეთა მისთვის. ბრაისგაუში ახლა (17 ივლისს) გლეხთა კავშირს ფრაიბურგიც გამოეთიშა და ჯარი გაგზავნა მის წინააღმდეგ; მაგრამ აქაც მთავართა სამხედრო ძალების სისუსტის გამო 18 სექტემბერს ოფენბურგში[1] ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულების პირობები ზუნდგაუზედაც იქნა გავრცელებული. შვარცვალდელთა რვა გაერთიანება და კლეტგაუელი გლეხები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ განიარაღებულნი, გრაფ ფონ ზულცის მტარვალობამ ხელახლა ააჯანყა, მაგრამ აჯანყებულები ოქტომბერში დამარცხდნენ. 13 ნოემბერს შვარცვალდელები იძულებული გახდნენ ხელშეკრულება დაედოთ[2], ხოლო 6 დეკემბერს დაეცა ვალდსჰუტი, აჯანყების ეს უკანასკნელი დასაყრდენი ზემო რაინზე.

ტრუხზესის წასვლის შემდეგ ალგაუელმაგლეხებმა ხელახლა შეუტიეს მონასტრებსა და ციხე-კოშკებს; ისინი ენერგიულად

[1] ოფენბურგის ხელშეკრულება, რომელიც ბრაისგაუელმა აჯანყებულებმა ავსტრიის მთავრობასთან დადვეს, ითვალისწინებდა ძველი გლეხური გამოსაღების აღდგენას და მკაცრი წესების შემოღებას გლეხთა კავშირებისა და «ერეთიკოსების» წინააღმდეგ. თავის მხრივ, მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა ამნისტია გავრცელებინა მოძრაობის რიგითს წევრებზე და შედარებით უმნიშვნელო ჯარიმებით დაკმაყოფილებულიყო. მაგრამ აჯანყების ბელადებზე ამნისტია არ გავრცელებულა, მიუხედავად ამისა, გლეხებისათვის ეს არასასარგებლო ხელშეკრულებაც კი მალე ვერაგულად იქნა დარღვეული ავსტრიის ხელისუფლებისა და ადგილობრივი ფეოდალების მიერ, რომლებმაც მასობრივ სისხლიან რეპრესიებს მიმართეს აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ, როგორც კი მათ იარაღი დაჰყარეს. რ ე დ.

[2] ხელშეკრულების პირობების თანახმად შვარცვალდელ გლეხებს კვლავ უნდა მიეღოთ ფიცი ჰაბსბურგთა მიმართ, აღედგინათ ძველ ვალდებულებათა შესრულება და ხელი არ შეეშალათ გამარჯვებულთა სისხლიანი შურისძიებისათვის მოძრაობის ცენტრთან, ქალაქ ვალდსჰუტთან. მართალია, ამ უკანასკნელის დამცველები კიდევ უმკლავდებოდნენ მტერს რამდენიმე კვირის განმავლობაში, მაგრამ ბიურგერთა ღალატის შედეგად ქალაქი ჩაბარებულ იქნა. რ ე დ.

შურს იძიებდნენ მოკავშირეების მიერ გლეხების აკლებისა და ობრეებისთვის. მათ წინააღმდეგ მცირერიცხოვანი რაზმები იდგნენ, რომელთაც შეეძლოთ მხოლოდ პატარა თავდასხმები მოეხდინათ, მაგრამ ვერ ბედავდნენ ტყეში მტრის გამოდევნებას. ივნისში მემინგენში, რომელსაც მანამდე საკმაოდ ნეიტრალურად ეჭირა თავი, მოძრაობა დაიწყო პატრიციატის წინააღმდეგ, ეს მოძრაობა დაცხრობილ იქნა მხოლოდ იმის გამო, რომ შემთხვევით ახლოს აღმოჩნდნენ მოკავშირეთა რაზმები, რომლებიც დროზე მიეშველნენ პატრიციატს. პლებეური მოძრაობის მქადაგებელი და ბელადი შაპელერი სანქტგალენში გაიქცა. გლეხები ქალაქს მიუახლოვდნენ და გალავნის შენგრევას აპირებდნენ. როცა გაიგეს ტრუხზესი ვიურცბურგიდან აქეთ მოდისო, 27 ივნისს ისინი ორ რაზმად მის წინააღმდეგ გაემართნენ ბაბენჰაუზენის და ობერგიუნცბურგის გზით. ერცჰერცოგი ფერდინანდი ხელახლა შეეცადა გლეხები ავსტრიის დინასტიის მხარეზე გადმოებირებინა. იგი ეყრდნობოდა დროებით ზავს, რომელიც გლეხებთან დასდო, და ტრუხზესისაგან მოითხოვდა, წინ ნულარ წაიწევ მათ წინააღმდეგო. მაგრამ შვაბიის კავშირმა ტრუხზესს უბრძანა, გლეხებს შეუტიე, მხოლოდ შეაჩერე ძარცვა-გლეჯა და ცეცხლის წაკიდებაო; მაგრამ ტრუხზესი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ უარს ვერ იტყოდა თავის პირველ და გადამწყვეტ საომარ საშუალებაზე, თუნდაც მას შეძლებოდა ლაგამი ამოედო თავისი ლანდსკნეხტებისთვის, რომლებიც მიეჩვივნენ, სისხლიან ეკსცესებს მთელს თავიანთ გზაზე, ბოდენის ტბიდან დაწყებული მაინამდე. გლეხთა ჯარმა, რიცხვით 23 000 კაცმა, ბანაკი გაშალა ილერისა და ლუიბასის გალმა. ტრუხზესი მათ პირისპირ დადგა 11 000 კაცით. ორივე ჯარის პოზიცია ძლიერი იყო; ცხენოსან ჯარს არ შეეძლო თავისუფლად ემოქმედნა ადგილმდებარეობის პირობების გამო, და თუ ტრუხზესის ლანდსკნეხტები ორგანიზაციისა, სამხედრო მასალისა და დისციპლინის მხრივ გლეხებს სჯობდნენ, ალგაუელ გლეხებს სამაგიეროდ მრავალი ყოფილი ჯარისკაცი და გამოცდილი უფროსი ჰყავდათ და მრავალრიცხოვანი ზარბაზანიც ჰქონდათ, რომელსაც კარგი არტილერისტები უწევდნენ მომსახურებას. 19 ივლისს მოკავშირეებმა ზარბაზნების სროლა დაიწყეს, რომელიც მეორე დღესაც გაგრძელდა ორივე მხრიდან, მაგრამ უშედეგოდ. 21 ივლისს ტრუხზესს გეორგ ფონ ფრუნდსბერგი შეუერთდა 300 ლანდსნეხტითურთ. იგი გლეხთა მრავალ მეთაურს იცნობდა, რომლებიც წინათ მის ხელქვეით მსახურობდნენ იტალიის ომებში, და მოლაპარაკება გაბა მათთან. ღალატმა შეძლო იმის გაკეთება, რისთვისაც სამხედრო საშუალებანი

საკმაო არ აღმოჩნდნენ. ვალტერ ბახი, მრავალი სხვა მეთაური და არტილერისტი მოსყიდულ იქნენ. მათ ააფეთქეს გლეხების მთელი თოფის წამლის მარაგი და გლეხთა ჯარს შთააგონეს, მტრის შემოვლა ეცადოთო. მაგრამ როგორც კი გლეხები თავიანთი გამაგრებული ადგილებიდან გამოვიდნენ, მახეში მოჰყვნენ, რომელიც მათ ტრუხზესმა მოუწყო ბახთან და სხვა მოღალატეებთან შეთანხმებით, მათ აღარ შეეძლოთ თავის დაცვა, მით უმეტეს, რომ მოღალატე მეთაურებმა დაზვერვა მოიმიზეზეს, ისინი მიატოვეს და გზას გაუდგნენ შვეიცარიისკენ. გლეხთა ორი რაზმი სრულიად გაიფანტა, მესამემ ლუიბასელი კნოპფის მეთაურობით შეძლო წესიერად უკან დახევა. იგი კოლენბერგზე შეჩერდა კემპტენთან, სადაც ტრუხზესმა მას ალყა შემოარტყა. მაგრამ ვერც აქ გაბედა მან იერიშის მიტანა; ტრუხზესმა მხოლოდ გარეშე ქვეყანას მოსწყვიტა იგი და მათი დემორალიზაციის მოხდენა სცადა იმით, რომ ორასამდე სოფელს ცეცხლი წაუკიდა ახლომახლო მიდამოებში. შიმშილმა და ცეცხლწაკიდებული სახლების დანახვამ გლეხები, ბოლოს, აიძულა დანებებულიყვნენ (25 ივლისს). ოცზე მეტი კაცი სიკვდილით დასაჯეს მაშინვე. ლუიბასელი კნოპფი, ერთადერთი მეთაური, რომელსაც თავისი დროშისთვის არ უღალატნია, ბრეგენცისკენ გაიქცა; მაგრამ აქ იგი დაიჭირეს და ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ ჩამოახრჩვეს.

ამით დასრულდა გლეხთა ომი შვაბიასა და ფრანკონიაში.

VI

როგორც კი შვაბიაში მოძრაობა დაიწყო, თ ო მ ა ს მ ი უ ნ ც ე რ ი ხელახლა ტ ი უ რ ი ნ გ ი ი ს კ ე ნ გაეშურა და თებერვლის ბოლოდან, თუ მარტის დასაწყისიდან თავისუფალ საიმპერიო ქალაქ მიულჰაუზენში დასახლდა, სადაც მისი პარტია ყველაზე უფრო ძლიერი იყო. მას ხელში ეჭირა მთელი მოძრაობის ძაფები; მან იცოდა, თუ რა საყოველთაო ქარიშხლის ამოვარდნა იყო მოსალოდნელი სამხრეთ გერმანიაში, და გადაწყვიტა ტიურინგია მოძრაობის ცენტრად ექცია ჩრდილო გერმანიაში. მას აქ შეტად ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა. თვით ტიურინგია, რეფორმაციული მოძრაობის მთავარი ცენტრი, მეტად აღელვებული იყო; დაბეჩავებული გლეხების მატერიალურმა გაჭირვებამ, ისევე როგორც მოარულმა რევოლუციურმა, სარწმუნოებრივმა და პოლიტიკურმა მოძღვრებებმა საყოველთაო აჯანყება მოამზადა აგრეთვე მეზობელ მხარეებში—ჰესენსა, საქსონიასა და ჰარცის პროვინციაში. განსაკუთრებით მიულჰაუზენში მთელი წვრილბურჟუაზიული მასა მიუნცერის უკადურეს მიმარ-

თულებას ემხრობოდა და მოუთმენლად ელოდა მომენტს, როცა იგი თავის რიცხობრივ უპირატესობას გამოიყენებდა გულზვიადი პატრიციატის წინააღმდეგ. თვით მიუნცერი იძულებული იყო დამამშვიდებელი ღონისძიებებისთვის მიემართა, რათა საქმე არ დაწყებულიყო ხელსაყრელ მომენტამდე. მაგრამ მისი მოწაფე პფაიფერი, რომელიც აქ მოძრაობას ხელმძღვანელობდა, იმდენად შორს იყო წასული თავის მოქმედებაში, რომ მას აღარ შეეძლო აფეთქების შეჩერება, და უკვე 17 მარტს 1525 წელს, ჯერ კიდევ სამხრეთ გერმანიის საყოველთაო აჯანყების დაწყებამდე, მიულჰაუზენმა თავისი რევოლუცია მოახდინა. ძველი პატრიციული საბჭო დამხობილ იქნა და მმართველობა გადაეცა ახლად არჩეულ «მარადიულ საბჭოს», რომლის თავმჯდომარე მიუნცერი იყო [1].

უკიდურესი პარტიის ბელადისათვის იმაზე ცუდი არაფერია, რომ იგი იძულებული ხდება ხელისუფლება მიიღოს ისეთ ეპოქაში, როცა მოძრაობა ჯერ კიდევ მომწიფებული არაა იმ კლასის ბატონობისთვის, რომელსაც იგი წარმომადგენლობს, და იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც ამ კლასის ბატონობას უზრუნველყოფენ. ის, რისი გაკეთებაც მას შ ე უ ძ ლ ი ა, დამოკიდებულია არა მის ნებასურვილზე, არამედ იმ დონეზე, რომელსაც მიაღწია წინააღმდეგობამ სხვადასხვა კლასებს შორის და არსებობის იმ მატერიალური პირობების განვითარებაზე, იმ საწარმოო და საალებმიცემო ურთიერთობის საფეხურზე, რომელიც განსაზღვრავს ყოველთვის კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარების საფეხურს. ხოლო ის, რაც მან უ ნ დ ა გააკეთოს, რასაც მოითხოვს მისგან მისი საკუთარი პარტია, დამოკიდებულია არა მასზე, არც კლასობრივი ბრძოლის და მისი პირობების განვითარების საფეხურზე; იგი შებოჭილია თავისი წინანდელი დოქტრინებით და მოთხოვნებით, რომლებიც, თავიანთი მხრივ, გამომდინარეობენ არა საზოგადოებრივი კლასების ურთიერთობიდან ამა თუ იმ მომენტში და საალებმიცემო ურთიერთობის დროებითი, მეტად თუ ნაკლებად შემთხვევითი მდგომარეობიდან, არამედ მის მიერ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობის საერთო შედეგების მეტად თუ ნაკლებად ღრმა გაგებიდან. ამრიგად, იგი აუცილებლად გადაუჭრელი დილემის წინაშე დგება: ის, რის გაკეთებაც მას შ ე უ ძ ლ ი ა, ეწინააღმდეგება მთელ მის წინან-

[1] შემღგომმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მიუნცერს არ ეჭირა ოფიციალური ადგილები მიულჰაუზენის «მარადიულ საბჭოში». მაგრამ რაკი ის ესწრებოდა ამ საბჭოს სხდომებს და წარმართავდა მის საქმიანობას, ამიტომ მიუნცერი ფაქტიურად ახალი რევოლუციური მთავრობის სათავეში იდგა. რ ე დ.

დელ გამოსვლებს, მის პრინციპებს და მისი პარტიის უშუალო ინტერესებს; ხოლო ის, რაც მან უ ნ დ ა გააკეთოს, განუხორციელებელია. ერთი სიტყვით, იგი იძულებულია წარმომადგენლობდეს არა თავის პარტიას, არა თავის კლასს, არამედ იმ კლასს, რომლის ბატონობისთვის მოძრაობა უკვე მომწიფებულია. იგი იძულებულია თვით მოძრაობის გულისთვის მისთვის უცხო კლასის ინტერესები განასორციელოს და თავისი საკუთარი კლასი ფრაზებით და დაპირებებით ჰკვებოს, იგი არწმუნოს, ყოველი სხვა კლასის ინტერესები შენი საკუთარი ინტერესებიაო. ვინც ამ მოლიპულ გზაზე დგება, საბოლოოდ დაღუპულია. ჩვენ უახლოეს ხანაშიაც ვნახეთ ამის მაგალითები; გავიხსენოთ თუნდაც ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდნენ პროლეტარიატის წარმომადგენლები[1] საფრანგეთის უკანასკნელ დროებით მთავრობაში, თუმცა ისინი მეტად დაბალი განვითარების საფეხურზე მდგომ პროლეტარიატს წარმომადგენლობდნენ. ვისაც თებერვლის მთავრობის გამოცდილების შემდეგ — ჩვენს კეთილშობილ გერმანულ დროებითს მთავრობებზე და იმპერიის სარეგენტოებზე რომ არაფერი ვთქვათ — კიდევ შეუძლია ოფიციალურ თანამდებობათა ვარაუდი იქონიოს, იგი ან უზომოდ გონებაშეზღუდულია, ან მხოლოდ სიტყვით ეკუთვნის უკიდურეს რევოლუციურ პარტიას.

მაგრამ მიუნცერის მდგომარეობა მიულჰაუზენის «მარადიული საბჭოს» სათავეში კიდევ ბევრად უფრო სასიფათო იყო, ვიდრე რომელიმე თანამედროვე რევოლუციონერი მმართველისა. არათუ მაშინდელი მოძრაობა, მთელი მისი საუკუნე მომწიფებული არ იყო

---

[1] ენგელსს მსედველობაში ჰყავს წვრილბურჟუაზიული სოციალისტი ლუი ბლანი და მუშა ალექსანდრე მარტენი (ალბერი). ესენი პროლეტარიატის წარმომადგენლებს სხვათ შორის შედიოდნენ საორანგეთის რესპუბლიკის ბურჟუაზიულ დროებით მთავრობაში, რომელიც შეიქმნა 1848 წლის თებერვალში. «სოციალისტი-მინისტრები», რომლებიც ბურჟუაზიულ პოლიტიკოსთა უბადრუკი დანამატის როლს ასრულებდნენ, სინამდვილეში, ვ. ი. ლენინის დახასიათების თანახმად, აღმოჩნდნენ «ბურჟუაზიული მთავრობის უბრალო სამკაული ან შირმა, ამ მთავრობისგან ხალხის აღშფოთების შეხვრეტილი. ამ მთავრობის მიერ მასების მოტყუების იარაღი» (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოც. ტ. 25, გვ. 451). რ ე დ.

[2] ი მ პ ე რ ი ი ს სარეგენტო — 5 კაცისგან შემდგარი რეგენტთა საბჭო, რომელიც შექმნა 1849 წ. ივნისში ფრანკფურტის ნაციონალურმა კრებამ ვიდრე მოქმედებას დაიწყებდა კრების მიერ გამომუშავებული «საიმპერიო კონსტიტუცია» და არჩეულ იქნებოდა გერმანიის იმპერატორი. ეს საბჭო, რომელიც შედგებოდა «მემარცხენე» წვრილბურჟუაზიული ფრაქციის წარმომადგენლებისგან, ისეთივე მხდალი, უმწეო და რევოლუციურ მოქმედებას უნარმოკლებული აღმოჩნდა, როგორც კრება საერთოდ. მან მალე სამარცხვინოდ დაასრულა თავისი არსებობა. რ ე დ.

ამ იდეების გასატარებლად, რომელთაც თვით იგი მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობდა. კლასი, რომელსაც იგი წარმომადგენლობდა, საკმაოდ განვითარებული არ იყო, მას უნარი არ შესწევდა დაეპორჩილებინა და გარდაექმნა მთელი საზოგადოება, იგი მხოლოდ ჩანასახობრივ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საზოგადოებრივი გადატრიალება, რომელიც მის ფანტაზიას ეჩვენებოდა, იმდენად ნაკლებ დაფუძნებული იყო არსებულ მატერიალურ პირობებზე, რომ ეს უკანასკნელნი ამზადებდნენ საზოგადოებრივ წესწყობილებას, რომელიც სწორედ მის საოცნებო საზოგადოებრივი წესწყობილების პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. ამავე დროს იგი შებოჭილი იყო თავისი წინანდელი ქადაგებებით ქრისტიანული თანასწორობისა და ევანგელიური ქონებრივი განზოგადოების შესახებ; მიუნცერს, ყოველ შემთხვევაში, უნდა ეცადნა მათი განხორციელება. გამოცხადებულ იქნა ყველა ქონების განზოგადოება, საყოველთაო შრომის ვალდებულება და ყოველი არსებული მთავრობის მოსპობა. მაგრამ სინამდვილეში მიულჰაუზენი რესპუბლიკურ საიმპერიო ქალაქად დარჩა ოღონაკ დემოკრატიზირებული კონსტიტუციით, საყოველთაო კენჭისყრით არჩეული, ფორუმის კონტროლქვეშ მყოფი სენატით და ღარიბ-ღატაკთა ნატურალური უბრუნველყოფის იმპროვიზირებული ორგანიზაციით. საზოგადოებრივი გადატრიალება, რომელიც პროტესტანტ ბურჟუაზიულ თანამედროვეებს ესოდენ შემზარავად ეჩვენებოდათ, სინამდვილეში მხოლოდ სუსტი და შეუგნებელი ცდა იყო მოახლოებული ბურჟუაზიული საზოგადოების დამყარების დასაჩქარებლად.

როგორც ეტყობა თვით მიუნცერი გრძნობდა, თუ რა ღრმა უფსკრული იყო მის თეორიებსა და მის გარშემო არსებულ უშუალო სინამდვილეს შორის. უფსკრული, რომელიც მით უფრო ნაკლებ შეუმჩნეველი უნდა ყოფილიყო მისთვის, რაც უფრო მახინჯად ისახებოდნენ მიუნცერის გენიალური შეხედულებანი მის უამრავ მიმდევართა განუვითარებელ თავებში. თვით მისთვისაც კი უჩვეულო გულმოდგინებით შეუდგა იგი მოძრაობის გაფართოებისა და ორგანიზაციის საქმეს; იგი წერდა წერილებს და შიკრიკებსა და ემისრებს ჰგზავნიდა ყველა მიმართულებით. მისი ნაწერები და ქადაგებანი რევოლუციური ფანატიზმითაა გაჟღენთილი, რომელიც გამოცდილებას იწვევს თვით მის ადრინდელ ნაწერებთან შედარებითაც კი. მიუნცერის რევოლუციური პამფლეტების გულუბრყვილო ახალგაზრდული ჰუმორი სრულიად გამქრალია; მოაზროვნის წყნარი, აწონ-დაწონილი სიტყვები, რომლებიც წინათ მისთვის უცხო არ

იყო, აღარ გვხვდება. მიუნცერი ახლა მთლად რევოლუციის წინასწარმეტყველად იქცა, იგი დაუცხრომლად აღვივებს სიძულვილს გაბატონებული კლასების წინააღმდეგ, იგი მძაფრ ვნებათაღელვას ამწვავებს და მხოლოდ იმ ძლიერი ენით ლაპარაკობს, რომელსაც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები ხმარობდნენ სარწმუნოებრივი და ეროვნული ექსტაზის შთაგონებით. ის სტილი, რომელიც მას ახლა უნდა შეემუშავებია, ნათელყოფს, თუ განვითარების რა საფეხურზე იდგა საზოგადოება, რომელზედაც მას ზემოქმედება უნდა მოეხდინა.

მიულჰაუზენის მაგალითმა და მიუნცერის აგიტაციამ ფართო გავლენა მოახდინა ქალაქის ფარგლებს გარეთ. ტიურინგიასა, აიხსფელდსა, ჰარცსა, საქსონიის საჰერცოგოებსა, ჰესენსა და ფულდას, ზემო ფრანკონიასა და ფოგტლანდში ყველგან გლეხები აღსდგნენ, დაირაზმნენ და ციხე-კოშკები და მონასტრები დასწვეს. მიუნცერი ასე თუ ისე მთელი მოძრაობის ბელადად იქნა აღიარებული, ხოლო მიულჰაუზენი ამ მოძრაობის ცენტრად დარჩა, მაშინ როცა ერფურტში წმინდა ბიურგერულმა მოძრაობამ გაიმარჯვა, და იქ გაბატონებულ პარტიას ორეოფი მდგომარეობა ეჭირა გლეხთა მიმართ.

მთავრები ტიურინგიაში თავდაპირველად ისევე უმწეონი და უილაჯონი აღმოჩნდნენ გლეხების მიმართ, როგორც ფრანკონიასა და შვაბიაში. მხოლოდ აპრილის უკანასკნელ დღეებში ჰესენის ლანდგრაფმა შეძლო თავი მოეყარა ჯარისთვის. ეს ის ლანდგრაფი ფილიპე იყო, რომლის ღვთისმოსავობას პროტესტანტული და ბიურგერული რეფორმაციის ისტორიკოსები ასეთ შესხმას უძღვნიან და რომლის სამარცხვინო მოქმედებაზე გლეხთა მიმართ ახლავე მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას. ლანდგრაფმა ფილიპემ რამდენიმე სწრაფი გათარეშებით და მტკიცე გამოსვლით თავისი სამფლობელოს უდიდესი ნაწილი დაიმორჩილა, ახალი ლაშქარი მოიშველია და თავისი ყოფილი სიუზერენის ფულდის აბატის სამფლობელოში შეიჭრა. 3 მაისს მან ფრაუენბერგთან დაამარცხა ფულდის გლეხთა რაზმი, მთელი ეს კუთხე დაიმორჩილა და ეს შემთხვევა გამოიყენა არა მარტო იმისთვის, რომ აბატის დამოკიდებულებიდან განთავისუფლებულიყო, არამედ იმისთვისაც, რომ ფულდის საბატო ჰესენის საყმო სამფლობელოდ ექცია, რასაკვირველია, შემდგომი სეკულარიზაციის მოლოდინში. შემდეგ მან აიზენახი და ლანგენზალცა აიღო და საქსონიის ჰერცოგის ჯართან შეერთებულმა ამბოხების მთავარი ცენტრის, მიულჰაუზენის, წინააღმდეგ გაილაშქრა.

მიუნცერმა თავის სამხედრო ძალას, რომელიც 8 000 კაცისა და რამ-დენიმე ზარბაზნისაგან შესდგებოდა, ფრანკენჰაუზენში მოუყარა თავი. ტიურინგიის გლეხთა ჯარს დაახლოებითაც არ შესწევდა ის სამხედრო უნარი, რომელიც ზემო შვაბიისა და ფრანკონიის გლეხთა რაზმების ნაწილმა ტრუხზესის წინააღმდეგ განავითარეს; იგი ცუდად შეიარაღებული და ცუდად გაწვრთნილი იყო, ნაკლე-ბად ჰყავდა ყოფილი ჯარისკაცები და სრულიად არ ჰყავდა ხელ-მძღვანელები. თვით მიუნცერს, როგორც ეტყობა, არავითარი სამ-ხედრო ცოდნა არ ჰქონდა. ამისდა მიუხედავად, მთავრებმა საჭიროდ სცნეს აქაც ის ტაქტიკა გამოეყენებინათ, რომელმაც ტრუხზესს ასე ხშირად მოაპოვებინა გამარჯვება: სახელდობრ, სიტყვის გატეხა. 16 მაისს მათ მოლაპარაკება დაიწყეს, დროებითი ზავი ჩამოაგდეს და მოულოდნელად თავს დაესხნენ გლეხებს, სანამ ზავის ვადა გა-ვიდოდა.

მიუნცერი თავისი ჯარით იმ ადგილას დაბანაკდა, რომელსაც დღემდე «შლახტბერგი»[1] ეწოდება, და ვაგენბურგს[2] ამოეფარა. უიმედობა თანდათან ძლიერდებოდა გლეხთა ლაშქარში. მთავრებმა გლეხებს ამნისტია აღუთქვეს, თუ ისინი ცოცხლად გასცემდნენ მი-უნცერს. მიუნცერმა წრე მოიწვია და უბრძანა მთავრების წინადა-დება გაარჩიეთო. ერთმა რაინდმა და ერთმა ხუცესმა კაპიტულაციის სასარგებლოდ ილაპარაკეს; მიუნცერმა ორივენი წრეში შეაყვანინა და თავი მოაკვეთინა. ამ ენერგიულმა ტერორისტულმა აქტმა, რო-მელსაც მედგარი რევოლუციონერები აღტაცებით შეხვდნენ, რამდე-ნიმედ განამტკიცა გლეხთა ლაშქარი; მაგრამ, ბოლოს, მისი უდიდე-სი ნაწილი მაინც წინააღმდეგობის გაუწევლად დაიშლებოდა, რომ გლეხებს არ შეემჩნიათ მთავრების ლანდსკნეხტები, რომლებსაც გო-რაკისთვის ალყა შემოერტყათ; ისინი დროებითი ზავის მიუხედავად მჭიდრო რაზმებით ახლოვდებოდნენ. საჩქაროდ ფრონტი გაიშალა საალაფო ურმების უკან; მაგრამ ყუმბარები და ტყვიები უკვე ხვდე-ბოდნენ ნახევრად უიარაღო, ბრძოლას შეუჩვეველ გლეხებს, ლანდს-კნეხტებმა უკვე მოაღწიეს ვაგენბურგს. ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ ურმების ხაზი გაირღვა, გლეხების ზარბაზნები მტერმა დაი-პყრო, ხოლო თვით გლეხები გაიფანტნენ. გლეხები უწესრიგოდ გარ-ბოდნენ და მით უფრო უვარდებოდნენ ხელში უკან მოქცეულ მტრის

[1] შ ლ ა ხ ტ ბ ე რ გ ი — ბრძოლის გორაკი. რ ე დ.

[2] ვაგენბურგი — ეწოდებოდა ბანაკს, რომელიც გამაგრებული იყო ურმების ბა-რიკადებით; ფართოდ იყენებდნენ ჩეხეთში აჯანყებული ჰუსიტები ჰუსიტთა ომების დროს. რ ე დ.

რაზმებსა და ცხენოსნებს, რომლებმაც საშინელი სისხლის მორევი დააყენეს. რვა ათასი გლეხიდან ხუთი ათასზე მეტი მოკლულ იქნა; დანარჩენებმა ფრანკენჰაუზენამდე მიაღწიეს, მაგრამ მათ ფეხდაფეხ მთავრობის ცხენოსნები მიჰყვნენ. ქალაქი აღებულ იქნა. თავში დაჭრილი მიუნცერი ერთ სახლში აღმოაჩინეს და დაატყვევეს. 25 მაისს მიულჰაუზენიც დანებდა; პფაიფერი, რომელიც იქ დარჩენილიყო, გაიქცა, მაგრამ იგი აიზენახში დაიჭირეს.

მიუნცერი მთავრების თანდასწრებით აწამეს და შემდეგ თავი მოჰკვეთეს. იგი ისეთივე ვაჟკაცობით შეხვდა სიკვდილს, როგორსაც სიცოცხლეში იჩენდა. იგი ოცდარვაწლის თუ იქნებოდა, როცა სიკვდილით დაისაჯა. პფაიფერსაც თავი მოჰკვეთეს და მათ გარდა მრავალ სხვასაც. ფულდაში „ღვთისმოსავმა» ფილიპე ჰესენელმა თავისი სისხლისმღვრელი სამსჯავრო მოაწყო; მისი და სხვა საქსონელი მთავრების ბრძანებით, სხვათა შორის, აიზენახში 24 მეამბოხეს მოჰკვეთეს მახვილით თავი, ლანგენსალცში — 41, ფრანკენჰაუზენის ბრძოლის შემდეგ — 300, მიულჰაუზენში — 100-ზე მეტს, გორმართან — 26, ტუნგედასთან — 50, ზანგერჰაუზენთან — 12, ლაიპციგში — 8, ასოების დასახიჩრებასა და სხვა უფრო მსუბუქ სასჯელზე, სოფლებისა და ქალაქების აკლებასა და დაწვაზე რომ არ ვილაპარაკოთ.

მიულჰაუზენმა დაკარგა თავისუფალი საიმპერიო ქალაქის პრივილეგიები და საქსონიის მიწებს შეუერთდა, ხოლო ფულდის სააბატო — ჰესენის სალანდგრაფოს.

მთავრები ახლა ტიურინგიის ტყეებისაკენ გაემართნენ, სადაც ფრანკონელი გლეხები ბილდჰაუზენის ბანაკიდან ტიურინგელებს შეერთებოდნენ და მრავალი ციხე-კოშკი დაეწვათ. მეინინგენთან ბრძოლა ატყდა; გლეხები დამარცხდნენ და ქალაქისკენ დაიხიეს, მაგრამ ქალაქმა მათ მოულოდნელად კარიბჭე დაუკეტა და ზურგიდან თავდასხმით დაემუქრა. გლეხთა რაზმი, რომელიც გასაჭირში ჩავარდა მოკავშირეების ღალატის გამო, მთავრებს დანებდა და მოლაპარაკების დროსვე დაიშალა. ბილდჰაუზენის ბანაკი უკვე კარგა ხანია გაფანტული იყო, და ამრიგად ამ რაზმის მოსპობით აღგვილ იქნა მეამბოხეთა უკანასკნელი ნაშთი საქსონიასა, ჰესენსა, ტიურინგიასა და ზემო ფრანკონიაში.

ელზასში ამბოხებამ უფრო გვიან იფეთქა, ვიდრე რაინის მარჯვენა ნაპირას. მხოლოდ აპრილის შუა რიცხვში აჯანყდნენ გლეხები სტრასბურგის საეპისკოპოსოში; მათ ჩქარა ზემოელზასელი და ზენდგაუელი გლეხები მიჰყვნენ. 18 აპრილს ქვემოელზასელმა გლეხთა

რაზმმა ალტდორფის მონასტერი დაარბია; სხვა რაზმები ებერსჰაიმთან და ბართან, აგრეთვე ვილერის ხეობასა და ურბისის ხეობაში შეიქმნა. მალე ისინი ქვემო ელზასის დიდ რაზმად შეერთდნენ და იწყეს ქალაქებისა და დაბების აღება და მონასტრების დანგრევა, მოსახლეობიდან ყოველ მესამე მამაკაცს ჯარში იწვევდნენ. ამ რაზმის თორმეტი მუხლი ბევრად უფრო რადიკალურია, ვიდრე შვაბელ-ფრანკონელ გლეხთა რაზმისა[1].

მაშინ, როცა ქვემოელზასელების ერთმა რაზმმა მაისის დამდეგს სანქტ-იპოლიტთან მოიყარა თავი, სცადა ამ ქალაქის თავის მხარეზე გადმობირება და, რადგან ვერას გახდა, ბერკენს მიადგა, რომელიც 10 მაისს მოქალაქეებთან შეთანხმების გზით ხელში ჩაიგდო, 13 მაისს რაპოლტსვაილერი, ხოლო 14-ში რაიხენვაიერი დაიპყრო, მეორე რაზმი ერაზმ გერბერის მეთაურობით სტრასბურგზე თავდასასხმელად გაემართა. ეს ცდა მარცხით დასრულდა, რაზმმა ვოგეზებისკენ იბრუნა პირი, მაუერსმიუნსტერის მონასტერი დაარბია და ალყა შემოარტყა ცაბერნს, რომელიც 13 მაისს დანებდა. აქედან მან ლოთარინგიის საზღვრისკენ გაილაშქრა და ამ საჰერცოგოს მოსაზღვრე მხარე ააჯანყა, ხოლო იმავე დროს მთის გზები შეჰკრა. ჰერბოლცჰაიმთან, საარზე, და ნოიბურგთან დიდი ბანაკები გაიშალა; საარგემიუნდში 4000 გერმანელ-ლოთარინგელი გლეხი ჩასაფრდა; ბოლოს, ორი წინწაწეული რაზმი — კოლბენელებისა ვოგეზებში შტიურცელბრუნთან და კლეებურგელებისა ვაისენბურგთან — ფრონტსა და მარჯვენა ფრთას ჰფარავდა, მაშინ როცა მარცხენა ფრთა ზემოელზასელებს ეყრდნობოდა.

ზემოელზასელებმა მოძრაობა დაიწყეს 20 აპრილს. 10 მაისს მათ აიძულეს ზულცი, 12 მაისს გებვაილერი, 15-ს ზენჰაიმი და მისი მიდამოები გლეხთა ძმობაში შესულიყვნენ. მართალია, ავსტრიის მთავრობა და მახლობელი საიმპერიო ქალაქები მაშინვე მათ წინააღმდეგ გაერთიანდნენ, მაგრამ მეტად სუსტნი იყვნენ, რომ მათთვის

[1] ელზასის გლეხთა მოთხოვნის მუხლები არა მარტო მკვეთრად აყალიბებდა ანტიფეოდალურ მოთხოვნებს, რომლებიც გადმოცემულია შვაბელ-ფრანკონელ გლეხთა «თორმეტ მუხლში» (ბატონყმობის გაუქმება, თავადაზნაურობის მიერ უზურპირებული სათემო მიწების დაბრუნება და ა. შ.), არამედ ბევრ რამეში ისინი ამ პროგრამაზე შორს მიდიოდნენ. ეს პუნქტები მევახშეობის წინააღმდეგაც იყო მიმართული (მუხლი სავახშო სარგებლისა და ა. შ. გაუქმების შესახებ). ისინი მოითხოვდნენ არა მარტო მცირე სამეათეოს მოსპობას, არამედ დიდი სამეათედოს მოსპობასაც. აღიარებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის უფლებას — გადააყენოს ის თანამდებობის პირნი, რომლებიც ხალხის უკმაყოფილებას იწვევენ, და აირჩიონ მათ ნაცვლად ახალი. რ ე დ.

სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ და მით უმეტეს, რომ თავს დასხმოდნენ. ამიტომ, ორიოდე ქალაქის გამოკლებით, მაისის შუა რიცხვებისათვის მთელი ელზასი აჯანყებულთა ხელში იყო.

მაგრამ უკვე ახლოვდებოდა ჯარი, რომელსაც ელზასელი გლეხების ქედმაღლობა უნდა გაეტეხა. ეს იყვნენ ფ რ ა ნ გ ე ბ ი, რომლებმაც აქ თავადაზნაურობის ბატონობის რესტავრაცია მოახდინეს. ჰერცოგ ანტონ ლოთარინგელმა უკვე 6 მაისს 30 000 კაცისაგან შემდგარი ჯარი დასძრა, ამ ჯარში ფრანგი თავადაზნაურობის წარჩინებული ნაწილი და ესპანელების, პიემონტელების, ლომბარდიელების, ბერძნებისა და აღბანელების დამსმარე რაზმები მოიპოვებოდნენ. 16 მაისს იგი ლუცელშტაინთან შეეჯახა 4000 გლეხს, რომელნიც ადვილად დაამარცხა, ხოლო 17 მაისს მან აიძულა დანებებულიყო ცაბერნი, რომელიც გლეხებს ეჭირათ. მაგრამ ჯერ კიდევ ლოთარინგელების ქალაქში შესვლისა და გლეხების განიარაღების დროს კაპიტულაციის პირობები დარღვეულ იქნა; უიარაღო გლეხებს ლანდსკნეხტები დაესხნენ თავს და მათი უდიდესი ნაწილი გაჟლიტეს. ქვემოელზასელთა დანარჩენი რაზმები გაიფანტნენ და ჰერცოგ ანტონმა ახლა ზემოელზასელების წინააღმდეგ გაილაშქრა. ლოთარინგელებმა შერვაილერთან გააფთრებით შეუტიეს ზემოელზასელებს, რომლებმაც წინათ უარი თქვეს, რომ ქვემოელზასელებს გაჰყოლოდნენ ცაბერნში. ისინი დიდი სიმამაცით იცავდნენ თავს, მაგრამ მტრის სიმრავლემ, სახელდობრ, 30 000 კაცის დაპირისპირებამ 7000 კაცისადმი და ზოგიერთი რაინდის, განსაკუთრებით რაინხენვაიერის მოურავის ღალატმა ამაო გახადა მათი სიმამაცე. ისინი სავსებით დამარცხდნენ და გაიფანტნენ. ჰერცოგმა მთელი ელზასი დაიმორჩილა ჩვეულებრივი სისასტიკით. მხოლოდ ზუნდგაუ გადაურჩა მის თავდასხმას. ავსტრიის მთავრობა აქ გლეხებს დაემუქრა ჰერცოგს მოვიწვევო და გლეხები აიძულა ენზისჰაიმის ხელშეკრულება დაედო ივნისის დასაწყისში. მაგრამ მან მაშინვე დაარღვია ეს ხელშეკრულება და მასობრივად ჩამოახრჩობინა მოძრაობის მქადაგებელნი და წინამძღოლნი. გლეხებმა ამის შემდეგ ახალი აჯანყება მოახდინეს, რომელიც, ბოლოს, იმით დამთავრდა, რომ ოფენბურგის ხელშეკრულება[1] (18 სექტემბრისა) ზუნდგაუელ გლეხებზეც გავრცელდა.

ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ გადმოვცეთ გლეხთა ომის მსვლელობა ა ვ ს ტ რ ი ი ს ა ლ პ ე ბ შ ი. როგორც ეს კუთხე, ისე

[1] ოფენბურგის ხელშეკრულების შესახებ იხ. შენიშვნა ამ გამოცემის 110 გვერდზე. რ ე დ.

მეზობლად მდებარე ზ ა ლ ც ბ უ რ გ ი ს ს ა ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ო «სტარა პრავას» მოძრაობის დროიდან მუდმივ ოპოზიციაში ედგა მთავრობასა და თავადაზნაურობას და რეფორმაციის მოძღვრებამ აქაც ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა. სარწმუნოებრივმა დევნამ და მძიმე გადასახადების თვითნებურად გადიდებამ დააჩქარეს აჯანყება.

ქალაქი ზ ა ლ ც ბ უ რ გ ი, რომელსაც გლეხები და მემაღაროელები უპერდნენ მხარს, უკვე 1522 წლიდან ებრძოდა არქიეპისკოპოსს თავისი სამოქალაქო პრივილეგიებისა და რელიგიური რიტუალის გამო. 1524 წლის დასასრულს არქიეპისკოპოსი ქალაქს დაქირავებული ლანდსკნეხტებით დაესხა თავს, ციხე-კოშკიდან ზარბაზნები დაუმიზნა მოქალაქეებს, შეაშინა ისინი და ერეთიკოს მქადაგებელთა დევნა დაიწყო. ამავე დროს მან ახალი, მძიმე გადასახადები შემოიღო და ამით მთელი მოსახლეობა უკიდურესად გააღიზიანა. 1525 წლის გაზაფხულზე, შვაბია — ფრანკონიის და ტიურინგიის აჯანყებასთან ერთად, უცებ მთელი ამ კუთხის გლეხები და მემაღაროელები აღსდგნენ, დაირაზმნენ პ რ ა ს ლ ე რ ი ს ა და ვ ა ი ტ მ ო ზ ე რ ი ს მეთაურობით, გაანთავისუფლეს ქალაქი და ალყა შემოარტყეს ზალცბურგის ციხე-კოშკს. მათ ქრისტიანული კავშირი დააარსეს დასავლეთ გერმანიის გლეხების მსგავსად, და თავიანთი მოთხოვნები ჩამოაყალიბეს თეზისების სახით, რომლებიც თოთხმეტ მუხლს[1] შეიცავდნენ.

1525 წელს გაზაფხულზე გლეხები აჯანყდნენ აგრეთვე შ ტ ა ი ე რ მ ა რ კ ს ა, ზ ე მ ო ა ვ ს ტ რ ი ა ს ა, კ ე რ ნ ტ ს ა და კ რ ა ი ნ შ ი, სადაც ახალი უკანონო გადასახადებით, ბაეებით და თვითნებური განკარგულებებით დიდად შელახული იყო ხალხის სისხლხორცეული ინტერესები. მათ რამდენიმე ციხე-კოშკი აიღეს და გრისასთან სძლიეს «სტარა პრავას» დამმარცხებელს, მხცოვან მხედართმთავარს დიტრიხშტაინს. თუმცა მთავრობამ შეძლო თვალები აეხვია მეამბოხეთა ერთი ნაწილისთვის და დაეშოშმინებინა იგი, მასა შემჭიდროებული დარჩა და ზალცბურგელებს შეუერთდა, ისე რომ მთელი ზალცბურგის მხარე და ზემო ავსტრიის, შტაიერმარკის, კერნტის და კრაინის უდიდესი ნაწილი გლეხების და მემაღაროელების ხელში აღმოჩნდა.

---

[1]ეს მუხლები ძირითადად ასახავდნენ შვაბია-ფრანკონიის გლეხთა თორმეტი მუხლის მოთხოვნებს (ბატონყმური დამოკიდებულების გაუქმება, მცირე სამეათედოს, სამკვდროს და სხვა ფეოდალურ გამოსაღებთა მოსპობა, მღვდლების არჩევითობა და ა. შ.). გარდა ამისა, ეს მუხლები შეიცავდნენ ადგილობრივი ხასიათის ზოგიერთ მოთხოვნას. რ ე დ.

რეფორმაციის მოძღვრებამ მრავალი მიმდევარი მოიპოვა ტიროლშიც; აქ კიდევ უფრო, ვიდრე სხვაგან ავსტრიის ალპებში, მიუნცერის ემისრები წარმატებით მოღვაწეობდნენ. ერცჰერცოგი ფერდინანდი აქაც სდევნიდა ახალი მოძღვრების მქადაგებელთ და აქაც ახალი თვითნებური გადასახადებით არღვევდა მოსახლეობის პრივილეგიებს. როგორც ყველგან, ისე აქაც ამას შედეგად აჯანყება მოჰყვა იმავე 1525 წლის გაზაფხულზე. მეამბოხეებმა, რომელთა მთავარსარდალი იყო მიუნცერის ერთ-ერთი მიმდევარი, სახელდობრ, გაისმაიერი — ერთადერთი გამოჩენილი სამხედრო ტალანტი გლეხკაცთა მეთაურებს შორის, მრავალი ციხე-სიმაგრე აიღეს და ენერგიულად გაუსწორდნენ ხუცებს განსაკუთრებით სამხრეთით, ეჩის ხეობაში. ფორარლბერგელებიც[1] აღსდგნენ და ალგაუელებს შეუერთდნენ.

ერცჰერცოგი, რომელიც ყოველი მხრიდან შევიწროებული აღმოჩნდა, დათმობიდან დათმობაზე წავიდა იმ ამბოხებულთა მიმართ, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მას სურდა ცეცხლითა და მახვილით გაენადგურებინა, გაეძარცვა და გაეჟლიტა. მან სამკვიდრო სამფლობელოების ლანდტაგთა მოწვევა გამოაცხადა და მათ შეკრებამდე დროებითი ზავი ჩამოაგდო გლეხებთან. ამავე დროს იგი მთელი ძალღონით იარაღდებოდა, რათა, რაც შეიძლება ჩქარა, სხვა ენაზე დაეწყო საუბარი «დამნაშავეებთან».

დროებითი ზავი, რასაკვირველია, დიდხანს არ გაგრძელებულა. დიტრიხშტაინს ფული შემოაკლდა და საჰერცოგოებს კონტრიბუციები დაადო. გარდა ამისა, მისი სლავთა და მადიართა ჯარები მოურიდებელი სისასტიკით ეპყრობოდნენ მოსახლეობას. ამიტომ შტაიერმარკის გლეხობა ხელახლა აჯანყდა. ისინი 2 ივლისს ღამით თავს დაესხნენ მხედართმთავარ დიტრიხშტაინს შლადმინგში და გაჟლიტეს ყველანი, ვინც გერმანულად არ ლაპარაკობდა. თვით დიტრიხშტაინი ტყვედ ჩავარდა. 3 ივლისს დილით გლეხებმა ნაფიცთა სამსჯავრო შეადგინეს და ორივე ჩეხელ და კროატელ დატყვევებულ აზნაურს სიკვდილი მიუსაჯეს. მათ მაშინვე თავი მოჰკვეთეს. ამან გავლენა მოახდინა; ერცჰერცოგმა იმ წამშივე დააკმაყოფილა ხუთივე საჰერცოგოს (ზემო და ქვემო ავსტრიის, შტაიერმარკის, კერნტისა და კრაინის) წოდებათა ყველა მოთხოვნა.

ლანდტაგის მოთხოვნები ტიროლშიც დაკმაყოფილებულ იქნა და ჩრდილოეთში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. მაგრამ სამხრეთი, რომე-

---

[1] ფ ო რ ა რ ლ ბ ე რ გ ი — ტიროლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ოლქი, რომელიც საზღვრავს შვაბიასა და შვეიცარიას. რ ე დ.

ლიც დაჟინებით იცავდა თავის პირვანდელ მოთხოვნებს და არ ეთანხმებოდა მათ შეკვეცას ლანდტაგის მიერ, შეიარაღებული დარჩა. მხოლოდ დეკემბერში შეძლო ერცჰერცოგმა აქ ძალით წესრიგის ხელახლა აღდგენა. მან შემთხვევა გამოიყენა, რათა მის ხელში ჩავარდნილი მეამბოხეთა წამქეზებელნი და წინამძღოლნი სიკვდილით დაესაჯა.

ზალცბურგის წინააღმდეგ აგვისტოში 10 000 ბავარიელი დაიძრა გეორგ ფონ ფრუნდსბერგის მეთაურობით. როგორც ამ საგრძნობმა სამხედრო ძალამ, ისე გლეხებში ჩამოვარდნილმა შუღლმა ზალცბურგელები აიძულა 1 სექტემბერს ხელშეკრულება დაედოთ არქიეპისკოპოსთან, ეს ხელშეკრულება ერცჰერცოგმაც მიიღო. მაგრამ ამ მთავრებმა ჩქარა საკმაოდ გააძლიერეს თავიანთი ჯარები, დაარღვიეს ხელშეკრულება და ამით ზალცბურგელ გლეხებში ხელახალი აჯანყება გამოიწვიეს. აჯანყებულებმა მთელი ზამთარი გასძლეს; გაზაფხულზე მათთან გაისმაიერი მოვიდა და ძლევამოსილი ლაშქრობა დაიწყო მტრის წინააღმდეგ, რომელიც ყოველი მხრიდან უტევდა. მთელ რიგ ბრწყინვალე შეტაკებაში მან 1526 წლის მაისსა და ივნისში ერთი მეორის მიყოლებით დაამარცხა ბავარიელები, ავსტრიელები, შვაბიელთა საკავშირო ჯარები, ზალცბურგელი არქიეპისკოპოსის ლანდსკნეხტები და კარგა ხნით შეაფერხა მტრის სხვადასხვა ნაწილების შეერთება. ამავე დროს მან კიდევ მონახა დრო, რათა რადშტატისთვის ალყა შემოერტყა. ბოლოს იგი ყოველმხრივ გარშემორტყმულ იქნა ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი მტრის მიერ, იძულებული გახდა უკან დაეხია, ალყა გაარღვია და თავისი ჯარის ნაშთი ავსტრიის ალპების გზით ვენეციის ტერიტორიაზე გადაიყვანა. ვენეციის რესპუბლიკამ და შვეიცარიამ დაუღალავ გლეხთა ბელადს საყრდენი პუნქტები მისცეს ახალი წამოწყებებისთვის, მთელი წლის განმავლობაში იგი ცდილობდა ავსტრიის საწინააღმდეგო ომში ჩაება ეს სახელმწიფოები, მას იმედი ჰქონდა, რომ ამ შემთხვევაში კიდევ შეიძლებოდა გლეხთა აჯანყების გამოწვევა. მაგრამ ამ მოლაპარაკების დროს მას მკვლელის ხელი მისწვდა; ერცჰერცოგ ფერდინანდსა და ზალცბურგელ არქიეპისკოპოსს არ შეეძლოთ მოსვენება, სანამ გაისმაიერი ცოცხალი იყო: მათ ერთი ბანდიტი მოისყიდეს, რომელმაც 1527 წელს მოახერხა საშინელი რევოლუციონერის მოკვლა.

VII.

გაისმაიერის უკანდახევა ვენეციის ტერიტორიაზე გლეხთა ომის უკანასკნელი აქტი იყო. გლეხები ყველგან ხელახლა ეკლესიის, თავადაზნაურობის და პატრიციატის ძალაუფლებას დაუმორჩილეს; ხელშეკრულებანი, რომლებიც აქა-იქ იყო მათთან დადებული, დაირღვა, წინანდელი გადასახადები გადიდდა უზარმაზარი კონტრიბუციის შეწერით, რომელიც გამარჯვებულებმა დამარცხებულთ დააკისრეს. გერმანელი ერის ყველაზე დიდებული რევოლუციური ცდა დამთავრდა გამაწბილებელი დამარცხებით, რომელმაც პირველ ხანებში გააორკეცა ჩაგვრა. მაგრამ გლეხთა კლასის მდგომარეობის დიდი ხნით გაუარესება როდი აიხსნება აჯანყების ჩახშობით. ის, რისი გამოწვევაც წლიდან წლამდე გლეხკაცობიდან თავადაზნაურობას, მთავრებს და ხუცებს შეეძლოთ, ისინი, უცილობელია, ომამდეც სწოვდნენ; იმდროინდელ გერმანელ გლეხს თანამედროვე პროლეტარიატთან ის ჰქონდა საერთო, რომ მისი წილი შრომის პროდუქტებში იმ საარსებო საშუალებათა მინიმუმით განისაზღვრებოდა, რომელიც გლეხთა კლასის სიცოცხლის შესანარჩუნებლად და მისი მოდგმის განსაგრძობად იყო საჭირო. საერთოდ, მაშასადამე, აქ მეტი აღარაფერი რჩებოდა წასართმევი. მართალია, ზოგიერთი შეძლებული საშუალო გლეხი გაპარტახდა, მრავალი დამოკიდებული გლეხი იძულებული გახდა ყმად გადაქცეულიყო, დიდძალ სათემო მიწას კონფისკაცია უყვეს, მრავალი გლეხი სახლის დანგრევისა და სახნავ-სათესების მოოხრების გამო, აგრეთვე საყოველთაო ანარქიის წყალობითაც მაწანწალად იქცა ანდა ქალაქის პლებეების რიგში მოჰყვა. მაგრამ ომი და ქვეყნის მოოხრება იმდროინდელ ყოველდღიურ მოვლენათა რიცხვს ეკუთვნოდა, და საერთოდ გლეხთა კლასი იმდენად დაბლა იდგა, რომ გადასახადების გადიდებით შეუძლებელი იყო ხანგრძლივად მისი მდგომარეობის გაუარესება. რელიგიურმა ომებმა, რომლებიც ამას მოჰყვა და, ბოლოს, ოცდაათწლიანმა ომმა [1]

[1] ოცდაათწლიანი ომი (1618—1648) გერმანიის პროტესტანტი და კათოლიკე მთავრების შინაომი, რომელიც გამოიწვია მთავრების განუწყვეტელმა ურთიერთ შეხლა-შემოხლამ და იმპერატორთან შეჯახებებმა; ეს ომი საბაბი გახდა უცხო სახელმწიფოთა ჩარევისა გერმანიის საქმეებში (ესპანეთის, დანიის, შვეციისა, საფრანგეთისა). ომის შედეგად გერმანია სრულიად გაპარტახებულ იქნა და, მარქსის სიტყვების თანახმად, დაყვანილ იქნა «ბარბაროსულ მდგომარეობამდე» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, გვ. 213). 1648 წ. დადებულმა ვესტფალის ზავმა კიდევ უფრო განამტკიცა გერმანიის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და უფლება მიანიჭა ცალკეულ მთავრებს სეპარატიული შეთანხმებანი დაედვათ უცხოელ სახელმწიფოებთან; ამ ზავმა სანქცია მისცა ევროპის რიგ სახელმწიფოებს დაეპყროთ გერმანიის მიწები. რედ.

ქვეყნის განმეორებითი, მასობრივი მოოხრებითა და მოსახლეობის გაჟლეტით გლეხებს უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე გლეხთა ომმა; განსაკუთრებით ოცდაათწლიანმა ომმა გაანადგურა უმეტესი ნაწილი ბიწათმოქმედებაში დაბანდებული საწარმოო ძალებისა და როგორც ამით, ისე მრავალი ქალაქის დანგრევით უსაშინლესი ფორმის ირლანდიურ სიღატაკეში ჩააგდო გლეხები, პლებეები და გაპარტახებული მოქალაქეები.

გლეხთა ომის შედეგებმა ყველაზე მეტად ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ე ბ ა დააზარალა. მისი მონასტრები და ეკლესიები დაიწვა, მისი ოქროვერცხლი გაძარცვულ, საზღვარგარეთ გაყიდულ და გადადნობილ იქნა, მისი მარაგი შთაინთქა. სამღვდელოებას ყველგან ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო, ამავე დროს ხალხის სიძულვილი მთელი თავისი სიძლიერით სწორედ მას დაატყდა თავს. სხვა წოდებებს — მთავრებს, თავადაზნაურობას და ბიურგერობას ფარულად კიდეც უხაროდათ, რომ საძულველ პრელატებს მძიმე გაჭირვება ადგათ თავს. გლეხთა ომმა პოპულარობა მოუხვეჭა გლეხთა სასარგებლოდ საეკლესიო ქონების სეკულარიზაციის იდეას. საერო მთავრები და ნაწილობრივ ქალაქები შეეცადნენ ეს სეკულარიზაცია თ ა ვ ი ა ნ თ სასარგებლოდ გაეტარებინათ, და პროტესტანტულ ქვეყნებში პრელატების სამფლობელოები მალე მთავრების ან ქალაქის პატრიციატის ხელში აღმოჩნდა. ამასთან შეირყა სასულიერო მთავრების ბატონობაც: საერო მთავრებმა შეძლეს ამ მხრივაც გამოეყენებინათ ხალხის სიძულვილი. ასე, მაგალითად, ჩვენ დავინახეთ, რომ ფულდის აბატი, რომელიც ფილიპე ჰესენელის პატრონი ანუ სიუზერენი იყო, მის ვასალად იქცა. აგრეთვე ქალაქმა კემპტენმა თავისი მთავარი — აბატი, რომელსაც ქალაქში რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი პრივილეგია ჰქონდა, აიძულა ისინი ჩალის ფასად მიეყიდნა ქალაქისთვის.

არანაკლებ დაზიანდა აგრეთვე თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა ც. მისი ციხე-კოშკების დიდი ნაწილი განადგურდა, მრავალი გამოჩენილი საგვარეულო გაპარტახდა, მათი წარმომადგენლები მხოლოდ მთავრების სამსახურშიღა პოულობდნენ არსებობის საშუალებას. გამოაშკარავდა თავადაზნაურობის უილაჯობა გლეხთა მიმართ; იგი ყველგან დამარცხდა და იძულებული გახდა ქედი მოეხარა; თავადაზნაურობა მხოლოდ მთავრების ჯარებმა იხსნა. მან იმპერიაში თანდათან დაჰკარგა დამოუკიდებელი წოდების მნიშვნელობა და მთავრების ხელქვეითი გახდა.

საერთოდ არც ქალაქებს მოუგიათ გლეხთა ომში. წარჩინებულთა ბატონობა თითქმის ყველგან ხელახლა განმტკიცდა; ბიურგერების ოპოზიცია დიდი სნით მოტყდა. ძველმა პატრიციულმა რუტინამ კიდევ დიდხანს იბოგინა, იგი ყოველმხრივ ბოჭავდა ვაჭრობასა და მრეწველობას, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციამ მას ბოლო არ მოუღო. მთავრებმა ქალაქებს მოსთხოვეს პასუხი იმ დროებითი გამარჯვებისთვის, რომელიც მათს წიაღში ბიურგერულმა ან პლებეურმა პარტიებმა მოიპოვა ბრძოლის დროს. ქალაქებს, რომლებიც უკვე წინათ მთავრების სამფლობელოებში შედიოდნენ, მძიმე ხარკი დაადვეს, მათი პრივილეგიები წაართვეს და ხარბი მთავრების თვითნებობის უმწეო მონებად აქციეს (ფრანკენჰაუზენი, არნშტადტი, შმალკადენი, ვიურცბურგი და სხვ.); თავისუფალი საიმპერიო ქალაქები მთავრების ტერიტორიებს შეუერთეს (მაგალითად, მიულჰაუზენი) ან მეზობელი მთავრების ზნეობრივ ზეგავლენას დაუმორჩილეს, როგორც, მაგალითად, მრავალი ფრანკონული საიმპერიო ქალაქი.

ასეთ პირობებში მხოლოდ მ თ ა ვ რ ე ბ მ ა მიიღეს სარგებლობა გლეხთა ომისაგან. ჩვენ უკვე ჩვენი მოთხრობის დასაწყისში დავინახეთ, რომ გერმანიის მრეწველობის, აღებმიცემობის და სასოფლო მეურნეობის განუვითარებლობამ შეუძლებელი გახადა გერმანელების ცენტრალიზაცია ერთ ე რ ა დ, რომ ამ განუვითარებლობამ ნიადაგი შეჰქმნა მხოლოდ აღგილობრივი და პროვინციული ცენტრალიზაციისთვის, რომ ამიტომ ამ ცენტრალიზაციის წარმომადგენელნი დაქსაქსულობის გარემოში — მთავრები ერთადერთ წოდებას შეადგენდნენ, რომლისთვისაც სასარგებლო იყო ყოველი ცვლილება არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობაში. იმდროინდელი გერმანიის განვითარების დონე იმდენად დაბალი და ამავე დროს იმდენად არათანაბარი იყო სხვადასხვა პროვინციებში, რომ საერო სამთავროების გვერდით დამოუკიდებელი სასულიერო სამფლობელოები, ქალაქთა რესპუბლიკები და სუვერენული გრაფები და ბარონებიც არსებობდნენ: მაგრამ იმავე დროს ეს განვითარება, შეიძლება მეტად ნელი ნაბიჯით და დუნედ, მაინც პ რ ო ვ ი ნ ც ი უ ლ ი ცენტრალიზაციისკენ მიისწრაფვოდა, ე. ი. იქით, რომ დანარჩენი საიმპერიო წოდებანი მთავრებს დამორჩილებოდნენ. ამიტომ გლეხთა ომის დასასრულს მხოლოდ მთავრებს შეეძლოთ მოეგოთ. მართლაც ასე მოხდა. მათ მოიგეს არა მარტო რელატიურად იმით, რომ მათი მოქიშპეები — სამღვდელოება, თავადაზნაურობა, ქალაქები დასუსტდნენ, არამედ მათ მოიგეს აბსოლუტურადაც იმით, რომ მათ spolia opima (მთავარი

ნადავლი) მიიღეს ყველა დანარჩენი წოდების ხარჯზე. საეკლესიო და სამონასტრო ქონების სეკულარიზაცია მათ სასარგებლოდ მოხდა; თავადაზნაურობის ერთი ნაწილი, სანახევროდ ან მთლად გაპარტახებული, იძულებული გახდა თანდათან მის სუვერენიტეტს დამორჩილებოდა; ქალაქებისა და გლეხკაცობის მიერ გადახდილი ხარკი ბთავრების სალაროში შედიოდა, ამ უკანასკნელმა გარდა ამისა ქალაქის მრავალი პრივილეგიის მოსპობით მეტი თავისუფალი ასპარეზი მოიპოვა თავისი საყვარელი ფინანსური ოპერაციებისთვის.

გერმანიის დაქუცმაცებულობა, რომლის გაძლიერება და განმტკიცება გლეხთა ომის მთავარი შედეგი იყო, ამავე დროს მისი მარცხის მთავარ მიზეზად ჩაითვლება.

ჩვენ დავინახეთ, რომ გერმანია არა მარტო დაქუცმაცებული იყო ურიცხვ, დამოუკიდებელ, ერთმანეთისთვის თითქმის სრულიად უცხო პროვინციებად, არამედ ისიც დავინახეთ, რომ ერი თვითეულ ამ პროვინციაში მრავალ წოდებად და წოდებრივ ფრაქციად იყოფოდა. გარდა მთავრებისა და ხუცებისა ჩვენ სოფლად თავადაზნაურობას და გლეხობას ვხედავთ, ხოლო ქალაქში პატრიციებსა, ბიურგერებსა და პლებეებს. ეს ისეთ წოდებებს წარმოადგენდნენ, რომელთა ინტერესები სრულიად უცხონი იყვნენ ერთმანეთისთვის იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათი ინტერესები ერთმანეთს არ ეჯახებოდნენ და პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდნენ. ყველა ამ რთულ ინტერესებს ზევით კიდევ იმპერატორის და პაპის ინტერესები იდგა. ჩვენ დავინახეთ, თუ რაოდენ ძნელად, არასრულყოფილად და ადგილობრივი პირობების მიხედვით არაერთნაირად ჩამოყალიბდა, ბოლოს, სამ დიდ ჯგუფად ეს სხვადასხვა ინტერესები; ასეთი გაჭირვებით მიღწეული დაჯგუფების მიუხედავად ყოველი წოდება ეწინააღმდეგებოდა გარემოებით განსაზღვრული ეროვნული განვითარების მიმართულებას, თავისი საკუთარი ძალით მოქმედებდა და, ამიტომ, ეჯახებოდა არა მარტო ყველა კონსერვატულ, არამედ ყველა დანარჩენ ოპოზიციურ წოდებას და ბოლოს უნდა დამარცხებულიყო. ასე მოიქცა თავადაზნაურობა ზიკინგენის აჯანყებაში, ასევე მოიქცნენ გლეხები გლეხთა ომში, ხოლო ბიურგერები მეორე თავიანთ მოთვინიერებულ რეფორმაციაში. თვით გლეხებმაც და პლებეებმაც გერმანიის უღიდეს ნაწილში ვერ შეძლეს გაერთიანებულად ემოქმედნენ და ერთმანეთს გზას უღობავდნენ. ჩვენ ავრეთვე დავინახეთ, რა მიზეზებმა გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის ეს დაქსაქსვა და მისგან გამომდინარე სრული დამარცხება რევოლუციური მოძრაობისა და ნახევრადული შედეგები ბიურგერული მოძრაობისა.

იმედია — ზემონათქვამიდან ყველასათვის ნათელია, რომ კუთხურმა და პროვინციულმა დაქსაქსულობამ და აქედან აუცილებლად გამომდინარე კუთხური და პროვინციული თვალსაზრისის შეზღუდულობამ გამოიწვია მთელი მოძრაობის დაღუპვა; რომ ვერც ბიურგერებმა, ვერც გლეხებმა და ვერც პლებეებმა ვერ შეძლეს შემჭიდროებულად, ეროვნული მასშტაბით გამოსულიყვნენ; რომ, მაგალითად, გლეხები თვითეულ პროვინციაში თავიანთი საკუთარი ძალით მოქმედებდნენ, მეზობელ აჯანყებულ გლეხებს დახმარებაზე მუდამ უარს ეუბნებოდნენ და ამიტომ ცალ-ცალკე ამარცხებდნენ მათ მოწინააღმდეგის ჯარები, რომლებიც უმეტესწილად აჯანყებულთა მთელი მასის მეათედსაც კი არ შეადგენდნენ. სხვადასხვა დროებითი ზავი და ხელშეკრულება, რომელიც ცალკე გლეხთა რაზმებმა თავიანთ მოწინააღმდეგეებთან შეჰკრეს, საერთო საქმის ღალატს წარმოადგენდა, ხოლო სხვადასხვა რაზმების ერთადერთი შესაძლებელი დაჯგუფება არა მათი საკუთარი მოქმედების მეტნაკლებად გაერთიანების მიხედვით, არამედ იმ სპეციალური მოწინააღმდეგის გაერთიანების მიხედვით, რომელმაც ისინი დაამარცხა, აშკარად გვიჩვენებს რამდენად დაშორებული იყვნენ ერთმანეთს სხვადასხვა პროვინციის გლეხები.

აქაც, თავისთავად გვახსენდება ანალოგია 1848 — 1850 წლების მოძრაობასთან. 1848 წელსაც ოპოზიციური კლასების ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდა, თვითეული კლასი თავისთვის მოქმედებდა. ბურჟუაზია იმდენად განვითარებული იყო, რომ ვეღარ იტანდა ფეოდალურ-ბიუროკრატიულ აბსოლუტიზმს, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ჰყოფნიდა ძალა, რომ სხვა კლასების ინტერესები თავისი საკუთარი ინტერესებისთვის დაუყოვნებლივ დაექვემდებარებინა. პროლეტარიატი ჯერ კიდევ იმდენად სუსტი იყო, რომ იმედი ვერ ექნებოდა ბურჟუაზიული პერიოდის სწრაფი დაძლევისა და ახლო მომავალში ხელისუფლების დაპყრობისა, მაგრამ მან უკვე აბსოლუტიზმის პერიოდში საკმაოდ იგემა ბურჟუაზიული წესწყობილების სიტკბოებანი და საერთოდ იმდენად იყო მაინც განვითარებული, რომ ერთი წუთითაც კი ვერ დაინახავდა ბურჟუაზიის განთავისუფლებაში თავის საკუთარ განთავისუფლებას. ერის შასა — წვრილი ბურჟუაზია, წვრილი სახელოსნოების მეპატრონეები (ხელოსნები) და გლეხები, ბედის ანაბარა იყო მიტოვებული, როგორც ჯერ კიდევ თავისი ბუნებრივი მოკავშირის — ბურჟუაზიის მიერ, რომელსაც იგი უკვე მეტად რევოლუციურად მიაჩნდა, ისე ალაგ-ალაგ პროლეტარიატის მიერაც, რომელსაც იგი არა საკმაოდ პროგ-

რესულად მიაჩნდა; მან, შინაგანად თვითონ დაქუცმაცებულმა, ვერაფერს მიაღწია; ის თავისივე ოპოზიციურ მოკავშირეებს ექიშპებოდა მარჯვნივ და მარცხნივ. ბოლოს, შეუძლებელია 1525 წელს გლეხებს მეტი კუთხური შეზღუდულობა ჰქონოდათ, ვიდრე მოძრაობის მონაწილე კლასებმა გამოიჩინეს 1848 წელს. ამას დამაჯერებლად ამტკიცებს მრავალი კუთხური რევოლუცია, მათი მომდევნო მრავალი დაუბრკოლებლად გატარებული კუთხური რეაქცია, წვრილი სახელმწიფოების შენარჩუნება და ა. შ. და ა. შ. ვისაც გერმანიის ორივე 1525 და 1848 წლების რევოლუციისა და მათი შედეგების გაცნობის შემდეგ კიდევ შეუძლია ფედერაციულ რესპუბლიკაზე ილაყბოს, მისი ადგილი მხოლოდ საგიჟეთშია.

მაგრამ ყველა ამ ანალოგიის მიუხედავად, ორივე რევოლუცია — XVI საუკუნის რევოლუცია და 1848 — 1850 წლების რევოლუცია — არსებითად მაინც მეტად განსხვავდება ურთიერთ შორის. 1848 წლის რევოლუცია აჭეღავნებს თუ გერმანიის პროგრესს არა, ყოველ შემთხვევაში ევროპის პროგრესს მაინც.

ვინ ნახა სარგებლობა 1525 წლის რევოლუციაში? — მთავრებმა. ვინ ნახა სარგებლობა 1848 წლის რევოლუციაში? — დიდმახელმწიფეებმა, ავსტრიამ და პრუსიამ. 1525 წელს წვრილი მთავრების უკან წვრილი ბიურგერები იდგნენ, რომლებიც მათ ბოჰავდნენ გადასახადების შემწეობით, 1850 წელს დიდი ხელმწიფეების, ავსტრიისა და პრუსიის უკან კი თანამედროვე მსხვილი ბურჟუაზია დგას, რომელიც მათ ჩქარა იმორჩილებს სახელმწიფო ვალების შემწეობით. ხოლო მსხვილი ბურჟუაზიის უკან პროლეტარიატი დგას.

1525 წლის რევოლუცია გერმანიის კერძო საქმე იყო. ინგლისელებს, ფრანგებს, ბოჰემიელებს, უნგრელებს უკვე განვლილი ჰქონდათ გლეხთა ომები, როცა გერმანელებმა თავისი გლეხთა ომი დაიწყეს. თუ გერმანია დაქსაქსული იყო, ევროპა კიდევ უფრო მეტად დაქსაქსული იყო. 1848 წლის რევოლუცია გერმანიის კერძო საქმე როდი იყო, იგი დიდი ევროპული მოვლენების ნაწილს წარმოადგენდა. ამ რევოლუციის მამოძრავებელი მიზეზები, რომლებიც მთელი მისი მსვლელობის განმავლობაში მოქმედებდნენ, არ განისაზღვრებიან ერთი რომელიმე ქვეყნის, ან თუნდაც მთელი მსოფლიოს ერთი ნაწილის ფარგლებით. კიდევ მეტს ვიტყვით: იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ რევოლუციის ასპარეზს წარმოადგენდნენ, ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვით მის წარმოშობაში. მეტად თუ ნაკლებად ეს

ქვეყნები შეუგნებელ და უნებისყოფო ნედლ მასალას წარმოადგენენ, რომელიც მოძრაობის მსვლელობაში უნდა გადამუშავდეს. ეს მოძრაობა, რომელშიც ახლა მთელი მსოფლიო მონაწილეობს, არსებულ საზოგადოებრივ პირობებში შეიძლება, რასაკვირველია, ეცხო ძალად გვეჩვენოს, თუმცა იგი საბოლოოდ სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი საკუთარი მოძრაობა. ამიტომ შეუძლებელია 1848 — 1850 წლების რევოლუცია ისე დამთავრდეს, როგორც 1525 წლის რევოლუცია დამთავრდა.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ
1850 წ. ზაფხულში
პირველად დაიბეჭდა ჟურნალში «Neue Rheinische Zeitung. Politisch-ökonomische Revue», № 5—6, 1850 წ.
ცალკე გამოცემად გამოვიდა 1870 და 1875 წ. წ. ლაიპციგში ფ. ენგელსის წინასიტყვაობით

იბეჭდება 1875 წ. მესამე
გერმანული გამოცემის მისედვით
თარგმანი გერმანულიდან

ლ ა მ ა ზ ე ბ ა ნ ი

I

ფ. ენგელსი

მარკა[1]

ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია, სადაც მოსახლეობის ნახევარი ჯერ კიდევ მიწათმოქმედებით ცხოვრობს, აუცილებლად საჭიროა, რომ სოციალისტმა მუშებმა და მათი შემწეობით გლეხებმაც გაიგონ, როგორ წარმოიშვა თანამედროვე მსხვილი და წვრილი მიწათმფლობელობა; აუცილებლად საჭიროა, რომ მოჯამაგირეების დღევანდელ ბეჩავ მდგომარეობას და წვრილი გლეხების დღევანდელ

[1] ნარკვევი «მარკა» გამოქვეყნებულ იქნა ენგელსის მიერ როგორც დამატება ბროშურისა «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» გერმანული გამოცემისათვის (1882). 1883 წ. იგი გადაბეჭდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურმა ორგანომ «Der Social-Demokrat» და ცალკე ამონაბეჭდის სახითაც გამოიცა. «მეცნიერების უტოპიიდან სოციალიზმისაკენ განვითარების» ინგლისური გამოცემის შესავალში, რომელიც 1892 წ. გამოქვეყნდა, ენგელსი შემდეგს წერდა ამ ნარკვევის შესახებ: «დამატება «მარკა» დაიწერა იმ მიზნით, რომ გერმანიის სოციალისტურ პარტიაში გავრცელებულიყო ზოგიერთი ელემენტარული ცნობა გერმანიაში მიწის საკუთრების წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ. იმ დროს ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ქალაქის მუშების გაერთიანება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ უკვე მტკიცედ ადგა დამთავრების გზას, და პარტიის წინაშე დადგა ამოცანა ყურადღება მიექცია სოფლის მეურნეობის მუშებისა და გლეხებისათვის. ეს დამატება დაერთო გამოცემას იმ მოსაზრებათა გამო, რომ მიწათმფლობელობის პირველყოფილი ფორმები, რომლებიც საერთო აქვთ ტევტონურ ტომებს, და მათი დაშლის ისტორია კიდევ უფრო ნაკლებ ცნობილია ინგლისში, ვიდრე გერმანიაში. ტექსტი მე პირვანდელი სახით დავტოვე და არ შევეხე ჰიპოთეზას, რომელიც ამას წინათ წამოაყენა მაქსიმ კოვალევსკიმ და რომლის თანახმად მარკის წევრებს შორის სახნავი და მდელო მინდვრების დანაწილებას წინ უსწრებდა ამ მიწის საერთო დამუშავება თემის დიდი პატრიარქალური ოჯახის მიერ, რომელიც რამდენიმე თაობას მოიცავდა (რის მაგალითად გამოდგება ჯერ კიდევ არსებული სამხრეთ-სლავური ზადრუგა); შემდეგში კი, როდესაც თემი გაიზარდა და მეტისმეტად დიდი გახდა მეურნეობის ერთობლივი წარმართვისათვის, მოხდა თემის მიწების დანაწილება. კოვალევსკი, ალბათ, სავსებით მართალია, მაგრამ საკითხი ჯერ კიდევ sub judice (მსჯელობის სტადიაში) იმყოფება. (კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1950, გვ. 102 — 103). რ ე დ.

დავალიანებას და დამონებას დავუპირისპიროთ ძველი დროინდელი საერთო საკუთრება, რომელიც ყველა თავისუფალ მამაკაცს ეკუთვნოდა და ყოველივეს შეიცავდა, რაც მაშინ მათთვის მართლაც «სამშობლოს» ე. ი. მემკვიდრეობით გადმოცემულ თავისუფალ საერთო მფლობელობას წარმოადგენდა. ამიტომ მე გადმოვცემ იმ უძველესი გერმანული საადგილმამულო წესწყობილების მოკლე ისტორიულ ნარკვევს, რომლის მხოლოდ უბადრუკმა ნაშთებმა მოაღწიეს დღემდე, მაგრამ რომელიც მთელს შუასაუკუნეებში ყოველი საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველსა და ნიმუშს წარმოადგენდა და რომელიც ღრმად იყო შეჭრილი არა მარტო გერმანიის, არამედ აგრეთვე ჩრდილო საფრანგეთის, ინგლისის და სკანდინავიის მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამისდა მიუხედავად იგი ისე ღრმა დავიწყებას მიეცა, რომ უკანასკნელ დროს გ. ლ. მაურერს ხელახლა მოუხდა მისი ნამდვილი მნიშვნელობის აღმოჩენა.

ყველა ან თითქმის ყველა ხალხის ისტორიის განთიადზე ორი სტიქიურად წარმოშობილი ფაქტი ბატონობს: ეს არის ხალხის დანაწილება ნათესაური ნიშნის მიხედვით და მიწის საერთო საკუთრება. იგივე ითქმის გერმანელებზეც. მათ აზიიდან მოიტანეს დანაწილება ტომებად, გვაროვნულ ჯგუფებად და გვარებად; რომაელების ეპოქაშიც კი ისინი ისე ქმნიდნენ თავიანთ მებრძოლ რაზმებს, რომ უახლოესი ნათესავები ყოველთვის მხარდამხარ იბრძოდნენ; ეს დანაწილება იყო მათ შორის გაბატონებული მაშინაც, როდესაც ისინი რაინის აღმოსავლეთით და დუნაის ჩრდილოეთით მდებარე ახალ ტერიტორიას იკავებდნენ. ყოველი ტომი ახალ ადგილს იპყრობდა არა სურვილისა ან შემთხვევის მიხედვით, არამედ, როგორც ამის შესახებ იულიოს კეისარი ნათლად იუწყება, ტომის წევრთა ნათესაური კავშირის მიხედვით. ახლო დანათესავებულ დიდ ჯგუფებს განსაზღვრული ოლქი ხვდებოდა ხოლმე, სადაც, თავიანთ მხრივ, ცალკეული გვარები, რომლებიც რამდენიმე ოჯახს შეიცავდა, სოფელ-სოფელ სახლდებოდნენ. რამდენიმე მონათესავე სოფელი «ასეულს» შეადგენდა (ძველ ზემოგერმანულზე — **huntari**, ძველ სკანდინაურზე — **heradh**), რამდენიმე ასეული — «გაუს»; გაუთა ერთობლიობა კი თვით ხალხი იყო. მიწა, რომელსაც სოფელი არ ეპატრონებოდა, ასეულის განკარგულებაში რჩებოდა; რაც ამ უკანასკნელს არ მიეჭრებოდა, გაუს რჩებოდა; მიწა, რომელიც ამის შემდეგაც თავისუფალი რჩებოდა — უმეტეს წილად ეს მოზრდილი ნაკვეთი იყო — მთელი ხალხის უშუალო მფლობელობაში გადადიოდა. ასე, მაგალითად, შვეციაში ჩვენ ერთი მეორის გვერდით ვხვდებით საერ-

თო საკუთრების ყველა ამ სხვადასხვა საფეხურს. ყოველ სოფელს ჰქონდა ეგრეთწოდებული სოფლის სათემო მიწა (bys almänningar), მის გვერდით არსებობდა ასეულის (härads), გაუს ან ოლქის (lands) და ბოლოს ხალხის საერთო მიწა, რომელზედაც მეფე ავრცელებდა პრეტენზიას, როგორც მთელი ხალხის წარმომადგენელი და ამიტომ მას konungs almänningar[1] ეწოდებოდა. ყველა ამ მიწებს სამეფო მიწების ჩათვლით, განურჩევლად ეწოდებოდა almänningar-ი, ალმენდები, სათემო მიწები.

თუ მიწის ძველი შვეციური სათემო წყობილება, რომელიც თავისი ზედმიწევნითი დანაწილებით ყოველ შემთხვევაში უფრო ნაგვიანებ განვითარების საფეხურს ეკუთვნის, ამ ფორმით ოდესმე გერმანიაშიც არსებულა, ყოველ შემთხვევაში, იგი ადრე გამქრალა. მოსახლეობის სწრაფი გამრავლება ყოველ ცალკე სოფლისთვის მიკუთვნებულ მეტად ფართო მიწის ნაკვეთზე, ეგრეთწოდებულ მ ა რ კ ა ზ ე, რამდენიმე ახალშენს ჰქმნიდა, ეგრეთწოდებულ საასულო სოფლებს, რომლებიც, როგორც სრულუფლებიანნი ან ნაკლებუფლებიანნი, დედასოფელთან ერთად ერთ თემ-მარკას შეადგენდნენ. ამიტომ, რამდენადაც წყაროები ხელს გვიწყობენ ჩავწვდეთ წარსულს, ყველგან ვხედავთ, რომ გერმანიის სოფლების მეტი თუ ნაკლები რაოდენობა ე რ თ თემ-მარკად ერთდება. ამ გაერთიანებათა მაღლა კი, ყოველ შემთხვევაში, პირველხანად იდგნენ, ასეულებისა ან გაუების უფრო დიდი სამარკო გაერთიანებანი, ხოლო, ბოლოს, მთელი ხალხი თავდაპირველად ერთ დიდ თემ-მარკას შეადგენდა. რომელიც უშუალოდ ხალხის მფლობელობაში დარჩენილ მიწას განაგებდა და მის ტერიტორიაში შემავალ ქვემარკებს უზენაეს ზედამხედველობას უწევდა.

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ფრანკთა სამეფომ რაინის აღმოსავლეთით მდებარე გერმანული მიწები დაიმორჩილა, როგორც ეტყობა, თემ-მარკის სიმძიმის ცენტრს გაუ წარმოადგენდა, რომელიც საკუთრივ თემ-მარკას ფარგლავდა. მხოლოდ ამით აიხსნება, რომ მრავალი ძველი დიდი მარკა სამეფოს ადმინისტრაციული დანაწილების დროს ხელახლა ჩნდება სასამართლო გაუს სახით[2]. მაგრამ

[1] — მეფის ალმენდა. რ ე დ.

[2] ფრანკთა სამეფოს (უფრო გვიან, 800 წლიდან კარლოს დიდის იმპერიისა) ადმინისტრაციული ერთეული იყო საგრაფო. როგორც წესი, საგრაფოები ემთხვეოდა იმ გერმანელ ტომთა ან ხალხთა წინანდელი ოლქების (გაუს) ტერიტორიას, რომლებიც სამეფოს შემადგენლობაში შეეიყვნენ ან მის მიერ იყვნენ დაპყრობილი. საგრაფო იყო აგრეთვე სასამართლო ოლქი. რ ე დ.

ამის შემდეგ ჩქარა დაიწყო ძველი მსხვილი მარკების დაშლა. თუმცა ჯერ კიდევ მე-XIII და მე-XIV საუკუნეების «საიმპერიო სამართალშიც»[1] აღნიშნულია, რომ მარკა საერთოდ ექვსიდან თორმეტ სოფლამდე მოიცავს.

იულიოს კეისრის დროს, ყოველ შემთხვევაში, გერმანელების ერთი დიდი ნაწილი, — სახელდობრ სვევების ტომი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სავსებით ბინადარი ტომი — მიწას საერთოდ ამუშავებდა. როგორც სხვა ხალხების ანალოგიით შეგვიძლია დავასკვნათ, ეს ხდებოდა შემდეგნაირად: ცალკე გვარები, რომლებიც რამდენიმე ასლო ნათესავ ოჯახს შეიცავდნენ, მათთვის მიკუთვნებულ მიწას ერთად ამუშავებდნენ, სოლო პროდუქტებს ოჯახებზე ჰყოფდნენ, თვით მიწა კი ყოველწლიურად ხელახლა ნაწილდებოდა. მაგრამ როცა სვევებიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ახალ ადგილას დამკვიდრნენ, მიწის ასეთი დამუშავება შეწყდა. ყოველ შემთხვევაში, ტაციტი იცნობს მიწის (150 წლის შემდეგ იულიოს კეისრიდან) მხოლოდ ცალკეული ოჯახების მიერ დამუშავებას. მაგრამ მათაც დასამუშავებელი მიწა მხოლოდ ერთი წლით ეძლეოდათ; წელიწადის გასვლისთანავე იგი ხელახლა ნაწილდებოდა და ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა.

თუ როგორ ხდება ეს გადანაწილება, ჩვენ დღესაც შეგვიძლია მოზელსა და ჰოხვალდში[2] დავინახოთ ეგრეთწოდებულ საკომლო თემების [Gehöferschaften] მაგალითზე. აქ, მართალია არა ყოველწლიურად, მაგრამ 3, 6, 9, 12 წელიწადში ერთხელ მაინც მთელი სახნავ-სათესი მიწა და მინდორ-ველი ადგილმდებარეობისა თუ ნიადაგის ხარისხის მიხედვით რამდენიმე ნაკვეთად [«Gewanne»] ხელახლა ნაწილდება. შემდეგ თვითეულ ნაკვეთს ხელახლა იმდენ თანაბარ, გრძელ და ვიწრო ზოლად ჰყოფენ, რამდენიც სრულუფლებიანი წევრია თემში; შემდეგ ხდება წილის ყრა წევრებს შორის, ასე რომ თვითეული ამხანაგი თვითეული ნაკვეთიდან, ე. ი. ყოველი მდებარეობისა და ხარისხის მიწიდან თავდაპირველად თანასწორ წილს იღებდა. ამჟამად ნაწილები არათანასწორი გახდა მემკვიდრეობის მიხედვით გაყოფის, გაყიდვისა და სხვ. წყალობით, მაგრამ წინანდელი სრული ნაწილი ჯერ

---

[1] «საიმპერიო სამართალი» — 962 წ. დაარსებული შუასაუკუნებრივი გერმანიის (ეგრეთწოდებული საღვთო რომის იმპერიის) ცენტრალიზებული ხელისუფლების მიერ გამოცემული საერთო საიმპერიო კანონთა კოდექსი. რ ე დ.

[2] ჰ ო ხ ვ ა ლ დ ი — მაღლობი, რომელიც მდებარეობს რაინის ოლქში, რაინის მარცხენა ნაპირას, მდინარე საარის ქვედა წელის აღმოსავლეთით. რ ე დ.

კიდევ წარმოადგენს იმ ერთეულს, რომლის მიხედვით ნახევარი, მეოთხედი, მერვედი და სხვ. ნაწილი ისაზღვრება. დაუმუშავებელი მიწა, ტყე და საძოვარი სათემო მფლობელობაში რჩება, საერთო სარგებლობისთვის.

ასეთივე უძველესი სისტემა იყო შემორჩენილი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ბავარიის რაინის პფალცში, ეგრეთწოდებულ «წილად მიწებზე» [Losgüter]; სახნავ-სათესი ამის შემდეგ თემის წევრების კერძო საკუთრებაში გადავიდა. საკომლო თემებიც თავისთვის უფრო სასარგებლოდ თვლიან ხელახალი განაწილება შეაჩერონ, ხოლო მიწის ცვალებადი მფლობელობა, რომელიც ერთი მფლობელიდან მეორეზე გადადიოდა, კერძო საკუთრებად აქციონ. ამრიგად, თუ ყველა არა, ამ საკომლო მიწების უმრავლესობა უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში მოისპო და გლეხთა ჩვეულებრივ სოფლებად იქცა, სადაც გლეხები პარცელურად ფლობენ მიწას, ხოლო საერთო სარგებლობაში მარტოოდენ ტყე და საძოვრები აქვთ.

პირველი მიწის ნაკვეთი, რომელიც ცალკე პირის კერძო საკუთრებად იქცა, საკარმიდამო ეზო იყო. ბინის ხელშეუხებლობა — «ყოველი პირადი თავისუფლების საფუძველი»,—მემთაბარის ურემ-კარვიდან ბინადარი გლეხის ძელის სახლზე გადავიდა და თანდათან სახლისა და ეზოს სრული საკუთრების უფლებად გადაიქცა. ეს უკვე ტაციტის დროს მოხდა. თავისუფალი გერმანელის კარმიდამო ალბათ უკვე მაშინ გამოეყო მარკას და რადგან ამიტომ მარკის მოხელეებისთვის შეუვალი გახდა, უშიშარ საფარს წარმოადგენდა ლტოლვილთათვის; ეს ვითარება აწერილია გვიანდელ სამარკო წესდებებში და ნაწილობრივ მე-V — VIII საუკუნეების «სახალხო სამართალში» [1]. რადგან ბინის ხელშეუვალობა შედეგი კი არა, მიზეზი იყო მისი კერძო საკუთრებად გადაქცევისა.

ოთხი-ხუთი საუკუნის შემდეგ ტაციტის დროიდან ჩვენ «სახალხო სამართალში» ვხედავთ, რომ სახნავ-სათესი მიწაც უკვე ცალკე გლეხის სამკვიდროდ გადაქცეულა, და თუმცა იგი ჯერ კიდევ გლეხის სავსებით თავისუფალ მფლობელობას არ შეადგენს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მას უფლება აქვს იგი გაჰყიდოს ან სხვა სახით გაასხვისოს. ამ ცვლილების ასახსნელად ორი დასაყრდენი პუნქტი გვაქვს.

[1] — ე. ი. შუასაუკუნებრივი ევროპის ერთვნებათა (ფრანკების, ბურგუნდელების, გოთების, ლანგობარდებისა და სხვათა) დაწერილ ადათებს და სამართლებრივ ნორმებში, რომლებიც შედგენილ იყო რომის იმპერიის ნანგრევებზე ადრინდელ ფეოდალურ სახელმწიფოთა წარმოქმნის პერიოდში. რ ე ფ.

ერთი, რომ თვით გერმანიაში იმთავითვე უკვე აღწერილი კარჩაკეტილი სოფლების გვერდით, რომელთა ველ-მინდვრებიც სავსებით განზოგადებული იყო, არსებობდა ისეთი სოფლებიც, სადაც კარმიდამოს გარდა ველ-მინდორიც გამოყოფილი იყო მარკიდან და ცალკეულ გლეხებს ჰქონდათ სამკვიდროდ გადაცემული. მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ იქ, სადაც ამას, ასე ვთქვათ, ადგილმდებარეობა აიძულებდა: ვიწრო ხეობებში, როგორც ბერგის[1] ოლქში, ან ზეგნებზე ჭაობებს შორის, როგორც, მაგალითად, ვესტფალიაში. უფრო გვიან ეს მოხდა ოდენვალდში და თითქმის ყველა ალპიურ ხეობაში. აქ სოფელი, ისევე როგორც დღეს, შედგებოდა გაფანტული ცალკე კარმიდამოებიდან, თვითეულ მათგანს გარს ერტყა მისი კუთვნილი ველმინდორი; ხელახალი განაწილება აქ ძნელი მოსახერხებელი იყო, და ამრიგად მარკის განკარგულებაში მხოლოდ ახლომახლო მდებარე დაუმუშავებელი მიწა რჩებოდა. შემდეგში, როცა მნიშვნელობა მოიპოვა მესამე პირისათვის კარმიდამოს გასხვისების უფლებამ, ასეთი მესაკუთრეები უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შეიძლება ასეთი უპირატესობის მოპოების სურვილმა გამოიწვია ზოგიერთ სოფელში, სადაც სათემო მიწათმფლობელობა არსებობდა, ჩვეულებრივი პერიოდული გაყოფა შეეჩერებინათ და წევრების წილი სამკვიდრო და გასასხვისებელი გაეხადათ.

მეორე, რომ დაპყრობითმა ომებმა გერმანელები რომის ტერიტორიაზე მიიყვანეს, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მიწა წარმოადგენდა კერძო საკუთრებას (ამასთან რომაულ, შეუზღუდავ კერძო საკუთრებას) და სადაც მცირერიცხოვანმა დამპყრობლებმა ვერ შეძლეს ესოდენ ფესვგადგმული მფლობელობის ფორმის სავსებით მოსპობა. სახნავ-სათესისა და ველ-მინდორის მემკვიდრეობითი კერძო მფლობელობის კავშირს რომაულ უფლებასთან, ყოველ შემთხვევაში, ადრინდელ რომაულ ტერიტორიაზე ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ჩვენს დრომდე შემორჩენილი ნაშთი სახნავ-სათესი მიწის სათემო მფლობელობისა სწორედ რაინის მარცხენა ნაპირას გვხვდება, მაშასადამე, აგრეთვე დაპყრობილ, მაგრამ სავსებით გაგერმანელებულ ტერიტორიაზე; როცა აქ V საუკუნეში ფრანკები დასახლდნენ, მათ ჯერ კიდევ სახნავ-სათესი მიწის სათემო მფლობელობა უნდა ჰქონოდათ — წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იქ არც «საკომლო თემები» გვექნებოდა და არც წილადი მიწები. მაგრამ ჩქარა კერძო საკუთრება აქაც მძლავრად უნდა შემოჭრილიყო, იმიტომ რომ მეექვსე საუკუნეში «რიპუა-

[1] რაინის ოლქში. რედ.

რის სახალხო სამართალში» მხოლოდ ესაა მოხსენებული, რამდენადაც საკითხი სახნავ-სათესს შეეხება. და შიდაგერმანიაშიც სახნავ-სათესი მიწა, როგორც ზემოთ ვთქვით, მალე კერძო მფლობელობაში გადავიდა.

მაგრამ, თუ გერმანელმა დამპყრობლებმა სახნავ-სათესისა და საძოვრების კერძო საკუთრება შეითვისეს, ე. ი. მიწის პირველი განაწილების დროს, ან მალე ამის შემდეგ ხელახალ განაწილებაზე უარი თქვეს (ცვლილება მხოლოდ ამაში მდგომარეობდა), მეორე მხრივ, მათ ყველგან თავიანთი გერმანული სამარკო წყობილება შემოიღეს ტყისა და საძოვრის სათემო მფლობელობით და მარკის უზენაესი ბატონობის გავრცელებით განაწილებულ მიწაზეც. ეს მოახდინეს არა მარტო ფრანკებმა ჩრდილო საფრანგეთში და ანგლოსაქსებმა ინგლისში, არამედ ბურგუნდებმაც აღმოსავლეთ საფრანგეთში, ვესტგოთებმა სამხრეთ საფრანგეთსა და ესპანეთში და ოსტგოთებმა და ლანგობარდებმა იტალიაში. მაგრამ ამ უკანასკნელ ქვეყნებში, რამდენადაც ცნობილია, მარკის არსებობის კვალი დღემდე მხოლოდ მთიან ადგილებშია შემორჩენილი.

ის სახე, რომელიც სამარკო წესწყობილებამ მიიღო, როცა უარყოფილ იქნა სახნავ-სათესი მიწის ხელახალი განაწილება, ისაა, რომელიც ჩვენ გვხვდება არა მარტო ძველი V—VIII საუკუნეთა «სახალხო სამართლებში», არამედ აგრეთვე საშუალო საუკუნეების ინგლისურ და სკანდინავურ სამართლის წიგნებში, მრავალრიცხოვან გერმანულ სამარკო დადგენილებებში (ეგრეთწოდებულ Weistümer) XIII საუკუნიდან XVII საუკუნემდე და ჩრდილო საფრანგეთის ადათობრივ სამართალში (coutumes).

როცა სამარკო თემმა უარი თქვა სახნავ-სათესისა და ველმინდვრების თავის წევრებს შორის დროგამოშვებით ხელახლა გადანაწილებაზე, მას თავის დანარჩენი უფლებებიდან ამ მიწების მიმართ როდი დაუთმია რაიმე. ხოლო ეს უფლებები კი ფეტად მნიშვნელოვანი იყო. თემმა ცალკე პირებს თავისი მიწები გადასცა მხოლოდ სახნავ-სათესად და საძოვრებად გამოყენებისათვის და არა სხვა რაიმე მიზნისთვის. ასეთი გამოყენების გარდა ცალკე მფლობელს არავითარი სხვა უფლება არ ჰქონდა. მიწის წიაღში ნაპოვნი განძეულობა, თუ იგი უფრო ღრმად აღმოჩნდებოდა, ვიდრე სახნისის კვალი სწვდებოდა, კერძო მფლობელს კი არ ეკუთვნოდა, არამედ თემს; იგივე ითქმის მადნის მოპოვებაზე და სხვ. ყველა ეს უფლება შემდეგ ფეოდალებმა და მთავრებმა მიითვისეს.

მაგრამ თვით სახნავ-სათესისა და ველ-მინდვრის მოხმარებაც დამოკიდებული იყო თემის ზედამხედველობასა და მოწესრიგებაზე, რაც შემდეგნაირად ხდებოდა. იქ, სადაც სამმინდვრიანი მეურნეობაა გაბატონებული, ე. ი. თითქმის ყველგან, სოფლის მთელი მიწის ფართობი სამ, ტოლი სიდიდის მინდვრად ნაწილდებოდა, მათგან ერთი ზამთრის პირზე ითესებოდა, მეორე გაზაფხულზე, ხოლო მესამე ისვენებდა. მაშასადამე, სოფელს ყოველ წელიწადს ერთი საშემოდგომო ყანა ჰქონდა, ერთი საგაზაფხულო და ერთიც საანეულო. მიწის განაწილების დროს ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ყოველ წევრს თანაბარი წილი მიეღო სამივე მინდორზე, ისე რომ ყველა უზარალოდ ექვემდებარებოდა თემის სავალდებულო თესლ-ბრუნვას, რომლის ძალით ზამთრის პირას მხოლოდ განსაზღვრული მინდვრის ნაკვეთების დამუშავება შეიძლებოდა და სხვ.

რაც შეეხება საანეულო მინდორს, იგი მთელი წლის განმავლობაში ხელახლა საერთო მფლობელობაში გადადიოდა და მთელი თემი მას საძოვრად იყენებდა. და როცა ორივე დანარჩენ მინდორზე მოსავალი აიღებოდა, ისინიც ხელახლა საერთო მფლობელობაში გადადიოდნენ და სათემო საძოვრის როლს ასრულებდნენ. იგივე ითქმის სათიბზე თივის აღების შემდეგ. ყოველ ნაყანევში, სადაც თემის საქონელს უშვებდნენ, მფლობელებს ღობეები უნდა აეღოთ. ეს ეგრეთწოდებული სავალდებულო ღობის აშლა, რასაკვირველია, გულისხმობდა, რომ თესვისა და მკის დრო ცალკე პირის ნებაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ საყოველთაოდ განსაზღვრული იყო თემისა ან ადათის მიერ.

მთელი დანარჩენი ადგილმამული — ე. ი. ყოველივე, რაც კარ-მიდამოსა და დანაწილებულ სახნავ-სათესში არ შედიოდა: ტყე, საძოვარი, ეწერი, ჭაობი, მდინარეები, გუბეები, ტბები, გზები და ბილიკები, სანადირო და სათევზაო ადგილები — წინანდებურად სათემო საკუთრებას წარმოადგენდა და საერთო სარგებლობაში რჩებოდა. როგორც ყოველი წევრის წილი მარკის სახნავ-სათესში თავდაპირველად თანასწორი იყო, ისევე თანასწორი იყო მისი წილი «სათემო მარკის» ადგილმამულშიც. ამ სარგებლობის წესს მთელი თემი ადგენდა; ასევე ადგენდა იგი სათემო მარკის მიწების დაყოფის წესსაც, როდესაც მანამდე დამუშავებული მიწა საკმაო აღარ იყო და სათემო მარკას ნაკვეთი უნდა ჩამოეროდა დასამუშავებლად. სათემო მარკას იყენებდნენ უმთავრესად საქონლის საძოვრისათვის და ღორებისათვის რკოს საკვების მოსამარაგებლად; გარდა ამისა ტყე იძლეოდა საშენ და სათბობ მასალას, ბალახ-ბულახს დასაგებ-

ად, ტყის ნაყოფს, კენკრსა და სოკოს; სადაც ჭაობები იყო, ტორფს იღებდნენ. დადგენილებანი საძოვართა გამოყენებისა, შეშით სარგებლობისა და სხვ. შესახებ შეადგენენ მთავარ შინაარსს მარკის ადათობრივი სამართლის მრავალრიცხოვანი და სხვადასხვა პერიოდებიდან შემორჩენილი ჩანაწერებისა, ისინი ჩაწერილ იქნა იმ დროს, როცა ძველი დაუწერელი, ადათობრივი სამართალი საკამათო გახდა. დღემდე შემორჩენილი სათემო ტყეები ამ ძველი დაუყოფელი მარკის უბადრუკ გადმონაშთს წარმოადგენენ. მეორე გადმონაშთი, რომელიც. ყოველ შემთხვევაში, დასავლეთ და სამხრეთ გერმანიაშია შემორჩენილი, ის ხალხის შეგნებაში ღრმად ფესვგადგმული წარმოდგენაა, რომ ტყე საერთო ქონებას წარმოადგენს, სადაც ყველას შეუძლია ყვავილები, კენკრი, სოკო, წიწიბო შეაგროვოს და საზოგადოდ რაც უნდა ის გააკეთოს, თუკი ტყეს არ დააზიანებს. მაგრამ ბისმარკმა თავისი ცნობილი კანონით ტყის კენკრის შესახებ დასავლეთის პროვინციებიც ძველ იუნკრულ პრუსიას გაუთანასწორა.

თემის წევრებს ჰქონდათ არა მარტო თანასწორი მიწის ნაკვეთი და ადგილ-მამულით თანასწორად სარგებლობის უფლება, არამედ ისინი თავდაპირველად თანასწორ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე მარკის ფარგლებში საკანონმდებლო, მართვა-გამგეობისა თუ სამართლებრივი საკითხების განხილვისას. განსაზღვრულ დროს, — და თუ საჭირო იყო უფრო ხშირად — ისინი ღია ცის ქვეშ იკრიბებოდნენ, რათა მარკის საქმეები განეგოთ და მარკის საწინააღმდეგო დანაშაული და საჩივრები განეხილათ. ეს იყო — ოღონდ პატარა მასშტაბით — უძველესი გერმანული სახალხო კრება, რომელიც თავის მხრივ თავდაპირველად გაფართოებულ სამარკო კრებას წარმოადგენდა. აწესებდნენ კანონებს, მართალია, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში; ირჩევდნენ მოხელეებს, კონტროლს უწევდნენ მათს საქმიანობას; მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, სამართალს განაჩენდნენ. თავმჯდომარეს მხოლოდ კითხვები უნდა დაესვა, განაჩენი დამსწრე წევრთა მთელ კრებულს გამოჰქონდა.

სამარკო წყობილება უძველეს დროში თითქმის ერთადერთი პოლიტიკური წყობილება იყო იმ გერმანელი ტომებისა, რომელთაც მეფეები არ ჰყავდათ. ძველი გვაროვნული არისტოკრატია, რომელიც დაქვეითდა ხალხთა გადასახლების დროს, ან მალე მას შემდეგ, ადვილად შეეგუა ამ წყობილებას, ისევე როგორც ყოველივე, რაც სტიქიურად ამ წესწყობილებასთან ერთად წარმოიშვა; ასევე ადვილად შეეგუა მე-XVII საუკუნეში კელტური კლანის არისტოკრატია ირლანდიის საადგილ-მამულო თემს. მარკამ ისე ღრმად გაიღვა

ფესვები გერმანელების მთელ ცხოვრებაში, რომ მის კვალს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით გერმანელი ხალხის განვითარების ისტორიაში. ძველად მთელი საჯარო ხელისუფლება მშვიდობიან ხანაში მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო ხელისუფლება იყო და სახალხო კრებას ეპყრა ხელთ, ასეულის კრება იქნებოდა ეს, ოლქისა, თუ მთელი ტომისა. მაგრამ სახალხო სასამართლო კი მხოლოდ სამარკო სახალხო სასამართლო იყო, რომელსაც იყენებდნენ იმ შემთხვევებშიაც, როდესაც იხილავდნენ არა მარტო სამარკო საქმეებს, არამედ ისეთ საქმეებსაც, რომლებიც საჯარო ხელისუფლების სფეროში შედიოდა. როცა ოლქების მიხედვით ადმინისტრაციული წყობილების შექმნასთან ერთად, სახელმწიფოებრივი საოლქო სასამართლოები მარკის ჩვეულებრივ სასამართლოებს გამოეთიშნენ, — ორივე შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლება ხალხმა შეინარჩუნა, ხოლო შემდეგ, როცა ხალხის ძველი თავისუფლება ძლიერ დაეცა და მოსამართლის სამსახური სამხედრო სამსახურთან ერთად მძიმე ტვირთად იქცა გაღარიბებული თავისუფალი კაცისთვის, მხოლოდ მაშინ კარლოს დიდმა უმრავლეს ადგილას საოლქო სახალხო სასამართლო შეფენების[1] (ნაფიცი მსაჯულების) სასამართლოთი შეცვალა. მაგრამ ეს სრულიადაც არ შეხებია მარკის სასამართლოს, პირიქით, ისინი ნიმუშს წარმოადგენდნენ შუა საუკუნეების ფეოდალური სასამართლოებისათვის; ამ უკანასკნელშიც სენიორი მხოლოდ კითხვებს აყენებდა, გადაწყვეტილება კი თვით ვასალებს გამოჰქონდათ. სოფლის წყობილება წარმოადგენს დამოუკიდებელი სასოფლო თემის—მარკის წყობილებას, იგი ქალაქის წესწყობილებაში გადადის, როცა სოფელი ქალაქად იქცევა, ე. ი. თავის ირგვლივ სიმაგრეს ჰქმნის თხრილისა და გალავნის სახით. საქალაქო მარკის ამ პირვანდელი წყობილებიდან წარმოიშვა ქალაქების ყველა შემდგომი პოლიტიკური წესები. ბოლოს შუა საუკუნეებში სამარკო წესწყობილების მიხედვით შექმნილია ის ურიცხვი თავისუფალი ამხანაგობის წესდება, რომელიც მიწის საერთო მფლობელობაზე არაა დაფუძნებული, განსაკუთრებით თავისუფალი საამქროების წესდებანი. საამქროსათვის მინი-

[1] ეს უკანასკნელი არ უნდა ავურიოთ ბისმარკ-ლეონჰარდტის შეფენების სასამართლოებში, სადაც შეფენებს და იურისტებს ერთად გამოაქვთ განაჩენი. ძველ შეფენების სასამართლოში არავითარი იურისტები არ ყოფილან. თავმჯდომარეს ან მოსამართლეს ხმის უფლებაც არ ჰქონდა და შეფენებს განაჩენი დამოუკიდებლად გამოჰქონდათ. ენგელსის შენიშვნა. (სასამართლოებში თავმჯდომარეს ისხდნენ მეფის დიდმოხელეები — გრაფები და მათი მოადგილეები — ვიკარიები; სკაბინებს (გერმანულად შეფენებს—თავისებურ ნაფიც მსაჯულთ) ნიშნავდნენ თვითეული საგრაფოს ადგილობრივ დიდგვაროვანთა წრიდან. რედ.

ქებულ უფლებას, რომ მხოლოდ და მხოლოდ მან აწარმოოს განსაზღვრული ხელოსნობა, ისე განიხილავდნენ, როგორც საერთო მარკას. ისეთივე გულმოდგინებით როგორც მარკაში, ხშირად სწორედ იმავე საშუალებებით, საამქროებში ცდილობდნენ, რომ თვითეული წევრის წილი საერთო შემოსავლის წყაროში სავსებით თანასწორი ან შეძლებისდაგვარად თანასწორი ყოფილიყო.

თითქმის იმავე გასაოცარ შემგუებლობას, რომელიც აქ სამარკო წყობილებამ განავითარა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში და სხვადასხვანაირი მოთხოვნილებების მიმართ, იგი ამჟღავნებს მიწათმოქმედების შემდგომ განვითარებაშიც და წარმოშობის პროცესში მყოფი მსხვილი მიწათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. მარკა წარმოიშვა გერმანელი ტომების ახლანდელ გერმანიაში დასახლებასთან ერთად, — მაშასადამე იმ დროს, როცა საქონლის მოშენება მთავარი საარსებო წყარო იყო და აზიიდან შემოტანილი, მაგრამ ნახევრად მივიწყებული მიწათმოქმედება ხელახლა ფეხს იდგამდა. შემდეგ მან მთელი შუა საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა თავი შეუწყვეტელ ბრძოლებში მიწათმფლობელი თავადაზნაურობის წინააღმდეგ. მაგრამ იგი მაინც იმდენად საჭირო იყო, რომ ყველგან, სადაც არისტოკრატიამ გლეხების მიწა მიითვისა, მებეგრე სოფლების წყობილება კვლავ იმავე სამარკო წყობილებას წარმოადგენდა, თუმცა ძლიერ შეკვეცილს ფეოდალთა მხრივ გაუთავებელი ხელყოფის გამო; ამის მაგალითს ქვემოთ მოვიყვანთ. მარკა შეეგუა დასამუშავებელი მიწის მფლობელობის ყველაზე ცვალებად ურთიერთობას, სანამ ჯერ კიდევ სათემო მიწები არსებობდა, და აგრეთვე შეძლო შეგუებოდა საკუთრების სხვადასხვაგვარ უფლებებს სათემო მარკაზე, როცა ამ უკანასკნელმა თავისი თავისუფლება დაჰკარგა. მარკა დაიღუპა თითქმის მთელი საგლეხო, როგორც გაყოფილი, ისე გაუყოფელი მიწის დატაცების გამო, რომელიც თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ მოახდინა მეფეებისა და მთავრების კეთილგანწყობითა და დახმარებით. მაგრამ იგი საბოლოოდ მოძველდა ეკონომიურად, დაკარგა თავისი ცხოველმყოფელობა, როგორც სამიწათმოქმედო წარმოების ფორმამ ფაქტიურად მხოლოდ მას შემდეგ, როცა სოფლის მეურნეობის გიგანტურმა პროგრესმა უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში მიწათმოქმედება მეცნიერებად აქცია და სრულიად ახალი წარმოების ფორმების შემოღება გამოიწვია.

სამარკო წესწყობილების ძირის გამოთხრა დაიწყო მალე ხალხთა გადასახლების შემდეგ, როგორც ხალხის წარმომადგენლები

ფრანკთა მეფეები დაეუფლნენ უზარმაზარ მიწებს, რომლებიც მთელ ხალხს ეკუთვნოდა, განსაკუთრებით ტყეებს, რათა იგი თავიანთი კარისკაცებისა, თავიანთი საჯარლებისა, ეპისკოპოსებისა და აბატებისათვის ეწყალობებინათ. ამრიგად ჩაეყარა საფუძველი თავადაზნაურობის და ეკლესიის მომავალ მსხვილ მიწათმფლობელობას. ეკლესიას ბევრად უფრო ადრე კარლოს დიდის გამეფებამდე მთელი ადგილ-მამულის მესამედი ეჭირა საფრანგეთში; უეჭველია, რომ ასეთ რიცხობრივ შეფარდებას ჰქონდა ადგილი შუა საუკუნეებში თითქმის მთელ კათოლიკურ დასავლეთ ევროპაში.

განუწყვეტელმა შინაურმა და საგარეო ომებმა, რომლებსაც შედეგად, ჩვეულებრივ, მიწის კონფისკაცია მოსდევდა, უამრავი გლეხკაცობა გააღატაკა, ისე რომ უკვე მეროვინგთა ეპოქაში მრავალი თავისუფალი გლეხი უმიწაწყლოდ იყო დარჩენილი. კარლოს დიდის დაუსრულებელმა ომებმა გასტეხა თავისუფალ გლეხთა წოდების მთავარი ძალა. თავდაპირველად ყოველი თავისუფალი მიწათმფლობელი ვალდებული იყო მხედრობაში ემსახურა და თავისი ხარჯით შეეძინა არა მარტო საჭურველი, არამედ თავის თავის გამოკვებაზეც ეზრუნა ექვსი თვის განმავლობაში. გასაკვირველი არაა, რომ უკვე კარლოსის დროს ხუთზე ერთი კაცი ძლივს გამოდიოდა სამხედრო სამსახურში. მისი მემკვიდრეების ქაოტური მმართველობის დროს, გლეხთა თავისუფლება კიდევ უფრო შემცირდა. ერთი მხრივ, ნორმანების თავდასხმებით გამოწვეულმა უბედურებამ, მეფეების მუდმივმა ომებმა და დიდგვარიანთა შუღლმა აიძულა თავისუფალი გლეხები მფარველი ეძებნათ. მეორე მხრივ, იმავე დიდგვარიანთა და ეკლესიის სიხარბე აჩქარებდა ამ პროცესს; ისინი გლეხებსა და საგლეხო მიწას ეპატრონებოდნენ გაიძვერობით, დაპირებებით, მუქარით თუ ძალდატანებით. ორივე შემთხვევაში საგლეხო მიწა საბატონო მიწად ხდებოდა და კიდევ კარგი იყო თუ იგი გლეხებს მოსახმარად უბრუნდებოდა ღალითა და ბეგრით დატვირთული. გლეხი კი თავისუფალი მიწათმფლობელიდან დამოკიდებულ, ღალისგადამხდელ და მებეგრე გლეხად ან თვით ყმად იქცეოდა. დასავლეთ ფრანკთა სამეფოში[1], საზოგადოდ რაინის დასავლეთით, ეს

---

[1] დასავლეთ ფრანკთა სამეფო — შეიქმნა კარლოს დიდის იმპერიის დაშლის შედეგად. ეს იმპერია წარმოადგენდა დროებით და არამყარ სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებას, «ტომებისა და ხალხების კონგლომერატს, რომლებიც ცხოვრობდნენ თავიანთი ცხოვრებით და ჰქონდათ თავიანთი ენები». (ი. სტალინი, «მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები», თბილისი, სახელგამი, 1951, გვ. 10). 843 წ. მოხდა იმპერიის საბოლო გაყოფა კარლოსის სამ შვილისშვილს შორის. ერთ-

საერთო წესი იყო. პირიქით, რაინის აღმოსავლეთით კიდევ შემორჩა მნიშვნელოვანი რაოდენობა თავისუფალი გლეხებისა, რომლებიც უფრო ხშირად გაფანტულნი იყვნენ და იშვიათად შეადგენდნენ მთლიან თავისუფალ სოფელს. მაგრამ აქაც X — XII საუკუნეებში თავადაზნაურობის და ეკლესიის ძალამ გლეხკაცობის დიდი რაოდენობა თანდათან მონობაში ჩააგდო.

როცა ფეოდალი, სასულიერო პირი იქნებოდა იგი თუ საერო, გლეხის მამულს იძენდა, იგი იძენდა ამ მამულისადმი მიკუთვნებულ უფლებას მარკაში. ამრიგად, ახალი მემამულეები მარკის წევრები ხდებოდნენ და თავდაპირველად მარკის ფარგლებში უფლებრივად მხოლოდ თანასწორნი იყვნენ დანარჩენი თავისუფალი და მებეგრე წევრებისა, თვით თავიანთი ყმებისა. მაგრამ ჩქარა მათ, გლეხების ჯიუტი წინააღმდეგობის მიუხედავად, მრავალ ადგილას მოიპოვეს პრივილეგიები მარკაში და ხშირად მას თავიანთ მფლობელობასაც უმორჩილებდნენ. ამისდა მიუხედავად, ძველი თემ-მარკა ცოცხლობდა, თუმცა მებატონის მეურვეობას ემორჩილებოდა.

თუ რამდენად აუცილებელი იყო იმ დროს სამარკო წესწყობილება მიწათმოქმედებისთვის, თვით მსხვილი მიწათმფლობელობისთვისაც, ყველაზე თვალსაჩინოდ სჩანს ბრანდენბურგის და სილეზიის კოლონიზაციიდან ფრიზელი, ნიდერლანდელი, საქსონელი და რაინის ფრანკონელი ახალშენების მიერ. მე-XII საუკუნიდან დაწყებული მათ საბატონო მიწაზე სოფლებად ასახლებდნენ, სწორედ ძველი გერმანული სამართლის მიხედვით, ე. ი. ძველი სამარკო სამართლის თანახმად, რამდენადაც იგი მებატონეთა სამფლობელოებში შემორჩა. თვითეული გლეხი ღებულობდა სახლ-კარს და სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთს, რომელიც ყველასათვის თანაბარი იყო და კენჭის ყრით რიგდებოდა; გარდა ამისა მას ეძლეოდა ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება, უმეტესწილად საბატონო ტყეში, უფრო იშვიათად განსაკუთრებულ მარკაში. ყოველივე ეს სამემკვიდრო სარგებლობაში იყო. მიწის საკუთრება მებატონეს რჩებოდა. ახალშენები ვალდებულნი იყვნენ თაობიდან თაობამდე მისთვის განსაზღვრული ღალა გადაეხადათ და გარკვეული ვალდებულებანი შეესრულებინათ. მაგრამ ეს ვალდებულებანი იმდენად

ერთ მათგანს—კარლოს ბელატს წილად ხვდა დასავლეთ ფრანკთა სამეფო, რომელიც თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს შეიცავს. რაინის აღმოსავლეთით მდებარე მიწები (მომავალი გერმანიის ბირთვი) წილად ხვდა ლუდოვიკო გერმანელს, ხოლო შუალედი მიწები ჩრდილოეთის ზღვიდან ცენტრალურ იტალიამდე დარჩა კარლოს დიდის უფროს შვილისშვილს ლოთარს. რ ე დ.

ზომიერი იყო, რომ გლეხები აქ უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე სადმე სხვაგან გერმანიაში. ამიტომ აქ სიწყნარე არ დარღვეულა, როცა გლეხთა ომმა იფეთქა. თავიანთი სისხლხორცეული საქმისაგან ამ განდგომისათვის აქაური გლეხები შემდეგ სასტიკად დაისაჯნენ.

საერთოდ XIII საუკუნის შუა წლებიდან გლეხთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა; ეს გაუმჯობესება ჯვაროსანთა ომებმა მოამზადა. მრავალი ომში მიმავალი მემამულე პირდაპირ ათავისუფლებდა თავის გლეხს; სხვები ომში დაიხოცნენ, დაიღუპნენ; თავადაზნაურობის საგვარეულოები ასობით გაჰქრა, მათი გლეხებიც ხშირად თავისუფლდებოდნენ. ამას დაემატა ის, რომ მემამულეების მოთხოვნილებათა ზრდის გამო, მათთვის ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გლეხთა ვალდებულებანი განეგოთ, ვიდრე მისი პიროვნება. ადრინდელი შუა საუკუნეების ბატონყმობა, რომელშიც ბლომად მოიპოვებოდა ძველი მონობის ნაშთი, ანიჭებდა მებატონეებს უფლებას, რომელიც სულ უფრო და უფრო ჰკარგავდა ფასს; ბატონყმობა თანდათან მოდუნდა და ყმების მდგომარეობა უბრალოდ მებეგრეების მდგომარეობას დაუახლოვდა. რადგან მიწის დამუშავება ძველებური წესით ხდებოდა, მებატონის შემოსავლის გადიდება შესაძლებელი იყო მხოლოდ ყამირი მიწის დამუშავებით, ახალი სოფლების გაშენებით. ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებით ახალშენებთან, სულ ერთია საბატონო გლეხები იყვნენ ისინი, თუ გარედან მოსული. ამიტომ ჩვენ ამ ხანაში ყველგან მტკიცედ გარკვეულ, უმეტეს შემთხვევაში ზომიერ საგლეხო ვალდებულებებს ვხვდებით, და გლეხებს, ყველგან კარგად ეპყრობიან, განსაკუთრებით საეკლესიო-სამონასტრო მამულებში და, ბოლოს, ახლად დასახლებული ახალშენების მცხოვრებთა უკეთესი მდგომარეობა გავლენას ახდენდა მეზობელ მებეგრეთა ცხოვრების პირობებზე, ისე რომ ეს უკანასკნელნი, მართალია, მთელ ჩრდილო-გერმანიაში განაგრძობდნენ თავიანთი ვალდებულებების შესრულებას მემამულეების მიმართ, მაგრამ ინარჩუნებდნენ პირად თავისუფლებას; მხოლოდ სლავი და ლიტველ-პრუსიელი გლეხები რჩებოდნენ არათავისუფალნი, მაგრამ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

მე-XIV და მე-XV საუკუნეებში ქალაქები სწრაფად განვითარდა და გამდიდრდა. მხატვრული ხელოსნობის და ფუფუნების საგნების წარმოება განსაკუთრებით სამხრეთ გერმანიაში და რაინზე აყვავდა. ქალაქის პატრიციების მდიდრული ცხოვრება მოსვენებას არ აძლევდა

სოფლელ აზნაურს, რომელიც უხეშ საჭმელს სჭამდა, ტლანქად იცვამდა, ულაზათოდ მოწყობილ ბინაში ცხოვრობდა. საიდან შეიძლებოდა ლამაზი ნივთების მიღება? ყაჩაღობა შარა გზაზე თანდათან უფრო სახიფათო და უშედეგო ხდებოდა. საყიდლად ფული იყო საჭირო. ფულის მოცემა კი მხოლოდ გლეხებს შეეძლოთ. ამით აიხსნება გლეხკაცობის ჩაგვრის გაძლიერება, ღალისა და ბეგრის გადიდება, განახლებული ცდა, რომ თავისუფალი გლეხები მებეგრეებად აქციონ, მებეგრეები ყმებად, ხოლო მარკის სათემო მიწა საბატონო მამულად. ამაში მთავრებსა და თავადაზნაურობას ეხმარებოდნენ იურისტები, რომელნიც რომაულ სამართალს სწავლობდნენ. ისინი რომაულ კანონებს უფარდებდნენ გერმანულ პირობებს, რომლებიც მათთვის უმეტესწილად გაუგებარი დარჩა, და ამით უსაზღვრო არევ-დარევას იწვევდნენ; მაგრამ ამას ისე ახდენდნენ, რომ მებატონე ყოველთვის მოგებული იყო, ხოლო გლეხი ყოველთვის წაგებული, სასულიერო მებატონეები უფრო მარტივად მოქმედებდნენ: ისინი აყალბებდნენ საბუთებს, ისე რომ გლეხების უფლებანი იკვეცებოდა, ხოლო მათი ვალდებულებანი მატულობდა. მთავრების, თავადაზნაურობისა და ხუცების ასეთი მძარცველობის წინააღმდეგ მე-XV საუკუნის დასასრულიდან გლეხებმა მრავალი განცალკევებული აჯანყება მოახდინეს, ბოლოს 1525 წელს დიდმა გლეხთა ომმა ნიღვარივით გადაუარა შვაბიას, ბავარიას, ფრანკონიას, მიაღწია ელზასს, პფალცს, რაინგაუს და ტიურინგიას. მკაცრი ბრძოლების შემდეგ გლეხები დამარცხდნენ. ამ დროიდან გერმანელ გლეხებს შორის საყოველთაოდ ვრცელდება განახლებული ბატონყმური ურთიერთობა. იმ კუთხეებში, სადაც ომი მძვინვარებდა, გლეხებს მოურიდებლად წაართვეს შერჩენილი უფლებანი, მათი სათემო მიწა საბატონო მიწად იქცა, თვით ისინი კი ყმებად. ჩრდილო გერმანიის გლეხებსაც, რომლებიც უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ და არ აჯანყებულან, მადლობის ნიშნად იგივე ბედი ეწვიათ, თუმცა არა ერთბაშად. ბატონყმობა გერმანელი გლეხებისთვის აღმოსავლეთ პრუსიასა, პომერანიასა, ბრანდენბურგსა, სილეზიაში მე-XVI საუკუნის შუა წლებიდან დამყარდა, — შლეზვიგ-ჰოლშტაინში კი მე-XVI საუკუნის დასასრულიდან — და თანდათან საყოველთაო უღელი დაადო გლეხკაცობას.

ამ ახალ ძალმომრეობას ამასთანავე ეკონომიური საფუძველიც ჰქონდა. რეფორმაციის დროის ომებიდან მხოლოდ გერმანელი მთავრები გამოვიდნენ გაძლიერებულნი. თავადაზნაურობის კეთილ-

შობილმა ყაჩაღობამ თავისი დრო მოჭამა. თუ თავადაზნაურობას სურდა, რომ არ დაღუპულიყო, მას მეტი შემოსავალი უნდა მიეღო თავისი მამულებიდან. ამისათვის ერთადერთი გზა კი ის იყო, რომ მას მთავრებისა და განსაკუთრებით მონასტრების მსგავსად ამ მამულების ერთი ნაწილი მაინც საკუთრივ დაემუშავებინა. რაც წინად გამონაკლისი იყო, ახლა საარსებო მოთხოვნილებად იქცა. მაგრამ მეურნეობის ამ ახალ წესს წინ ეღობებოდა ის გარემოება, რომ მიწა თითქმის ყველგან გლეხკაცობას სამეათედოდ ჰქონდა მიცემული. როცა თავისუფალი ან მებეგრე გლეხკაცობა სავსებით იქცა ყმად, კეთილშობილმა მებატონემ მოქმედების სრული თავისუფლება მიიღო. გლეხების ერთი ნაწილი თანახმად ტექნიკური ტერმინისა «აყრილ იქნა» [«gelegt»][1] ე. ი. იგი ან გააძევეს ან ბოგანოდ [Kotsassen] აქციეს და მხოლოდ ქოხი და ბაღჩა დაუტოვეს; მათი კარ-მიდამო მებატონის ადგილ-მამულს შეუერთეს და იქ სხვა ბოგანოებს და ჯერ კიდევ აუყრელად დარჩენილ გლეხებს ამუშავებდნენ. ამრიგად, არა მარტო მრავალი გლეხი იქნა აყრილი თავისი მიწიდან, არამედ დარჩენილების ბეგარაც მნიშვნელოვნად და სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. კაპიტალისტური პერიოდის მოვლინება სოფლად გვეუწყა როგორც პერიოდი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა, რომელიც ყმა გლეხების საბეგრო შრომაზეა დამყარებული.

ეს გარდაქმნა თავდაპირველად საკმაოდ ნელი ნაბიჯით ხდებოდა. მაგრამ ამ დროს დაიწყო ოცდაათწლიანი ომი. მთელი თაობის განმავლობაში გერმანიაში ისეთი აღვირახსნილი ჯარისკაცობა დათარეშობდა, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. ყველგან კონტრიბუციები, ძარცვა-გლეჯა, ცეცხლის წაკიდება, ძალადობა, ხოცვა-ჟლეტა ხდებოდა. ყველაზე მეტად გლეხი იქ იტანჯებოდა, სადაც დიდი ჯარისაგან დაშორებით პატარა დამოუკიდებელი ბრბოები, ან უკეთ, თავისუფალი მოთარეშეები თვითნებურად დაძრწოდნენ. ქვეყანა სრულიად მოოხრდა და გაუკაცრიელდა. როცა ზავი დამყარდა, უმწეო, გათელილი, გასისხლიანებული გერმანია მიწაზე იყო გართხმული; და ყველაზე ბეჩავ მდგომარეობაში ისევ და ისევ გლეხი იმყოფებოდა.

---

[1] Wird «gelegt». Bauernlegen—გლეხების აყრის, მათი ექსპროპრიაციის ტექნიკური ტერმინი, რომელიც იხმარება გერმანიის ისტორიაში. შ ე ნ ი შ ვ ნ ა, რ ო მ ე ლ ი ც ვ. ი. ლ ე ნ ი ნ მ ა დ ა უ რ თ ო ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს შ რ ო მ ი ს «გ ლ ე ხ თ ა ს ა კ ი თ ხ ი ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს ა დ ა გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი» თ ა ვ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ს. (იხ. ლენინის კრებული, XIX, გვ. 295. რ ე დ.).

მიწათმფლობელი თავადაზნაურობა ამიერიდან ერთადერთი ბატონი გახდა სოფლად. მთავრებმა, რომლებმაც სწორედ ამ დროს თავადაზნაურობას პოლიტიკური უფლებები წაართვეს წოდებათა წარმომადგენლობაში, სრული თავისუფლება მიანიჭეს მათ გლეხების მიმართ. ომის წყალობითვე დათრგუნვილ იქნა გლეხკაცობის უკანასკნელი წინააღმდეგობის ძალა. ამიტომ თავადაზნაურობას შესაძლებლობა მიეცა ისე მოეწესრიგებინა საადგილმამულო ურთიერთობა, როგორც ეს მისი განადგურებული ფინანსური მდგომარეობის აღსადგენად იყო საჭირო. საკმაო არ აღმოჩნდა ის, რომ გლეხების მიტოვებული კარ-მიდამოც დაუყოვნებლივ მებატონის კარ-მიდამოს შეუერთდა; თავადაზნაურობამ სწორედ ახლა დაიწყო გლეხკაცობის სისტემატურად მიწიდან აყრა დიდი მასშტაბით. რაც უფრო დიდი იყო მებატონის მამული, მით უფრო მძიმე იყო, რასაკვირველია, გლეხებისთვის დაკისრებული ბეგარა. ხელახლა დადგა «განუსაზღვრელ ვალდებულებათა» დრო; ბატონს უფლება ჰქონდა გლეხი, მისი ოჯახი, მისი მუშა-საქონელი სამუშაოდ გაეგზავნა რამდენჯერაც და რამდენი ხნითაც მოეპრიანებოდა. ბატონყმობა ახლა საყოველთაო გახდა; თავისუფალი გლეხი ისევე იშვიათი იყო, როგორც თეთრი ყორანი. ხოლო რათა მოწყალე ბატონს შესაძლებლობა ჰქონოდა ჩანასახშივე მოესპო გლეხთა ყოველი, თვით მცირეოდენი წინააღმდეგობაც კი, მან მფლობელი მთავრებისაგან საპატრონყმო იურისდიკციის უფლება მიიღო, ე. ი. იგი დანიშნულ იქნა ერთადერთ მსაჯულად გლეხების ყველა წვრილი დანაშაულისა და საჩივრის გასარჩევად, თვით მაშინაც კი, როცა გლეხი მებატონეს უჩიოდა; ამრიგად, ეს უკანასკნელი მსაჯულად გამოდიოდა თავის საკუთარ საქმეში! ამიერიდან ქვეყანაში ჯოხი და მათრახი გამეფდა. როგორც მთელი გერმანია, ისე გერმანელი გლეხიც უღრმეს დამცირებას განიცდიდა. როგორც მთელი გერმანია, ისე გლეხიც იმდენად უილაჯო გახდა, რომ თვითდახმარების იმედი გაჰქრა და ხსნა მხოლოდ გარედან შეიძლებოდა მოსულიყო.

და იგი მართლაც მოვიდა. საფრანგეთის რევოლუციასთან ერთად გერმანიისა და გერმანელი გლეხისთვისაც უკეთესი დღეების რიჟრაჟი დაიწყო. როგორც კი რევოლუციურმა არმიებმა რაინის მარცხენა ნაპირი დაიპყრეს, იქ თითქოს ჯადოქრული ჯოხის მოქნევით მთელი ძველი ნაგავი გაჰქრა: ღალა, სამეათედო, ყოველგვარი გამოსაღები, რომელიც გლეხს კეთილშობილი მებატონისა ემართა, გაჰქრა თვით მებატონეც. რაინის მარცხენაპირელი გლეხი მაშინ ბატონი გახდა თავის ნაკვეთზე და, გარდა ამისა, რევოლუციის ეპოქა-

ში მოხაზული, ხოლო ნაპოლეონის მიერ დამახინჯებული, «სამოქალაქო კოდექსის» სახით მან მიიღო კანონთა კრებული, რომელიც მის ახალ მდგომარეობას შეეფერებოდა, — კანონთა კრებული, რომელიც მას შეეძლო არა მარტო გაეგო, არამედ სრულიად ადვილად ჯიბეშიც ეტარებინა.

მაგრამ რაინის მარჯვენა მხარის გლეხს კიდევ დიდხანს უნდა ეცადა თავისუფლებისათვის. მართალია პრუსიაში იმ სრულიად დამსახურებული დამარცხების შემდეგ, რომელიც მან იენასთან[1] იგემა, თავადაზნაურობის ზოგიერთი, განსაკუთრებით სამარცხვინო, პრივილეგია გაუქმდა და შემოღებულ იქნა კანონი, რომლის ძალითაც შესაძლებელი გახდა სხვა საგლეხო ბეგარისა და გადასახადისაგან ეგრეთწოდებული თავის დახსნა. მაგრამ ეს კარგა ხანს უმთავრესად ქალალდზე დარჩა. გერმანიის სხვა სახელმწიფოებში არც ეს მომხდარა. საჭირო აღმოჩნდა საფრანგეთის მეორე, სახელდობრ, 1830 წლის რევოლუცია, რათა, ყოველ შემთხვევაში, ბადენსა და ზოგიერთ სხვა, საფრანგეთის მეზობელ პატარა სახელმწიფოებში გამოსაღებთა გამოსყიდვა დაწყებულიყო. დაბოლოს, როცა საფრანგეთის მესამე, 1848 წლის რევოლუციამ, გერმანიაც თან გაიტაცა, თავის დახსნა პრუსიაში ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, ხოლო ბავარიაში არც კი დაწყებულა! ახლა კი, რასაკვირველია, იგი დაჩქარდა; ბეგარამ, რომელიც ეკისრათ იძულებულ ამბოხებულ გლეხებს, სავსებით დაჰკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა.

და რაში მდგომარეობდა ეს თავის დახსნა? იმის სანაზღაუროდ, რომ მოწყალე ბატონი გლეხს განსაზღვრულ თანხას ან მიწის ნაკვეთს ართმევდა, იგი გლეხის ხელში დარჩენილ ნაკვეთს გლეხის თავისუფალ, დაუბეგრავ საკუთრებად აღიარებდა; და ეს ხდებოდა იქ, სადაც მოწყალე ბატონმა ადგილ-მამული წინათ იმავე გლეხს მოჰპარა! ეს კიდევ ცოტაა. გამიჯვნის დროს, რასაკვირველია, ამ მიზნისთვის დანიშნული მოხელეები, თითქმის ყოველთვის—ბატონის მხარს იჭერდნენ, ვისთანაც ისინი ცხოვრობდნენ და ქეიფობდნენ, ისე რომ გლეხები საშინლად დაზარალდნენ, მათ იმაზე მეტი წაართვეს, რასაც თვით კანონის პირდაპირი გაგება ითვალისწინებდა.

ამრიგად, ჩვენ ბოლოს, საფრანგეთის სამი და გერმანიის ერთი რევოლუციის წყალობით, მივაღწიეთ იმას, რომ ხელახლა გვყვანან თავისუფალი გლეხები. მაგრამ რამდენად დაბლა დგას ჩვენი დღე-

[1] 1806 წ. 14 ოქტომბერს იენასა და აუერშტეიტში პრუსიის არმია გაანადგურა ნაპოლეონის არმიამ. რ ე დ.

ვანდელი თავისუფალი გლეხი ძველი დროის მარკის თავისუფალ წევრზე! მისი კარმიდამო ხშირად ბევრად უფრო ვიწროა, ხოლო გაუ-ყოფელი მარკა სრულიად გაჰქრა, გარდა მცირერიცხოვანი, მეტისმე-ტად პატარა და ნახევრადგაჩეხილი სათემო ტყეებისა. ხოლო, თუ გლეხმა საშარკო მიწებით ვერ ისარგებლა, შინაურ საქონელს ვერ შეინახავს; თუ მას შინაური საქონელი არ ეყოლა, ნაკელი არ ექნება, თუ ნაკელი არ ექნა, რაციონალურ მიწათმოქმედებას ვერ აწარ-მოებს. ხარკთამკრეფი და მის უკან მუქარით მდგომი სასამართლოს აღმასრულებელი, რომელსაც დღევანდელი გლეხი ძლიერ კარგად იცნობს, ისეთივე უცნობი ადამიანები იყვნენ ძველი მარკის წევრის-თვის, როგორც მიწის მევახშე, რომელიც ჰიპოტექით იძლევა სესხს და რომლის კლანჭებში გლეხთა მამულები ერთიმეორის მიყოლე-ბით ვარდება. და ყველაზე უკეთესია ის, რომ ეს ახალი თავისუფა-ლი გლეხები, შეკვეცილი მამულებითა და შეკვეცილი ფრთებით გერმანიაში, სადაც ყოველივე დაგვიანებით ხდება ხოლმე, იმ დროს შეიქმნა, როცა არა მარტო სოფლის მეურნეობის მეცნიერულად წარმართვა, არამედ ახლად გამოგონილი სასოფლო-სამეურნეო მან-ქანებიც წვრილ მეურნეობას თანდათან მოძველებულ, სიცოცხლის უნარმოკლებულ წარმოების ფორმად აქცევენ. როგორც მექანიკურ-მა რთვამ და ქსოვამ გააძევეს ჯარა და ხელით საქსოვი დგამი, ისე ახალმა მიწათმოქმედების წარმოების მეთოდებმა დაუნდობლად უნდა მოსპონ გლეხის პარცელური მეურნეობა და მსხვილი სა-სოფლო მეურნეობით შესცვალონ იგი, თუ ეს მათ დასცალდათ.

საქმე ისაა, რომ მთელ ევროპულ მიწათმოქმედებას, როგორც მას დღეს აწარმოებენ, ძლიერი მეტოქე ემუქრება ამერიკის მიერ მარცვლეულის მასობრივი წარმოების სახით. ამ თვით ბუნების მიერ დამუშავებული და მრავალი წლების განმავლობაში განოყიე-რებული ყამირის წინააღმდეგ, რომელიც იქ კაცმა შეიძლება ჩალის ფასად იყიდოს, ბრძოლა არ ძალუძთ არც ჩვენს დავალიანებულ წვრილ გლეხკაცობას, არც ჩვენს ვალებში ღრმად ჩაფლულ მსხვილ მემამულეებს. მთელი ევროპული წესის მიხედვით წარმოებულ სოფლის-მეურნეობას ამარცხებს ამერიკული კონკურენცია. ევრო-პაში მიწათმოქმედება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი საზოგადოებრივი ფორმით იქნება წარმოებული და მთელი საზოგა-დოების სასარგებლოდ.

ასეთია ჩვენი გლეხკაცობის პერსპექტივები. ხოლო თავისუფალ, თუნდაც ღარიბ გლეხთა კლასის აღდგენას ი ს კარგი მხარე

ჰქონდა, რომ იგი გლეხს ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ მას — თავისი ბუნებრივი მოკავშირის, მუშების, შემწეობით თვითონ შეუძლია თავის თავს უშველოს, თუკი იგი მხოლოდ შეიგნებს, როგორ უშველოს თავს[1].

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1882 წ. დეკემბრის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა როგორც დამატება ფ. ენგელსის ბროშურის «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» გერმანული გამოცემისა, რომელიც ციურიხში გამოვიდა. 1882 წ.

იბეჭდება ფ. ენგელსის ბროშურის «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» მეოთხე გერმანული გამოცემის მიხედვით, რომელიც გამოვიდა ბერლინში 1891 წ.

თარგმანი გერმანულიდან

---

[1]. ენგელსმა შემდეგი დამატება დაურთო იმ ცალკე ანაბეჭდს, რომელიც 1883 წ. გამოვიდა სახელწოდებით «გერმანელი გლეხი. რა იყო იგი, რა არის იგი, რა შეიძლება იყოფილიყო იგი?»: «მერე და როგორ? — მარკის აღორძინების გზით, მაგრამ არა მისი ძველი, დრომოჭმული სახით, არამედ სრულიად ახლებური ფორმით: თემური მიწათმფლობელობის ისეთი განახლების გზით, რომელიც წვრილგლეხ მეთემურებს უზრუნველყოფს არა მარტო მსხვილი მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით სარგებლობის მხრივ, არამედ მისცემს მათ აგრეთვე საშუალებას, რათა მიწათმოქმედებასთან ერთად მოაწყონ აგრეთვე მსხვილი მრეწველობაც და საამისოდ ორთქლისა და წყლის ძალა გამოიყენონ; ამასთან მოაწყონ იგი უკაპიტალისტებოდ, თვით ამხანაგობის ძალებით.

მსხვილი სოფლის მეურნეობის მოწყობა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება — სხვა სიტყვებით იმას ნიშნავს, რომ საესებით ზედმეტად აქციო იმ წვრილ გლეხთა უმრავლესობის სასოფლო-სამეურნეო შრომა, რომლებიც ამჟამად თვითონ ამუშავებენ თავიანთ მიწებს. ხოლო რათა ისინი, ვინც სოფლის მეურნეობიდან გამოიდევნება, არ დარჩნენ უმუშევრად, ან იძულებული არ შეიქნენ შეეჭიდნენ ქალაქებში, საჭიროა, ისინი ჩავაბათ თვით სოფლების სამრეწველო შრომაში, ეს კი მათთვის ხელსაყრელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ წარმოების ორგანიზება მოხდება მსხვილი მასშტაბით, ორთქლის ან წყლის ძალის გამოყენების გზით.

როგორ მოეწყობა ეს? კარგად ჩაუფიქრდით ამას, გერმანელო გლეხებო. ამ მხრივ თქვენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები დაგეხმარებიან». რედ.

II

ფ. ენგელსი

პრუსიის გლეხთა ისტორიისათვის[1]

ვოლფის ამ ნაშრომის გასაგებად საჭიროა რამდენიმე სიტყვა წავუმძღვაროთ მას.

გერმანია ელბის აღმოსავლეთით და ერცგებირგესა და რიზენგებირგეს ჩრდილოეთით წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც შუა საუკუნეების მეორე ნახევარში გერმანელმა კოლონისტებმა იქ შემოჭრილ სლავებს წაართვეს და კვლავ გააგერმანელეს. დამპყრობელ გერმანელ რაინდებსა და ბარონებს, რომლებმაც ეს მიწები ერთმანეთს შორის დაინაწილეს, თავი მოჰქონდათ სოფლების «გრუნდერებად» — «დამაარსებლებად». ისინი თავიანთ სამფლობელოებს ჰყოფდნენ სოფლებად, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდა გლეხთა თანატოლ კომლებად, ანუ ჰუფეებად. თვითეული ჰუფე შეიცავდა საკარმიდამო ნაკვეთს თავისი ეზოთი და ბაღ-ბოსტნით. ეს უკანასკნელი თვით სოფელში მდებარეობდა. ჰუფეებს კენჭისყრით ანაწილებდნენ იმ ფრანკ (რაინისპირელი და ნიდერლანდელი ფრანკები), საქსონელ და ფრიზელ კოლონისტებს შორის, რომლებიც აქ სახლდებოდნენ. სამაგიეროდ კოლონისტები ვალდებული იყვნენ გრუნდერების, ე. ი. რაინდებისა და ბარონების, სასარგებლოდ ფრიად ზომიერი ღალა გაეღოთ და ზუსტად განსაზღვრული ბეგარა მოეხადათ. ვიდრე გლეხები ამ ვალდებულებებს იხდიდნენ, ისინი მემკვიდრეობით

---

[1] ეს ნაშრომი ფ. ენგელსმა დაწერა 1855 წ. როგორც მეორე ნაკვეთი იმ შესავლისა, რომელიც მან დაურთო «სილეზიის მილიარდის» სახელწოდებით გამოქვეყნებულ ვილჰელმ ვოლფის სტატიათა ცალკე გამოცემას. ვოლფის სტატიები 1849 წ. მარტსა და აპრილში იბეჭდებოდა «ახალ რაინის გაზეთში», რომელსაც მარქსი ხელმძღვანელობდა. შესავლის პირველ ნაკვეთში დაიბეჭდა ენგელსის მიერ ჯერ კიდევ 1876 წ. დაწერილი ბიოგრაფიული ნარკვევი ვოლფის შესახებ (იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზულებანი, ტ. XV). მარქსისა და ენგელსის მოწაფისა და თანამებრძოლის ვოლფის სტატიები ნათელყოფდნენ იმას, თუ როგორ ახორციელებდა პრუსიის მთავრობა — ლიბერალური ბურჟუაზიის მხარდაჭერით — პრუსიის გლეხობის ძარცვას მემამულე იუნკრების სასარგებლოდ, ეითომდა ფეოდალურ ბეგარათა გამოყიდვის სახით. რ ე დ.

ფლობდნენ თავიანთ ჰუფეებს. ამასთან გლეხებს ისეთივე უფლება ჰქონდათ ესარგებლათ გრუნდერის (შემდეგში მემამულის) ტყითა და საძოვრებით, — მოეჭრათ ხეები, ეძოვებინათ საქონელი, ჩამოებერტყათ ღორებისათვის რკო და ა. შ., — როგორც ამით სარგებლობდნენ დასავლეთ გერმანიის გლეხები თავიანთ სათემო მარკაში. სოფლის მთელი სათესი ფართობის დამუშავება თესლბრუნვის იძულებით წესებს ექვემდებარებოდა და უმთავრესად სამმინდვრიანი სისტემის თანახმად ხდებოდა. სახნავ-სათესი მინდვრები იყოფოდა საშემოდგომო, საგაზაფხულო და საანეულო ყანებად. ანეულსა და ნამკალ მიწას იყენებდნენ საერთო საძოვრებად გრუნდერისა და გლეხების საქონლისათვის. სოფლის ყველა საქმეები წყდებოდა თანასოფლელთა, ე. ი. ჰუფისმფლობელთა საერთო კრებაზე, ხმის უმრავლესობით. აზნაურ-გრუნდერთა უფლებანი შეზღუდული იყო უფლებით მოეთხოვათ გლეხებისაგან ვალდებულებათა მოხდა და მონაწილეობა მიეღოთ ანეულის თუ ნამკალი მიწების საერთო საძოვრებად გამოყენების დროს, მოეხმარათ მთელი ნაჭარბი, რომელიც რჩებოდა ტყეების ერთად სარგებლობის შემდეგ, და თავმჯდომარეობა გაეწიათ თანასოფლელთა კრებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით დამოუკიდებელი ადამიანებისაგან შედგებოდა. ასეთი იყო ძირითადად გერმანელ გლეხთა მდგომარეობა იმ მიწებზე, რომლებიც მდებარეობდნენ ელბიდან აღმოსავლეთ პრუსიამდე და სილეზიამდე. ეს მდგომარეობა საერთოდ გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე იმ გლეხებისა, რომლებიც სწორედ ამ დროს დასავლეთ და სამხრეთ გერმანიაში ცხოვრობდნენ და უკვე ჩაბმული იყვნენ ფეოდალების წინააღმდეგ სასტიკსა და გაუთავებელ ბრძოლაში თავიანთი ძველი, მემკვიდრეობითი უფლებების შესანარჩუნებლად. გლეხთა უმრავლესობა ამ დროისათვის უკვე მოქცეული იყო უფრო მძიმე ფორმის დამოკიდებულებაში, რომელმაც შეუქმნა გლეხობას პირადი თავისუფლების დაკარგვის საფრთხე, ანდა სრულიადაც კი მოუსპო ეს თავისუფლება.

ფეოდალურ მებატონეთა სულ უფრო მზარდი ფულის მოთხოვნილება XIV და XV საუკუნეში, ცხადია, ჩრდილო აღმოსავლეთშიც იწვევდა ცდებს, რომ ძველი ხელშეკრულებების წინააღმდეგ გაეზარდათ გლეხთა ჩაგვრა და ყვლეფა. მაგრამ ეს ცდები აქ არც ისეთი მასშტაბით ხდებოდა და არც ისეთი წარმატებით ხორციელდებოდა, როგორც სამხრეთ გერმანიაში. ელბის აღმოსავლეთით მდებარე მიწები ჯერ კიდევ თხლად იყო დასახლებული და

დაუმუშავებელი ადგილებიც საკმაოდ ვრცელი იყო. ამ უდაბური მიწების დამუშავება, მიწათმოქმედების გავრცელება ახალ ადგილებში, ახალი საბეგრო სოფლების გაშენება — ყველაზე უტყუარ გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა თვით ფეოდალ მიწათმფლობელთათვისაც. ამასთანავე სწორედ აქ, გერმანიის იმპერიისა და პოლონეთის საზღვარზე, უკვე შეიქმნა შედარებით დიდი სახელმწიფოები: პომერანია, ბრანდენბურგი, საქსონიის საკურფიურსტო (სილეზია ავსტრიას ეკუთვნოდა), და ამიტომ შინაგან მშვიდობასაც აქ უკეთ იცავდნენ, ხოლო თავადაზნაურების შეხლა-შემოხლას და მძარცველობას უფრო მაგარი ხელით ლაგმავდნენ, ვიდრე რაინის ხეობის დაქსაქსულ ოლქებში: ფრანკონიასა და შვაბიაში. ამ გაუთავებელი ომებისაგან ხომ ყველაზე უფრო ძლიერ იგივე გლეხები იჩაგრებოდნენ!

მხოლოდ დაპყრობილი პოლონური და ლიტვურ-პრუსიული სოფლების მეზობლად ჰქონდა ადგილი აზნაურების უფრო ხშირ ცდებს, რომ კოლონისტებისათვის, რომლებიც აქ სახლდებოდნენ გერმანული ადათობრივი მიწის სამართლის თანახმად, ისეთივე ბატონყმური უღელი დაედგათ, როგორსაც პოლონეთისა და პრუსიის ქვეშევრდომნი ეწეოდნენ. ასეთი მდგომარეობა იყო პომერანიასა და ტევტონთა ორდენის პრუსიულ სამფლობელოებში, უფრო იშვიათად— სილეზიაში.

ოსტელბიელ გლეხთა ამ უფრო ხელსაყრელ პირობებს შედეგად ის მოჰყვა, რომ მათ თითქმის არ შეჰხებიათ სამხრეთ და დასავლეთ გერმანიის გლეხების გრანდიოზული მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XVI საუკუნის პირველ მეოთხედში. ხოლო, როდესაც 1525 წლის რევოლუციამ იფეთქა, მან აღმოსავლეთ პრუსიაში ჰპოვა მხოლოდ მკრთალი გამოძახილი, რომელიც საკმაოდ იოლად იქნა ჩახშობილი. ოსტელბიელმა გლეხებმა ბედისანაბარა მიაგდეს თავიანთი აჯანყებული ძმები და სამაგიეროც მიიღეს. იმ ადგილებში, სადაც გლეხთა დიდი ომი ბობოქრობდა, გლეხები უბრალოდ აქციეს ყმებად, დააკისრეს მათ განუსაზღვრელი ფეოდალური გამოსაღები და ბეგარა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მემამულის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული; რაც შეეხება გლეხების თავისუფალ მარკას, იგი პირდაპირ მემამულის საკუთრებად აქციეს და ამიერიდან გლეხებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ სამარკო მიწებით სარგებლობა, თუ მემამულე წყალობას მოიღებდა. ფეოდალ მიწათმფლობელთა ბატონობისათვის ეს იდეალური მდგომარეობა, რომელზედაც

ამაოდ ოცნებობდა გერმანელი თავადაზნაურობა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში და რომელსაც იგი, ბოლოს, ეღირსა ფეოდალური მეურნეობის დაშლის პერიოდში, ამიერიდან ნელ-ნელა ოსტელბიის მიწებზეც იქნა გავრცელებული. საქმე იმით როდი ამოიწურა, რომ გლეხებს წაერთვა მემამულის ტყით სარგებლობის უფლება, მინიჭებული ხელშეკრულების ძალით, და რომ იგი გადაიქცა — იქ, სადაც გლეხებს ეს უფლება ადრევე არ წაართვეს — მემამულის წყალობაზე დამოკიდებულ უფლებად, რომლის გაუქმებაც მემამულეს ყოველთვის შეეძლო; — არ ამოიწურა იმითაც, რომ ბეგარა და ღალა უკანონოდ იქნა გადიდებული. შემოღებულ იქნა ახალი გამოსაღები, როგორიც იყო, მაგალითად, ლაუდემიები (მემამულის სასარგებლოდ გაღებული სამკვდრო, რომელსაც გლეხები ისდიდნენ კომლის მფლობელის სიკვდილის დროს); ეს ახალი გამოსაღები მიჩნეული იყო ბატონყმობის დამახასიათებელ თვისებად. ან კიდევ, ძველ, მამა-პაპურ, სრულიად უწყინარ ტრადიციულ ვალდებულებებს ისეთი ხასიათი მიეცა, რომ მათი შესრულება მხოლოდ ყმას ეკადრებოდა და არა თავისუფალ ადამიანს. ამრიგად, ეს წელზე ნაკლები დროის განმავლობაში თავისუფალი ოსტელბიელი გლეხები ყმებად იქცნენ ჯერ ფაქტიურად, ხოლო შემდეგ იურიდიულადაც.

ამასობაში სულ უფრო და უფრო ხდებოდა ფეოდალური თავადაზნაურობის გაბურჟუება. სულ უფრო იზრდებოდა მისი დავალიანება ქალაქელი მევახშე კაპიტალისტების მიმართ და ამრიგად ფული იქცა თავადაზნაურობის პირველ მოთხოვნილებად. ხოლო გლეხს, თავის ყმას, მემამულე ბევრს ვერაფერს გამოსწოვდა, გარდა უმთავრესად შრომისა და მიწათმოქმედების პროდუქტებისა. მაგრამ ამ მხრივაც გლეხის მეურნეობა, რომელსაც იგი უკიდურესად მძიმე პირობებში ეწეოდა, ძლივსძლივობით თუ გადაჭარბებდა იმ მინიმალურ პროდუქციას, რომელიც თვით ამ მეურნე გლეხს ესაჭიროებოდა თავისი ტანჯული არსებობის შესანარჩუნებლად. მეზობლად კი მდებარეობდა მონასტრების ვრცელი და შემოსავლიანი ლატიფუნდიები, სადაც მემამულის სახსრებით და მცოდნე მეთვალყურეების ზედამხედველობით იყენებდნენ ვალდებული და ყმა გლეხების საბატონო შრომას. მამულების ამ წესით დამუშავებას წვრილი აზნაურები მანამდე თითქმის არასოდეს არ მისდევდნენ, ხოლო მსხვილი თავადაზნაურობა და მთავრები გამონაკლისის სახით მიმართავდნენ. ახლა კი, ერთი მხრივ, ქვეყნის დაწყნარების შემდეგ, შესაძლებელი გახდა მსხვილ მეურნეობათა შექმნა, ხოლო, მეორე

მხრივ, თავადაზნაურობის სულ უფრო მზარდი ფულის მოთხოვნილებაც აიძულებდა მას გადასულიყო ასეთ მეურნეობაზე. ამრიგად, მემამულის სახსრებით მსხვილი მამულების დაშუშავება ყმა გლეხის საბატონო შრომის საშუალებით თანდათან იქცა თავადაზნაურობისათვის იმ შემოსავლის წყაროდ, რომელმაც საკუთარი ანაზღაურა მათ დრომოჭმული რაინდული ძარცვა-გლეჯა. მერე და საიდან მიეღოთ საჭირო მიწის ფართობი? მართალია, მემამულე ჰფლობდა მეტად თუ ნაკლებად დიდ მიწის ფართობს, მაგრამ ეს მიწები მთლიანად, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, მეღალე[1] გლეხების ხელში იმყოფებოდა, რომლებიც ამ მიწებს მემკვიდრეობით ფლობდენ და რომლებსაც — ვიდრე ისინი თავიანთ განსაზღვრულ ვალდებულებებს იხდიდნენ — ისეთივე უფლება ჰქონდათ თავიანთ კარმიდამოებსა და ჰუფეებზე და აგრეთვე მარკის სათემო მიწებზე, როგორც მათ მოწყალე ბატონს. საჭირო იყო გამოსავლის პოვნა. ამ მხრივ კი ფეოდალებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო გლეხების ყმებად გადაქცევა. მართალია, ყმა გლეხების აყრა მათი საკარმიდამო ფუძეებიდან კანონის არანაკლები დარღვევა იყო და არანაკლები ძალადატანების აქტი, ვიდრე თავისუფალ მეღალე გლეხთა აყრა, მაგრამ ამის გამართლება უფრო ადვილი იყო რომაული სამართლის საშუალებით, რომელიც ის-იყო ხმარებაში შემოვიდა. მოკლედ, იმის შემდეგ, რაც გლეხები ყმებად აქციეს, ისინი საჭირო რაოდენობით აჰყარეს მიწიდან, ან კვლავ დაასახლეს მებატონის მიწაზე როგორც უმიწაწყლო ბოგანო გლეხები (Kotsassen) — ყმა მოჯამაგირეები, რომლებსაც მხოლოდ ქოხებიღა გააჩნდათ მცირეოდენი ბაღჩით. თავადაზნაურობის წინანდელმა გამაგრებულმა ციხე-კოშკებმა ადგილი დაუთმო მათ ახალ, სრულებით ან თითქმის გაუმაგრებელ სოფლის სასახლეებს, ამიტომ გაჰქრა და თანაც გაცილებით მეტი რაოდენობით ოდესღაც თავისუფალ გლეხთა სახლკარიც და მისი ადგილი მოჯამაგირეების ღატაკურმა ქოხებმა დაიკავა.

როგორც კი მოეწყო მებატონის მეურნეობა — დომინიუმი, როგორც მას სილეზიაში უწოდებდნენ — საჭირო გახდა ამ მიწების დამუშავების უზრუნველყოფა გლეხების სამუშაო ძალით. აქ გამოვლინდა ბატონყმობის მეორე ხელსაყრელი მხარე. ამ მიზნისთვის სრულიად უვარგისი იყო გლეხების წინანდელი, ხელშეკრულებებით ზუს-

---

[1] — ე. ი. მებეგრე გლეხები, რომლებიც პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ, მაგრამ ვალდებული იყვნენ თავიანთი მიწის ნაკვეთებით სარგებლობისათვის ეხადათ ჩინში (ღალა) და სხვა ვალდებულებაც შეესრულებინათ ფეოდალის სასარგებლოდ. რ ე დ.

ტად განსაზღვრული, ბეგარა. უმრავლეს შემთხვევაში ეს ბეგარა შეზღუდული იყო იმ სამუშაოებით, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურებოდნენ, — გზებისა და ხიდების აგება და ა. შ. — სხვადასხვა მშენებლობით მებატონის ციხე-გალავანში, ქალების და გოგოების ხელსაქმეობით ფეოდალის ციხე-კოშკში და პირადი მომსახურებით. მაგრამ, როგორც კი გლეხი ყმად იქცა, ხოლო ეს უკანასკნელი რომის სამართლის მცოდნე იურისტებმა რომაელ მონებს გაუთანაბრეს, მოწყალე ბატონმაც კილო იცვალა. იურისტების მხარდაჭერით იგი ახლა სასამართლოებში გლეხებისაგან განუსაზღვრელ სამსახურს მოითხოვდა, როდესაც ბატონი მოისურვებდა, რამდენსაც მოისურვებდა და სადაც მოისურვებდა. გლეხი ვალდებული იყო მემამულისათვის საბატონო ბეგარა მოეხადა, პირველი მოთხოვნისთანავე ტვირთი ეზიდა, დაეხნა, დაეთესა და მოემკა, თუნდაც, რომ მას საკუთარი ყანა გაუთოხნელი დარჩენოდა და მოსავალი წვიმას დაელპო. გლეხთა შეძლების ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა აგრეთვე ღალაც, რომელსაც გლეხი იხდიდა მარცვლეულით ან ფულადი გადასახადის სახით.

მაგრამ ეს ყველაფერი როდი იყო. არანაკლებად კეთილშობილ მთავრებს, რომლებიც ელბის აღმოსავლეთით მრავლად მოიპოვებოდნენ, აგრეთვე ესაჭიროებოდათ ფული, ბევრი ფული. იმის სამაგიეროდ, რომ მთავრები უფლებას ანიჭებდნენ თავადაზნაურობას ეყვლიფათ თავიანთი გლეხები, თავადაზნაურობაც თავის მხრივ ნებას აძლევდა მთავრებს სახელმწიფო გადასახადებით დაებეგრათ იგივე გლეხები — თვით თავადაზნაურობა ხომ გადასახადებისაგან თავისუფალი იყო! ხოლო ამასთან ერთად იმავე მთავრის სანქციით მემამულის უფლება, თავმჯდომარე ყოფილიყო თავისუფალ გლეხთა, — უკვე დიდი ხანია გაუქმებულ—სასამართლოში, ფაქტიურად გადაიქცა ფეოდალთა მოსამართლეობის უფლებად. გარდა ამისა, ამიერიდან მემამულემ თავის მამულში პოლიციური უფლებებიც მოიპოვა. ამიტომ მემამულე იქცა პოლიციის შეფადაც და თავისი ყმების ერთადერთ მსაჯულადაც იმ საქმეების გარჩევის დროსაც კი, რომლებიც თვით მემამულეს ეხებოდა. გლეხი იძულებული იყო, როდესაც იგი თავის მემამულეს უჩიოდა, საჩივლელად მასთანვე მისულიყო. ამრიგად, ერთი და იგივე პიროვნების ხელში გაერთიანდა საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ძალაუფლება და მემამულე სავსებით შეუზღუდველ ბატონ-პატრონად იქცა თავის სამფლობელოში.

ამ სამარცხვინო მდგომარეობამ, რომლის მსგავსი რუსეთშიც კი არ არსებობდა, ვინაიდან იქ გლეხს საკუთარი თვითმმართველი თემი მაინც გააჩნდა, უმაღლეს წერტილს მიაღწია იმ პერიოდში, რომელმაც განვლო ოცდაათწლიანი ომიდან იენასთან საბედნიერო დამარცხებამდე. ოცდაათწლიანი ომით გამოწვეულმა უბედურებამ ხელი შეუწყო თავადაზნაურობას დაემთავრებინა გლეხების დამონება. გლეხთა უთვალავი კარ-მიდამოს გაუკაცრიელებამ შესაძლებლობა მისცა მებატონეს დაუბრკოლებლივ შეეერთებინა ეს მიწები რაინდის მამულის დომინიუმისათვის. ომისაგან გაპარტახებული და მაწანწალად ქცეული მოსახლეობის კვლავ მიწაზე დასახლება მეტად უწყობდა ხელს მემამულეს, რომ გლეხები ყმებად ექცია და ისინი მიწაზე მიემაგრებინა. მაგრამ მებატონეებმა არც ეს იკმარეს დიდი ხნით. ის-იყო ქვეყანამ უახლოესი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ცოტაოდენ მოიშუშა ომისაგან მიყენებული საშინელი ჭრილობები, მინდვრებში აბიბინდა ყანები, ისევ მომრავლდა მოსახლეობა, რომ კეთილშობილ მემამულეებს კვლავ აღეძრათ გაუმაძღარი მისწრაფება გლეხთა მიწებისა და გლეხთა შრომისადმი. მემამულის დომინიუმი არ იყო იმდენად მსხვილი, რომ შთაენთქა მთელი ის სამუშაო ძალა, რომლის ამოწოვა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ყმებისაგან — ამ შემთხვევაში ამოწოვა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გლეხების გაუმიწაწყლების, ყმა მოჯამაგირის დონემდე ჩამოქვეითების სისტემამ ბრწყინვალედ გაამართლა თავისი დანიშნულება. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ეს პრაქტიკა სულ უფრო და უფრო მეტ გასაქანს იღებს: ამიერიდან ამას უწოდებენ «გ ლ ე ხ თ ა ა ყ რ ა ს» («Bauernlegen»). «აყრიან» ხოლმე იმდენ გლეხს, რამდენიც შესაძლებელია გარემოებათა მიხედვით; თავდაპირველად ტოვებენ ყმების იმ რაოდენობას, რაც საჭიროა გამწევი პირუტყვით შესასრულებელ სამუშაოთათვის, ხოლო დანარჩენებს უმიწაწყლო ბოგანო გლეხებად ხდიან (მებოსტნეებად [Dreschgärtner»]', ამბოჯარებად [Häusler], ყმა მოჯამაგირეებად [Instleute] და სხვა ამგვარ სახელწოდებათა მატარებლებად), რომლებიც ერთი ქოხისა და მცირეოდენი კარტოფილის ნაკვეთისათვის წლითი-წლობით ჭაპანს იწყვეტდნენ მებატონის მამულში მუშაობით,

---

D r e s c h g ä r t n e r — სიტყვასიტყვით «მებოსტნე-მლეწავები». ყმა-მოჯამაგირეთა ეს კატეგორია განსაკუთრებით გავრცელებული იყო ქვემო სილეზიაში. «მებოსტნე მლეწავებს», რომელთაც ქოხი და მცირეოდენი ბოსტანი გააჩნდათ, უნდა შეესრულებინათ უამრავი მძიმე საბატონო სამუშაო, განსაკუთრებით მემამულის მოსავლის აღებისა და გალეწვის დროს. რ ე დ.

ხოლო დღიურ გასამრჯელოდ იღებდნენ მათხოვრულ საზღაურს მარცვლეულისა და მცირეოდენი ფულის სახით. იქ, სადაც მოწყალე ბატონი იმდენად მდიდარი იყო, რომ საკუთარი გამწევი საქონელი გამოჰყავდა, დანარჩენ გლეხებსაც «ჰყრიდნენ» მიწიდან, ხოლო მათ ჰუფეებს სენიორის მამულს უერთებდნენ. ამრიგად, გერმანელი თავადაზნაურობის, განსაკუთრებით კი ოსტელბიის თავადაზნაურობის, მთელი მსხვილი მიწათმფლობელობა გ ლ ე ხ ე ბ ი ს ა გ ა ნ მ ი ტ ა ც ე ბ უ ლ ი მ ი წ ე ბ ი ს ა გ ა ნ შ ე ი ქ მ ნ ა და, თუ ეს მიწა კვლავ წაერთმევა მიმტაცებლებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ეს მათთვის მაინც მცირე სასჯელი იქნება. სამართლიანობა მოითხოვს, რომ თავადაზნაურობას თვით აზღვევინონ ჩადენილი ძალადობისათვის.

დროთა მსვლელობაში მთავრები თვითონ დარწმუნდნენ, რომ ეს სისტემა, რომელიც ესოდენ ხელსაყრელი იყო თავადაზნაურობისათვის, სავსებით ეწინააღმდეგება მათ საკუთარ ინტერესებს. გლეხები სახელმწიფო გადასახადებს იხდიდნენ მანამდე, ვიდრე მათ აჰყრიდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც მათი ჰუფეები შეუერთდა გადასახადებისაგან თავისუფალ ფეოდალურ დომინიუმებს, სახელმწიფო ამ ჰუფეებისაგან გახვრეტილ შაურსაც აღარ იღებდა, ბოგანო გლეხებისაგან კი, რომლებიც ის-იყო ისევე დაესახლებინათ მიწებზე, ძლივს ორიოდე გროში თუ ერგებოდათ. მიწიდან აყრილი გლეხების ნაწილი ზედმეტი აღმოჩნდა მემამულის მეურნეობისათვის და იგი პირდაპირ გარეთ იქნა გაგდებული, იგი თავისუფალი, ე. ი. ფრინველივით თავისუფალი, მაწანწალა გახდა. სოფლის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შეთხელდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მფლობელმა მთავარმა იწყო თავისი დაქირავებული, ძვირად ღირებული ჯარის შევსება გლეხთა გაწვევის გზით, რაც უფრო იაფად ჯდებოდა, მისთვის ეს გარემოება აღარ იყო უმნიშვნელო. ამიტომ იყო, რომ მთელი XVIII საუკუნის მანძილზე გერმანიაში და განსაკუთრებით პრუსიაში ბრძანებულება ბრძანებულებას სცვლიდა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ბოლო მოეღოთ გლეხების აყრისათვის. მაგრამ ამ ბრძანებულებებს იგივე ბედი ეწვიათ, როგორც იმ უთვალავი მაკულატურის ოთხმოცდაცხრამეტ მეასედს, რომლებსაც კარლოს დიდის კაპიტულარიების[1] შემდეგ გაუთავებლივ ადგენდნენ გერმანელი ხელისუფალნი; ეს ბრძანებულებანი ისევ ფარატინა ქაღალდად

---

[1] კ ა პ ი ტ უ ლ ა რ ი ე ბ ი — ფრანკთა მეფეების ბრძანებულებანი, რომლებიც, ჩვეულებრივ, თავებად, ანუ მუხლებად იყოფოდა (ლათ. capitula). რ ე დ.

რჩებოდა, თავადაზნაურობა თავისას არ იშლიდა, ყმების გაბოგანოება გრძელდებოდა.

თვით საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემაძრწუნებელმა გაკვეთილმა, რომელიც ჯიუტმა ფეოდალურმა თავადაზნაურობამ მიიღო, ვერ შეძლო მისი დიდი ხნით შეშინება. ყოველივე ძველებურად დარჩა, ხოლო, ის, რისი გაკეთებაც ვერ მოახერხა ფრიდრიხ II[1], მით უფრო აღემატებოდა მისი სუსტი და პოლიტიკურად ბეცი ძმისწულის ფრიდრიხ-ვილჰელმ III ძალღონეს. მაგრამ დადგა შურისძიების ჟამი. 1806 წ. 14 ოქტომბერს პრუსიის მთელი სახელმწიფო ერთი დღის განმავლობაში სავსებით დაიმსხვრა იენასა და აუერშტადტთან ბრძოლაში. ამიტომ აქვს პრუსიელ გლეხს სრული უფლება ეს დღე, ისევე როგორც 1848 წ. 18 მარტი, აღნიშნოს უფრო დიდი ზეიმით, ვინემ პრუსიელების ყველა გამარჯვება მალვიციდან[2] სედანამდე. მხოლოდ ახლა, როდესაც პრუსიის მთავრობა რუსეთის საზღვრებამდე მირეკეს. პრუსიის მესვეურები თანდათან იგნებენ, რომ ფრანგი გლეხების შვილებს, რომელთა მამებიც მტკიცედ ფლობენ მიწას, ვერ დაამარცხებენ უმიწაწყლო ყმა გლეხთა შვილების საშუალებით, რომელთა მამებსაც ყოველდღე ემუქრებათ ნაკვეთიდან აყრის საშიშროება. მხოლოდ ახლა შენიშნა მთავრობამ, როგორც იქნა, რომ გლეხებიც, ასე ვთქვათ, ადამიანები არიან. ახლა მაინც საჭირო იყო ზომების მიღება.

მაგრამ, როგორც კი შეჰკრეს ზავი და სამეფო კარი მთავრობასთან ერთად ბერლინს დაბრუნდა, კეთილშობილი ზრახვები კვლავ დადნა, როგორც ყინული მარტის მზის სხივების გავლენით. მართალია, 1807 წ. 9 ოქტომბრის ქებულმა ედიქტმა ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ა დ, ქაღალდზე, გააუქმა ბატონყმობა ანუ მემკვიდრეობითი მებეგრეობა (ისიც მხოლოდ 1810 წელს წმ. მარტინის დღიდან), მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ძველებურად დარჩა. ყველაფერი ამით დამთავრდა. მერყევი და გონებაშეზღუდული მეფე უწინდებურად კუდში მისჩანჩალებდა თავადაზნაურობას, რომელიც განაგრძობდა გლეხების ძარცვას, ამასთან ახლა იმდენად ემორჩილებოდა მას,

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს მეფე ფრიდრიხ II უნაყოფო ცდები შეეჩერებინა — პრუსიის მემამულური სახელმწიფოს საგადასახადო და სამხედრო სისტემის განმტკიცების მიზნით — თავადაზნაურობის მიერ გლეხების თვითნებური აყრა მიწიდან. რ ე დ.

[2] 1848 წ. 18 მ ა რ ტ ი ბერლინის სახალხო აჯანყების დღეა, რომელმაც ბიძგი მისცა 1848 წლის რევოლუციას პრუსიაში.

მ ა ლ ვ ი ც თ ა ნ (სილეზია) ბრძოლაში ფრიდრიხ II 1741 წ. 10 აპრილს დაამარცხა ავსტრიელები ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომის დროს (1740 — 1748) რ ე დ.

რომ 1808 წლიდან 1810 წლამდე გამოიცა ოთხი ბრძანებულება, რომელიც ნებას აძლევდა მემამულეებს მთელ რიგ შემთხვევაში კვლავ აეყარათ გლეხები, რაც სავსებით ეწინააღმდეგებოდა 1807 წლის ედიქტს. მხოლოდ მაშინ, როცა უკვე ახლოვდებოდა ნაპოლეონის ომი რუსეთის წინააღმდეგ, გაიხსენეს, რომ გლეხები დასჭირდებოდათ, და გამოსცეს 1811 წლის 14 სექტემბრის ედიქტი, რომლითაც გლეხებსა და მემამულეებს ურჩევდნენ ორი წლის ვადაში ნებაყოფლობით შეთანხმებულიყვნენ, როგორც გამოსაღებთა და საბატონო სამუშაოთა გამოსყიდვის თაობაზე, აგრეთვე იმაზე, რომ გამოესყიდათ მემამულისაგან მისი უზენაესი მესაკუთრული უფლებები. ამასთან აღნიშნული იყო, რომ შემდეგ შეიქმნებოდა სამეფო კომისია, რომელიც დადგენილი წესების საფუძველზე მათ შორის მიღწეულ შეთანხმებას იძულებით შეიყვანდა ძალაში. შემუშავებულ იქნა ძირითადი დებულება, რომლის თანახმად გლეხს უნდა დაეთმო თავისი მიწის ნაკვეთის ერთი მესამედი (ანდა გადაეხადა მისი ფულადი ღირებულება) და სამაგიეროდ იგი ხდებოდა თავისი დარჩენილი ნაკვეთის თავისუფალი მესაკუთრე. მაგრამ გლეხთა ეს გამოსყიდვაც კი, რომელიც თავადაზნაურობისათვის ესოდენ ხელსაყრელი იყო, მაინც მომავლის ჰანგს წარმოადგენდა, ვინაიდან მემამულეები ძლიერ აფერხებდნენ საქმეს, რათა რაც შეიძლება მეტს გამორჩენოდნენ. მაგრამ ორი წლის შემდეგ ნაპოლეონმა კვლავ შემოდგა ფეხი პრუსიაში.

როგორც კი ნაპოლეონი საბოლოოდ განდევნეს[1] — სანამ მას ერეკებოდნენ, შიშით შეპყრობილი მეფე გაუთავებლად ჰპირდებოდა ხალხს კონსტიტუციასა და სახალხო წარმომადგენლობას — ყველა ეს შესანიშნავი აღთქმა კვლავ დავიწყებას მიეცა. უკვე 1816 წლის 29 მაისს — ჯერ ერთი წელიც კი არ გასულიყო ვატერლოოს გამარჯვებიდან! — გამოიცა დეკლარაცია 1811 წლის ედიქტის გამო, რომელიც სრულიად სხვაგვარად ეღერდა. ფეოდალურ ვალდებუ-

[1] რუსების მიერ ნაპოლეონის არმიის განადგურებამ 1812 წელს ნაპოლეონის რუსეთში შემოსევის დროს, გამოიწვია ნაპოლეონისაგან ევროპის დაპყრობილ ხალხთა აჯანყება ფრანგების ბატონობის წინააღმდეგ. ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებულმა არმიებმა, რუსეთის არმიის მეთაურობით, 1813 წელს მთელი რიგი ახალი დამარცხებანი აგემეს ნაპოლეონს და განდევნეს იგი გერმანიიდან. მაგრამ ნაპოლეონის დამარცხებით ისარგებლეს ევროპის რეაქციულმა მონარქებმა და მთავრებმა, რომლებმაც ხელუხლებლად დატოვეს გერმანიის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, ხოლო გერმანიის თვითეულ სახელმწიფოში, და უწინარეს ყოვლისა პრუსიაში, გააძლიერეს მონარქიული რეაქციისა და მემამულური თვითნებობის რეჟიმი. რ ე დ.

ლებათა გამოსყიდვა გამოცხადებულ იქნა არა წესად, არამედ გამონაკლისად: იგი ვრცელდებოდა მხოლოდ ისეთ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე, რომლებიც შეტანილი იყო მიწის საგადასახადო დავთარში (ე. ი. მსხვილ ნაკვეთებზე) და რომლებზეც სილეზიაში ჯერ კიდევ 1749 წლიდან, აღმოსავლეთ პრუსიაში ჯერ კიდევ 1752 წლიდან, ბრანდენბურგსა და პომერანიაში* 1763 წლიდან, ხოლო დასავლეთ პრუსიაში 1774 წლიდან გლეხის მეურნეობა იყო მოწყობილი. ძალაში დარჩა აგრეთვე ზოგიერთი საბატონო სამუშაო თესვისა და მკის დროს. ხოლო, როდესაც 1817 წ. საგამომსყიდვო კომისიის საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი, აგრარული კანონმდებლობა უფრო სწრაფად წავიდა უკან, ვიდრე აგრარული კომისიები — წინ. 1821 წლის 7 ივნისს გამოცემულ იქნა ახალი დებულება გამოსყიდვის შესახებ, რომელმაც კიდევ უფრო მკვეთრად შეზღუდა გლეხთა გამოსყიდვის უფლება. ამიერიდან ეს უფლება ვრცელდებოდა მხოლოდ მსხვილ გლეხთა კომლებზე, ეგრეთწოდებულ «მომხმარებელთა მეურნეობებზე», ხოლო უფრო წვრილ მეურნეობათა მფლობელებს — ბოგანოებს, ამბოკარებს, მებოსტნეებს — მოკლედ, ყველა მიწაზე დასახლებულ ყმა-მოჯამაგირეს კი სრულიად გარკვევით უმარადისებდა ბეგრისა და სხვა ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულებას. ამიერიდან ეს წესად იქცა. მხოლოდ 1845 წელს შესაძლებელი გახდა, როგორც გამონაკლისი, საქსონიისა[1] და სილეზიისათვის ამგვარ ვალდებულებათა გამოსყიდვა მემამულისა და გლეხის ნებაყოფლობითი შეთანხმების შემთხვევაში, რისთვისაც, თავისთავად ცხადია, საჭირო არ იყო საგანგებო კანონის გამოცემა. გარდა ამისა, გამოსყიდვითი გადასახდელი, რომლითაც შესაძლებელი იყო ფეოდალურ ვალდებულებათაგან ერთხელ და სამუდამოდ თავის დახსნა და რომლის გაანგარიშება მარცვლეულის ან ფულის საშუალებით ხდებოდა, ოცდახუთჯერადი რენტის რაოდენობით დაწესდა. ამასთან გადასახდელი თანხა, ყოველი შეტანისას

* პრუსიელთა ვერაგობა უსაზღვროა. აქ მან კვლავ იჩინა თავი, თუნდაც თარიღში. რატომ აიღეს 1763 წელი? მხოლოდ იმიტომ, რომ მომდევნო წელს — 1764 წ. 12 ივლისს ფრიდრიხ II გამოსცა მკაცრი ედიქტი, რომელშიც დასჯით ემუქრებოდა ურჩ თავადაზნაურობას, თუ ის ერთი წლის ვადაში არ შეასრულებდა მეფის ბრძანებას და ისევ არ დაასახლებდა სათანადო პირობებით 1740 წლიდან, კერძოდ, შვიდწლიანი ომის დასაწყისიდან, მასობრივად აყრილ და გაბოგანოებულ გლეხებს მათ კუთვნილ მიწაწყალზე. ამრიგად ამ ედიქტის ყველა შედეგი, თუკი მან ასეთი გამოიღო, კვლავ გაუქმებულ იქნა 1816 წელს თავადაზნაურობის საამებლად მიღებული ედიქტით. ენგელსის შენიშვნა.

[1] იგულისხმება პრუსიის საქსონური პროვინცია. რედ.

სულ ცოტა 100 ტალერი მაინც უნდა ყოფილიყო. და ეს იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ 1809 წ. სახელმწიფო დომენებზე მცხოვრებ გლეხებისათვის გამოსყიდვითი გადასახდელი დაწესდა ოცჯერადი რენტის რაოდენობით. ერთი სიტყვით, «გონების სახელმწიფოს» ქებულ, განათლებული სულისკვეთებით გამსჭვალულ. აგრარულ კანონმდებლობას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: გადაერჩინა ფეოდალიზმიდან ყ ო ვ ე ლ ი ვ ე, რისი გადარჩენაც კი შესაძლებელი იყო.

პრაქტიკული შედეგებიც სავსებით შეესაბამებოდა ამ უსუსურ ღონისძიებებს. აგრარული კომისიები ზედმიწევნით ჩასწვდნენ მთავრობის კეთილ განზრახვებს და, როგორც ეს ცალკეულ მაგალითებზე მკაფიოდ გვიჩვენა ვოლფმა, საგანგებოდ ზრუნავდნენ იმისათვის, რომ გამოსყიდვის დროს გლეხი სათანადოდ მოეტყუებინათ თავადაზნაურობის სასარგებლოდ. 1816 წლიდან 1848 წლამდე გამოსყიდულ იქნა გლეხთა 70582 მეურნეობა, რომლის საერთო მიწის ფართობი 5158827 მორგენს შეადგენდა — ე. ი. გლეხთა შედარებით მსხვილ, საბეგრო ვალდებულების მქონე მეურნეობათა ექვსი მეშვიდედი, და, პირიქით, იმ გლეხებიდან, რომლებიც წვრილ მეურნეობებს ჰფლობდნენ, ამ ხნის განმავლობაში თავიანთი ფეოდალური ვალდებულებები გამოისყიდა მხოლოდ 289651 კაცმა (აქედან 228000 სილეზიაში, ბრანდენბურგსა და საქსონიაში). გამოსყიდული საბეგრო სამუშაო დღეების საერთო რაოდენობა წელიწადში შეადგენდა: სამუშაო დღეები გამწევი საქონლის გამოყენებით — 5 978295, სამუშაო დღეები პირადი შრომის დახარჯვით: 16869824. ამაში კეთილშობილმა თავადაზნაურობამ საზღაურად მიიღო: ფულით 18544766 ტალერი; ფულადი რენტის სახით 1599992 ტალერი ყოველწლიურად, ნატურალური რენტის სახით 260069 შეფელი ჰავი ყოველწლიურად; ბოლოს, გლეხების მიერ დათმობილი მიწის ნაკვეთების სახით 1533050 მორგენი *. ამრიგად, გარდა სხვა საზღაურისა წინანდელმა მემამულეებმა მიიღეს კიდევ გლეხთა ყოფილი მიწების მთელი მესამედი!

1848 წელმა, ბოლოს, თვალები გაუხილა პრუსიის დახავსებულ იუნკრობას, რომელიც ერთდაიმავე დროს გონებაჩლუნგიც იყო და მედიდურიც. გლეხები — მეტადრე სილეზიაში, სადაც ყველაზე ძლიერ იყო განვითარებული ლატიფუნდიების სისტემა და მასთან

---

* იხ. ამ სტატისტიკის გამო ა. მ ა ი ტ ც ე ნ ი: ნიადაგი და სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობანი პრუსიის სახელმწიფოში [M e i t z e n, A. Der Boden und die landwirtschaftlichen Verhältnisse des Preussischen Staats, B. I — IV, Berlin, 1868—1871], ტ. 1, გვ. 432 და შემ. ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

დაკავშირებით ადგილი ჰქონდა მოსახლეობის იძულებით ჩამოქვეითებას არაფრისმქონე ყმა-მოჯამაგირეთა მდგომარეობამდე — თავს ესხმოდნენ სასახლეებს, სწვავდნენ უკვე დადებულ შეთანხმებებს გამოსყიდვის შესახებ და აიძულებდნენ ბატონ მემამულეთ წერილობით ეთქვათ უარი ამიერიდან ყველა ფეოდალურ გამოსაღებზე. მართალია ეს ექსცესები, რომლებიც მაშინ ხელისუფლების სათავეში მდგომ ბურჟუაზიასაც კი უღვთო საქციელად მიაჩნდა, სამხედრო ძალით იქნა ჩახშობილი და მათ სასტიკი რეპრესიები მოჰყვა, მაგრამ ყველაზე უტვინო იუნკრებმაც კი შეიგნეს, რომ საბეგრო შრომა შეუძლებელი გახდა და რომ უმჯობესია სრულიად ხელი აიღო ბეგარაზე, ვიდრე მოსთხოვო იგი ასეთ მეამბოხე გლეხებს! ახლა საქმე მხოლოდ ის იყო, როგორმე გადაერჩინათ, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა, და მიწათმფლობელმა თავადაზნაურობამ მართლაც იმდენი კადნიერება გამოიჩინა, რომ მოითხოვა საზღაური ამ ფაქტიურად უკვე არარსებულ ვალდებულებათა გაუქმებისათვის. როგორც კი რეაქციამ ფეხი მოიკიდა და წელში გასწორდა, იუნკერთა ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

მაგრამ მანამდე გამოიცა 1848 წლის 9 ოქტომბრის კანონი, რომლის ძალითაც შეჩერდა ყველა დაუმთავრებელი საქმე გამოსყიდვის შესახებ, მასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები და აგრეთვე მემამულეებსა და გლეხებს შორის აღძრული მთელი რიგი სხვა პროცესებიც. ამით, მაშასადამე, დაგმობილ იქნა 1807 წლიდან მომდინარე მთელი ქებული აგრარული კანონმდებლობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც წარმატებით განდევნეს ბერლინის ეგრეთწოდებული ნაციონალური კრება და სახელმწიფო გადატრიალებაც განახორციელეს, ბრანდენბურგ-მანტოიფელის ფეოდალურ-ბიუროკრატიულმა სამინისტრომ თავისი თავი საკმაოდ ძლიერად ჩათვალა საიმისოდ, რომ სერიოზული ნაბიჯები გადაედგა მემამულეთა სასარგებლოდ. 1848 წლის 20 დეკემბერს მან გამოცა დროებითი ბრძანებულება, რომელმაც მომავალში საკითხის საბოლოო მოგვარებამდე, მცირეოდენი გამონაკლისით, კვლავ აღადგინა ბატონისადმი გლეხის ძველებური ვალდებულებანი და სხვ.. ეს იყო სწორედ ის ბრძანებულება, რომელმაც საბაბი მისცა ჩვენს ვოლფს განეხილა სილეზიის გლეხთა მდგომარეობა «ახალ რაინის გაზეთში».

ამასობაში განვლო კიდევ ერთ წელზე მეტმა დრომ, ვიდრე შეიმუშავეს 1850 წლის 2 მარტის ახალი და საბოლოო კანონი გამოსყიდვის შესახებ. შეუძლებელია პრუსიელ პატრიოტთა მიერ დღესაც ქებით ცამდე აყვანილი 1807 — 1847 წლების აგრარული

კანონმდებლობის უფრო მკვეთრად დაგმობა, ვიდრე ეს მოცემულია — საკუთარი სურვილის წინააღმდეგ და ამასთან ბრანდენბურგ-მანტოიფელის სამინისტროსაგან — ამ კანონის დასაბუთებაში.

მოკლედ: ზოგიერთი უმნიშვნელო გამოსაღები პირდაპირ გაუქმდა, დანარჩენ ვალდებულებათა გამოსყიდვა, დეკრეტის თანახმად, ფულადი რენტის საშუალებით და ამ რენტის თვრამეტჯერადი კაპიტალიზაციით უნდა მომხდარიყო, ხოლო ფულადი გადასახდელების ასაკრებად და მასთან დაკავშირებით საშუამავლო ოპერაციების საწარმოებლად დაარსდა რენტის ბანკები, რომლებსაც ცნობილი საამორტიზაციო ოპერაციების[1] საშუალებით მემამულეებისათვის ოცჯერადი გადასახდელი უნდა გადაეხადათ. გლეხი კი ყველა თავისი ვალდებულებისაგან მხოლოდ მას შემდეგ განთავისუფლდებოდა, როცა იგი 56 წლის განმავლობაში შეიტანდა ყველა საამორტიზაციო გადასახდელს.

თუ სამინისტრომ თავისი დასაბუთებით დაჰგმო მთელი წინანდელი აგრარული კანონმდებლობა, პალატის მიერ გამოყოფილმა კომისიამ დაჰგმო ახალი კანონი. მან განაცხადა, რომ ეს კანონი გამოუსადეგია რაინის მარცხენა ნაპირისათვის, რომელიც ყველა ამ ძველმანისაგან დიდი ხანია გაათავისუფლა საფრანგეთის რევოლუციამ. კომისია მიემხრო ამ შეზღუდვას იმ საფუძველით, რომ ყველა 109 მუხლიდან დიდი-დიდი ერთი ყოფილიყო გამოსადეგი რაინის მარცხენა ნაპირისათვის «ხოლო ყველა დანარჩენი გადაწყვეტილება იქ სრულებით მიუღებელია. პირიქით, მათ შეუძლიათ იქ გაუგებრობა და არასასურველი მღელვარება გამოიწვიონ... რადგან კანონმდებლობა რაინის მარცხენა ნაპირზე გლეხთა ვალდებულებების მოსპობის თვალსაზრისით გაცილებით უფრო შორსაა წასული, ვიდრე ის, რისი გატარებაც ამჟამად განზრახულია», ამასთან შეუძლებელია რაინისპირეთის ოლქები აიძულო, რომ ისინი განახლებული პრუსიის იდეალურ მდგომარეობამდე ჩამოქვეითებას დათანხმდნენო.

ახლა კი, როგორც იქნა, სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ფეოდალური შრომის და ექსპლოატაციის ფორმების გაუქმებას. რამდენიმე წლის განმავლობაში გატარდა გლეხთა ვალდებულებების გამოსყიდვა. 1850 წლიდან 1865 წლამდე გამოსყიდულ იქნა: 1) მსხვილი მესაკუთრე გლეხების დარჩენილი ნაწილი, ასეთი იყო სულ 12706 კომლი, რომელსაც ეპირა 352305 მორგენი მიწა; 2) წვრილი მესა-

[1] ე. ი. ვალის დასაფარავი ოპერაციები. რ ე დ.

კუთრენი, მათ შორის ბოგანოებიც; იმ დროს როცა 1848 წლამდე ამათგან 290000-მდე კაცსაც კი არ ჰქონდა თავი გამოსყიდული, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში თავი დაიხსნა 1014341 კაცმა. ამისდა შესაბამისად გამოსყიდულ იქნა 365274 გამწეგი საქონლით შესრულებული საბატონო შრომადღე, რომელიც მოდიოდა მსხვილ მეურნეობაზე. 6670507 გამოსყიდული შრომადღე კი წარმოადგენდა გლეხთა მიერ პირადად გამომუშავებულ შრომას. მიწით ანაზღაურება, რომელიც წილად ხვდა მსხვილ გლეხურ მეურნეობას, აგრეთვე მხოლოდ 113071 მორგენს შეადგენდა, ხოლო წლიური რენტა, რომელიც გლეხებს ჭვავის სახით უნდა გადაეხადათ, 55552 შეფელს შეადგენდა. ამავე დროს მიწათმფლობელმა არისტოკრატიამ მიიღო ახალი ყოველწლიური ფულადი რენტის სახით 3890136 ტალერი და, გარდა ამისა, საბოლოო ანგარიშის გასწორებისას კიდევ 19 697 483 ტალერი *.

ის თანხა, რომელიც პრუსიის მთელმა მიწათმფლობელმა არისტოკრატიამ, ამაში შედიოდა აგრეთვე სახელმწიფო დომენებიც, გლეხების ჯიბიდან თავის სასარგებლოდ გადაახდევინა სახელმწიფოს, იმის საზღაურად, რომ თავადაზნაურობამ ნებით დაუბრუნა გლეხებს ადრევე — თვით მე-19 საუკუნის ჩათვლით — მიტაცებული მიწა, შეადგენს მაიტცენის გამოანგარიშების თანახმად (ტ. 1, გვ. 437) 213861035 ტალერს. მაგრამ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებულია. მაიტცენის ანგარიშის თანახმად ერთი მორგენი დამუშავებული მიწისა ღირს «მ ხ ო ლ ო დ» 20 ტალერი, ერთი მორგენი ტყე — 10 ტალერი, ერთი შეფელი ჭვავი — 1 ტალერი. ე. ი. ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე სინამდვილეში. გარდა ამისა, აქ გათვალისწინებულია მხოლოდ «ნამდვილად მოქმედი გარიგებანი», და მაშასადამე, უგულვებელყოფილია, თუნდაც ყველა კერძო შეთანხმება, რომელსაც ადგილი ჰქონდა მხარეებს შორის. მაიტცენი თვითონაც ამბობს, რომ მის მიერ მოყვანილი ცნობები გამოსყიდულ ვალდებულებათა და, მაშასადამე, ამ ვალდებულებათა გამოსყიდვისათვის გაღებული საზღაურის შესახებაც, მხოლოდ «მინიმუმს» წარმოადგენენ.

ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის თანხა, რომელიც გლეხებმა თავადაზნაურობისა და ხაზინის სასარგებლოდ გადაიხადეს მათთვის უკანონოდ დაკისრებულ ვალდებულებათა გამოსყიდვისა-

* ეს ციფრები შეადგენენ მაიტცენის ორივე ცხრილის შემაჯამებელი თანხების განსხვავებას (მაიტცენი ტ. 1, გვ. 432 და 434.) ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა. (მაიტცენს პირველ ცხრილში მოყვანილი აქვს გამოსასყიდ ოპერაციათა შედეგები 1816 წლიდან 1848 წლამდე, ხოლო მეორეში — 1816 წლიდან 1865 წლის დასასრულამდე. რ ე დ.).

თვის, შეადგენს, ყოველ შემთხვევაში, 300 მილიონ ტალერს და შესაძლებელია ერთ მილიარდ მარკასაც კი აღწევდეს.

ერთი მილიარდი მარკა მხოლოდ იმაში, რომ გლეხებს დაუბრუნეს ვალდებულებებისაგან გათავისუფლებული მიწის მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც ოთხასი წლის წინათ იქნა მიტაცებული! მიწის ძალიან მცირე ნაწილი, რადგან უფრო დიდი ნაწილი მიწისა თავადაზნაურობამ და ხაზინამ ისედაც მიითვისეს მაიორატისა თუ სხვა სარაინდო და სახელმწიფო მამულების სახით!

ფრიდრიხ ენგელსი

ლონდონი, 1885 წ. 24 ნოემბერი.
პირველად დაიბეჭდა როგორც
მეორე ნაკვეთი შესავლისა,
რომელიც დაერთო 1886 წ. ციუ-
რიხში გამოსულ ე. ვოლფის
წიგნს «სილეზიის მილიარდი»

იბეჭდება ვ. ვოლფის წიგნის
მიხედვით, რომელიც გამოვიდა
1881 წ. ციურიხში
თარგმანი გერმანულიდან

III

კ. მარქსის და ფ. ენგელსის წერილებიდან

კ. მარქსი — ფ. ენგელსს

1856 წ. 16 აპრილი

...მე საესებით გეთანხმები რაინის პროვინციის[1] საკითხში. ჩვენთვის ის ერის საბედისწერო, რომ მომავლის განუვრეტისას ისეთ რამეებს ვხედავ, რასაც «სამშობლოს ღალატის» სუნი სდის. იმისგან, თუ რა მიმართულებას მიიღებს საქმე ბერლინში, დამოკიდებული იქნება, აღმოვჩნდებით თუ არა, იმ მდგომარეობაში, რომელშიც მოხვდნენ ძველი რევოლუციის დროს მაინცის კლუბელები[2]. ჩვენთვის ეს ადვილი როდი იქნება. ჩვენ ხომ კარგად ვიცნობთ რაინის მეორე ნაპირას მცხოვრებ გულად ფრანგ ძმებს! გერმანიაში ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმ შესაძლებლობაზე, რომ პროლეტარულ რევოლუციას ზურგი გაუმაგრდეს გლეხთა ომის რომელიმე მეორე გამოცემით. მაშინ საქმე ჩინებულად წავა.

კ. მარქსი — ფ. ლასალს

1859 წ. 19 აპრილი

...გადავდივარ ახლა «ფრანც ფონ-ზიკინგენზე». უწინარეს ყოვლისა, მე მინდა შევაქო კომპოზიცია და ცხოველი მოქმედება; ეს კი იმას აღემატება, რისი თქმაც შეიძლება ყოველი თანამედროვე გერმანული დრამის შესახებ. მეორე, თუ განზე გადავდებთ ამ ნაშრომი-

---

[1] იგულისხმება პრუსიის რაინის პროვინცია. რ ე დ.

[2] მარქსს მხედველობაში ჰყავს დემოკრატიული კლუბის წევრები მაინცში, რომლებმაც მხარი დაუჭირეს საფრანგეთის რევოლუციურ ჯარებს, როდესაც მათ 1792 წ. ოქტომბერში მაინცის საკურფიურსტო დაიპყრეს. მაინცის კლუბელებმა, რომლებმაც ნაციონალური კონვენტი მოიწვიეს და საკურფიურსტოს ტერიტორიაზე დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო შექმნეს, 1793 წლის მარტში მიიღეს დეკრეტი საფრანგეთის რესპუბლიკისათვის მაინცის შეერთების შესახებ, რადგან პრუსიის რეაქციული ჯარები მას დაპყრობით ემუქრებოდნენ. რ ე დ.

სადმი წმინდა კრიტიკულ დამოკიდებულებას, პირველი წაკითხვისას მე მან ძალიან ამაღელვა, და, მაშასადამე, იმ მკითხველებზე, რომლებსაც გრძნობა უფრო შეტად აქვთ განვითარებული, იგი კიდევ უფრო ძლიერად იმოქმედებს. ეს მეორე, ძალიან მნიშვნელოვანი მხარეა.

ახლა კი მედალის მეორე მხარე. ჯერ ერთი, — ეს წმინდა ფორმალური მომენტია, — რადგან ლექსით წერდი, შეგეძლო ცოტა უფრო მხატვრულად ჩამოგესხა შენი იამბიკო. ისე კი, თუმცა ეს დაუდევრობა, ალბათ, ეხამუშებათ პროფესიონალ მგოსნებს, მე მაინც საერთოდ უპირატესობად მიმაჩნია იგი, ვინაიდან ჩვენს მგოსან-ეპიგონებს არა შერჩენიათ რა, გარდა ფორმალური ელვარებისა. მეორეც. შენს მიერ განზრახული კოლიზია არა თუ მხოლოდ ტრაგიკულია, არამედ იგი სწორედ ისეთი ტრაგიკული კოლიზიაა, რომელმაც სრულიად საფუძვლიანად დაასამარა 1848 — 1849 წლების რევოლუციური პარტია. და ამიტომ მე შემიძლია საკუთარი მივესალმო იმ აზრს, რომ ხსენებული კოლიზია თანამედროვე ტრაგედიის ცენტრალურ პუნქტად იქნეს აღებული. მაგრამ ვეკითხები ჩემს თავს: ვარგა თუ არა შენს მიერ აღებული თემა ამ კოლიზიის გამოსახატავად? ბალთაზარს[1] შეუძლია, რასაკვირველია, წარმოიდგინოს, თითქოს ზიკინგენს რომ თავისი ამბოხება რაინდულ შუღლად კი არ მოენათლა, არამედ საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისა და მთავრების წინააღმდეგ აშკარა ომის დროშა აღემართა, იგი გაიმარჯვებდა. მაგრამ ჩვენ განა შეგვიძლია გავიზიაროთ ეს ილუზია? ზიკინგენი (და მასთან ერთად, მეტნაკლებად ჰუტენიც) დაიღუპა არა თავისი მზაკვრობის გამო. იგი დაიღუპა იმიტომ, რომ აღსდგა არსებულის წინააღმდეგ ანუ, უფრო სწორად, არსებულის ახალი ფორმის წინააღმდეგ, როგორც რაინდი და როგორც დაღუპვის გზაზე დამდგარი კლასის წარმომადგენელი. ზიკინგენს რომ მოვაცილოთ ის, რაც მას ახასიათებს როგორც პიროვნებას — მისი განსაკუთრებული ბუნებრივი მიდრეკილება, განათლება და ა. შ., დარჩება გიოც ფონ ბერლიხინგენი. ეს უბადრუკი სუბიექტი კი განასახიერებს თავისი ადეკვატური ფორმით ტრაგიკულ დაპირისპირებას, ერთი მხრივ, რაინდობასა და, მეორე მხრივ, იმპერატორსა და თავადებს შორის, და ამიტომ გოეთე მართალი იყო, როცა ის გმირად[2] აირჩია. რამდენადაც ზიკინგენი, — და ნაწილობრივ თვით ჰუტენიც, თუმცა მას, როგორც

[1] — ლასალის დრამის ერთ-ერთი პერსონაჟი. რედ.

[2] იგულისხმება გოეთეს ტრაგედია «გიოც ფონ ბერლიხინგენი». რედ.

გარკვეული კლასის ყველა იდეოლოგს, ასეთი გამოთქმები მნიშვნელოვნად შეცვლილი ფორმით უნდა ჰქონოდა წარმოთქმული, — გამოდის მთავრების წინააღმდეგ (იმპერატორის წინააღმდეგ ის ხომ მხოლოდ იმიტომ გამოდის, რომ იმპერატორი რაინდთა იმპერატორიდან მთავრების იმპერატორად იქცევა), ამდენადვე იგი ნამდვილად უბრალო დონ-კიხოტია, თუმცა — ისტორიულად გამართლებული. ზიკინგენი რომ ამბოხებას იწყებს რაინდთა შუღლის სახით, ეს სხვა არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ იგი ამ ამბოხებას რ ა ი ნ დ უ ლ ა დ იწყებს. მას რომ აჯანყება სხვანაირად დაეწყო, იმ შემთხვევაში უშუალოდ, და ამასთან დასაწყისიდანვე, ქალაქებისა და გლეხებისათვის უნდა მიემართნა, ე. ი. სწორედ იმ კლასებისათვის, რომელთა განვითარება რაინდობის უარყოფის მომასწავებელია.

თუ შენ არ გინდოდა ეს კოლიზია «გიოც ფონ ბერლიხინგენში» გამოსახულ კოლიზიამდე დაგეყვანა მხოლოდ, — ეს კი შენს გეგმაში არ შედიოდა, — ამ შემთხვევაში ზიკინგენი და ჰუტენი უნდა დაღუპულიყვნენ, იმიტომ რომ ისინი თავიანთი წარმოდგენით რევოლუციონერები იყვნენ (რისი თქმაც არ შეიძლება გიოცის შესახებ), და სრულიად ისევე, როგორც გ ა ნ ა თ ლ ე ბ უ ლ ი პოლონელი თავადაზნაურობა 1830 წელს, ერთი მხრივ, თანამედროვე იდეების გამტარებლები გახდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, სინამდვილეში რეაქციული კლასის ინტერესების წარმომადგენლები იყვნენ. მაშასადამე, მთელი ინტერესი არ უნდა ყოფილიყო მიმართული — როგორც ეს შენს დრამაშია — რევოლუციის თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ უ ლ წარმომადგენლებზე, რომელთა ერთიანობისა და თავისუფლების ლოზუნგების უკან ჯერ კიდევ იმალება ოცნება ძველს იმპერიასა და მუშტის სამართალზე; და, პირიქით, გლეხების წარმომადგენლებს (განსაკუთრებით მათ) და ქალაქთა რევოლუციური ელემენტების წარმომადგენლებს ფრიად არსებითი აქტიური ფონი უნდა შეექმნათ. ეს შენ შესაძლებლობას მოგცემდა უფრო მეტად და სრულიად გულუბრყვილო ფორმით გამოგეთქმევინებინა შენი გმირებისათვის ყველაზე უფრო თანამედროვე იდეები, ახლა კი ფაქტიურად ძირითად იდეას, გარდა რ ე ლ ი გ ი უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა, მოქალაქეობრივი ე რ თ ი ა ნ ო ბ ა წარმოადგენს. მაშინ შენ ძალაუნებურად მოგიხდებოდა უფრო შ ე ქ ს პ ი რ ი ს ე ბ უ რ ა დ წერა; ახლა კი შენს ძირითად ნაკლოვანებად ის მიმაჩნია, რომ შენ შ ი ლ ე რ ი ს ე ბ უ რ ა დ წერ, ვინაიდან ინდივიდუუმები დროის იდეების უბრალო რუპორებად გადაგიქცევია. ხომ არ სჩადიხარ შენ თვითონ, შენი ფრანც ფონ ზი-

კინგენის მსგავსად, დიპლომატიურ შეცდომას, როდესაც ლუთერულ-რაინდულ ოპოზიციას პლებეურ-მიუნცერულზე მაღლა აყენებ?

შემდეგ, ხასიათთა გამოკვეთის მხრივ გაკლია სწორედ დამახასიათებელი ნიშნები. გამონაკლისს შეადგენენ კარლოს V, ბალთაზარი და რიხარდ ტრირელი. ამავე დროს, განა მოიპოვება სხვა უფრო გამოკვეთილი ხასიათების შემცველი ეპოქა, ვინემ XVI საუკუნეა? ჰუტენი, ჩემის აზრით, უკვე მეტისმეტად განასახიერებს მარტოოდენ «აღფრთოვანებას», ეს კი მოსაწყენია. განა ის ამავე დროს ნიჭიერი და უაღრესად გონებამოსწრებული კაციც არ იყო? ხომ არ ჩაიდინე მის მიმართ დიდი უსამართლობა?

თუ რამდენად არის თვით შენი ზიკინგენი, — აქვე უნდა ითქვას, რომ იგიც აგრეთვე მეტად აბსტრაქტულად გყავს გამოსახული — ყველა მისი პირადი ვარაუდისაგან დამოუკიდებელი კოლიზიის მსხვერპლი, ეს იქედან სჩანს, რომ იგი თავის რაინდებს ქალაქებთან მეგობრობას უქადაგებს, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონ იყენებს ქალაქების მიმართ მუშტის სამართლის ნორმებს...

ფ. ენგელსი — ფ. ლასალს

1859 წ. 18 მაისი

...რაც შეეხება ისტორიულ შინაარსს, თქვენ ძალიან თვალსაჩინოდ და შემდგომი განვითარების სწორი გათვალისწინებით გაქვთ გამოსახული მაშინდელი მოძრაობის ორივე მხარე, რომელიც თქვენ ყველაზე უფრო გაინტერესებდათ: ნაციონალური თავადაზნაურული მოძრაობა, რომლის წარმომადგენელი ზიკინგენი იყო, და ჰუმანიურ-თეორიული მოძრაობა მისი შემდგომი განვითარებით თეოლოგიისა და ეკლესიის სფეროში, ე. ი. რეფორმაციით. აქ ყველაზე უფრო მომეწონა სცენები ზიკინგენსა და იმპერატორს შორის და ლეგატსა და ტრირელ არქიეპისკოპოსს შორის (ამასთან აქ თქვენ შესძელით მოგეცათ მშვენიერი ინდივიდუალური დახასიათება მით, რომ ერისკაცს, ესთეტიკურად და კლასიკურად განათლებულ, პოლიტიკურად და თეორიულად შორსმჭვრეტელ ლეგატს უპირისპირებთ გონებაჩლუნგ გერმანელ მღვდელმთავარს — ესაა დახასიათება, რომელიც იმავე დროს პირდაპირ გამომდინარეობს ორივე მოქმედი პირის როგორც ტიპიურ წარმომადგენელთა

ხასიათიდან); მეტისმეტად მკვეთრად არის ხასიათები გამოსახული აგრეთვე სცენაში ზიკინგენსა და კარლოსს შორის. რაც შეეხება ჰუტენის ავტობიოგრაფიას, რომლის შ ი ნ ა ა რ ს ი სამართლიანად მიგაჩნიათ არსებითად, ამ შინაარსის დრამაში ჩართვით, უეჭველად, ძალიან სარისკო ნაბიჯი გადაგიდგამთ. უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე საუბარი ბალთაზარსა და ფრანცს შორის V აქტში, სადაც პირველი მოუთხრობს თავის ბატონს ნ ა მ დ ვ ი ლ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ პოლიტიკას, რომელსაც ეს უკანასკნელი უნდა მიჰყვებოდეს. სწორედ აქ წარმოგვიდგება თვალწინ ნამდვილი ტრაგიკული მხარე, და მე მგონია, რომ საქმის სწორედ ეს მხარე, მისი დიდი შნიშვნელობის გამო, რამდენადმე უფრო მკვეთრად უნდა ყოფილიყო ხაზგასმული უკვე მესამე მოქმედებაში, რომელიც ამისათვის საკმაო საბაბს იძლევა. მაგრამ მე კვლავ მეორეხარისხოვან საკითხებს გამოვეკიდე.

იმდროინდელი ქალაქებისა და თავადების პოზიციაც ბევრ ადგილას ძალიან ცხოვლადაა გამოსახული და ანგვარად მეტნაკლებად არის ამოწურული მაშინდელი მოძრაობის ეგრეთწოდებული ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ელემენტები. მაგრამ ვფიქრობ, რომ თქვენ საკმაო ყურადღება არ მიგიქცევიათ არაოფიციალური — პლებეური და გლეხური — ელემენტებისათვის და მათი თანამგზავრი თეორიული დარგის წარმომადგენლებისათვის. გლეხთა მოძრაობაც თავისებურად ისევე ნაციონალური იყო და იმავე ზომით მიმართული იყო მთავრების წინააღმდეგ, როგორც აზნაურთა მოძრაობა, ხოლო ბრძოლის კოლოსალური გაქანება, რომელშიც მან დამარცხება განიცადა, მკვეთრ კონტრასტს შეადგენს იმ სიადვილესთან შედარებით, რომლითაც თავადაზნაურობამ ზიკინგენი ბედის ანაბარად მიატოვა და თავის ისტორიულ მოწოდებას — მონურ მორჩილებას შეურიგდა. სწორედ ამიტომ დრამის თქვენებური გაგებითაც, რომელიც მე როგორც თქვენ, ალბათ, შეამჩნიეთ, მეტისმეტად აბსტრაქტულად და არასაკმაოდ რეალისტურად მიმაჩნია, გლეხთა მოძრაობა მეტი ყურადღებით განხილვის ღირსია; მართალია, გლეხთა სცენა იოს ფრიცთან დამახასიათებელია და ამ «შფოთისთავის» ინდივიდუალობა სრული სისწორითაა გამოსახული, მაგრამ იგი მაინც საკმაო სიძლიერით ვერ აღნიშნავს თავადაზნაურული მოძრაობისაგან განსხვავებით იმ დროისათვის უკვე დიდ ნიაღვრად მოდებულ გლეხთა მოძრაობას. დრამის ჩ ე მ ი გაგების თანახმად, რომელიც მოითხოვს, რომ იდეალურის გამო არ დავივიწყოთ რეალისტური, შილერის გამო — შექსპირი, მაშინდელი, საოცრად ჭრელი

პლებეური საზოგადოებრივი სფეროს შეყვანა მოქმედებაში სრულიად სხვაგვარ მასალად გამოდგებოდა დრამაში სიცხოველის შესატანად, დაუფასებელ ფონს შეჰქმნიდა ავანსცენაზე მიმდინარე ნაციონალური თავადაზნაურული მოძრაობისათვის და პირველად გამოიტანდა თვით ამ მოძრაობას ჭეშმარიტ სინათლეზე. რარიგ საოცრად დამახასიათებელ სახეებს იძლევა ამ ფეოდალური ურთიერთკავშირის რღვევის ეპოქა მაწანწალა მათხოვართა მეფეების, ულუკმაპურო ლანდსკნეხტებისა და ყოველგვარი ავანტურისტების სახით, — ეს ჭეშმარიტად ფალსტაფური ფონია, რომელიც ასეთი ტიპის ისტორიულ დრამაში კიდევ უფრო ეფექტური იქნებოდა, ვიდრე შექსპირის ნაწარმოებებში. მაგრამ ამაზეც რომ არა ვთქვათ რა, მე მგონია იმით, რომ უკანა რიგში დააყენეთ გლეხთა მოძრაობა, თქვენ არასწორად გამოსახეთ, ერთი მხრივ, თვით თავადაზნაურული ნაციონალური მოძრაობა და ამასთან მხედველობიდან გამოტოვეთ ზიკინგენის ბედის ნამდვილად ტრაგიკული ელემენტი. ჩემი აზრით, მაშინდელი საიმპერიო თავადაზნაურობის მასა არ აპირებდა კავშირის შეკვრას გლეხებთან; ამას შეუძლებელს ხდიდა ის გარემოება, რომ თავადაზნაურობა ჩაგვრის გზით მიღებულ შემოსავალზე იყო დამოკიდებული. კავშირის დამყარება უფრო ქალაქებთან შეიძლებოდა, მაგრამ ეს კავშირიც ან სრულებით არ განხორციელებულა, ან მხოლოდ ნაწილობრივად ხორციელდებოდა. ამასთანავე, ნაციონალური თავადაზნაურული რევოლუციის გატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ ქალაქებთან და გლეხებთან, განსაკუთრებით უკანასკნელებთან, კავშირის არსებობისას. ჩემი აზრით, ტრაგიკული მომენტი სწორედ ის არის, რომ კავშირი გლეხებთან — ეს ძირითადი პირობაა — შეუძლებელი იყო, რომ ამიტომ თავადაზნაურობის პოლიტიკა აუცილებლობის გამო წვრილმანი უნდა ყოფილიყო, რომ იმ მომენტში, როდესაც თავადაზნაურობამ მოინდომა ნაციონალური მოძრაობის სათავეში ჩამდგარიყო, ერის მასამ, გლეხობამ, პროტესტი განაცხადა მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, და იგი ამგვარად აუცილებლად უნდა დაცემულიყო. რამდენად დასაბუთებულია ისტორიულად თქვენი აზრი, თითქოს ზიკინგენი რამდენადმე მაინც იყო გლეხებთან დაკავშირებული, მე არ შემიძლია განვსაჯო. ამას არც აქვს მნიშვნელობა. ისე კი, რამდენადაც მაგონდება, იქ, სადაც თავის ნაწერებში ჰუტენი გლეხებს მიმართავს, იგი საჩოთირო პუნქტს თავადაზნაურობასთან დამოკიდებულების შესახებ მხოლოდ გაკვრით ეხება და ცდილობს გლეხების გააფთრება უმთავრესად ხუცების წინააღმდეგ მი-

მართოს. რასაკვირველია, მე სრულებით არ მინდა სადავოდ გავხადო თქვენი უფლება — ზიკინგენი და ჰუტენი ისეთ მოღვაწეებად წარმოადგინოთ, რომლებსაც გლეხების განთავისუფლება ჰქონდათ მიზნად დასახული. მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს ტრაგიკული წინააღმდეგობა, სახელდობრ ის, რომ ისინი ორივენი შუამავლები იყვნენ, ერთი მხრივ, თავადაზნაურობასა და, მეორე მხრივ, გლეხობას შორის, რომელთაგან პირველი გადაჭრით წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყო ამ განთავისუფლებისა. ეს იყო, ჩემი აზრით, ტრაგიკული კოლიზია ისტორიულად აუცილებელ პოსტულატსა და მისი განხორციელების პრაქტიკულ შეუძლებლობას შორის. თქვენ ამ მომენტს მხედველობიდან უშვებთ და ამცირებთ ტრაგიკულ კონფლიქტს იმ ზომამდე, რომ ზიკინგენი, ნაცვლად იმისა, რომ მყისვე შეუდგეს ბრძოლას იმპერატორისა და იმპერიის წინააღმდეგ, ბრძოლას იწყებს მხოლოდ ერთ მთავართან (თუმცა თქვენ აქაც სათანადო ტაქტით გამოგყავთ გლეხები სამოქმედო სარბიელზე) და იღუპება უბრალოდ თავადაზნაურობის გულგრილობისა და სიმხდალის შედეგად. ეს სიმხდალე სრულიად სხვაფრივ იქნებოდა მოტივირებული, თქვენ რომ უკვე მანამდის გაგესვათ უფრო ძლიერად ხაზი გლეხთა მოძრაობის მზარდი საშიშროებისათვის და თავადაზნაურობის სულიერი განწყობილებისათვის, რომელიც უცილობლად უფრო კონსერვატიული გახდა «წაღის»კაეშირისა და «საწყალი კონრადის» შემდეგ. მაგრამ ყველაფერი ეს, რასაკვირველია, მხოლოდ ე რ თ ე რ თ ი გზაა, რომლითაც შეიძლება შეტანილ იქნეს დრამაში გლეხური და პლებეური მოძრაობა, არსებობს კიდევ — სულ ცოტა — ათეული სხვა, ასეთივე ან შეიძლება კიდევ უკეთესი გზა...

ფ. ენგელსი — კ. მარქსს

1882 წ. 15 დეკემბერი.

ძვირფასო მავრ!

ამასთან გიგზავნი დანართს მარკის შესახებ[1]. ძალიან გთხოვ, კ ვ ი რ ა ს უკანვე დამიბრუნო, რომ ორშაბათს შევძლო მისი გადასინჯვა; დღეს ვერ მოვასწარი საბოლოოდ გადამეთვალიერებინა.

აქ გამოთქმული შეხედულება გლეხთა მდგომარეობაზე შუა

[1] იხ. ამ გამოცემის 133 გვ. რ ე დ.

საუკუნეების დროს და მ ე ო რ ე ბატონყმობის წარმოშობაზე XV საუკუნის შუა წლებიდან, საერთოდ უდავოდ მიმაჩნია. მთლიანად გადავიკითხე მაურერის შრომის ყველა შესაფერისი ადგილი; იქ თითქმის ყველა ჩემს მიერ წამოყენებულ დებულებებს ვპოულობ, ა მ ა ს თ ა ნ დ ა ს ა ბ უ თ ე ბ უ ლ ს, ხოლო მათ გვერდით მოყვანილია პირდაპირ საწინააღმდეგო მტკიცებანიც, მაგრამ ან დაუსაბუთებლად, ანდა ისინი ისეთი ეპოქიდან არიან ამოღებული, რომელთა შესახებ აქ ლაპარაკი სულაც ა რ ა ა. ეს განსაკუთრებით ეხება «მემამულეთა მეურნეობებს», ტომი 4, დასკვნა[1]. მაურერი იმიტომ ვარდება ამ წინააღმდეგობებში, რომ 1) მიჩვეულია ყველა ეპოქის საბუთები და მაგალითები ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთში აღრევით მოიტანოს, 2) იურიდიული შეზღუდულობის გადმონაშთის წყალობით, რაც მას ყოველთვის გზად ეღობება, როცა საქმე ეხება გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გაგებას, 3) იმის გამო, რომ ის ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ა ს ა და მის როლს მეტისმეტად ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, 4) იმ «განმანათლებლური» ცრურწმენის გამო, თითქოს შავბნელი შუასაუკუნეებიდან დაწყებული ადგილი უ ნ დ ა ჰქონდეს მუდმივ წინსვლას უკეთესისაკენ; ეს მას ხელს უშლის დაინახოს არა მარტო ნამდვილი წინსვლის ანტაგონისტური ხასიათი, არამედ რეგრესის ცალკეული შემთხვევებიც.

შენ თვითონ დაინახავ, რომ შრომა ერთბაშად დაწერილი არაა და ცალკე ნაწილებისაგან შედგება. პირველი მონაბაზი ერთბაშად გავაკეთე, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი სწორი არ იყო. მხოლოდ თანდათანობით დავეუფლე მასალას და ამიტომაც ბევრი ვასწორე და ჩავაკერე.

სხვათა შორის, ბატონყმობის ხელახლა შემოღებაა ყველგან იმის მიზეზი, თუ რატომ ვერ განვითარდა მრეწველობა XVII და XVIII საუკუნეების გერმანიაში. ჯერ ერთი, საამქროებში შრომის იმის ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო განაწილება, რაც მანუფაქტურაში იყო: ნაცვლად შრომის განაწილებისა სახელოსნოს შიგნით, შრომა ნაწილდება ს ა ა მ ქ რ ო ე ბ ს შ ო რ ი ს. აქ, ინგლისში ადგილი ჰქონდა მრეწველობის გადატანას სოფლად, სადაც ამქრებს არ იცნობდნენ. გერმანიაში ამას ხელს უშლიდა სოფლის მცხოვრებთა და მიწათმოქმედ სავაჭრო დაბების მოსახლეობის ყმებად გადაქცევა.

[1] ენგელსი გულისხმობს გ. მაურერის ოთხტომიან შრომას «მებატონეთა და გლეხთა მეურნეობებისა და საკომლო წყობის ისტორია გერმანიაში»(G. L. M a u r e r. Geschichte der Frohnhöfe, der Bauernhöfe und der Hofverfassung in Deutschland, B. I — IV. Erlangen 1862 — 1863). რ ე დ.

მაგრამ, ამის გამო, როგორც კი გაჩნდა უცხოური მანუფაქტურის კონკურენცია, ამქრებიც საბოლოოდ მოისპო. მე აქ არ ვეხები სხვა დანარჩენ მიზეზებს, რომელთაც გავლენა მოახდინეს გერმანული მანუფაქტურის შეფერხებაზე.

ფ. ენგელსი — კ. მარქსს

1882 წ. 16 დეკემბერი

...ყველაზე უფრო მე მაინტერესებს შენი აზრი XIII და XIV საუკუნეებში ბატონყმობის თითქმის. სრული — უფლებრივი თუ ფაქტიური — გაქრობის თაობაზე, ვინაიდან შენ ამ საკითხზე ადრე სხვანაირ შეხედულებას გამოსთქვამდი. რაც შეეხება ელბის აღმოსავლეთით მდებარე მიწებს, იქ კოლონიზაციის გამო მტკიცედ არის დამყარებული გერმანელ გლეხთა თავისუფლება; შლეზვიგ-ჰოლშტაინის შესახებ მაურერი აღიარებს, რომ იმ დროს «ყველა» გლეხმა კვლავ მიაღწია თავისუფლებას (შესაძლებელია XIV საუკუნეზე ცოტა გვიან). იგი სამხრეთ გერმანიის მიმართაც აღნიშნავს, რომ დამოკიდებულ გლეხებს ყველაზე უკეთესად სწორედ მაშინ ეპყრობოდნენო. ასევე მეტნაკლებად ქვემო საქსონიაშიაც (მაგალითად, ახალი «მაიერები»[1] — ფაქტიურად მემკვიდრეობითი მეიჯარეები არიან). იგი მხოლოდ კიდლინგერის შეხედულების წინააღმდეგია, თითქოს ბატონყმობა პირველად მხოლოდ XVI საუკუნეში წარმოშობილიყოს. მაგრამ ბატონყმობა რომ შემდეგ კვლავ გამოცოცხლდა და, მეორე გამოცემის საბით ხელახლა გაჩნდა, ეს ეპვმიუტანელი მგონია. მაიტცენს ის თარიღები მოჰყავს, როდესაც ხელახლა იწყება ყმებზე ლაპარაკი აღმოსავლეთ პრუსიაში, ბრანდენბურგსა და სილეზიაში; ეს ხდება XVI საუკუნის შუა წლებში; იგივე მონაცემები აქვს ჰანსენს შლეზვიგ-ჰოლშტაინისათვის. მაურერი მართალია, როცა ახალ ბატონყმობას შერბილებულ ა

[1] მაიერი ანუ შულცი — შუა საუკუნეებში მამასახლისი კოლონისტი გლეხებისა. რომლებიც გერმანელი ფეოდალების მიერ დაპყრობილ სლავიანთა მიწებზე სახლდებოდნენ გარკვეულ ვალდებულებათა შესრულების პირობით; იგი ხშირად შუამავლის როლში გამოდიოდა ფეოდალსა და გლეხს შორის, რისთვისაც მთელი რიგი უპირატესობით სარგებლობდა (დიდი ფუძე, ვალდებულებათაგან თავისუფლება და ა. შ.) რედ.

უწოდებს, თუკი მას შევადარებთ IX — XI საუკუნეთა ბატონყმობას, რომელიც ჯერ კიდევ ძველგერმანული მონობის გაგრძელებას წარმოადგენდა; მაურერი მართალია აგრეთვე იმ იურიდიულ უფლებათა საკითხში, რომელიც ჰქონდა ბატონს ყმების მიმართ სამართლის კოდექსების თანახმად ჯერ კიდევ XIII საუკუნეში და უფრო გვიანაც. მაგრამ XIII და XIV საუკუნის, ხოლო ჩრდილოეთ გერმანიაში XV საუკუნის, გლეხთა ფ ა ქ ტ ი უ რ მდგომარეობასთან შედარებით, ახალი ბატონყმობა ყველაფერი იყო, რაც გნებავთ, ოღონდ არა შერბილება. განსაკუთრებით კი ოცდაათწლიანი ომის შემდეგ! აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ შუა საუკუნეებში მებეგრეობისა და ბატონყმობის იმდენი ხარისხები არსებობდა, რომ «საქსონიის სარკე» [1] უარს ამბობს ყმების უფლებაზე ილაპარაკოს,—ოცდაათწლიანი ომის შემდეგ საქმე საოცრად შარტივდება. მოკლედ, მე მოუთმენლად მოვგლი შენს აზრს...

ფ. ენგელსი — ფ. მერინგს

1893 წ. 14 ივლისი

წიგნის შესახებ კი საერთოდ მე შემიძლია მხოლოდ გავიმეორო ის, რაც არაერთხელ მითქვამს სტატიების თაობაზე, როდესაც ისინი «Neue Zeit-ში[2] ქვეყნდებოდა; ეს წიგნი ერთ-ერთი საუკეთესო გადმოცემაა, ყველა მათ შორის, რაც კი არსებობს პრუსიის სახელმწიფოს გენეზისის შესახებ, შემიძლია ვთქვა, რომ იგი არის ერთადერთი კარგი გადმოცემა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დაწვრილებით და სწორად ხსნის ყველა ურთიერთკავშირს; სამწუხაროა მხოლოდ, რომ თქვენ მაშინვე ერთბაშად არ მოჰკიდეთ ხელი მთელ შემდგომ განვითარებასაც თვით ბისმარკამდე; მე უნებურად იმედი მებადება, რომ თქვენ ამასაც გააკეთებთ მომავალში და მოგვცემთ საერთო სურათს, რომელშიც მწყობრად იქნება გად-

[1] «ს ა ქ ს ო ნ ი ი ს ს ა რ კ ე» შუა საუკუნებრივი გერმანული სამართლის წიგნი, რომელშიც ჩაწერილი იყო ადგილობრივი (საქსონური) ადათობრივი სამართალი. რ ე დ.

[2] ლაპარაკია ფ. მერინგის შრომაზე «ლეგენდა ლესინგის შესახებ», რომელიც 1892 წ. იბეჭდებოდა მთელი რიგი წერილების სახით გერმანიის სოციალ-დემოკრატიის თეორიულ ორგანოში «Die Neue Zeit» («ახალი დროება»), ხოლო 1893 წ. ცალკე გამოცემის სახით გამოვიდა. არსებობს ამ შრომის რუსული თარგმანი. რ ე დ.

მოცემული მთელი ისტორია დაწყებული კურფიურსტ ფრიდრიხ-ვილჰელმიდან და გათავებული მოხუცი ვილჰელმით. თქვენ წინასწარი სამუშაო უკვე ჩატარებული გაქვთ და, ძირითად საკითხებში მაინც, შეიძლება ითქვას, საბოლოოდაც. ეს კი უნდა გაკეთდეს, მანამდე, ვიდრე მთელი მოძველებული ნაგებობა დაემხობოდეს. თუმცა მონარქიულ-პატრიოტული ლეგენდების დამსხვრევა არც წარმოადგენს აბსოლუტურად აუცილებელ წინაპირობას იმ მონარქიის მოსასპობად, რომელიც კლასობრივ ბატონობას ნიღბავს (ვინაიდან წ მ ი ნ დ ა, ბურჟუაზიული რესპუბლიკა გერმანიაში — ვიდრე წარმოშობას მოასწრებდა — უკვე გავლილი ეტაპი აღმოჩნდა), მაგრამ იგი მაინც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერად მომქმედ ბერკეტს ამგვარი მოსპობისათვის.

მაშინ თქვენ უფრო მეტი გასაქანი და უფრო მეტი სპეციალური საბაბი გექნებათ იმისათვის, რომ გამოხატოთ პრუსიის ადგილობრივი ისტორია, როგორც საერთოდ გერმანიის უბადრუკი ბედის ნაწილი. აი სწორედ ეს არის ის პუნქტი, რომელშიაც მე ცოტა არ იყოს თქვენ არ გეთანხმებით. სახელდობრ, გერმანიის დაქუცმაცებისა და XVI საუკუნის გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხების მიზეზების თქვენს გაგებაში. თუ ჩემი «გლეხთა ომის» ისტორიული შესავლის ხელახლა გადამუშავების შემთხვევა მომეცა, რაც, იმედი მაქვს, მომავალ ზამთარს მოხდება, მაშინ შევძლებ განვავითარო იქ სათანადო მომენტები. იმიტომ კი არა, რომ მე თქვენს მიერ მოყვანილ მიზეზებს არასწორად ვთვლიდე, არამედ მათ გვერდით მე ვაყენებ სხვა მიზეზებსაც და რამდენადმე სხვაგვარად ვაჯგუფებ მათ.

როდესაც ვსწავლობდი გერმანიის ისტორიას, რომელიც ერთ მთლიან უბადრუკობას წარმოადგენს, მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ მხოლოდ საფრანგეთის ისტორიის სათანადო ეპოქებთან შედარება გვაძლევს სწორ საზომს, ვინაიდან იქ სწორედ იმის საწინააღმდეგო ხდება, რაც ჩვენში. იქ ნაციონალური სახელმწიფოს წარმოშობა ხდება ფეოდალური სახელმწიფოს **disjecta membra**[1] -დან. ჩვენში კი ამ დროს სწორედ ყველაზე უკიდურესი დაცემულობის პერიოდია. იქ — იშვიათი ობიექტური ლოგიკა არის მთელი პროცესის მსვლელობაში, ჩვენში კი — სულ უფრო და უფრო უიმედო რღვევა. იქ — შუა საუკუნეების პერიოდში უცხოელთა შემოსევა ინგლისელი დამპყრობლის სახით არის წარმოდგენილი, რომელიც პროვან-

[1] ლათ. — გაფანტული ნაწილები. რ ე დ.

სული ეროვნების სასარგებლოდ ერევა ჩრდილო-ფრანგული ეროვნების წინააღმდეგ. ფრანგებისთვის ინგლისელებთან ომები[1] თავისებურ ოცდაათწლიან ომს წარმოადგენენ, მაგრამ იქ ეს ომები უცხოელი ინტერვენტების განდევნითა და სამხრეთის ჩრდილოეთისადმი დამორჩილებით მთავრდება. შემდეგ ამას მოსდევს ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლა უცხო სამფლობელოებზე დაყრდნობილი თავისი ბურგუნდიელი ვასალის წინააღმდეგ, რომლის როლიც ბრანდენბურგ-პრუსიის როლს შეესატყვისება, მაგრამ ეს ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების გამარჯვებით და ნაციონალური სახელმწიფოს შექმნით მთავრდება. ჩვენში კი სწორედ ამ მომენტში ნაციონალური სახელმწიფო საბოლოოდ ირღვევა (თუკი «გერმანულ სამეფოს» წმინდა რომის იმპერიის ფარგლებში შეიძლება ვუწოდოთ ნაციონალური სახელმწიფო) და იწყება გერმანიის მიწების გაძარცვა დიდი მასშტაბით. ეს გერმანელებისათვის უაღრესად სამარცხვინო შედარებაა, მაგრამ მით უფრო ჭკუის სასწავლებელია, და მას შემდეგ, რაც ჩვენმა მუშებმა გერმანია კვლავ ისტორიული მოძრაობის პირველ რიგებში ჩააყენეს, ჩვენ შეგვიძლია რამდენადმე უფრო ადვილად გადავყლაპოთ წარსულის სირცხვილი.

გერმანიის განვითარების განსაკუთრებით განმასხვავებელ ნიშანს ისიც წარმოადგენს, რომ იმპერიის ორივე შემადგენელი ნაწილიდან, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს შორის გაიყვეს მთელი გერმანია, არც ერთი არაა წმინდა გერმანული; ისინი წარმოადგენდნენ კოლონიებს დაპყრობილ სლავურ მიწებზე; ავსტრია იყო ბავარიის კოლონია, ბრანდენბურგი — საქსონიისა; და ძალაუფლება მათ თ ვ ი თ გერმანიაში მხოლოდ იმით მოიპოვეს, რომ თავიანთ უცხო, არაგერმანულ სამფლობელოებს ეყრდნობოდნენ: ავსტრია — უნგრეთს (ალარაფერს ვამბობთ ბოჰემიაზე), ბრანდენბურგი — პრუსიას. დასავლეთის საზღვარზე, რომელსაც ყველაზე მეტი ხიფათი მოელოდა, ამის მსგავსი არაფერი ყოფილა, ჩრდილოეთის საზღვარზე გერმანიის დაცვა დანიელებისაგან თვითონ დანიელებსვე მიანდეს, ხოლო სამხრეთი იმდენად ნაკლებ საჭიროებდა დაცვას, რომ მათ, ვისაც უნდა დაეცვათ საზღვრები — შვეიცარიელებმა, თვითონვე შესძლეს გერმანიას გამოჰყოფოდნენ!

---

[1] მხედველობაშია ეგრეთწოდებული ასწლიანი ომი ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა ინგლისელ ფეოდალთა არაერთგზის შემოსევებს საფრანგეთის ტერიტორიაზე და რომელიც ზოგიერთი შესვენებებით 1337 წლიდან 1453 წ. გაგრძელდა. — რ ე დ.

ფ. ენგელსი — კ. კაუცკის

1895 წ. 21 მაისი

შენი წიგნის შესახებ[1] ის შემიძლია ვთქვა, რომ იგი თანდათან უკეთესი ხდება. პლატონი და ადრინდელი ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად გარჩეული, თავდაპირველი გეგმის თანახმად, შუასაუკუნეების სექტები უკვე გაცილებით უკეთესია, ხოლო შემდეგ მიდის crescendo[2]. ყველაზე უკეთესია, თაბორელები მიუნცერი, ანაბაპტისტები. ბევრ ადგილას მოცემულია პოლიტიკური ამბების ფრიად სერიოზული ეკონომიური დასაბუთება, მაგრამ ამასთან ერთად მოიპოვება ზოგადი გაცვეთილი ადგილები, იქ, სადაც მეღავნდება საგნის არასაკმაო ცოდნა. ამ წიგნიდან მე ბევრი რამ ვისწავლე: ჩემი «გლეხთა ომის» გადასამუშავებლად ის აუცილებელ მასალას წარმოადგენს. მე მგონია, რომ მთავარი შეცდომა ორია: 1) ფრიად არასაკმარისად არის გამოკვლეული განვითარება და როლი იმ სავსებით ფეოდალურ-წოდებრივი სტრუქტურის გარეთ მდგომი, დეკლასირებული, თითქმის პარიების მდგომარეობაში მყოფი ელემენტებისა, რომელთა გაჩენა აუცილებელი იყო ყოველი ქალაქის შექმნისას და რომლებიც შუა საუკუნეებში ყოველი ქალაქის მოსახლეობის ყველაზე დაბალ, უუფლებო ფენას შეადგენდნენ და თემისაგან, ფეოდალური დამოკიდებულებისა და საამქრო კაკშირისაგან თავისუფალი იყვნენ. ასეთი გამოკვლევა ძნელი საქმეა, მაგრამ იგი მ თ ა ვ ა რ ი ბ ა ზ ი ს ი ა, იმიტომ რომ თანდათანობით ფეოდალური ურთიერთობის დაშლასთან ერთად იქმნება ის წ ი ნ ა პროლეტარიატი, რომელმაც 1789 წელს პარიზის გარეუბნებში რევოლუცია მოახდინა, შეიწოვა რა ფეოდალური და ამქრული საზოგადოებიდან განკიცხულ-განდევნილნი. შენ ლაპარაკობ პროლეტარებზე — ეს გამოთქმა შეუფერებელია — და აქ ფეიქრებსაც ურთავ; რომელთა დიდ მნიშვნელობას სრულიად სწორად გამოხატავ; — მხოლოდ მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც გაჩნდნენ დეკლასირებული, არაამქრული მოჯამაგირე ფეიქრები და რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ასეთები არსებობდნენ, მხოლოდ ამდენად შეგიძლია ისინი შენს, «პროლეტარიატს» მიაკუთვნო. აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის საბოლოოდ დასამუშავებელი.

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს კაუცკის წიგნი «უახლესი სოციალიზმის წინამორბედნი». რ ე დ.

[2] — სულ უფრო მზარდი ძალით. რ ე დ.

2) შენ ბოლომდე ვერ ჩასწვდი მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე, — რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი, — გერმანიის საერთაშორისო ეკონომიურ მდგომარეობას XV ს. დამლევს. მ ხ ო-ლ ო დ ამ მდგომარეობით აიხსნება ის, თუ რატომ იყო, რომ ბურჟუაზიულ-პლებეურ მოძრაობას რელიგიური ფორმით, რომელიც ინგლისში, ნიდერლანდიაში, ბოჰემიაში დამარცხდა, XVI საუკუნეში შეეძლო გ ა რ კ ვ ე უ ლ ი წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ჰქონოდა: გერმანიაში ეს არის წარმატება მისი რ ე ლ ი გ ი უ რ ი ს ა მ ო ს ე ლ ი ს ა, მაშინ როდესაც ბურჟუაზიული შინაარსის წარმატება მომდევნო საუკუნეს და იმ ქვეყნებს ხვდა წილად, რომლებიც მსოფლიო ბაზრის იმდროისათვის წარმოშობილი ახალი მიმართულებით მდებარეობდნენ: ჰოლანდიასა და ინგლისს. ეს ფართო თემაა, რომელსაც, მე ვიმედოვნებ, ვრცლად გადმოვცემ «გლეხთა ომში», ოღონდ კი საამისოდ მოვიცლიდე!..

IV

ფრიდრიხ ენგელსის ხელნაწერი მეშეკვიდრეობიდან

ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ [1]

იმ დროს, როდესაც გაბატონებული ფეოდალური თავადაზნაურობის გაშმაგებული ბრძოლები ხმაურით ავსებდნენ შუა საუკუნეებს, ჩაგრული კლასების შეუმჩნეველი მუშაობა ძირს უთხრიდა ფეოდალურ სისტემას მთელ დასავლეთ ევროპაში და ისეთ პირობებს ქმნიდა, რომელშიც ფეოდალს სულ უფრო და უფრო მცირე ადგილი რჩებოდა. მართალია, სოფელში ფეოდალები ჯერ კიდევ ფარფაშობდნენ, სტანჯავდნენ ყმა გლეხებს, ფუფუნებით ცხოვრობდნენ მათი ოფლისა და სისხლის ხარჯზე, თელავდნენ მათს ნათესებს, აუპატიურებდნენ მათს ცოლებსა და ქალიშვილებს. მაგრამ ყველგან უკვე იზრდებოდა ქალაქები; იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში, რაინზე ფერფლით აღსდგა ძველრომაელთა მუნიციპიუმები; სხვაგან, განსაკუთრებით შიდა გერმანიაში, იქმნებოდა ახალი ქალაქები, რომლებიც ყოველთვის გარშემორტყმული იყო ციხე-გალავნებით და სანგრებით; ისინი გაცილებით უფრო მიუვალ ციხეებს წარმოადგენდნენ, ვიდრე თავადაზნაურობის ციხე-კოშკები, ვინაიდან მათი აღება შეიძლებოდა მხოლოდ დიდძალი ჯარების მეშვეობით. ამ ზღუდეებს და სანგრებს იქით განვითარდა შუასაუკუნებრივი ხელოსნობა, — მართალია, მნიშვნელოვნად გაღენთილი ბიურგერული ამქრული სულისკვეთებითა და წვრილმანობით, — მიმდინარეობდა კაპიტალის პირვანდელი დაგროვება, წარმოიშვა ქალაქების ურთიერთ შორის და დანარჩენ მსოფლიოსთან ვაჭრობის მოთხოვნილება, ხოლო საგაჭრო ურთიერთობის მოთხოვნილებასთან ერთად თანდათანობით იქმნებოდა აგრეთვე სახსრები მათ დასაცავად.

---

[1] ხელნაწერი ნაწყვეტის სათაური მიცემულია რედაქციის მიერ, ვინაიდან ენგელსის ხელთნაწერს სათაური აკლდა. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებებში (ტ. XVI, ნ. 1) ეს ნაწყვეტი გამოქვეყნებული იყო რედაქციის მიერ მიცემული სათაურით: «ფეოდალიზმის დაშლისა და ბურჟუაზიის განვითარების შესახებ». რ ე დ.

XV საუკუნეში ქალაქელი ბიურგერები უკვე საზოგადოებისთვის უფრო მეტ საჭიროებას წარმოადგენდნენ, ვიდრე ფეოდალური თავადაზნაურობა. მართალია, მიწათმოქმედება ჯერ კიდევ წარმოების მთავარ დარგს წარმოადგენდა, მასში ჩაბმული იყო მოსახლეობის მთავარი მასა. მაგრამ თავისუფალ გლეხთა მცირე რაოდენობა, რომელიც, მიუხედავად თავადაზნაურობის მხრივ ხელყოფისა, აქა-იქ შემორჩენილიყო, საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობდა, რომ მიწათმოქმედებაში საქმე თავადაზნაურობის მუქთახორობასა და გამოძალვაში კი არ მდგომარეობდა, არამედ გლეხის შრომაში. ამასთან თავადაზნაურობის მოთხოვნილებებიც იმდენად გაიზარდა და შეიცვალა, რომ მისთვისაც აუცილებელი გახდა ქალაქები; თავის ერთადერთ წარმოების იარაღს—აბჯარსა და საჭურველს—იგიც ხომ ქალაქიდან იღებდა! მაუდს, ავეჯს და სამკაულს, რომლებსაც ქვეყნის შიგნით ამზადებდნენ, იტალიურ აბრეშუმს, ბრაბანტის მაქმანს, ჩრდილოეთის ბეწვეულს, არაბულ სუნამოს, აღმოსავლურ ხილს, ინდოეთის სანელებელს, — ყოველივე ამას, საპნის გამოკლებით, იგი ქალაქელებისაგან იძენდა. განვითარდა ერთგვარი მსოფლიო ვაჭრობა; იტალიელები ხმელთაშუა ზღვაზე ნაოსნობდნენ და მის საზღვრებსაც სცილდებოდნენ, ატლანტიკური ოკეანის გასწვრივ დასცურავდნენ და ფლანდრიის ნაპირებს აღწევდნენ; ჩრდილოეთსა და ბალტიის ზღვაზე, მიუხედავად ჰოლანდიელებისა და ინგლისელების მზარდი მეტოქეობისა, ჯერ კიდევ ჰანზელები ბატონობდნენ. საზღვაო ვაჭრობის ჩრდილო და სამხრეთ ცენტრებს შორის კავშირი დამყარებული იყო საბმელეთო გზის საშუალებით; გზები, რომელთა მეშვეობითაც მყარდებოდა ეს კავშირი, გერმანიაზე გადიოდა. იმ დროს, როდესაც თავადაზნაურობა სულ უფრო და უფრო ზედმეტი ბარგი ხდებოდა და ხელს უშლიდა განვითარებას, ბიურგერები იქცნენ კლასად, რომელიც განასახიერებდა წარმოებისა და აღებ-მიცემის, განათლებისა და სოციალური და პოლიტიკური დაწესებულებების შემდგომ განვითარებას.

წარმოებისა და აღებ-მიცემის ყველა ამ წარმატებას, მართალია, თანამედროვე წარმოდგენის თანახმად მეტად შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. წარმოება შეზღუდული აღმოჩნდა წმინდა ამქრული ხელოსნობის ფორმებით, მაშასადამე, იგი ჯერ კიდევ თვითონ ინარჩუნებდა ფეოდალურ ხასიათს; ვაჭრობა წარმოებდა ევროპის წყლების ფარგლებში და ვერ ვრცელდებოდა ლევანტის სანაპირო ქალაქებს იქით, სადაც ხდებოდა გაცვლა აღმოსავლეთის უფრო შორეული ქვეყნების პროდუქტებზე. მაგრამ რაგინდ წვრილი და შეზღუ-

დულიც არ უნდა ყოფილიყო ხელოსნობა და მასთან ერთად ბიურგერი-ხელოსანი, მათ მაინც აღმოაჩნდათ იმის უნარი, რომ მოეხდინათ გადატრიალება ფეოდალურ საზოგადოებაში, და ისინი, ასე თუ ისე, მოძრაობაში მაინც იმყოფებოდნენ, მაშინ როდესაც უმოძრაოდ მყოფი თავადაზნაურობა მყაყდებოდა.

ამასთან, ქალაქელ ბიურგერებს ძლიერი იარაღი გააჩნდათ ფეოდალიზმის წინააღმდეგ — ფ უ ლ ი. ადრინდელი შუა საუკუნეების სანიმუშო ფეოდალურ მეურნეობაში ფულისათვის თითქმის სრულებით არ იყო ადგილი. ფეოდალი თავისი ყმებისაგან იღებდა ყოველივეს, რაც კი მას სჭირდებოდა, ან შრომის, ან მზამზარეული პროდუქტის სახით; ქალები ძაფს ახვევდნენ და სელსა თუ შალეულს ქსოვდნენ და ტანსაცმელს ჰკერავდნენ; მამაკაცები მინდვრებს ამუშავებდნენ, ბავშვები მებატონის საქონელს აძოვებდნენ, მისთვის სოკოსა და კენკრს, ფრინველთა ბუდეებს და პირუტყვისათვის ქვეშსაფენს აგროვებდნენ; გარდა ამისა, მთელ ოჯახს კიდევ უნდა მიერთმია ბატონისათვის მარცვლეული, ხილი, კვერცხი, კარაქი, ყველი, ფრინველი, შინაური პირუტყვი და მრავალი სხვა. ყოველი ფეოდალური მეურნეობა თვითონვე იკმაყოფილებდა სავსებით თავის მოთხოვნილებებს; თვით სამხედრო ბეგარასაც კი პროდუქტების სახით ახდევინებდნენ. სავაჭრო ურთიერთობა და აღებ-მიცემა არ იყო, ფული ზედმეტი იყო. ევროპა ისეთ დაბალ დონემდე ჩამოქვეითდა, რომ მას ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა და ფულს მაშინ გაცილებით უფრო ნაკლები საზოგადოებრივი ფუნქცია ჰქონდა, ვიდრე პოლიტიკური: მას იყენებდნენ გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი ს გასასტუმრებლად და მისი მოპოვება უმთავრესად ყ ა ჩ ა ღ ო ბ ი თ ხდებოდა.

ამჟამად ყოველივე ეს სავსებით შეიცვალა. ფული კვლავ იქცა გაცვლის საყოველთაო საშუალებად, და ამის გამო მისი რაოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. უკვე თავადაზნაურობასაც აღარ შეეძლო უმისოდ იოლად წასვლა. სოლო, ვინაიდან თავადაზნაურობას ძლიერ ცოტა ან სრულებითაც არაფერი გააჩნდა გასაყიდი, და ვინაიდან ახლა უკვე ყაჩაღობაც აღარ იყო ადვილი საქმე, — ამიტომაც მას ქალაქელ მევახშისაგან უნდა ესესხნა ფული. რაინდთა ციხე-კოშკების ახალი იარაღით აფეთქებამდე გაცილებით უფრო ადრე, მათ ფულმა მოუშალა საფუძველი. მართლაცდა, დენთი წარმოადგენდა, ასე ვთქვათ, ფულის სამსახურში მყოფ უბრალო სასამართლო აღმასრულებელს. ფული ბიურგერთა

ხელში წარმოადგენდა პოლიტიკური გათანაბრების უაღრესად მნიშვნელოვან იარაღს. ყველგან, სადაც პირადი ურთიერთობა გამოდევნა ფულადმა ურთიერთობამ, ნატურალური ვალდებულებანი — ფულადმა გადასახდელებმა, იქ ფეოდალური ურთიერთობის ადგილს ბურჟუაზიული ურთიერთობა იკავებდა. მართალია, უმრავლეს შემთხვევაში სოფლად განაგრძობდა არსებობას ძველებური ტლანქი ნატურალური მეურნეობა; მაგრამ უკვე გაჩნდა მთელი ოლქები, როგორც, მაგალითად, ჰოლანდიაში, ბელგიასა და ქვემო რაინზე, სადაც გლეხები, ნაცვლად საბატონო სამუშაოებისა და ნატურალური გამოსაღებისა, ფულს უხდიდნენ მებატონეებს, სადაც მებატონეებმა და ქვეშევრდომებმა უკვე გადამწყვეტი ნაბიჯი გადასდგეს, რათა მიწათმფლობელები და მოიჯარეები გამხდარიყვნენ, და სადაც, მაშასადამე, ფეოდალიზმის პოლიტიკურ დაწესებულებებს სოფელშიაც უკვე ფეხქვეშ ეცლებოდა მათი საზოგადოებრივი ნიადაგი.

თუ რაოდენ ღრმად გამოუთხარა ფულმა ძირი და შიგნიდან გამოფიტა ფეოდალიზმი XV საუკუნის დამლევისათვის, ნათლად სჩანს იქიდან, რომ ამ დროისათვის დასავლეთი ევროპა ხარბად დაეწაფა ფულს. ოქროს ეძებდნენ პორტუგალელები აფრიკის სანაპიროებზე, ინდოეთში, მთელს შორეულ აღმოსავლეთში; ოქრო იყო ის გრძნეული სიტყვა, რომელიც ესპანელებს ატლანტიკის ოკეანეს მიღმა — ამერიკაში ერეკებოდა; ოქროს მოითხოვდა უწინარეს ყოვლისა თეთრკანიანი, როგორც კი ახლადაღმოჩენილ ნაპირზე გადმოვიდოდა. ეს ლტოლვა შორეული მოგზაურობის და თავგადასავლისადმი ფულის საშოვნელად, თუმცა პირველად კიდეც ხორციელდებოდა ფეოდალური თუ ნახევრადფეოდალური ფორმებით, მაგრამ სრულიად შეუთავსებელი იყო ფეოდალიზმთან, რომლის საფუძველს მიწათმოქმედება შეადგენდა და რომლის დაპყრობითი ლაშქრობანი არსებითად მიწების შეძენას ისახავდნენ მიზნად; ამასთან ზღვაოსნობაც ნამდვილად ბურჟუაზიული საქმიანობა იყო, რომელმაც თავისი ანტიფეოდალური ხასიათი ყველა თანამედროვე სამხედრო ფლოტზე აღბეჭდა.

ამრიგად, XV საუკუნეში ფეოდალური სისტემა მთელ დასავლეთ ევროპაში სრულ დაცემულობას განიცდიდა; ფეოდალურ ოლქებში ყველგან სოლივით იყო შეჭრილი ქალაქები, თავისი ანტიფეოდალური ინტერესებით, საკუთარი სამართლითა და შეიარაღებული ბიურგერებით. ამ ქალაქებმა ფულის საშუალებით ნაწილობრივ უკვე მოახერხეს საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ხოლო აქაიქ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, თავიანთ დამოკიდებულებაში

მოექციათ ფეოდალური მებატონეები. სოფელშიც კი, სადაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობების გამო, მიწათმოქმედება უფრო ძლიერ განვითარდა, ფულის გავლენით დაიწყო ძველი ფეოდალური ხუნდების მოშლა; თავადაზნაურობის ბატონობა გრძელდებოდა მხოლოდ ახლადდაპყრობილ ქვეყნებში, როგორიც იყო ოსტელბიის გერმანია, ანდა საერთოდ ჩამორჩენილ, სავაჭრო გზებისაგან მოშორებით მდებარე ადგილებში. მაგრამ, როგორც ქალაქებში, ისე სოფლად, საყოველთაოდ გამრავლდა მოსახლეობის ის ელემენტები, რომლებიც უწინარეს ყოვლისა მოითხოვდნენ, რომ ბოლო მოღებოდა გაუთავებელ უაზრო ომებს, ფეოდალთა შორის შუღლსა და ურთიერთთავდასხმას, რადგან ამას შედეგად მოჰყვებოდა მუდმივი შინაგანი ომი, რომელიც მაშინაც კი არ ცხრებოდა, როდესაც ქვეყანას უცხოელი მტერი აოხრებდა; მოითხოვდნენ ბოლო მოეღოთ იმ განუწყვეტელ და სრულიად აუზრო გაჩანაგებისათვის, რომელიც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. თუმცა ეს ელემენტები თავისთავად მეტად სუსტნი იყვნენ, რომ თავიანთი სურვილები განეხორციელებინათ, მაგრამ მათ ძლიერი მხარდაჭერა ჰპოვეს მთელი ფეოდალური წესწყობილების მწვერვალის — მეფის ხელისუფლების მხრივ. ხოლო აქ არის სწორედ ის პუნქტი, როდესაც ჩვენ საზოგადოებრივი ურთიერთობის განხილვიდან სახელმწიფო ურთიერთობის საკითხებში ვიჭრებით, სადაც ეკონომიკის დარგიდან პოლიტიკის დარგში გადავდივართ.

ადრინდელი შუა საუკუნეების ხალხთა აღრევისაგან თანდათან ახალი ერები განვითარდნენ. ეს ის პროცესია, რომლის დროსაც, როგორც ცნობილია, უმრავლეს შემთხვევებში, ყოფილი რომის პროვინციათა დამარცხებული მოსახლეობის — გლეხებისა და ქალაქელების — მიერ გამარჯვებულთა — გერმანელ დამპყრობთა — ასიმილირება ხდებოდა. მაშასადამე, თანამედროვე ერები აგრეთვე წარმოადგენენ ჩაგრული კლასების პროდუქტს. თუ რა წესით ხდებოდა ერთგან შერწყმა, მეორეგან საზღვრების გამიჯვნა, ამას თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მენკეს* მიერ შედგენილი შუა ლოთარინგიის ოლქების რუკა. საკმარისია ამ რუკაზე უბრალოდ თვალი გავაყოლოთ იმ საზღვარს, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს რომანული და

* შპრუნერ-მენკე. შუასაუკუნეებისა და ახალი დროის ისტორიის სასწავლო ატლასი, მე-3 გამოც. გოთა 1874. რუკა № 32 [Spruner-Menke, Hand-Atlas für die Geschichte des Mittelalters und der neueren Zeit, 3 Aufl., Gotha 1874. Karte № 32] ენგელსის შენიშვნა.

გერმანული სახელწოდებების მქონე ადგილებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს საზღვარი ბელგიასა და ქვემო ლოთარინგიაში საერთოდ ემთხვევა ასობით წლების მანძილზე არსებულ საზღვარს ფრანგულ და გერმანულ ენებს შორის. აქა-იქ კიდევ რჩება ვიწრო ზოლი, რომელიც დავას იწვევს და სადაც ორივე ენა უპირატესობისათვის იბრძვის; მაგრამ საერთოდ სავსებით ნათელია, თუ რომელი უნდა დარჩეს გერმანულ და რომელი რომანულ ოლქებად. რუკაზე ადგილების სახელწოდებათა ძველი ქვემოფრანკული და ძველი ზემოგერმანული ფორმა მოწმობს იმას, რომ ისინი IX საუკუნეს, ან სულ დიდი X საუკუნეს მიეკუთვნებიან, რომ, მაშასადამე, კაროლინგების დროს საზღვარი არსებითად უკვე გავლებული იყო. რომანულ მხარეს, განსაკუთრებით იმ ადგილების მახლობლად, სადაც ენების საზღვარი გადის, გვხვდება შერეული სახელწოდებანი, რომლებიც შედგენილია გერმანული სახელებისა და რომანული ადგილის მაჩვენებლისაგან, მაგალითად მაასის დასავლეთით, ვერდენის მახლობლად, გვხვდება: **Eppoe curtis, Rotfridi curtis, Ingolini curtis, Teudegisilo villa,** ამჟამად იპეკური, რეკურლა-კრე, ამბლენკურ-სიურ-ერი, ტიერვილი. ეს იყო ფრანკ ფეოდალთა ადგილსამყოფელოები, წვრილი გერმანული კოლონიები რომანულ მიწა-წყალზე, რომლებიც ადრე თუ გვიან გარომანელებას განიცდიდნენ. ქალაქებსა და ცალკეულ სასოფლო ადგილებში არსებობდნენ უფრო ძლიერი გერმანული კოლონიები, რომლებმაც თავიანთი ენა უფრო დიდ ხანს შეინარჩუნეს. ასეთი კოლონიიდან გავრცელდა, მაგალითად, ჯერ კიდევ IX საუკუნეში «სიმღერა ლუდოვიკოზე» [1]; ფრანკ ფეოდალთა დიდი ნაწილი რომ უფრო ადრე იყო გარომანებული, ამას მოწმობენ 812 წლის მეფეებისა და დიდებულთა ფიცისდადების ფორმულები, სადაც რომანული ენა უკვე ფრანკთა სამეფოს ოფიციალურ ენად გვევლინება.

როგორც კი მოხდა ენების მიხედვით ხალხთა ჯგუფების გამიჯვნა (განზე ვტოვებთ გვიანდელ დაპყრობითსა და გამაპარტახებელ ომებს, როგორიც სწარმოებდა, მაგალითად, ლაბისპირელი სლავების[2] წინააღმდეგ), ბუნებრივია, რომ ეს საფუძვლად დაედო სახელ-

---

[1] «სიმღერა ლუდოვიკოზე» («Ludwigslied») — რაინულ-ფრანკულ დიალექტზე ჩაწერილი თქმულება დასავლეთ ფრანკთა მეფე ლუდოვიკო III-ის (კაროლინგთა დინასტიიდან) და მის მიერ 881 წ. ნორმანების დამარცხების შესახებ. რედ.

[2] ლაბისპირელი სლავები — სლავური ტომები და ეროვნებანი, რომლებიც მდინარე ლაბის (გერმანულად ელბის) აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ; ამ

მწიფოთა ჩამოყალიბებას და ეროვნებებმაც იწყეს ერებად განვითარება. თუ რაოდენ ძლიერი იყო ეს სტიქიური პროცესი უკვე IX საუკუნეში, ამას მოწმობს ლოთარინგიის შერეული სახელმწიფოს სწრაფი დაშლა. მართალია, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ენების საზღვრები და სახელმწიფოთა საზღვრები სრულებითაც არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ევროპის თვითეული ეროვნება, მართოოდენ იტალიის გამოკლებით, განსაკუთრებული მსხვილი სახელმწიფოს სახით იყო წარმოდგენილი ევროპაში და ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების ტენდენცია, რომელიც სულ უფრო მკაფიოდ და შეგნებულად გამოსჭვიოდა, წარმოადგენდა პროგრესის ერთერთ ყველაზე არსებით ბერკეტს შუა საუკუნეებში.

თვითეულ ამ შუასაუკუნებრივ სახელმწიფოში მეფე წარმოადგენდა მთელი ფეოდალური იერარქიის მწვერვალს, ურომლისოდაც ვასალებს არსებობა არ შეეძლოთ და რომლის წინააღმდეგაც ისინი ამავე დროს უთვალავ ამბოხებებს აწყობდნენ. მთელი ფეოდალური მეურნეობის ძირითადი ურთიერთობა — მიწის პატრონყმური წესით გაცემა გარკვეული პირადი სამსახურისა და გამოსაღებთა სამაგიეროდ—უკვე თავისი თავდაპირველი, უმარტივესი სახით საკმაო საბაბს იძლეოდა დავისათვის, განსაკუთრებით როდესაც ყველანი დაინტერესებულნი იყვნენ შუღლის საბაბი ეპოვნათ. მაშ რაღა უნდა ყოფილიყო გვიან შუასაუკუნეების დროს, როდესაც პატრონყმური ურთიერთობა ყველა ქვეყანაში წარმოადგენდა იმ ნაწყალობევ, წართმეულ, კვლავ ნაბოძებ, დანაშაულისთვის ჩამორთმეულ, შეცვლილ ან რაიმე სხვა საშუალებით გაპირობებულ უფლება-მოვალეობათა ხლართს, რომლის დაშლა ყოვლად შეუძლებელი იყო? კარლოს მამაცი, მაგალითად, თავისი მიწების ერთ ნაწილს ფლობდა როგორც იმპერატორის ყმა, მეორე ნაწილს — როგორც საფრანგეთის მეფის ყმა; მეორე მხრივ, საფრანგეთის მეფე, კარლოს მამაცის სიუზერენი, გარკვეულ ოლქებში გამოდიოდა როგორც კარლოს მამაცის, თავისი საკუთარი ვასალის, ყმა. როგორღა შეიძლებოდა ასეთ პირობებში კონფლიქტების თავიდან აცილება? ამიტომაა, რომ საუკუნეების მანძილზე მიზიდულების ცვალებადი ძალით მიისწრაფვიან ვასალები სამეფო ცენტრისაკენ, რომელსაც ერთადერთს შეეძლო დაეცვა ისინი გარეშე მტერთა და ურთიერთ

ოლქების დაპყრობა გერმანელი ფეოდალების მიერ (X — XIV ს. ს.) უაღრესად სასტიკი მეთოდებით ხორციელდებოდა; იმის წინაშეც კი არ იხევდნენ უკან, რომ სათითაოდ შეემუსრათ ცალკეული სლავური ტომები; შემორჩენილ მოსახლეობას ყმებად აქცევდნენ და ძალდატანებით აგერმანელებდნენ.

თავდასხმებისაგან, და რომ იგი მუდამ და აუცილებლად იქცევა ამ ცენტრისაგან მათ განმზიდველ ძალად. აქედან — განუწყვეტელი ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და ვასალებს შორის; ამ ბრძოლებმა გამაყრუებელი ხმაურით აავსეს ის ხანგრძლივი პერიოდი, რომლის დროსაც თავისუფალი მამაკაცის ერთადერთ საკადრის შემოსავლის წყაროს ყაჩაღობა შეადგენდა. აქედან წარმოდგებოდა გაუთავებელი ღალატი, მუხანათური მკვლელობა და მოწამლვა, მზაკვრული ინტრიგები, ის წარმოუდგენელი და გაუთავებელი სისაძაგლე, რომლის საფარი იყო რაინდობის პოეტური სახელი და რომლის დროსაც ყველას პატიოსნება და ერთგულება ეკერა პირზე.

მთელი ამ არევ-დარევის დროს სამეფო ხელისუფლება რომ პროგრესულ ელემენტს შეადგენდა, ეს სავსებით ცხადია. იგი იყო წესრიგის წარმომადგენელი ამ საყოველთაო არეულობის ხანაში, იგი იყო წარმომადგენელი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისა, რომელიც მეამბოხე ვასალურ სახელმწიფოებად დაქუცმაცებას უპირისპირდებოდა. ყველა რევოლუციური ელემენტი, რომელიც ფეოდალიზმის ზედაპირზე იქმნებოდა, ისევე მიისწრაფოდა სამეფო ხელისუფლებისაკენ, როგორც სამეფო ხელისუფლება მათკენ. კავშირი მეფის ხელისუფლებასა და ბიურგერობას შორის X საუკუნით თარიღდება. მართალია ეს კავშირი ხშირად წყდებოდა კონფლიქტების გამო,—ხომ მართალია, რომ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში განვითარება განუწყვეტლად, ერთი მიმართულებით არ მიდიოდა, მაგრამ იგი სულ მუდამ ახლდებოდა და ამასთან უფრო მტკიცე, უფრო ძლიერი ხდებოდა, ვიდრე მან გადამწყვეტი გამარჯვება არ მოუტანა სამეფო ხელისუფლებას, რომელმაც მადლობის ნიშნად თავისი მოკავშირე დაიმონა და გაძარცვა.

როგორც მეფეებმა, ისევე ბიურგერებმა ძლიერი მხარდაჭერა ჰპოვეს ი უ რ ი ს ტ თ ა აღმომავალი წოდების სახით. რომის სამართლის ხელახლა აღმოჩენასთან ერთად დაწესდა შრომის განაწილება ხუცებსა — ფეოდალური ეპოქის იურიდიულ კონსულტანტებსა — და მეცნიერ იურისტთა შორის, რომლებიც სასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდნენ. ეს ახალი იურისტები, რა თქმა უნდა, თავისი არსით ბიურგერთა წოდებას ეკუთვნოდნენ; ამასთან თავისთავად ის სამართალიც, რომელსაც ისინი თვითონ სწავლობდნენ, რომელსაც სხვებს ასწავლიდნენ და რომელსაც იყენებდნენ, თავისი ხასიათით უმთავრესად ანტიფეოდალური და, გარკვეული მხრივ, ბურჟუაზიული იყო. იმ საზოგადოებისათვის, რომელშიც წმინდა კერძო

საკუთრებაა გაბატონებული, რომის სამართალი წარმოადგენს სასიცოცხლო პირობებისა და კონფლიქტების იმდენად კლასიკურ იურიდიულ გამოხატულებას, რომ მთელს მერმინდელ კანონმდებლობას აღარ შეეძლო მასში რაიმე არსებითი გაუმჯობესების შეტანა. მაგრამ შუა საუკუნეების ბურჟუაზიული საკუთრება ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო შებოჭილი ფეოდალური შეზღუდვებით, იგი, მაგალითად, უმთავრესად პრივილეგიებისაგან შედგებოდა. ამრიგად, ამ თვალსაზრისით რომის სამართალი იმდროინდელ სამოქალაქო ურთიერთობასთან შედარებით ბევრად წინ იყო წასული. ბურჟუაზიული საკუთრების შემდგომი ისტორიული განვითარება შეიძლებოდა მხოლოდ ის ყოფილიყო, რომ იგი, როგორც ეს კიდევაც მოხდა, წმინდა კერძო საკუთრებად განვითარებულიყო. ამ განვითარებას ძლიერი ბერკეტი უნდა ეპოვნა რომის სამართალში, რომელიც განვითარებული სახით უკვე შეიცავდა ყოველივე იმას, რისკენაც გვიან შუა საუკუნეების ბიურგერობა მხოლოდ შეუგნებლად მიისწრაფოდა.

მართალია, უამრავ ცალკეულ შემთხვევაში რომის სამართალი მხოლოდ საბაბს აძლევდა თავადაზნაურობას გლეხთა უფრო ძლიერი ჩაგვრისათვის, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხებს არ შეეძლოთ არავითარი დამადასტურებელი წერილობითი საბუთი წარმოედგინათ, იმის შესახებ, რომ ისინი თავისუფალი არიან ჩვეულებით განსაზღვრული ვალდებულებებისაგან, — მაგრამ არსებითად ეს საქმეს როდი ცვლიდა. თავადაზნაურობა რომის სამართლის გარეშეც საკმარისად მოძებნიდა ამგვარ საბაბს და კიდევაც პოულობდა მას ყოველდღიურად. ყოველ შემთხვევაში, დიდი პროგრესი იყო ის, რომ ძალაში შევიდა ისეთი სამართალი, რომელიც ფეოდალურ ურთიერთობას აბსოლუტურად არ იცნობდა და რომელმაც საკუთრებით წინასწარ განჭვრიტა თანამედროვე კერძო საკუთრება.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ხდებოდა თავადაზნაურობა ეკონომიური თვალსაზრისით ზედმეტ ბარგად, აშკარა დაბრკოლებად გვიან შუასაუკუნებრივი საზოგადოებისათვის, თუ როგორ ეღობებოდა იგი წინ აგრეთვე პოლიტიკურად ქალაქების განვითარებასაც და ნაციონალური სახელმწიფოს განვითარებასაც, რომელიც მაშინ მხოლოდ მონარქიული ფორმით იყო შესაძლებელი. მიუხედავად ყოველივე ამისა, თავადაზნაურობას ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ იგი ჯერჯერობით ინარჩუნებდა მონოპოლიას სამხედრო საქმეში, რომ უმისოდ შეუძლებელი იყო ომის წარმოება, შეუძლებელი იყო ბრძოლების გამართვა. ამ მხრივაც მდგომარეობა უნდა

შეცვლილიყო: უნდა გადადგმულიყო უკანასკნელი ნაბიჯი, რათა ფეოდალურ თავადაზნაურობას შეეგნო, რომ ბოლო მოეღო იმ პერიოდს, როდესაც იგი გაბატონებული იყო საზოგადოებასა და სახელმწიფოში, რომ ბრძოლის ველზეც კი თავადაზნაურობა, როგორც რაინდობა, საჭიროებას აღარ წარმოადგენს.

ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება იმ ჯარების საშუალებით, რომლებიც თვითონ წარმოადგენდნენ ფეოდალურ ლაშქარს, სადაც ჯარისკაცები უფრო მეტიდროდ იყვნენ დაკავშირებული თავიანთ უშუალო სიუზერენებთან, ვიდრე მეფის არმიის მეთაურებთან — ეს უსათუოდ ნიშნავდა მოჯადოებულ წრეში ტრიალს და ერთი და იმავე ადგილის ტკეპნას. XIV საუკუნის დასაწყისიდან მეფეები ცდილობენ თავი დააღწიონ ამ ფეოდალურ ლაშქარს და შექმნან საკუთარი ჯარი. ამ დროიდან მეფის არმიებში ჩვენ ვხვდებით ჯარის სულ უფრო მზარდ ნაწილებს, რომლებიც შეკრებილ ლაშქარს, ანდა დაქირავებულ არმიას წარმოადგენდნენ. თავდაპირველად ეს იყო უმთავრესად ქვეითი ჯარი, რომელიც ქალაქის ნაქირალებისა, გამოქცეული ყმაგლეხებისა, ლომბარდიელებისა, გენუელებისა, გერმანელებისა, ბელგიელებისაგან და ა. შ. შედგებოდა. მათ იყენებდნენ ქალაქთა მეციხოვნეებად და ალყის დროს სხვადასხვა სამსახურის გასაწევად. დასწყისში უშუალოდ ბრძოლის ველზე ისინი ნაკლებად გამოდგებოდნენ, მაგრამ უკვე შუა საუკუნეების დასასრულისათვის ჩვენ ვხვდებით აგრეთვე რაინდებს, რომლებიც თავიანთი ვინ იცის რა გზით შეგროვილი რაზმებით, უცხოელ ხელისუფალთა სამსახურში დგებოდნენ, რაც ფეოდალური სამხედრო წყობილების საბოლოო დამარცხების მაუწყებელი იყო.

ამავე დროს იქმნებოდა ძირითადი პირობა ბრძოლისუნარიანი ქვეითი ჯარის შესადგენად ქალაქელებისა და თავისუფალ გლეხთა სახით იქ, სადაც ასეთები ჯერ კიდევ არსებობდნენ, ანდა ის-იყო კვლავ ჩნდებოდნენ. მანამდე კი რაინდობა თავისი ცხენოსანთა რაზმითურთ წარმოადგენდა არა ჯარის ბირთვს, არამედ საკუთრივ ჯარს; ყმა გლეხებისაგან შემდგარი ქვეითი ჯარისკაცების ბრბოები, რომლებიც თან ახლდნენ ამ არმიებს, სათვალავში რდოდი შედიოდა. ისინი თითქოსდა მხოლოდ იმისათვის მიჰყვებოდნენ არმიებს, რათა ბრძოლის ველზე გასვლისას უმალვე დაფანტულიყვნენ, ანდა ძარცვაგლეჯა დაეწყოთ. ვიდრე ფეოდალიზმის აყვავების ხანა გრძელდებოდა, XIII საუკუნის დამლევამდე, ცხენოსანი ჯარი აწარმოებდა ყველა ბრძოლას და წყვეტდა კიდეც მის ბედს. ამ მომენტიდან კი საქმე იცვლება და ამასთანავე ერთდროულად სხვადასხვა ადგი-

ლას. ბატონყმობის თანდათანობითმა გადავარდნამ ინგლისში წარმოშვა თავისუფალ გლეხთა, მიწათმფლობელთა (იომენთა) ან კიდევ მოიჯარეთა მრავალრიცხოვანი კლასი, ხოლო ამით შექმნა ნედლი მასალა ახალი ქვეითი ჯარისათვის, რომელიც გამოწვრთნილი იყო მშვილდისრის — იმდროინდელი ინგლისური, ეროვნული იარაღის — ხმარებაში. ჯარში ამ მოისრეთა ნაწილების შემოღებამ, რომლებიც სულ მუდამ ქვეითად იბრძოდნენ, მიუხედავად იმისა, სარგებლობდნენ ისინი თუ არა გადასვლების დროს ცხენებით, ბიძგი მისცა არსებითი ცვლილების შეტანას ინგლისის ჯარების ტაქტიკაში. XIV საუკუნიდან მოყოლებული ინგლისელი რაინდობა მეტი ხალისით იბრძოდა ქვეითად — იქ, სადაც ადგილი და სხვა პირობები ამის შესაძლებლობას იძლეოდნენ. მოისართა უკან, რომლებიც ბრძოლას იწყებენ და მტრის რიგებში არევ-დარევა შეაქვთ, დგას ცხენებიდან ჩამომხტარი რაინდთა შეკრული ფალაგნა, რომელიც ელოდება მტრის იერიშს ან მოხერხებულ მომენტს შეტევისათვის; ცხენებზე კი რჩება რაინდების მხოლოდ ერთი ნაწილი, რათა მტერს გვერდიდან თავს დაესხას და გადამწყვეტ მომენტში თავისიანებს მიეშველოს. ინგლისელების მაშინდელი განუწყვეტელი გამარჯვებანი საფრანგეთში არსებითად დამოკიდებული იყო სწორედ იმისაგან, რომ ჯარში კვლავ აღდგენილ იქნა თავდაცვის ელემენტი. ეს ბრძოლები მეტწილად თავდაცვითი ხასიათისა იყო, მაგრამ დრო და დრო გადადიოდა შეტევაზე — ისევე როგორც ველინგტონის მიერ წარმოებული ბრძოლების დროს ესპანეთსა და ბელგიაში. ამ ახალი ტაქტიკის დამკვიდრებით ფრანგების ჯარში — შესაძლოა, მას შემდეგ რაც იქ დაქირავებულმა იტალიელმა მსროლელებმა ინგლისელი მეისრეები შეცვალეს, — ბოლო მოეღო ინგლისელების გამარჯვებას.

სწორედ ასევე XIV საუკუნის დამდეგისათვის ფლანდრიის ქალაქთა ქვეითი ჯარი გაბედულად თავს ესხმოდა — და ხშირად დიდი წარმატებითაც — საფრანგეთის ცხენოსანთა ჯარებს აშკარა ბრძოლაში; ხოლო როდესაც იმპერატორმა ალბრეხტმა სცადა ვერაგულად გაეცა თავისუფალი შვეიცარიელი გლეხები ავსტრიის ერცჰერცოგისათვის, რომელიც თვითონ გახლდათ, ამით მან ბიძგი მისცა იმას, რომ შექმნილიყო პირველი თანამედროვე ქვეითი ჯარი, რომელმაც მთელს ევროპაში მოიხვეჭა სახელი. ავსტრიელებზე, განსაკუთრებით კი ბურგუნდიელებზე, შვეიცარიელთა მიერ მოპოვებულ გმირულ გამარჯვებათა შედეგად ქვეითმა ჯარმა საბოლოოდ მარცხი აწვნია აბჯარშეპურვილ რაინდებს, როგორც ცხენოსნებს, ისე ქვეი-

თეზს, — თანამედროვე ჯარის ჩანასახმა დაამარცხა ფეოდალური ლაშქარი, ბიურგერებმა და გლეხებმა — რაინდები. შვეიცარიელებმა კი, რათა იმთავითვე დაემტკიცებინათ თავიანთი რესპუბლიკის — ევროპის პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის — ბურჟუაზიული ხასიათი, მაშინვე ვერცხლის ფულზე გასცვალეს თავიანთი სამხედრო დიდება. გაჰქრა ყოველგვარი პოლიტიკური მოსაზრება; კანტონები გადაიქცა კანტორებად, სადაც ჰკრებდნენ მოქირავნე ჯარისკაცებს, რომლებიც იმას ემსახურებოდნენ, ვინც მეტ ფულს გადაუხდიდა. სხვა ქვეყნებშიც და განსაკუთრებით გერმანიაში, ყველგან ისმოდა დაფდაფის ხმა, რომელიც მოქირავნე ჯარისკაცებს აგროვებდა; მაგრამ ყველაფერს გადააჭარბა შვეიცარიის მთავრობის ცინიზმმა; ეს მთავრობა თითქოს მხოლოდ იმისათვის არსებობდა, რომ თავისი ქვეყნის შვილები გაეყიდნა; მაგრამ ამ მხრივ მას მალე გერმანელმა მთავრებმა გადააჭარბეს უკიდურესი ეროვნული დაცემულობის ხანაში.

შემდეგში, იმავე XIV საუკუნეში, არაბებმა ესპანეთის საშუალებით ევროპაში დენთი და არტილერია შემოიტანეს. შუა საუკუნეების დასასრულამდის ხელის ცეცხლმსროლი იარაღის როლი მეტად უმნიშვნელო იყო; ეს ადვილად აიხსნება იმით, რომ ინგლისელი მოისრეები კრესის ბრძოლაში[1] იმავე მანძილზე ისროდნენ და შეიძლება უფრო ზუსტადაც, თუმცა არა ისეთი ეფექტით, რა მანძილზეც ისროდნენ გლუვლულიანი თოფებით შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცები ვატერლოოს ბრძოლაში. საველე ქვემეხებიც აგრეთვე ჯერ კიდევ არტახებში იმყოფებოდა; სამაგიეროდ მძიმე ზარბაზნებმა უკვე საკვლევებით დაცხრილეს რაინდთა ციხე-კოშკების გალავნები და ფეოდალურ თავადაზნაურობას ამცნეს, რომ დენთის აღმოჩენასთან ერთად მათ სახელმწიფოს ბოლო მოეღო.

წიგნის ბეჭდვის ხელოვნების გავრცელებამ, ანტიკური ლიტერატურის შესწავლის გამოცოცხლებამ, მთელმა კულტურულმა მოძრაობამ, რომელიც 1450 წლიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო ძლიერი და საყოველთაო ხდებოდა — ყოველივე ამან ხელი შეუწყო ბიურგერობას და მეფის ხელისუფლებას ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

---

[1] კრესის ბრძოლა (ჩრდილოეთი საფრანგეთი) მოხდა 1346 წელს. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ბრძოლა ინგლისსა და საფრანგეთს შორის ასწლიანი ომის დროს; იგი დამთავრდა ინგლისელთა გამარჯვებით, რომელიც მოპოვებულ იქნა თავისუფალი გლეხებისაგან შეკრებილი მოისრეების შესანიშნავი ოსტატობისა და მათი გამძლეობის წყალობით. რ ე დ.

ყველა ამ მიზეზის ურთიერთზემოქმედება, რაც წლითიწლობით მტკიცდებოდა მათი ურთიერთგავლენის გაძლიერებასთან ერთად, სულ უფრო აჩქარებდა განვითარებას ერთი და იმავე მიმართულებით და ამან გადაწყვიტა ის, რომ XV საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალიზმი დაამარცხა, თუ ჯერჯერობით არა ბიურგერობამ ყოველ შემთხვევაში, მეფის ხელისუფლებამ მაინც. ევროპის ყველაზე მოშორებით მდებარე, განაპირა ქვეყნებშიაც კი, რომლებსაც ჯერ ბოლომდე არც კი გაევლოთ ფეოდალური წყობილება, უეცრად ყველგან მეფის ხელისუფლებამ მოიპოვა გამარჯვება. პირენეის ნახევარკუნძულზე გაერთიანდა ორი იქაური ტომი, რომელიც რომანულ ენაზე ლაპარაკობდა, და შექმნა ესპანეთის სამეფო. პროვანსალურ ენაზე მოლაპარაკე არაგონიის სამთავრო კი კასტილიის ლიტერატურულ ენას დაექვემდებარა; ხოლო მესამე ტომმა ის მხარე, სადაც მისი ენა იყო გაბატონებული, გააერთიანა (გალისიის გამოკლებით) და პორტუგალიის სამეფო, იბერიული ჰოლანდია, ჩამოაყალიბა; იგი მოსწყდა ქვეყნის შიდა ნაწილების ცხოვრებას და ზღვაოსნობით დაამტკიცა თავისი დამოუკიდებლად არსებობის უფლება.

საფრანგეთში ბურგუნდიის შუალედური სახელმწიფოს[1] მოსპობის შემდეგ ლუი XI მოახერხა საფრანგეთის იმ დროს ჯერ კიდევ ძლიერ შეკვეცილი ტერიტორიის საფუძველზე იმდენად აღედგინა ეროვნული ერთიანობა, რომლის წარმომადგენელიც მეფის ხელისუფლება იყო, რომ უკვე მის მემკვიდრეებს შესაძლებლობა მიეცათ იტალიელთა შფოთში ჩარეულიყვნენ; ამასთან ეს ერთიანობა მხოლოდ ერთხელ, რეფორმაციის გამო, გახდა საეჭვო[2] და ისიც მოკლე დროის განმავლობაში.

---

[1] ბ ურ გ უ ნ დ ი ი ს ს ა ჰ ე რ ცო გ ო დაიშალა ჰერცოგ კარლოს მამაცის სიკვდილის შემდეგ 1477 წ.; ბურგუნდიის სამფლობელოების უდიდესი ნაწილი საფრანგეთის სამეფოს შეუერთეს, ხოლო დანარჩენი ნაწილი (ნიდერლანდები და სხვ.) ჰაბსბურგებს ერგოთ. რ ე დ.

[2] ენგელსს მხედველობაში აქვს ჰუგენოტთა მოძრაობა, ე. ი. ფრანგი კალვინისტებისა, რომლებიც რელიგიური რეფორმაციის მომხრეები იყვნენ. ამ დროშით XVI ს. მეორე ნახევრის საფრანგეთში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ არა მარტო სეპარატისტულად განწყობილი სამხრეთის ქალაქები, არამედ აგრეთვე ფეოდალური თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც აბსოლუტიზმის უკმაყოფილო იყო და თავის შუასაუკუნებრივ პროვინციულ «თავისუფლებათა» აღდგენისაკენ მიისწრაფოდა. ჰუგენოტთა მოძრაობას ლასვარი ჩასცეს ეგრეთწოდებულ ჰუგენოტთა (რელიგიური) ომების (1562 — 1593 წ. წ.) დროს, რომლებიც მეფის ხელისუფლების განმტკიცებით დამთავრდა. რ ე დ.

ინგლისმა საბოლოოდ ხელი აიღო თავის დონკიხოტურ დაპყრობითს ომზე საფრანგეთში, რომლის წყალობითაც იგი დროთა განმავლობაში სისხლიდან დაიცლებოდა; ფეოდალურმა არისტოკრატიამ სცადა დანაკლისის ანაზღაურება ვარდების ომით და მიიღო კიდეც იმაზე მეტი, რასაც ეძებდა: ურთიერთ რბევისა და თარეშის დროს იგი საბოლოოდ ამოწყდა, სამეფო ტახტზე კი ავიდა ტიუდორთა საგვარეულო, რომელმაც თავისი ძლიერებით ყველა წინამორბედ და მომდევნო მეფეებს გადააჭარბა. სკანდინავიის ქვეყნები უკვე დიდი ხნის გაერთიანებული იყვნენ, პოლონეთი, სადაც მეფის ხელისუფლება ჯერ არ იყო შესუსტებული, ლიტვასთან გაერთიანების შემდეგ თავის ბრწყინვალების ხანას ეგებებოდა, და თვით რუსეთშიაც კი მოცილე მთავართა დამარცხება ფეხდაფეხ მოჰყვა თათართა უღლის ჩამოგდებას, რაც საბოლოოდ იოანე III დროს მოხდა. მთელს ევროპაში ორი ქვეყანაღა დარჩა, სადაც არ არსებობდა მეფის ხელისუფლება და უმისოდ იმ დროს წარმოუდგენელი ეროვნული ერთიანობა, ანდა, სადაც ორივე ეს მხოლოდ ქალალდზე არსებობდა: ეს ქვეყნები იყო იტალია და გერმანია.

«გლეხთა ომისათვის»[1]

რეფორმაცია — ლუთერისა და კალვინისა — ეს არის ბურჟუაზიული რევოლუცია № 1, რომელსაც კრიტიკული ეპიზოდის სახით თან ერთვის გლეხთა ომი. ფეოდალიზმის დაშლა, ისევე როგორც ქალაქების განვითარება — ორივე {პროცესი}[2] დეცენტრალიზაციას იწვევდა, აქედან წარმოიშვა პირდაპირი აუცილებლობა, შექმნილიყო აბსოლუტური მონარქია, როგორც ძალა, რომელიც ეროვნებათ ურთიერთაკავშირებს. იგი უნდა ყოფილიყო აბსოლუტური სწორედ იმიტომ, რომ ყველა ელემენტი ცენტრიდანულ ხასიათს ატარებდა. მაგრამ მისი ეს აბსოლუტური ხასიათი არ უნდა გავიგოთ ვულგარულად; აბსოლუტური მონარქია {ვითარდებოდა} მუდმივ ბრძოლაში ხან წოდებათა წარმომადგენლობასთან, ხან მეამბოხე ფეოდალებსა და ქალაქებთან; წოდებანი მან არსად არ მოსპო; ამრიგად, ყველგან უნდა აღინიშნოს, როგორც უფრო წ ო დ ე ბ რ ი ვ ი მონარ-

[1] ეს ხელნაწერი ფრაგმენტი გამოქვეყნებულ იქნა 1948 წ. «მარქსისა და ენგელსის არქივში» ტ. X, რედაქციის მიერ გაკეთებული სათაურით: «რეფორმაციისა და გლეხთა ომის შესახებ გერმანიაში». რ ე დ.

[2] განმარტებითი ტექსტი ფიგურალურ რკალში რედაქციას ეკუთვნის. რ ე დ.

ქია (როგორც ფეოდალიზმის დაშლის პერიოდის ჯერ კიდევ ფეოდალური, მაგრამ ამასთანავე უკვე ჩანასახობრივად ბურჟუაზიული მონარქია).

რევოლუცია № 1 — რომელიც თავისი მასშტაბით გაცილებით უფრო ევროპული იყო, ვიდრე ინგლისისა, და რომელიც გაცილებით უფრო სწრაფად გავრცელდა ევროპაში, ვიდრე საფრანგეთის რევოლუცია — გაიმარჯვა შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, შოტლანდიაში, ინგლისში, გარკვეული თვალსაზრისით აგრეთვე შვეიცასა (ჯერ კიდევ გუსტავ ვაზას დროს) და დანიაში — აქ, ორთოდოქსალურ-აბსოლუტისტური ფორმით, მხოლოდ 1660 წელს.

I [1] მიზეზები გერმანიაში. გერმანიის ისტორია დასაბამიდან. ხალხთა ადგილგადასახლების ჰეროიკული ხანის შემდეგ გერმანიას ბოლო მოეღო. მხოლოდ საფრანგეთმა მკვდრეთით აღადგინა იგი კარლოს დიდის წყალობით. ამასთან ერთად — რომის იმპერიის იდეა, რომელიც კვლავ გამოცოცხლდა ოტონთა დინასტიის დროს. ეს იდეა უფრო არაგერმანულია, ვიდრე გერმანული. გერმანიის გაჩანაგება ჰოჰენშტაუფენთა დროს ამგვარი პოლიტიკის — იტალიის ქალაქთა ძარცვა-გლეჯის — შედეგად. ამის გამო, თუ აღარაფერს ვიტყვით ამბოხებათა შემთხვევებზეც, ძლიერდება დაქსაქსულობა. გერმანიის განვითარება «უმეფობის ხანიდან»[2] XV საუკუნემდე. ქალაქების აყვავება. მთავართა მომძლავრებით გამოწვეული დაცემა ფეოდალური სისტემისა, რომელსაც არასდროს არ მიუღწევია გერმანიაში სრული განვითარებისათვის (იმპერატორი, როგორც მფლობელი — მთავარი, საიმპერიო რაინდების მტერია, ხოლო როგორც იმპერატორი მათი მომხრეა). გლეხების თანდათანობითი განთავისუფლება, რაც XV საუკუნეში რეაქციამ შეწყვიტა. ეკონომიური თვალსაზრისით გერმანია სავსებით იდგა იმდრო-

---

[1] ტექსტი, რომელიც ენგელსმა რომაული ციფრით I აღნიშნა, ხელნაწერში მოთავსებულია იმ ტექსტის შემდეგ, რომელიც აღნიშნულია ციფრით II. რედ.

[2] უმეფობის ხანა, რომელიც მოჰყვა ჰოჰენშტაუფენების დინასტიის შეწყვეტას (1254 წ.) და რომელიც 1273 წლამდე გაგრძელდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც იმპერატორის გვირგვინს ერთმანეთს ეცილებოდნენ სხვა და სხვა პრეტენდენტები. იგი გამოირჩეოდა შეუწყვეტელი შეხლა-შემოხლით და მთავრების, რაინდებისა და ქალაქების ურთიერთრბევით. რედ.

ინდელი ქვეყნების სიმაღლეზე. — გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გერმანიაში, რომელიც პროვინციებად იყო დაქსაქსული და დიდი ხნის განმავლობაში თავისუფალი იყო შემოსევებისაგან, ეროვნული ერთიანობის მოთხოვნილება არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც საფრანგეთში (ასწლიანი ომი), ესპანეთში, რომელიც ის იყო მთავრებს გამოჰგლიჯეს ხელიდან, რუსეთში, რომელმაც იმ ხანებში განდევნა თათრები, და ინგლისში (ვარდების ომი). გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმასაც, რომ იმპერატორთა ხელისუფლება იმ დროს საცოდავ მდგომარეობაში იყო.

II. რენესანსის ეპოქას თავისი ევროპული სახით } საფუძვლად უდევს } ფეოდალიზმის საყოველთაო გახრწნა და ქალაქების აყვავება. ამას მოჰყვა აბსოლუტისტური ეროვნული მონარქიების } ჩამოყალიბება } — ყველგან, გარდა გერმანიისა და იტალიისა.

III. რეფორმაციის დახასიათება, როგორც საერთო მისწრაფებათა და ა. შ. ერთად ერთი შესაძლებელი და პოპულარული გამოხატულებისა.

შენიშვნები გერმანიის შესახებ

შესავალი. 1500 — 1789

I. XV საუკუნის დასასრულისათვის გერმანია სულ უფრო და უფრო ქუცმაცდება, ხოლო მისი ცენტრი — სულ უფრო და უფრო სუსტდება, მაშინ როდესაც საფრანგეთი და ინგლისი უკვე ცოტად თუ ბევრად ცენტრალიზებული სახელმწიფოებია და იქ უკვე ერი ყალიბდება. გერმანიაში ეს შეუძლებელია, რადგან: 1) აქ ფეოდალიზმი უფრო გვიან განვითარდა, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებმაც დაპყრობები[1] განიცადეს; 2) გერმანიის შემადგენლობაში ფრანგული და სლავური ოლქები შედიოდა, იტალია მას თავის კუთვნილებად მიაჩნდა, ხოლო რომი — თავის ცენტრად; ამრიგად, გერმანია არ წარმოადგენდა ეროვნულ კომპლექსს; 3) რადგან — და ეს არის

[1] საუბარია დასავლეთ ევროპის ქვეყნების შესახებ, რომლებიც რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ და რომლებმაც გერმანელ ტომთა დაპყრობები განიცადეს ხალხთა ეგრეთწოდებული დიდი გადასახლების პერიოდში (III — VI ს. ს. ჩ. წ.). რედ.

სწორედ მთავარი — ცალკეული პროვინციები და პროვინციათა განცალკევებული ჯგუფები ჯერ კიდევ სავსებით იზოლირებულები იყვნენ ერთმანეთისაგან: მათ შორის არ იყო არავითარი ურთიერთობა და ა. შ. (შეად. გლეხთა ომს). ჰანზა, რაინის ქალაქთა კავშირი, შვაბიის ქალაქთა კავშირი[1] ბუნებრივად აღმოცენებული, მაგრამ ერთმანეთისაგან გათიშული ჯგუფების წარმომადგენლები იყვნენ.

1 პ უ ნ ქ ტ ი ს ა თ ვ ი ს. ესპანეთი, საფრანგეთი, ინგლისი XV საუკუნის დამლევისათვის ეროვნულად შეკავშირებულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ; ამ კონსოლიდაციას XV საუკუნეში ეპოქის შემქმნელი მნიშვნელობა ჰქონდა. (ესპანეთში — კატალონიისა და კასტილიის ეროვნებათა გაერთიანება, პორტუგალიაში — იბერიულისა. ჰოლანდიამ ზღვაოსნობით მოიპოვა დამოუკიდებელი არსებობის უფლება, საფრანგეთმა — დინასტიური ძალაუფლების წყალობით, რომელმაც თანდათან თავის გავლენის სფეროში მოაქცია მთელი ერი. ინგლისის კონსოლიდაცია მოხდა ვარდების ომის დროს, რომელმაც კარის არისტოკრატიას მუსრი გაავლო. და ინგლისშიც ეს მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი აიძულეს ხელი აეღო თავის იმ დონკიხოტურ დაპყრობათა გეგმებზე საფრანგეთში, რომლებიც წააგავდა გერმანელთა ლაშქრობებს რომის იმპერიის წინააღმდეგ. სხვა შემთხვევაში იგი ისევე დაიცლებოდა სისხლიდან, როგორც გერმანელები ამ თავიანთ ლაშქრობათა დროს). — გერმანია, მიუხედავად ეკონომიური კავშირის უქონლობისა, მაინც მიაღწევდა ცენტრალიზაციას და ამასთან კიდევ უფრო ადრე (მაგალითად ოტონების დროს), თუ არა, ჯერ-ერთი რომის იმპერატორის ტიტული და მასთან დაკავშირებული მსოფლიო ბატონობის პრეტენზია, რომელიც შეუძლებელს ხდიდა ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, და ძალთა განიავება იტალიურ ლაშქრობებში (ამის უკუმოქმედება ავსტრიაში ჯერ კიდევ 1866 წელს იგრძნობოდა!); — ამასთან საერთოგერმანული ინტერესები სულ მუდამ ვერაგულად ირღვეოდა. მეორეც, ამას ხელი შეუშალა იმპერატორის არჩევითობამ, რომელიც არა მარტო იმას უშლიდა ხელს, რომ იმპერატორის დინასტიური ხელისუფლება ერის განსახიერება ყოფილიყო, არამედ ყოველთვის — და განსაკუთრებით XV საუკუნეში — დინასტიებს ამხობდა, როგორც კი იმპერატორის საგვარეულო ხელისუფლება

[1] სამხრეთ და დასავლეთ გერმანიის ქალაქთა შვაბიისა და რაინის კავშირები შეიქმნა XIV საუკუნის 70-იან წლებში. მისი მიზანი იყო სავაჭრო გზების უშიშროების უზრუნველყოფა და ფეოდალთა თარეშისაგან თავდაცვა. XIV ს. დამლევისათვის ქალაქთა ეს სუსტი გაერთიანებანი დაიშალა. რ ე დ.

მთავრების თვალსაზრისით მეტისმეტ გაძლიერებას იწყებდა. საფრანგეთსა და ესპანეთშიც ჰქონდა ადგილი ეკონომიურ დაქსაქსულობას, მაგრამ იქ იგი ძალდატანების მეშვეობით დაძლიეს.

«კულტურკამპფმა» იმპერატორსა და პაპს შორის[1] შუა საუკუნეების დროს გამოიწვია გერმანიისა და იტალიის დაქუცმაცება (იტალიაში, სადაც პაპი ეროვნული ერთიანობის დაბრკოლებას წარმოადგენდა, ამავე დროს ხშირად ერის მოჩვენებით წარმომადგენლად გამოდიოდა, მაგრამ იგი ისე მოქმედებდა, რომ, მაგალითად, დანტე ეცხოელ იმპერატორში ხედავდა იტალიის მხსნელს). 1500 წლისათვის პაპი, როგორც საშუალო შეძლების მთავარი, თავისი სამფლობელოებით შ უ ა გ უ ლ ი ტ ა ლ ი ა შ ი იჯდა და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა იტალიის გაერთიანებას.

2. და მიუხედავად ამისა, — ვაჭრობის ბუნებრივი განვითარების, } პოლაბიელ }სლავთა გაგერმანელებისა, აგრეთვე ფრანგული ოლქებისა[2] და იტალიის დაკარგვის შედეგად — შესაძლებელი იყო გერმანიის გამთლიანება, ვინაიდან მსოფლიო ვაჭრობის გზები სწორედ აქ გადიოდა. მაგრამ ამ დროისათვის ორი გადამწყვეტი მოვლენა მოხდა:

1) გერმანულმა ბიურგერობამ მოახდინა თავისი რევოლუცია, რომელიც, დროის სულისკვეთების თანახმად, რელიგიურ სამოსელში გამოვლინდა — რეფორმაციის სახით: მერე და რა საძაგლად! საიმპერიო რაინდობისა და გლეხობის გარეშე მისი განხორციელება შეუძლებელი იყო. მაგრამ წინააღმდეგობა სამივე წოდებას შორის ბელს უშლიდა მათ ერთად გამოსულიყვნენ: რაინდები — გლეხების მჩაგვრელები და ხშირად (მაგალითად, მანჰოლდ ფონ ებერშტაინი) მძარცველები ქალაქებისა, რომლებიც თავის მხრივაც სამმაგ ტყავს აძრობდნენ გლეხებს (ულმის საქალაქო საბჭო და გლეხები!). პირველნი აჯანყდნენ საიმპერიო რაინდები, რომლებმაც სრული მარცხი განიცადეს, ვინაიდან ბიურგერებმა ისინი ბედის ანაბარა მიაგდეს. მათ კვალდაკვალ აღსდგნენ გლეხებიც, მაგრამ ბიურგერები ა შ კ ა რ ა დ გ ა მ ო ვ ი დ ნ ე ნ მ ა თ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ამასთანავე

---

[1] შუასაუკუნეების დროინდელ გერმანელ იმპერატორთა ბრძოლას პაპებთან ენგელსი ირონიულად უწოდებს «კულტურკამპფს» და ამით გადაკრულად გულისხმობს 1872 — 1879 წლებში მომხდარ ბისმარკის მთავრობის იმ კონფლიქტს პაპსა და კათოლიკურ წრეებთან, რომელიც ამ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში. რ ე დ.

[2] იგულისხმება ფრანშ-კონტე და საფრანგეთის ლოთარინგია, რომელიც თავდაპირველად შუასაუკუნებრივი გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო შემდეგ საფრანგეთს მიეკუთვნა. რ ე დ.

ბიურგერთა რელიგიური რევოლუცია იმ ზომად დასაჭურისებელი აღმოჩნდა, რომ იგი ძლიერ მოეწონათ მ თ ა ვ რ ე ბ ს, რომლებმაც ხელთ იგდეს კიდევაც ხელმძღვანელობა. — XVI საუკუნის გერმანიის რევოლუციის სპეციფიკურად ღვთისმეტყველურ-თეორიული ხასიათი. განსაკუთრებული ინტერესები არა ამქვეყნიური ნივთებისადმი. უბადრუკი სინამდვილისაგან მოწყვეტა — საფუძველი გერმანელთა მერმინდელი უპირატესობისა თეორიაში, ლაიბნიციდან ჰეგელამდე.

2) მსოფლიო ვაჭრობის გზებმა გადაინაცვლეს გერმანიიდან და იგი იზოლირებულ ჩიხში მომწყვდეული აღმოჩნდა. ამის შედეგად ბოლო მოეღო ბიურგერთა ძალას და აგრეთვე რეფორმაციასაც.

3) ამის შედეგად — cuius regio, eius religio [1] და გერმანიის ფაქტიური დაშლა უმთავრესად პროტესტანტულ ჩრდილოეთად, ძირითადად კათოლიკურ, მაგრამ შიგა და შიგ ფრიად აკრეფილებულ სამხრეთ-დასავლეთად და საკუთრივ კათოლიკურ სამხრეთ-აღმოსავლეთად. ამაშია სწორედ 1740 — 1870 წ. წ. მანკიერი განვითარების წყარო (პრუსია, გათიშვა ჩრდილოეთ და სამხრეთ გერმანიას შორის, ბოლოს, მცირე გერმანია[2] და ავსტრია). საწინააღმდეგო პროცესი საფრანგეთში. ჰუგენოტების დათრგუნვა (იხ. «შენიშვნები», გვ. 2[3]).

3. გერმანიას, რომელიც სამრეწველო თვალსაზრისით განიცდიდა პასიურობასა და რეგრესს, ცვალებადი პოლიტიკური ვითარების ესა თუ ის გავლენა უფრო ძლიერ უნდა განეცადა, ვიდრე აქტიურ და სამრეწველო თვალსაზრისით მოწინავე ქვეყნებს (ეს დებულება ზოგადი სახით განვითარდეს). ორ ბანაკად გათიშვამ შინა ომი დააყენა დღის წესრიგში. ომების ჩამოთვლა; 1648 წლამდე სულ ერთიანად შინა ომებია. ფრანგები შემთხვევით სარგებლობენ. მათი კავშირი პ რ ო ტ ე ს ტ ა ნ ტ მ თ ა ვ რ ე ბ თ ა ნ, რომლებსაც ისინი ფ უ ლ ი თ უ ხ დ ი ა ნ საზღაურს და რომელთა სამფლობელოებშიც ჰ კ რ ე ფ ე ნ გერმანულ დაქირავებულ ჯარებს. თავის უმაღ-

[1] — «ვისიც ქვეყანაა, სარწმუნოებაც მისია» (ლათ.) — პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო აუგსბურგის 1555 წ. რელიგიურ ზავს (იხ. შენიშვნა გვ. 47). რ ე დ.

[2] «მ ც ი რ ე გ ე რ მ ა ნ ი ა» — ასე ეწოდებოდა პრუსიის მეთაურობით გერმანიის სახელმწიფოთა «ზემოდან» გაერთიანების პროგრამას, რომელიც XIX საუკუნის 30 წლებში გაურცელდა გერმანელი ბურჟუაზიის პრუსოფილურ წრეებში. ეს პროგრამა, რომელიც ეარაუდობდა ავსტრიის გამორიცხვას გერმანიის კავშირიდან, ზოგადი ნიშნებით განხორციელებულ იქნა ბისმარკის მიერ 1866 — 1871 წლებში. რ ე დ.

[3] იხ. ფრაგმენტი «გერმანიის შესახებ შენიშვნების» მეორე ხელნაწერიდან, ამ გამოცემის 206 — 207 გვ. რ ე დ.

ლეს წერტილს ამან ოცდაათწლიანი ომის დროს მიაღწია (ოცდაათწლიანი ომის დროს ირლანდიელები გერმანიაში, გერმანელები ირლანდიაში — 1693-სა და 1806 წლებში) [1]. გაპარტახებულობის დახასიათება. ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური შედეგები: დათმობანი საფრანგეთის სასარგებლოდ. შვეციისა და დანიის დამკვიდრება გერმანიაში; გარანტიის მქონე სახელმწიფოთა ჩარევის უფლება; ცენტრალური ხელისუფლების სრული მოშლა; იმპერატორის წინააღმდეგ ამბოხების, შინა ომის წარმოებისა და სამშობლოს ღალატის უფლება, რომლებიც ევროპამ აღუთქვა მთავრებს.

4) 1648 — 1789 წლები.

ა) გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა. გერმანელი მთავრები ხელს ითბობენ ვესტფალიის ზავზე და ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, თუ ვინ უფრო მომგებიანად მიჰყიდის თავს უცხოეთს. საფრანგეთი იყენებს გერმანიის სისუსტეს, რათა ნელნელა წაართვას გერმანიას ყველა ფრანგული სამფლობელო და გაამთლიანოს ელზასის ფარგლები (გერმანიის სისუსტით სარგებლობს თურქეთიც). საფრანგეთის ისტორიული უფლება და ტეუტონების მიერ ატეხილი აყალმაყალი «მიტაცების»[2] შესახებ. ენობრივი საზღვარი დაახლოებით 1000 წლიდან უცვლელი რჩება, გამონაკლისს შეადგენს ვოგეზის მარცხენა რაიონები (იხ. მენკე[3]). ეს ზოგადად. კერძოდ კი უნდა აღინიშნოს ავსტრიისა და იმპერიის მეტოქე სახელმწიფოს აღმოცენება ჩრდილოეთში — პრუსიის განდიდება. შესაჩნევი ხდება ქვეყნის გათიშვა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად. პრუსიის ისტორიის კრიტიკა. ფრიდრიხ II. რუსეთის

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს გერმანიის დაქირავებული ჯარების გამოყენება ინგლისელების მიერ პოლიციური სამსახურისათვის ირლანდიაში და ირლანდიელთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა. რ ე დ.

[2] ენგელსს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ გერმანელი შოვინისტები იჩემებდნენ ელზასსა და ლოთარინგიას იმ საბაბით, თითქოს გერმანიის შუასაუკუნებრივ იმპერიას «ისტორიული» უფლებანი ჰქონდა ამ ოლქების მიმართ. მარქსი და ენგელსი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ისტორიული ბედი ელზასისა, რომელიც ოცდაათწლიანი ომის დროს გადაეიდა ფრანგების ხელში, და ლოთარინგიისა, რომელიც საფრანგეთმა საბოლოოდ 1766 წელს შეიერთა, განუყრელად არის დაკავშირებული საფრანგეთთან ჯერ კიდევ 1789 — 1794 წ. წ. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროიდან და სასტიკად გმობდნენ ბისმარკის მთავრობას ამ ოლქების 1871 წელს ანექსიის გამო (იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზულებანი, ტ. XVI, ნ. 1, გვ. 488 — 491). რ ე დ.

[3] იგულისხმება შპრუნერ-მენკეს «შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ისტორიის სახელმძღვანელო ატლასი» (იხ. შენიშვნა 187 გვ.) რ ე დ.

განდიდება და ფრიდრიხ II დამოკიდებულება რუსეთის პოლიტიკისაგან. გერმანიის შინა ომები ამიერიდან იქცა საკონკურენციო ომად ავსტრიასა და პრუსიას შორის.

b) ეკონომიური მდგომარეობა. მიუხედავად ყოველივე ამისა — ოცდაათწლიანი ომის შედეგებისაგან ნელი მობრუნება და ბიურგერობის ცდები კვლავ ზედაპირზე ამოტივტივდნენ. არსებულ პირობებში ბიურგერობის ეს ამოტივტივება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუკი იგი უაღრესად სამარცხვინო თვისებებს გამოამჟღავნებდა. ამასთანავე ამჟამად წინსვლა მხოლოდ პოლიტიკური ინტერვენციების საშუალებით ხორციელდებოდა, მარტოოდენ მთავართა სამარცხვინო მოქმედებით და იმ ფულის მეშვეობით, რასაც მათთვის უცხოეთი გაიმეტებდა. ეს ამტკიცებს, თუ რაოდენ დამცირებული იყო გერმანია მაშინ ეკონომიურად. ეს ეპოქა წარმოადგენს პატრიარქალური რეჟიმის წყაროს. 1648 წლის შემდეგ სახელმწიფო მართლაც მოწოდებულია შეასრულოს სოციალური ფუნქციები — რისი მიზეზიც ფინანსური გაჭირვებაა. იქ, სადაც სახელმწიფო ამას არ აკეთებდა, შედეგად მოსდევდა სამეურნეო უძრაობა (ვესტფალიის საეპისკოპოსო). რაოდენი დაკარგვა! მერე და რა უმნიშვნელოა სახელმწიფოს ეს შეწევნა! მსოფლიო ვაჭრობაში მონაწილეობის მხრივ მდგომარეობა უაღრესად სავალალოა; მხოლოდ როგორც ნეიტრალურ მხარეს შეეძლო გერმანიის სახელმწიფოებს რაიმეს გამორჩენოდნენ დიდ მსოფლიო ომებში (ამერიკისა და რევოლუციური ომები 1801 წლამდე), ხოლო ყაჩაღური სახელმწიფოების წინაშე კი ისინი სრულიად უმწეონი იყვნენ (გერმანიის ამ სამარცხვინო მდგომარეობას მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციის წყალობით მოეღო ბოლო).

c) ლიტერატურა და ენა სავსებით დაკნინებულია; თეოლოგიის გაქვავებული დოგმატიკა; სხვა სამეცნიერო დარგებში გერმანიის სრული ჩამორჩენილობა, თუმცა დრო და დრო მზის სხივის გაელვარება. იაკობ ბომე (მომავლის ფილოსოფიის ახალი მაუწყებელი). კეპლერი, ლაიბნიცი. არსებულისაგან, სინამდვილისაგან კვლავ აბსტრაჰირება. ბახი.

d) გერმანიის მდგომარეობა 1789 წელს. a) მიწათმოქმედება და გლეხთა მდგომარეობა. ბატონყმობა, ფიზიკური სასჯელი, ღალა b) მრეწველობა პირდაპირ სავალალო მდგომარეობაშია, სჭარბობს ხელით მუშაობა. ინგლისში უკვე მსხვილი მრეწველობა იწყება, მაშინ როდესაც გერმანიის მრეწველობა, სასიკვდილოდ განწირული აღმოჩნდა, თუმცა განვითარებაც კი ვერ

მოასწრო. c) პასიური საგაჭრო ბალანსი. d) ბიურგერის სოციალური მდგომარეობა თავადაზნაურობისა და მთავრობის მიმართ. e) პოლიტიკური დაბრკოლებანი განვითარებისათვის — ქვეყნის დაქუცმაცებულობა; გადმოცემა მენკეს მიხედვით. საგაჭრო ბაჟები ხელს უშლიან სამდინარო ნაოსნობას. დაქუცმაცებულობის გამო ვაჭრობის თავისუფლება შინაგან საზღვრებშია მოქცეული. ბაჟები წარმოადგენენ უმთავრესად ქალაქების გადასახადებს მოხმარების საგნებზე.

გერმანელი მთავრები, განსწავლულნიც კი,—როგორც, მაგალითად, შუბარტის[1] მფარველები და კარლოს ავგუსტოსი, — უძლურნი იყვნენ რაიმე სასარგებლო გაეკეთებინათ და გაცილებით მეტი ხალისით არჩევდნენ რაინის კავშირში შესვლას, ვიდრე ომის დაწყებას. ამას მოწმობს 1806 წლის შემოსევა, როდესაც მას ყელზე ჰქონდათ დანა მიბჯენილი; ამასთან ამ 1000 მთავრიდან თვითეული — აბსოლუტური მონარქია. ესენი არიან უაღრესად ტლანქი, გაუნათლებელი არამზადები, რომლებისგანაც არასოდეს არ უნდა ელოდე ერთობლივ მოქმედებას, სამაგიეროდ ახირებულობას კი — უთვალავს (შლოცერი). დაქირავებული ჯარისკაცებით ვაჭრობა ამერიკის ომის დროს. მაგრამ მათი ყველაზე უფრო სამარცხვინო ბოროტმოქმედება მაინც თვით მათი ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ფ ა ქ ტ ი ა. მათ გვერდით კი აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარეობს პრუსია ჩრდილოეთით, ავსტრია სამხრეთით, რომლებსაც ხარბად გაუწვდიათ ხელები ახალახალი ოლქებისაკენ. ესენი იყვნენ ერთადერთი სახელმწიფოები, რომლებსაც ჯერ კიდევ შეეძლოთ მდგომარეობის გამოსწორება, ამ ორში რომ ერთი ყოფილიყო. მაგრამ გარდუვალი კონკურენცია მათ შორის ყოველგვარ გამოსავალს სპობდა. ნამდვილი ჩიხი — მხოლოდ გარედან შეიძლებოდა შველა, იგი საფრანგეთის რევოლუციამ მოიტანა. მხოლოდ ორ დარგშია იყო სიცოცხლის ნიშნები: ერთი მხრივ, სამხედრო ხელოვნებაში და, მეორე მხრივ, ლიტერატურასა, ფილოსოფიასა და კეთილსინდისიერ, ობიექტურ მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. იმ დროს, როდესაც საფრანგეთში უკვე XVIII საუკუნეში სჭარბობენ პუბლიცისტები, ამასთან პირველი რანგის პუბლიცისტები — გერმანიაში საქმე იმით განისაზღვრა, რომ სი-

[1] ენგელსს მხედველობაში ჰყავს ზოგიერთი გერმანელი მთავარი (ჰერცოგები ლეოპოლდ დახაუ, ერნსტ-ფრიდრიხ კობურგსკი და სხვ.), რომლებიც XVIII საუკუნის გერმანელ აგრონომ შუბარტს მფარველობდნენ და თავიანთ მამულებში მის აგრონომიულ მეთოდებს იყენებდნენ. რ ე დ.

ნამდვილეს გაურბოდნენ და იდეალურ სფეროს ეტანებოდნენ. «ადამიანის» იდეა და ენის განვითარება; 1700 წლისათვის — ჯერ კიდევ ბარბაროსობა, 1750 წ. — ლესინგი და კანტი, ხოლო მალე მათ გვერდში ამოუდგნენ გოეთე, შილერი, ვილანდი, ჰერდერი, გლუკი, ჰენდელი, მოცარტი.

1789 — 1815

I. გერმანელი ყმა-გლეხები, რომლებიც ელზას-ლოთარინგიაში და ა. შ. ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ[1] და სანახევროდ საფრანგეთის ბატონობას განიცდიდნენ, შეუერთდნენ საფრანგეთის რევოლუციას — აქედან ომის საბაბი. პრუსია და ავსტრია უ ც ბ ა დ ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ა დ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ნ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ნ ე ნ. ვალმი. სახაზო ტაქტიკის კრახი, რომელიც გაპირობებული იყო არტილერიის მასიური გამოყენებით. ფლერიუსი და ჟემაპი. ავსტრიის კორდონთა[2] ტაქტიკის კრახი. რაინის მარცხენა ნაპირის დაპყრობა. გლეხებისა და თავისუფლების მოყვარულ ქალაქთა სიხარული, რისი შებღალვაც ვერ შეძლო ჩაგვრის ცალკეულმა შემთხვევებმა და ნაპოლეონის მიერ შემოღებულმა სისხლის გადასახადმა. ამიენის ზავი და საიმპერიო დეპუტაცია. მთავარი ბრძოლა. იმპერიის გაუქმება. რაინის კავშირი[3]. ნაპოლეონმა გასწმინდა გერმანია

[1]საუბარია გერმანელი საიმპერიო მთავრების (უმთავრესად მღვდელმთავრების) სამფლობელოების შესახებ ელზასსა და ლოთარინგიაში. ამ ოლქების საფრანგეთისადმი შეერთების შემდეგ მთავრები ერთსადაიმავე დროს ფრანგი მეფეების და გერმანელი იმპერატორების ვასალები აღმოჩნდნენ. საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომელიც ელზასსა და ლოთარინგიაშიც გავრცელდა და რომელმაც საეკლესიო სამფლობელოების სეკულარიზაცია გამოაცხადა, გამოიწვია ამ მთავართა კონფლიქტი საფრანგეთის მთავრობასთან. მთავრების მიმართეა იმპერიისადმი გახდა საბაბი გერმანიის რეაქციულ სახელმწიფოთა ჩარევისათვის საფრანგეთის შინაგან საქმეებში. რ ე დ.

[2] 1792 წ. 20 სექტემბერს ვალმისთან ბრძოლაში საფრანგეთის რევოლუციურმა არმიამ გამარჯვება მოიპოვა ჰერცოგ ბრაუნშვაიგის პრუსიულ ჯარებზე. 1792 წ. 6 ნოემბერს ფრანგებმა გაანადგურეს ავსტრიის არმია ჟემაპთან ბრძოლის დროს ბელგიაში. 1794 წ. 26 ივნისს ფლერიუსის ბრძოლაში შარლერუას მახლობლად, ფრანგებმა დაამარცხეს ავსტრიის ჯარები ჰერცოგ კობურგსკის მეთაურობით. რ ე დ.

[3] ავსტრიასთან (1801 წელს ლიუნევილში) და ინგლისთან (1802 წ. მარტში ამიენში) ხანმოკლე ზავის დადების შემდეგ, ნაპოლეონმა განახორციელა წვრილი საიმპერიო მღვდელმთავრებისა და «თავისუფალი ქალაქების» სამფლობელოების განაწილება თავისი გერმანელი ვასალების — მსხვილი საერო მთავრების — სასარგებლოდ. ამ მიზნით მსხვილმა საერო მთავრებმა მოიწვიეს განსაკუთრებული «საიმპერიო დეპუტაცია». საბოლოო ლახვარი შეასაუკუნებრივ გერმანიას ნაპოლეონმა

წვრილი სახელმწიფოებისაგან; მაგრამ სამწუხაროდ ეს წმენდა საკ-მარისი არ აღმოჩნდა. ნაპოლეონი მუდამ რევოლუციურ როლს თამაშობდა მთავრების მიმართ და ამ მსრივ ძლიერ შორსაც წავიდოდა, რომ წვრილ თავადებს მის წინაშე არ ელაქუცათ. 1806 წ. — ნაპოლეონის შეცდომა ის იყო, რომ მან პრუსია საბოლოოდ არ მოსპო; გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ კონტინენტალური ბლოკადის დროს [1]. ეს უდიდესი საგარეო დამცირების ხანა ემთხვევა ბრწყინვალე პერიოდს ლიტერატურასა და ფილოსოფიაში და მუსიკის განვითარების კულმინაციურ წერტილს ბეთჰოვენის სახით.

«გერმანიის შესახებ შენიშვნების» მეორე ხელნაწერიდან [2]

ჰ უ გ ე ნ ო ტ თ ა ომების დროს მეფის ხელისუფლების, როგორც ერის წარმომადგენლის ავტორიტეტი უკვე იმდენად დიდია, რომ მ ხ ო ლ ო დ მეფის მიერ დადებულ კავშირს უცხოელებთან და ხელშეკრულებებს სამხედრო დახმარების შესახებ ეკიდება საზოგადოებრივი აზრი სერიოზულად და მხოლოდ მათ აღიარებს. ყველა დანარჩენი პირნი ხალხის თვალში მუდამ მეამბოხეები და მოღალატეები არიან. ყველაზე უფრო აშკარად ეს გამომჟღავნდა ჰენრიხ III სიკვდილის შემდეგ, როდესაც ჰენრიხ IV შესძლო საბოლოო გამარჯვების მოპოება მხოლოდ მეფის ტიტულის გავლენის წყალობით.

1805 წელს ჩასცა, როდესაც მან — ავსტრიასთან ომის განახლებისა და ახალი გამარჯვების მოპოების შემდეგ — შექმნა რაინის კავშირი 16 გერმანული სახელმწიფოსაგან, რომლებმაც ოფიციალურად გასწყვიტეს კავშირურთიერთობა ავსტრიასთან. იმპერატორის ტიტელი და საიმპერიო დაწესებულებანი მალე მოსპეს, ხოლო ჰაბსბურგთა დინასტია ავსტრიის იმპერატორის ტიტულით უნდა დაკმაყოფილებულიყო. რ ე დ.

[1] კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ ა ლ უ რ ი ბ ლ ო კ ა დ ა — ევროპის კონტინენტის ქვეყნებისათვის ინგლისთან ყოველგვარი ვაჭრობის წარმოების აკრძალვა, რომელიც ნაპოლეონმა 1805 წელს შემოიღო. ნაპოლეონის სასტიკი მოთხოვნით ბლოკადას უნდა შემოერთებოდა საფრანგეთისაგან დამოკიდებული ყველა ქვეყანა, მათ შორის ავსტრია და პრუსიაც. რ ე დ.

[2] მეორე და მესამე ხელნაწერები, რომლებიც ცალკეული ფრაგმენტებისაგან შედგება და რომლებსაც საერთო სათაური აქვთ «შენიშვნები გერმანიის შესახებ. 1789 — 1873», გამოქვეყნებულია პირველ ხელნაწერთან ერთად «მარქსისა და ენგელსის არქივში», ტ. X. აქ ქვეყნდება მხოლოდ ერთი ფრაგმენტი, რომელსაც ენგელსი იმოწმებს თავის პირველ ხელნაწერში. რ ე დ.

პროტესტანტიზმის საბოლოო დახშობა საფრანგეთში უბედურება როდი იყო მისთვის — ამას მოწმობს ბეილი, ვოლტერი და დიდრო. მაგრამ, ამავე დროს პროტესტანტიზმი რომ მოესპოთ გერმანიაში, — ეს უდიდესი უბედურება იქნებოდა არა მარტო გერმანელებისათვის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოსათვისაც. გერმანიას მაშინ თავს მოახვევდნენ რომანული ქვეყნების განვითარების კათოლიკურ ფორმას; რამდენადაც განვითარების ინგლისური ფორმაც ნახევრად კათოლიკურ, ნახევრად შუასაუკუნებრივ ხასიათს ატარებდა (უნივერსიტეტები და მისი მსგავსი სასწავლო დაწესებულებანი, საშუალო სკოლები — ყოველივე ეს არსებითად პროტესტანტული მონასტრებია), ამ შემთხვევაში გაუქმდებოდა გერმანული პროტესტანტული განათლების ყველა სახე (შინაური აღზრდა, კერძო პანსიონები, სტუდენტები, რომლებსაც უნივერსიტეტის კედლებს გარეთ აქვთ ბინა და რომლებიც თვითონვე ირჩევენ თავიანთთვის სამეცადინო კურსს), და ევროპის სულიერი განვითარება უსასრულოდ ერთგვაროვანი იქნებოდა. საფრანგეთმა და ინგლისმა არსებითად დაამსხვრიეს ცრურწმენანი, გერმანიამ თავიდან მოიშორა ფორმა, შაბლონი, რითაც ნაწილობრივ აიხსნება ის, რომ ყოველივე გერმანული უფორმოა. ეს ბოლო დრომდე დაკავშირებულია დიდ მინუსებთან, როგორიცაა წვრილ სახელმწიფოებად დაქუცმაცება, მაგრამ ამას უდიდესი უპირატესობა აქვს ერის განვითარების უნარის მხრივ; იგი თავის მწიფე ნაყოფს მხოლოდ მომავალში მოგვცემს, როდესაც გადალახული იქნება ეს თავისთავად ცალმხრივი სტადია.

ამასთან გერმანული პროტესტანტიზმი — ქრისტიანობის ერთადერთი თანამედროვე ფორმაა, რომელიც კრიტიკის ღირსია. კათოლიციზმი უკვე XVIII საუკუნეში იდგა ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა და უბრალოდ პოლემიკის საგანი იყო (მაინც რა ვირებია ეს ძველი კათოლიკეები![1]); ინგლისურ პროტესტამტიზმს, რომელიც ათიოდე სექტად დაიშალა, არ ახასიათებდა თეოლოგიის განვითარება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ განვითარებას, რომლის თვითეული ეტაპი აღინიშნება ახალი სექტის დაარსებით. მხოლოდ გერმანელს გააჩნია თეოლოგია და ამდენად ისტორიული, ფილოლოგიური და ფილოსოფიური კრიტიკის ობიექტიც. ეს კრიტიკა

[1] ძველი კათოლიკეები — გერმანელ კათოლიკე მოღვაწეთა ჯგუფი; ეს ჯგუფი 1871 წ. პროტესტით გაპოდიოდა იმ დოგმატის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა პაპის უცოდველობას და თავს ზომიერი რეფორმის მომხრედ აცხადებდა. რედ.

გერმანიის პროდუქტია, იგი შეუძლებელი იქნებოდა გერმანული პროტესტანტიზმის გარეშე, და, მიუხედავად ამისა, იგი აბსოლუტურად აუცილებელია. ისეთი სარწმუნოების მოსპობა, როგორიცაა ქრისტიანობა, შეუძლებელია მარტოოდენ დაცინვისა და თავდასხმების საშუალებით, იგი აგრეთვე მეცნიერულადაც უნდა იქნეს დაძლეული, ე. ი. ისტორიული ახსნა-განმარტების გზით, ხოლო ამ ამოცანის შესრულება ბუნების მეტყველებასაც კი გაუძნელდება.

სახელთა საძიებელი

ა

ა ი ზ ე ნ ჰ უ ტ (Eisenhut), ა ნ ტ ო ნ (გარდ. 1525 წ.) — მღვდელი ეპინჰენში (პფალცის საკურფიურსტო); გლეხებისა და ქალაქელთა ადგილობრივი აჯანყების წინამძღოლი 1525 წ. გლეხთა ომის პერიოდში. ტრუხზესის დამსჯელი ლაშქრობის დროს ტყვედ ჩავარდა და სიკვდილით დასაჯეს. — 102.

ა ი ლ ვ ა ს ი ა რ დ (Aylva Sjoerd) — ფრიზელ გლეხთა აჯანყების წინამძღოლი 1497 წ. — 64.

ა ი ტ ე ლ (Eitel), ჰ ა ნ ს — 1525 წ. გლეხთა ომის დროს ტბისპირელთა (შვაბია) რაზმის წინამძღოლი; ხელი მოაწერა ტრუხზესთან ვაინგარტენის კაპიტულანტურ ხელშეკრულებას, შემდეგ დაშალა თავისი რაზმი. — 87.

ა ლ ბ ა (Alba), ფ ე რ ნ ა ნ დ ო ა ლ ვ ა რ ე ს დ ა ტ ო ლ ე დ ო (1507—1582) — ესპანეთის მეფისნაცვალი ნიდერლანდიაში; განსაკუთრებული სისასტიკით ახშობდა სახალხო აჯანყებას XVI საუკუნის დამლევის ნიდერლანდთა ბურჟუაზიული რევოლუციის დროს. — 85.

ა ლ ბ რ ე ხ ტ I (1250—1308) — ავსტრიის ერცჰერცოგი; 1298 წ. გერმანიის იმპერატორი. — 195.

ა ლ ბ რ ე ხ ტ III (1443—1500) — საქსონიის ჰერცოგი; მეთაურობდა დამსჯელ ჯარს, რომელმაც ჩაახშო სახალხო აჯანყება ნიდერლანდებში 1491 — 1492 წწ. და ფრიზელ გლეხთა აჯანყება 1497 წ. — 64.

ა ნ ტ ო ნ ი (1489—1544) — ლოტარინგიის ჰერცოგი (1508—1544); 1525 წ. ელზასის გლეხთა აჯანყების სისხლში ჩახრჩობის ორგანიზატორი; რეფორმაციის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე. — 120.

ა რ ნ ო ლ დ ბ რ ე შ ი ა ნ ე ლ ი (დაახ. 1100 — 1155) — შუასაუკუნეების იტალიელი რეფორმატორი, პაპისა და სასულიერო ფეოდალების წინააღმდეგ რომსა და სხვა ქალაქებში მიმდინარე მოქალაქეთა მოძრაობის იდეოლოგი; სიკვდილით დასაჯეს როგორც ერეტიკოსი. — 40, 41.

ბ

ბ ა დ ე ნ ი ს მარკგრაფი — იხ. ფილიპე I.

ბ ა კ უ ნ ი ნ ი, მ ი ხ ე ი ლ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე (1814—1876) — ანარქიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი; მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის წევრი, გამოდიოდა როგორც სასტიკი მტერი მარქსიზმისა და აწარმოებდა გააფთრებულ ბრძოლას I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წინააღმდეგ, რომელსაც მარქსი ხელმძღვანელობდა; I ინტერნაციონალის ჰაგის კონგრესზე (1872) გარიცხულ იქნა ინტერნაციონალის რიგებიდან. — 19.

ბ ა მ ბ ე რ გ ი ს ეპისკოპოსი — იხ. ვეიგანდი.

ბ ა ნ ტ ე ლ ჰ ა ნ ს ი (Bantellians) (ბანტელ, ჰანს) — «საწყალი კონრადის» კავშირისა და ვიურტემბერგისა და შვაბიის მთიანი რაიონების გლეხთა

აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1514 წ. — 72.

ბარნაბა—უნგრელი მღვდელი, 1514 წ. უნგრეთში გლეხთა ომის აქტიური მონაწილე. — 74.

ბატორი (Báthory), სტეფან (გარდ. 1535 წ.) — მსხვილი ტრანსილვანელი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი; მეთაურობდა ჯარს, რომელიც გაიგზავნა უნგრეთში 1514 წელს გიორგი დოჟას ხელმძღვანელობით მიმდინარე გლეხთა აჯანყების ჩასახშობად. — 75.

ბახი (Bach), ვალტერ — ლანდსკნეხტი, რომელიც 1525 წ. მიეკედლა სამხრეთ-გერმანიის გლეხთა აჯანყებას; ალგაუელი რაზმის ერთ-ერთი მეთაურთაგანი; გადამწყვეტ მომენტში უღალატა გლეხობას და მიიმალა შვეიცარიაში. — 109, 112.

ბახი (Bach), იოჰან სებასტიანე (1685—1750) — დიდი გერმანელი კომპოზიტორი. — 205.

ბეილი (Bayle), პიერ (1647—1706)—ფრანგი ფილოსოფოსი, ფრანგ განმანათლებელთა ერთ-ერთი წინამორბედი. — 209.

ბეთჰოვენი (Beethoven), ლუდვიგ ვან (1770—1827)—დიდი გერმანელი კომპოზიტორი. — 208.

ბერლინ (Berlin), ჰანს — ჰაილბრონის ქალაქის მრჩეველი; 1525 წ. აჯანყებულ გლეხთა მიერ ქალაქის აღების შემდეგ ცდილობდა მეამბოხეთათვის თავზე მოეხვია უფრო ზომიერი პროგრამა. — 95, 105.

ბერლიხინგენ (Berlichingen), გიოც (1480—1562) — გერმანელი რაინდი, ცდილობდა 1525 წ. გლეხთა აჯანყება გამოეყენებინა ანგარებიანი მიზნისათვის; არჩეულ იქნა ნათელ სხივოსანი რაზმის მეთაურად. გადამწყვეტ მომენტში უღალატა გლეხობას. — 93, 94, 95, 105, 170, 171.

ბიომე (Böhme), იაკობ (1575—1624) — გერმანელი ფილოსოფოსი, თვითნასწავლი, ხალხის წიაღიდან გამოსული; მისტიურ ფორმაში გამოთქვა მთელი რიგი შორსმჭვრეტელური იდეა მატერიის დიალექტიკური განვითარების შესახებ. — 205.

ბიოჰაიმ (Böheim), ჰანს (მესტვირე ჰანსი) (გარდ. 1476 წ.) — მწყემსი, სახალხო ქადაგი ნიკლასჰაუზენში, გლეხთა მოძრაობის შთამგონებელი ვიურცბურგის საეპისკოპოსოსა და მის მახლობელ რაიონებში; დაწვეს კოცონზე. — 61, 62, 63, 64.

ბისმარკი (Bismark), ოტო ედუარდ (1815—1898) — პრუსიის სახელმწიფო მოღვაწე, უკიდურესი მონარქისტი; 1862 წლიდან პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი; განახორციელა «ზემოდან» გერმანიის გაერთიანება რეაქციული პრუსიული მონარქიის ჰეგემონობით; გერმანიის იმპერიის პირველი კანცლერი (1871—1890 წწ.), რომელიც ატარებდა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას იუნკრობისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად და რეპრესიულ ზომებს მიმართავდა სოციალისტური მოძრაობის წინააღმდეგ. — 141, 142, 178.

ბოკაჩიო (Boccaccio), ჯიოვანი (1313—1375) — აღორძინების ეპოქის გამოჩენილი იტალიელი ნოველისტი და პოეტი. — 41.

ბოლ (Ball), ჯონი (გარდ. 1381 წ.)— ინგლისელი სოფლის მღვდელი; სახალხო ქადაგი, რომელიც მოუწოდებდა ფეოდალების ხელისუფლების დამხობის და ძველქრისტიანული თანასწორობისა და ქონების ერთიანობის დამყარებისაკენ; 1381 წლის ინგლისის გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი სულისჩამდგმელთაგანი, რომლის დამარცხების შემდეგ ნაკუწ-ნაკუწად აქციეს. — 40, 42.

ბონაპარტე, ლუი — იხ. ნაპოლეონ III.

ბრაიტი (Bright), ჯონ (1811—1889) — ინგლისელი მეფაბრიკე და პოლიტიკური მოღვაწე, ფრიტრედერების ლიდერი, რომელიც გამოხატავდა სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს; 60-იანი წლების დასასრულიდან ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. — 9.

ბრანდენბურგ-ანსბახის მარკგრაფი — იხ. კაზიმირი.

ბრანდენბურგი (Brandenburg), ფრიდრიხ ვილჰელმი, გრაფი (1792—1850) — პრუსიის გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე; 1848—1850 წწ რეაქციული სამინისტროს მეთაური, რომელმაც პრუსიაში 1848 წ. ნოემბერ-დეკემბერში კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელა. — 164, 165, 166.

ბურგ-ბერნჰაიმი (Burg-Bernheim), გრეგორ — 1525 წელს ანსბახის სათავადოში გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი.—106.

გ

გაიერი (Geier), ფლორიან (გარდ. 1525 წ.) — გერმანელი რაინდი, რომელიც 1525 წელს გადავიდა აჯანყებული გლეხების მხარეზე; სარდლობდა «შავ რაზმს»; დაიღუპა ბრძოლაში.— 92, 94, 95, 104, 107.

გაისმაიერი (Geismaier), მიხაილ (გარდ. დაახ. 1527) — ერთ-ერთი ყველაზე მოქმედი და ნიჭიერი მეთაურთაგანი ტიროლსა და ზალცბურგის საეპისკოპოსოში გლეხთა აჯანყებისა; მემთამადნე მუშის შვილი, ზალცბურგის ეპისკოპოსის მდივანი, შემდეგში საბაჟოს მოხელე, რომელიც აჯანყებული გლეხების მხარეზე გადავიდა; ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა მეამბოხე ჯარების საომარ მოქმედებას 1525 და 1526 წწ. — 122, 123, 124.

გეორგ (1471—1539) — საქსონიის ჰერცოგი (1500—1539); 1525 წ. ტიურინგიაში გლეხთა აჯანყების სისხლში ჩახშობის ერთი ორგანიზატორთაგანი. — 57.

გერბერ (Gerber), ტოიუს — შტუტგარტელი მოქალაქეების რაზმის მეთაური, რომელიც 1525 წ. მიემხრო ვიურტემბერგის აჯანყებულ ფიეერბახერის რაზმს; ვიურტემბერგის გლეხთა აჯანყების დამარცხების შემდეგ გაიქცა შვეიცარიაში. — 98, 101.

გერბერ (Gerber), ერაზმ (გარდ. 1525 წ.) — 1525 წ. ელზასელი გლეხების აჯანყების ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი; ცაბერნთან აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ ტყეედ ჩავარდა და ჩამოახრჩვეს. — 119.

გლიუკ (Glück), კრისტოფ ვილიბალდ (1714—1787) — უდიდესი გერმანელი კომპოზიტორი; საოპერო მუსიკის რეფორმატორი. — 207.

გოეტე (Goethe), იოჰან ვოლფგანგ (1749—1832)—დიდი გერმანელი პოეტი. — 170, 207.

გრაიზელ (Greisel), ფლორიან— მღვდელი, 1525 წ. გლეხთა ომის აქტიური მონაწილე შვაბიაში; 1525 წ. მეთაურობდა ქვემოალგაუს რაზმსა და ტრუხზესის მიერ 1525 წლის აპრილის დასაწყისში ბალტრინგენთან განადგურებული რაზმის ნარჩენებს; შვაბიის გლეხთა მიერ კაპიტულანტური ვაინგარტენის ხელშეკრულების დადების შემდეგ შვეიცარიაში მიიმალა. — 99.

გრებელ (Grebel), კონრად — ანაბაპტისტთა სექტის ხელმძღვანელი ციურიხში, მიუნცერის მიმდევარი; რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდა სამხრეთ გერმანიაში. — 59.

გიოც — იხ. ბერლიხინგენი, გიოც.

გუგელ-ბასტიან (Gugel-Bastian) (გარდ. 1514 წ.) — 1514 წ. გლეხთა შეთქმულების ორგანიზატორი ბადე-

ნის სამარკგრაფოში; თავი მოჰკვეთეს ფრაიბურგში. — 74.

გუსტავ I ვახა (1496 — 1560); შვეციის მეფე (1523—1560); 1527 წ. გაატარა «სამეფო რეფორმაცია» (მეფე გამოაცხადა ეკლესიის მეთაურად), მოახდინა ეკლესიის ქონების კონფისკაცია ხაზინისა და თავადაზნაურობის სასარგებლოდ. — 199.

დ

დანტე ალიგიერი (Dante Alighieri) (1265 — 1321) — დიდი იტალიელი პოეტი, «ღვთაებრივი კომედიის ავტორი». — 202.

დიდრო (Diderot), დენი (1713—1784) — ფრანგი ფილოსოფოსი მატერიალისტი, XVIII საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი განმანათლებელთა-განი. — 209.

დიტრიხშტაინი (Dietrichstein), სიგმუნდ (1484 — 1540) — მეფის ნაცვალი შტირიაში. საიმპერატორო მხედართმთავარი შტირიასა, კარინ-თასა და ზემო ავსტრიაში; 1515—1516 წწ. ავსტრიის ალპების გლეხთა აჯანყების სისხლში ჩამხრჩობი, 1525 წ. აჯანყებულმა გლეხებმა დაამარცხეს და ტყვედ ჩავარდა. გაათავისუფლეს მას შემდეგ რაც გლეხობამ ხელშეკრულება დადო ხელისუფლებასთან. —76, 122.

დოჟა (Dózsa), გეორგ (გარდ. 1514 წ.) — მცირემამულიანი აზნაური ტრანსილვანიის სეკლერის ოლქიდან; 1514 წ. გლეხთა აჯანყების მეთაური უნგრეთში; მხეცურად აწამეს გამარჯვებულმა აზნაურებმა. — 74, 75.

დოჟა (Dózsa), გრიგორი (გარდ. 1514 წ.)—გეორგი დოჟას ძმა, 1514 წ. გლეხთა აჯანყების მონაწილე უნგრეთში; ძმასთან ერთად ტყვედ ჩავარდა და სიკვდილით დასაჯეს. — 75.

ე

ებერშტაინი (Eberstein), მანჰოლდ (გარდ. 1517) — ებერშტაინთა თავადაზნაურული საგვარეულოს ფრანკონური შტოს წარმომადგენელი. — 202.

ერნსტი (1464 —1513) — მაგდებურგის არქიეპისკოპოსი (1476—1513). — 51.

ვ

ვაიგანდი (Weigand) — ბამბერგელი ეპისკოპოსი (1522—1556); 1525 წელს ფრანკონიაში გლეხთა აჯანყების ჩახშობის ერთი ორგანიზატორთაგანი.— 108.

ვაიტმოზერი (Weitmoser), ერაზმი — გაშტაინის (ზალცბურგის საარქიეპისკოპოსო) შეძლებული ხელოსანი, ზალცბურგელი სამთამადნო მუშების და გლეხთა რაზმის მეთაური 1525 წლის აჯანყების დროს. — 121.

ვასკო და გამა (Vasco da Gama) (1469—1524) — პორტუგალელი მეზღვაური, 1497—1498 წწ. აღმოაჩინა ინდოეთის საზღვაო გზა აფრიკაზე შემოვლით. — 23.

ვეჰე (Wehe), იაკობ (გარდ. 1525 წ.)— ლაიპჰაიმელი პასტორი, მიუნცერის მიმდევარი; 1525 წ. ერთი ხელმძღვანელთაგანი ლაიპჰაიმის გლეხთა რაზმისა, რომლის განადგურების შემდეგ იგი დასაჯეს. — 59, 88, 92, 98.

ველზერები — აუგსბურგელ ვაჭართა და ბანკირთა გვარი; XV და XVI სს. სამხრეთ გერმანიაში ფლობდნენ მეტალურგიულ და სხვა სარეწებს. ეწეოდნენ დიდი მასშტაბის სავაჭრო და სავაჭრო ოპერაციებს. შემდეგში მრავალი ევროპელი მონარქის კრედიტორები იყვნენ. — 86.

ველინგტონელი (Wellington), არტურ უელსი, ჰერცოგი (1769 — 1852) — ინგლისელი ფელდმარშალი და რეაქციული სახელმწიფო მოღვაწე;

ინგლისის არმიის მთავარსარდალი ნაპოლეონის ომების პერიოდში; პრემიერ-მინისტრი (1828—1830), კონსერვატორების ლიდერი. — 195.

ვიკლეფი (Wycliffe), ჯონ (დაახ. 1320—1384) — ინგლისელი რელიგიური რეფორმატორი; იბრძოდა რომისაგან დამოუკიდებელი ინგლისური ეკლესიის შექმნისა და კათოლიციზმის რეფორმისათვის; გამოდიოდა ინდულგენციების გაყიდვის წინააღმდეგ; კათოლიკურმა ეკლესიამ ერეტიკოსად გამოაცხადა. — 41, 43.

ვილანდი (Wieland), ქრისტოფ მარტინ (1733—1813)—გერმანელი პოეტი, გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსთაგანი. — 207.

ვილჰელმ (დაახ. 1470—1541) — სტრასბურგის ეპისკოპოსი (1506—1541); 1525 წ. მონაწილეობას იღებდა მაინცის საეპისკოპოსოში გლეხთა ამბოხების ჩახშობაში. — 108.

ვილჰელმ I (1797—1888) — პრუსიის მეფე (1861—1888) და გერმანიის იმპერატორი (1871—1888). — 179.

ვიურცბურგის ეპისკოპოსი — იხ. კონრად III.

ვოლტერი (Woltaire), ფრანსუა მარი (არუე) (1694—1778) — XVIII ს. ცნობილი ფრანგი განმანათლებელი; ფილოსოფოს-დეისტი, პუბლიცისტი, პოეტი, დრამატურგი და ისტორიკოსი. — 209.

ვოლ'ფი (Wolff), ვილჰელმი (1809—1864) — გამოჩენილი გერმანელი პროლეტარული რევოლუციონერი, კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, «ახალი რაინის გაზეთის» რედაქციის წევრი; მარქსისა და ენგელსის მოწაფე, თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი.— 153, 164.

ზ

ზალცბურგის არქიეპისკოპოსი — იხ. მათე.

ზაპოლია (Zápolya), იოჰან (1487—1540) — ტრანსილვანიის ვოევოდა; 1514 წ. ხელმძღვანელობდა გლეხთა მოძრაობის ჩახშობას უნგრეთში; 1526 წ. გამოცხადებულ იქნა უნგრეთის მეფედ. — 75.

ზიკინგენი (Sickingen), ფრანც (1481—1523) — გერმანელი რაინდი, მიემხრო რეფორმაციას; 1522—1523 წწ. ხელმძღვანელობდა რაინდების აჯანყებას. — 47, 79, 82, 127, 170, 173, 175.

ზინგერჰანსი (Singerhans) (ზინგერი, ჰანს) — ვიურტემბერგელი გლეხი; 1514 წ. «საწყალი კონრადის» კავშირისა და შვაბიის მთიანი რაიონების გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. — 72.

ზულცი (Sulz), რუდოლფ, — გრაფი, საიმპერიო სასამართლოს მოსამართლე როტვაილში. ფლობდა კლეტგაუს; 1525 წ. სამხრეთ გერმანიაში გლეხთა ომის დროს გლეხთა აჯანყების ჩახშობის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი. — 110.

ი

ივანე III ვასილის ძე (1440—1505) — მოსკოვის დიდი თავადი (1462 წლიდან), უდიდესი რუსი სახელმწიფო მოღვაწე; მიაღწია რუსეთის საბოლოოდ განთავისუფლებას მონგოლ-თათართა უღლისაგან და ძირითადად დაასრულა რუსეთის მიწების შემოერთება მოსკოვის ირგვლივ, რითაც საფუძველი ჩაუყარა ერთიან ეროვნულ სახელმწიფოს. — 198

იოაქიმ კალაბრიელი ან იოაქიმ ფლორელი (დაახ. 1131—1202)—იტალიელი მისტიკოსი; ქრისტეს «მეორედ მოსვლის» და «ათას წლიანი მეფობის» იდეის ერთ-ერთი გამავრცელებელთაგანი; მისი მოძღვრება კათოლიკურმა ეკლესიამ ერეესად გამოაცხადა. — 51.

ი ო ს ი (Ioss), ფ რ ი ც (გარდ. დაახ. 1517) — XVI ს. დასაწყისის გლეხთა ფარული კავშირისა და შეთქმულების ორგანიზატორი სამხრეთ გერმანიაში. 1502 წ. «წალის» შეთქმულების მონაწილე შპაიერის საეპისკოპოსოში; 1512—1513 წწ. «წალის» კავშირის აღდგენის ორგანიზატორი ზემო რაინსა და შვარცვალდ'ში, რომლის ცენტრი იყო ლევენში (ფრაიბურგის ახლოს); შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ გაიქცა შვეიცარიაში; 1517 წ. უშედეგოდ სცადა მოეწყო გლეხთა აჯანყება შვარცვალდში. — 67, 68, 70, 76, 173.

ი ო ჰ ა ნ (1468—1532) — საქსონიის ჰერცოგი, 1525 წლიდან საქსონიის კურფიურსტი; მიუნცერის ერთი მდევნელთაგანი; 1525 წელს გლეხთა აჯანყების ჩამხშობი ტიურინგიაში; თავადაზნაურული რეფორმაციის გამოჩენილი მოღვაწე. — 56.

კ

კ ა ზ ი მ ი რ ი (1481—1527) — ბრანდენბურგ-ანსბახის მარკგრაფი, ჰოჰენცოლერთა გვარის ფრანკონიის შტოს წარმომადგენელი; ანსბახელი და როტენბერგელი აჯანყებული გლეხებისა და მოქალაქეთა სისხლში ჩახშობის ორგანიზატორი.—104, 106, 108, 109.

კ ა ნ ტ ი (Kant), ე მ ა ნ უ ი ლ (1724—1804) — გერმანელი ფილოსოფოსი-იდეალისტი. — 207.

კ ა რ ლ ო ს დ ი დ ი (742—814)—ფრანკების მეფე (768—814), შემდეგში იმპერატორი (800 წლიდან). — 142, 144, 160, 199.

კ ა რ ლ - ა ვ გ უ ს ტ (1757—1828) — საქსონ-ვაიმარის დიდი ჰერცოგი; მონაწილეობას იღებდა რეაქციული გერმანული სახელმწიფოების ლაშქრობაში რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ. — 206.

კ ა რ ლ ო ს მ ა მ ა ც ი (1433—1477) — ბურგუნდიის ჰერცოგი; მეთაურობდა საფრანგეთის მსხვილ ფეოდალთა ბრძოლას მეფე ლუდოვიკო XI წინააღმდეგ; 1477 წ. შვეიცარიელებთან ომში, ნანსისთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. — 191.

კ ა რ ლ ო ს V ჰ ა ბ ს ბ უ რ გ ი (1500—1558) — ესპანეთის მეფე (1516—1556) და გერმანიის იმპერატორი (1519—1556). — 36, 172, 173.

კ ა რ ო ლ ი ნ გ ე ბ ი — ფრანკთა მეფეების დინასტია (VIII—IX სს.). — 190.

კ ა უ ც კ ი (Kautsky), კ ა რ ლ (1854—1938) — გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი თეორეტიკოსი; ცენტრისტი; პირველი მსოფლიო ომის დროს სოციალ-პაციფისტი; მარქსიზმის რენეგატი და ფალსიფიკატორი, საბჭოთა კავშირის სასტიკი მტერი. — 181.

კ ე პ ლ ე რ ი (Kepler), ი ო ჰ ა ნ (1571—1630) — გერმანელი ასტრონომი. — 205.

კ ი ნ დ ლ ი ნ გ ე რ (Kinglinger), ნ ი კ ო ლ ა უ ს (1749—1819) — გერმანელი კონსერვატორი ისტორიკოსი, ავტორი 1818 წ. გამოცემული ნაშრომისა— «გლეხთა დამოკიდებულების ისტორია გერმანიაში, განსაკუთრებით ეგრეთწოდებული ბატონყმობის უფლება».— 177.

კ ნ ო პ ფ ი ლუიბასიდან — იხ. შმიდტი, იორგ.

კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი, მ ა ქ ს ი მ მ ა ქ ს ი მ ე ს ძ ე (1851—1916) — გამოჩენილი რუსი ბურჟუაზიული სოციოლოგი, ისტორიკოსი და იურისტი; ცნობილია თავისი გამოკვლევებით პირველყოფილთემური წყობილების შესახებ. — 133.

კ ო ნ რ ა დ III (1466—1540) — ვიურცბურგის ეპისკოპოსი (1519—1540); გლეხთა აჯანყებისა და ქალაქის დაბალი წრეების მოძრაობის სისხლში ჩახშობის ორგანიზატორთაგანი ფრანკონიაში. — 95, 108.

ლ

ლავრენტი — იხ. მესაროში, ლავრენტი.

ლაიბნიცი (Leibniz), გოტფრიდ ვილჰელმი (1646—1716) — გერმანელი ფილოსოფოსი იდეალისტი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი. — 203, 205.

ლამპარტერ (Lamparter), გრეგორუს (1463—1523) — ვიურტემბერგის ჰერცოგ ულრიხის მრჩეველი. — 72.

ლასალი (Lassallo), ფერდინანდ (1825—1864) — გერმანელი ვეჭილი და პუბლიცისტი, რომელიც მიემხრო მუშათა მოძრაობას; გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის ერთი დამაარსებელთაგანი; იცავდა გერმანიის «ზემოდან» გაერთიანების პოლიტიკას, ელაჭუცებოდა ბისმარკსა და იუნკერობას; საფუძველი ჩაუყარა ოპორტუნისტულ, მარქსიზმის მტრულ მიმდინარეობას გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში.—169, 170, 171, 172, 176.

ლევენშტაინები, გრაფები—წვრილი თავადური გვარის წარმომადგენლები ფრანკონიაში. — 93.

ლეონჰარდ (Leonhardt), ადოლფ (1815—1880) — პრუსიის რეაქციული სახელმწიფო მოღვაწე, იუსტიციის მინისტრი ბისმარკის კანცლერობის პერიოდში. — 142.

ლესინგი (Lessing), გოტჰოლდ ეფრაიმ (1729—1781) — გამოჩენილი გერმანელი განმანათლებელი; დრამატურგი, ლიტერატურული კრიტიკოსი და ხელოვნებათმცოდნე. — 207.

ლიმპურგელები, გრაფები—გრაფის გვარი ფრანკონიაში. — 95.

ლორხერი (Lorcher) — ვიურტემბერგის ჰერცოგ ულრიხის მრჩეველი. — 72.

ლუდვიგ V (1478—1544) — პფალცის კურფიურსტი (1508—1544); 1522—1523 წწ. მონაწილეობას იღებდა რაინდების აჯანყების ჩახშობაში; 1525 წ. ფრანკონიის გლეხთა აჯანყების ჩახშობის ერთი ორგანიზატორთაგანი, ტრუხზესის დამსჯელი ლაშქრობის მონაწილე. — 73, 82, 94, 96, 102, 107, 109.

ლუდოვიკ XI (1423—1483) — საფრანგეთის მეფე (1461—1483); საფრანგეთის აბსოლუტური მონარქიის ერთი დამაარსებელთაგანი; თავდადებით იბრძოდა საფრანგეთის მიწების ერთიან სამეფოში გასაერთიანებლად. — 25, 197.

ლუთერი (Luther), მარტინ (1483—1546) — გერმანელი რელიგიური რეფორმატორი, ღვთისმეტყველი და პუბლიცისტი, ლუთერანული რელიგიის დამაარსებელი; გლეხთა ომის დროს გამოდიოდა როგორც აჯანყებული გლეხებისა და პლებეების სასტიკი მტერი; გამოხატავდა იმ ბიურგერული წრეების განწყობილებას, რომლებიც თავადების მხარეზე გადავიდნენ. — 46, 47, 49, 50, 51, 52, 55, 56, 57, 58, 59, 60, 77, 78, 83.

მ

მაგდებურგის არქიეპისკოპოსი — იხ. ერნსტ.

მათე (დაახ. 1468—1540) — ზალცბურგის არქიეპისკოპოსი (1519 წლიდან); რეფორმაციის მომხრეების სასტიკი მდევნელი, 1525 წ. აჯანყებულ გლეხთა და მოქალაქეთა წინააღმდეგ სისხლიანი რეპრესიების სულისჩამდგმელი ზალცბურგის საარქიეპისკოპოსოში.— 121, 123.

მაიტცენ (Meitzen), ავგუსტ (1822—1910) — გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და სტატისტიკოსი. — 167, 177.

მანტელ (Mantel), იოჰან (დაახ. 1468—1530)—ღვთისმეტყველი, შტუტგარტის ქადაგი, მიუნცერის მიმდევარი. — 59.

მანტოიფელ (Mantouffel), ოტო თეოდორ (1805—1882)—პრუსიის სახელმწიფო მოღვაწე; რეაქციონერი; ბრანდენბურგის კონტრრევოლუციური სამინისტროს საშინაო საქმეთა მინისტრი. (1848 — 1850). — 165, 166.

მარქსი, კარლ (1818—1883). — 3, 4, 169, 175, 177.

მაურერ (Maurer), გეორგ ლუდვიგ (1790—1872)—გერმანელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი, ძველი და საშუალო საუკუნეების გერმანიის საზოგადოებრივი წყობილების მკვლევარი. — 134, 176, 177.

მაქსიმილიან I (1459—1519) — ავსტრიის ერცჰერცოგი, 1493 წლიდან გერმანიის იმპერატორი. — 67, 76, 85.

მენციინგენი (Menzingen), სტეფან (გარდ. 1525) — გერმანელი რაინდი; ხელმძღვანელობდა როტენბურგის წვრილი ბიურგერებისა და პლებეების აჯანყებას პატრიციების წინააღმდეგ; მარკგრაფ კაზიმირ ბრანდენბურგ - ანსბახის ჯარების მიერ როტენბურგის დაკავების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. — 91, 109.

მენკე (Menke), თეოდორ ჰაინრიხ. — გერმანელი კარტოგრაფი. — 206.

მელანხტონი (Melanchton), ფილიპ (1497—1560) — გერმანელი ღვთისმეტყველი, ლუთერის უახლოესი თანაშემწე; ავტორი «აუგსბურგის სარწმუნოებისა»; ლუთერანობა შეეახამა თავადთა ინტერესებთან. — 56.

მერინგი (Mehring), ფრანც (1846—1919) — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, ლიტერატურული კრიტიკოსი და ისტორიკოსი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მარცხენა ფრთის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი; შემდეგში «სპარტაკის» კავშირისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრი.—178, 179.

მეროვინგები — ფრანკთა მეფეების დინასტია (V—VIII სს.) — 144.

მესაროში (Mészáros), ლავრენტი (გარდ. 1514) — ცეგლედის მღვდელი, 1514 წ. გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი ბელადთაგანი უნგრეთში; ტყვედ ჩაუვარდა ხელში უნგრეთის აზნაურებს, რომლებმაც მხეცურად აწამეს. — 74, 75.

მეცლერი (Metzler), გეორგ — ოდენვალდის (ფრანკონია) გლეხთა აჯანყების ერთი წარმომადგენელთაგანი, აგრეთვე ნათელ-სხივოსანი რაზმის ერთ-ერთი მეთაური; ეკუთვნოდა ზომიერ პარტიას; კენიგსჰოფენთან ნათელ-სხივოსანი რაზმის განადგურების შემდეგ გაიქცა. — 92, 93, 94, 105.

მიუნცერი (Münzer), თომას (დაახ. 1490—1525)—გერმანიის უდიდესი პლებეური რევოლუციონერი, თავადების, აზნაურების და სასულიერო წოდების ბატონობის რევოლუციური გზით დამხობისა და სახალხო რეფორმაციის მქადაგებელი, წამოაყენა გამათანაბრებელი უტოპიური კომუნიზმის იდეა; გერმანიის გლეხთა ომის პერიოდში ქალაქის დაბალი ფენებისა და აჯანყებულ გლეხთა მარცხენა ფრთის ბელადი. — 3, 35, 40, 44, 49, 54, 55 56, 57, 58, 60, 66, 78, 83, 86, 105, 113, 115, 116, 117, 122, 181.

მიულერ (Müller), ჰანს (გარდ. 1525 წ.) — 1525 წ. შვარცვალდის გლეხთა წინამძღოლი;მეთაური ჰეჰგაუს რაზმისა, რომელმაც ულალატა გლეხებს; აჯანყების ჩახშობის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.—83, 84, 87, 109, 110.

მოცარტი (Mozart), ვოლფგანგ ამადეუს გოტლიბ (1756—1791) — უდიდესი ავსტრიელი კომპოზიტორი. — 207.

ნ

ნაპოლეონ III (1808—1873) — საფრანგეთის იმპერატორი (1852—1870). — 9.

ნაპოლეონ I ბონაპარტე (1769—1821) — საფრანგეთის იმპერატორი, (1804—1814 და 1815).—150, 162, 207,

ო

ოტონ I (912—973) — გერმანიის მეფე (936 წლიდან), დამაარსებელი და პირველი იმპერატორი (962 წლიდან) ე. წ. წმიდა რომის იმპერიისა.—199.
ოტონები — საქსონელთა დინასტიის გერმანელთა მეფეები და გერმანიის იმპერატორები (936—1002). — 201.
ოუენი (Owen), რობერტ (1771—1858)—დიდი ინგლისელი სოციალისტ-უტოპისტი. — 20.

პ

პლატონი (დაახ. 427—347 ჩ. ე-მდე)—ძველი ბერძენი ფილოსოფოს-იდეალისტი. — 181.
პრასლერი (Prassler), კასპარ, 1525 წ. ზალცბურგის საეპისკოპოსოს აჯანყებულ გლეხთა და მადნის მომპოებელთა რაზმების წინამძღოლი. — 121.
პრეგიცერი (Pregizer), კასპარ — დანებისმკეთებელი შორნდორფში (ვიურტემბერგი), «საწყალი კონრადის» კავშირის ერთი ორგანიზატორთაგანი; 1514 წ. მონაწილეობდა ვიურტემბერგის გლეხთა და ქალაქელთა აჯანყებაში; აჯანყების დამარცხების შემდეგ გაიქცა. — 71.
პფაიფერ (Pfaifer), ჰენრიხ (გარდ. 1525 წ.) — 1525 წ. ქალაქელთა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი მიულჰაუზენში; სიკვდილით დასაჯეს.— 113. 118.
პფალცის კურფიურსტი — იხ. ლუდვიგ V.

რ

რაბმანი (Rabmann), ფრანც (გარდ. 1525 წ.)—გრისანის ქადაგი, (სამხრეთ გერმანია); მიუნცერის მიმდევარი და სახალხო რეფორმაციის მომხრე; მონაწილეობდა შვარცვალდის დაკლეტჰაუზელ გლეხთა და პლებეების აჯანყებაში; 1525 წ. შემოდგომაზე გლეხთა მოძრაობის საბოლოოდ ჩახშობის შემდეგ მხეცურად აწამეს. — 59.
რიხარდ (1467—1531) — ტრირის კურფიურსტი და არქიეპისკოპოსი — (1511—1531), რეფორმაციის სასტიკი მოწინააღმდეგე; მონაწილეობდა 1522—1523 წწ. რაინდებისა და 1525 წ. გლეხთა აჯანყების განადგურებაში.— 82, 109, 172.
რორბახ (Rohrbach), იეკლაინ (გარდ. 1525 წ.) — 1525 წელს ფრანკონიის გლეხთა აჯანყების ერთი მთავარი მეთაურთაგანი; ნეკარტალელ გლეხთა რაზმის ხელმძღვანელი; გადამწყვეტი რევოლუციური მოქმედების მომხრე, გამოირჩეოდა აზნაურებისადმი შეურიგებლობით; ტრუხზესის ბრძანებით სასტიკად აწამეს.— 92, 93, 94, 96, 97, 98, 102.

ს

სალერეში (Száleresi), ამბრუშ—პეშტის მოქალაქე, 1514 წ. მიემხრო გლეხთა აჯანყებას უნგრეთში; დაინიშნა გლეხთა ერთ-ერთი რაზმის ხელმძღვანელად, მაგრამ, აჯანყებაში მონაწილე მოქალაქეების ჯგუფთან ერთად უღალატა ამბოხებას და აზნაურების მხარეზე გადავიდა. — 75.
საქსონიის კურფიურსტი — იხ. ფრიდრიხ III.
სენ-სიმონი (Saint-Simon) კლოდ ანრი (1760—1825)—დიდი ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი. — 19.

ტ

ტაილერი (Tyler), უოტ (გარდ. 1381 წ.) — 1381 წ. გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელი ინგლისში; პროფესიით—მეთუნუქე, იცნობდა სამხედრო საქმეს; აჯანყებული გლეხების წარმომადგენელთა მეფე რიჩარდ II მოლაპარაკების დროს ფეოდალებმა მოღალატურად მოჰკლეს. — 40.

ტ ა ც ი ტ ი პ უ ბ ლ ი უ ს კ ო რ ნ ე ლ ი უ ს (დაახ. 55—120 წ.) — რომაელი ისტორიკოსი, ძველი გერმანიის აღწერის ავტორი. — 136, 137.

ტ ე ლ ე კ ი (Teleki), ი შ ტ ვ ა ნ (გარდ. 1514 წ.) — მეფის მრჩეველი, შემდეგში ხაზინადარი უნგრეთში; 1514 წლის გლეხთა აჯანყების დროს ამბოხებულებმა მოჰკლეს. — 75.

ტ ი უ დ ო რ ე ბ ი — ინგლისის მეფეების დინასტია (1485 —1603).— 198

ტ რ ი რ ი ს ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი.— იხ. რიხარდ.

ტ რ უ ხ ს ე ს ი (Truchsess), გ ე ო რ გ (1488—1531) — შვაბიის კავშირის სამხედრო ძალების სარდალი. 1525 წ. გლეხთა აჯანყების მთავარი დამსჯელი და ჯალათი. — 35, 85, 87, 88, 92, 98, 101, 102, 104, 107, 108, 110, 111, 112, 117.

ტ უ მ ბ ი (Thumb), კ ო ნ რ ა დ (1465—1525)—ვიურტემბერგის ჰერცოგ ულრიხის მრჩეველი. — 72.

ტ უ ნ ფ ე ლ დ ი (Thunfeld), კ უ ნ ც—გერმანელი რაინდი, ვიურცბურგის ეპისკოპოსის ვასალი; 1476 წ. ჰანს ბიოჰაიმის გლეხთა შეთქმულების მონაწილე ნიკლასჰაუზენში (ვიურცბურგის საეპისკოპოსო). — 63, 64.

ტ უ ნ ფ ე ლ დ ი (Thunfeld), მ ი ქ ე ლ ი— კუნცის ვაჟი; 1476 წ. ჰანს ბიოჰაიმის გლეხთა შეთქმულების მონაწილე ნიკლასჰაუზენში (ვიურცბურგის საეპისკოპოსო). — 63, 64.

უ

უ ლ რ ი ხ ი (1487—1550)—ვიურტემბერგის ერცოგი (1498 წლიდან); 1514 წელს ჩააბშო ვიურტემბერგის გლეხთა აჯანყება («საწყალი კონრადის» აჯანყება); 1519 წელს მისი პოლიტიკით უკმაყოფილო აზნაურებმა და ბიურგერებმა საჰერცოგოდან განდევნეს; ცდილობდა 1525 წელს გლეხთა აჯანყება გამოეყენებინა თავისი ძალაუფლების აღსადგენად; 1534 წ. კვლავ დამკვიდრდა ვიურტემბერგის ტახტზე.—71, 72, 86, 88.

ფ

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ I (1503—1564)—ავსტრიის ერცჰერცოგი, 1556 წლიდან გერმანიის იმპერატორი. — 85, 109, 111, 122, 123.

ფ ი ლ ი პ ე I (1479—1533) — ბადენის მარკგრაფი; 1513 წ. მხეცურად გაუსწორდა «წაღის» გლეხთა შეთქმულების მონაწილეებს და სხვა აჯანყებათა ცდების მთელ რიგ ინიციატორებს. 1525 წ. მონაწილეობდა სამხრეთ გერმანიის გლეხთა აჯანყების ჩახშობაში. — 70, 74, 109.

ფ ი ლ ი პ ე I (1504—1567) — ჰესენის ლანდგრაფი: მონაწილეობდა 1522—1523 წ.წ. რაინდების აჯანყების ჩახშობაში; 1525 წ. გლეხთა აჯანყების მთავარი ჩამხშობი ტიურინგიაში. — 116, 118, 125.

ფ ლ ო რ ი ა ნ — იხ. გრეიზელ, ფლორიან.

ფ ო ი ე რ ბ ა ხ ე რ ი (Feuerbacher), მ ა ტ ე რ ნ — ქალაქის საბჭოს წევრი და ბიურგერული ოპოზიციის ერთი ბელადთაგანი გროს-ბოტვარში (ვიურტემბერგი); 1525 წ. სათავეში ედგა ვიურტემბერგის აჯანყებულ გლეხთა და ქალაქელთა ნათელ ქრისტიანულ რაზმს. თავის გავლენას იმისათვის იყენებდა, რომ აჯანყება ზომიერი გზით წარმართულიყო. ბებლინგენთან ამბოხებულთა დამარცხების შემდეგ გაიქცა შვეიცარიაში. — 97, 101.

ფ ო რ ნ ე რ ი (Forner), ა ნ ტ ო ნ—ნორდლინგენის (ფრანკონია) საიმპერიო ქალაქის მეორე ბურგომისტრი; 1525 წ. მიემხრო აჯანყებულ გლეხობას და სათავეში ჩაუდგა ქალაქის პლებეურ პარტიას; მეთაური ახალი მაგისტრატისა, რომელიც არსებობდა გლეხთა აჯანყების დამარცხებამდე. — 91.

ფრანცისკ I (1494—1547)—საფრანგეთის მეფე (1515—1547). — 34, 84.
ფრიდრიხ II (1712—1786)—პრუსიის მეფე (1740—1786). — 161, 163, 204.
ფრიდრიხ III (1463—1525)—საქსონიის კურფიურსტი (1486 — 1525); მიუნცერის ერთ-ერთი მდევნელთაგანი. —47.
ფრიდრიხ-ვილჰელმ (1620 — 1688)—ბრანდენბურგის კურფიურსტი (1640 წლიდან). — 163, 179.
ფრიდრიხ-ვილჰელმ III (1770—1840) — პრუსიის მეფე (1797 — 1840). — 161, 163.
ფრუნდსბერგი (Frundsberg), გეორგ (1473 — 1528) — გერმანელ ლანდსკნეხტთა მეთაური; მსახურობდა შვაბიის კავშირში. 1525—1526 წწ. მონაწილეობდა შვაბიასა და ზალცბურგის საარქიეპისკოპოსოს გლეხთა აჯანყების ჩახშობაში. — 111, 123.
ფურიე (Fourier), ფრანსუა მარი შარლ (1772—1837) — დიდი ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი. — 20.

შ

შაპელერი(Schappeler),კრისტოფ (1472 — 1551) — ღვთისმეტყველების დოქტორი, მიუნცერის მიმდევარი; 1524—1525 წწ. მეთაურობდა პლებეების ოპოზიციას მემინგენში (ზემო შვაბია); მემინგენის ქალაქის მდაბიოთა წარუმატებელი აჯანყების შემდეგ გაიქცა. — 59, 111.
შიონი (Schön), ულრიხი (გარდ. 1525 წ.) — 1525 წ. გლეხთა ომის მონაწილე; შვაბიის აჯანყებულ გლეხთა ლაიპჰაიმის რაზმის ერთ-ერთი წინამძღოლი; რაზმის განადგურების შემდეგ ტყვედ ჩავარდა და ტრუხზესის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. — 88, 99.
შექსპირი (Shakespeare), უილიამ (1564—1616) — დიდი ინგლისელი პოეტი და დრამატურგი. — 173.
შილერი (Schiller), იოჰან კრისტოფ ფრიდრიხ (1759—1805)—დიდი გერმანელი პოეტი და დრამატურგი. —173, 207.
შლეცერი (Schlözer) ავგუსტ ლუდვიგი (1735—1809) — გერმანელი კონსერვატიული ისტორიკოსი, პუბლიცისტი და სტატისტიკოსი. — 206.
შმიდტი (Schmidt), იორგ (გარდ. 1526 წ.)— ცნობილი თავისი სახუმარო მეტსახელით «ენოპფი» (სიტყვასიტყვით «ტეტია»).ლუიბასელი (ზემო შვაბია) გლეხი; 1525 წ. გლეხთა ომის აქტიური მონაწილე და ალგაუს რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი; რაზმის დამარცხების შემდეგ გაიქცა, მაგრამ დაიჭირეს, აწამეს და სიკვდილით დასაჯეს. — 112.
შმიდტი (Schmidt), ულრიხ — მეკედელი, 1525 წელს აჯანყებულ შვაბიელ გლეხთა ბალტრინგენის რაზმის წინამძღოლი. — 87.
შნაიდერი (Schneider), გეორგ— ფრანგების სამსახურში მყოფი ლანდსკნეხტების ყოფილი კაპიტანი; მონაწილეობდა «წაღის» შეთქმულებასა და ზემო რაინის 1513 წ. გლეხთა აჯანყებაში, რომელიც მარცხით დამთავრდა. — 68.
შპეტ (Spät), დიტრიხ (გარდ. 1536 წ.)—გერმანელი აზნაური; ტრუხზესის დამსჯელ არმიაში შემავალი რაზმის მეთაური; 1525 წ. გლეხთა აჯანყების ჩახშობის მონაწილე. — 98, 99, 100, 105.
შპრუნერ (Spruner), კარლ (1803—1892) — გერმანელი ისტორიკოსი და კარტოგრაფი. — 189.
შტორხ (Storch), ნიკლასი—ცვიკაუელი ფეიქარი; ანაბაპტისტთა სექტის მეთაური; მიუნცერის ზეგავლენით გახდა სასულიერო და საერო ფეოდალების წინააღმდეგ მიმართული აჯანყების მქადაგებელი. — 51.

შტოფელ (Stoffel) (ფრაიბურგიდან)—1513 წ. ზემო რაინსა და შვარცვალდში «წალის» გლეხთა შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი: შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ მიიმალა. — 68.

შუბარტი (Schubart), იოჰანკრისტიან (1734—1787) — გერმანელი აგრონომი. — 206.

ჩ

ჩაკი (Csáky), მიკლოშ (გარდ. 1514 წ.) — ჩენადის ეპისკოპოსი; 1514 წელს, უნგრეთის გლეხთა აჯანყების დროს, აჯანყებულებმა მოჰკლეს.—75.

ც

ცეზარი გაიუს იულიუს (100—44 ჩ. ე.) — რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი; რომის იმპერიის დამაარსებელი; ავტორი «გალიის ომის ჩანაწერებისა», რომელშიც აღწერა აგრეთვე გერმანელთა ტომების ხნეჩვეულებები. — 134, 136.

ციმერმანი (Zimmermann), ვილჰელმი (1807—1878) — გერმანელი წვრილბურჟუაზიული დემოკრატი, ისტორიკოსი; ხელოსნის შვილი; მღვდელი და ისტორიის მასწავლებელი შტუტგარტში; 1848 წ. რევოლუციის მონაწილე, ფრანკფურტის პარლამენტის დეპუტატი, სადაც ემხრობოდა უკიდურეს მარცხენა ფრთას; «გერმანიის გლეხთა ომის ისტორიისა» და სხვ. ნაშრომთა ავტორი. — 3, 55, 60

ჰ

ჰოსა (Hocszû), ანტონ—1525 წელს გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი წინამძღოლთაგანი უნგრეთში. — 75.

ჰაბერნ (Habern), ვილჰელმ — პფალცის მარშალი, კურფიურსტ ლუდვიგ პფალცელის მხედართმთავარი; მონაწილეობას ღებულობდა 1522—1523 წწ. რაინდების აჯანყებისა და 1525 წ. პფალცის გლეხთა აჯანყების ჩახშობაში. — 96, 109.

ჰანსენი (Hanssen), გეორგ (1809—1894) — გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და სტატისტიკოსი; ავტორი მთელი რიგი ნაშრომებისა აგრარული წყობილების ისტორიის შესახებ გერმანიაში. — 177.

ჰეგელი (Hegel), გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხი (1770—1831) — გერმანელი ფილოსოფოსი იდეალისტი, დიალექტიკოსი.—19, 53, 203.

ჰელფენშტაინი (Helfenstein), ლუდვიგ, გრაფი (დაახ. 1498—1525)—ავსტრიის მეფისნაცვალი ვაინსბერგში (ვიურტემბერგი), ცნობილია თავისი ცბიერებითა და სისასტიკით გლეხობის მიმართ; 1525 წ. აჯანყებულმა გლეხებმა იგი დაატყვევეს და სიკვდილით დასაჯეს. — 92, 94, 104.

ჰენდელი (Händel), გეორგ ფრიდრიხი (1685—1759) — გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი. — 207.

ენრიხ III (1551 — 1589) — საფრანგეთის მეფე (1574—1589), უკანასკნელი მეფე ვალუას დინასტიიდან; როიალისტურ, კათოლიკურ და ჰუგენოტთა პარტიებს შორის გაჩაღებული ომის დროს საფრანგეთში იგი მოჰკლეს კათოლიკური ლიგის მომხრეებმა.—208.

ენრიხ IV (1553—1610) — საფრანგეთის მეფე (1589—1610), ბურბონთა დინასტიის დამაარსებელი; რელიგიური ომის პერიოდში ჰუგენოტთა ჯარების ბელადი; პარიზელ კათოლიკეთა მიერ სამეფო გვირგვინზე მისი უფლების აღიარების მიზნით მიიღო კათოლიკობა, ბოლო მოუღო რელიგიურ

აღრეულობას და განამტკიცა მეფის ხელისუფლება. — 208.

ჰ ერ დ ე რ (Herder), ი ო ჰ ა ნ გ ო ტ ფ რ ი დ ი (1744—1803) — გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტი, პოეტი, ხალხური ლექსების შემკრები და ლიტერატურული კრიტიკოსი. — 207.

ჰ ე ს ე ნ ი ს ლანდგრაფი — იხ. ფილიპე I.

ჰ ი პ ლ ე რ ი (Hipler), ვ ე ნ დ ე ლ (გარდ. 1526) — გერმანელი აზნაური, რომელიც 1525 წ. მიემხრო ფრანკონიის გლეხთა აჯანყებას; მთავარი ავტორი «ჰაილბრონის პროგრამისა», რომელშიც წინასწარ სპვრეტდა გერმანიის საზოგადოებრივი წყობის ბურჟუაზიული გარდაქმნის იდეას; გლეხთა დამარცხების შემდეგ გაიქცა, მაგრამ 1526 წ. დააპატიმრეს და საპყრობილეში გარდაიცვალა. — 92, 94, 104, 105.

ჰ ო ჰ ე ნ ლ ო ე ბ ი, გრაფები—წვრილი თავადური გვარის წარმომადგენელნი ფრანკონიაში. — 92, 93.

ჰ ო ჰ ე ნ შ ტ ა უ ფ ე ნ ე ბ ი—გერმანელ იმპერატორთა დინასტია. (1138 —1254). — 199.

ჰ უ ბ მ ა ი ე რ ი (Hubmaier), ბ ა ლ თ ა ზ ა რ (გარდ. 1528 წ.) — სამხრეთ-გერმანიის ქალაქ ვალდსჰუტის მღვდელი, ღვთისმეტყველების დოქტორი, მიუნცერის მიმდევარი და სახალხო რეფორმაციის მქადაგებელი; შვარცვალდის გლეხთა და მოქალაქეთა აჯანყების ერთი შთამგონებელთაგანი; 1528 წ. დაწვეს კოცონზე. — 59, 83.

ჰ უ ს ი (Hus), ი ა ნ (დაახ. 1369 — 1415 წ.) — გამოჩენილი ჩეხი რეფორმატორი, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი; თავისი გამოსვლებით მთელი რიგი კათოლიციზმის დოგმატებისა და კათოლიკური სამღვდელოების გამოძალვის წინააღმდეგ საფუძველი ჩაუყარა ჩეხიაში ფართო განმათავისუფლებელ მოძრაობას გერმანული სასულიერო და საერო ფეოდალების წინააღმდეგ. კონსტანცის ტაძარმა ერეტიკოსად გამოაცხადა და კოცონზე დაწვეს.—41.

ჰ უ ტ ე ნ ი (Hutten), უ ლ რ ი ხ (1488—1523) — გერმანელი ჰუმანისტი, პოეტი; რაინდობის ერთ-ერთი იდეოლოგთაგანი და რაინდთა აჯანყების აქტიური მონაწილე 1522—1523 წწ. — 79, 82, 109, 170, 172, 173, 174.

ჰ უ ტ ე ნ ი (Hutten), ფ რ ო ვ ე ნ—ულრიხ ჰუტენის ბიძაშვილი, რომელიც მაინცის კურფიურსტის კარზე იმყოფებოდა; 1525 წ. მონაწილეობდა გლეხთა აჯანყების ჩახშობაში. — 172.

შინაარსი

ქართული გამოცემის რედაქციისაგან V
სკკპ ც. კ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტისაგან VII

წინასიტყვაობა 3
I 22
II 37
III 60
IV 77
V 83
VI 112
VII 124

დამატებანი

I. ფ. ენგელსი. მარკა 133
II. ფ. ენგელსი. პრუსიის გლეხთა ისტორიისათვის 153
III. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის წერილებიდან 169
კ. მარქსი—ფ. ენგელსს, 1856 წ. 16 აპრილი 169
კ. მარქსი—ფ. ლასალს, 1859 წ. 19 აპრილი 169
ფ. ენგელსი—ფ. ლასალს, 1859 წ. 18 მაისი 172
ფ. ენგელსი—კ. მარქსს, 1882 წ. 15 დეკემბერი 175
ფ. ენგელსი—კ. მარქსს, 1882 წ. 16 დეკემბერი 177
ფ. ენგელსი—ფ. მერინგს, 1893 წ. 14 ივლისი 178
ფ. ენგელსი—კ. კაუცკის, 1895 წ. 21 მაისი 181

IV. ფ. ენგელსის ხელნაწერი მემკვიდრეობიდან

ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ 183
«გლეხთა ომისათვის» 196
შენიშვნები გერმანიის შესახებ 198
«გერმანიის შესახებ შენიშვნების» მეორე ხელნაწერიდან 206
[illegible] 211

პ/მგ. გამოშვებისათვის დ. ლაშქარაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IX-1956 წ.
ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა
60×92¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 14,75.
ტირაჟი 10.000. შეკვ. № 1004.

*

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., 50.

*

1-я Типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.

Ф. Энгельс

Крестьянская война в Германии

(На грузинском языке)
Госиздат Грузинской ССР
Тбилиси 1950